114
3
941

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

114
1941/5

98

10

თბილისი
1941

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

3-191
ეროვნული
ბიბლიოთეკა
1941 № 10

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეთვრამეტე

В-144
4066

10

ეროვ. ბიბლიოთეკა
საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

19 ოქტომბერი / ხახვლგამი 41

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ/მგ. რედაქტორი ალიო მაშაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/IX-41 წ. ᲣᲔ42029. ანაწყობის ზომა 7×12. ნიშანთა რაოდენობა სასტამბო ფორმაში 50.688. საავტორო ფორმათა რაოდენობა = 12.65. შეკვეთის № 1557. ტირაჟი 2000.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ეორესის ქ. № 5. რედაქციის მისამართი: ეორესის ქ. № 5. სახელგამი. ტელ. 3-53-80.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

დავით აღმაშენებელი

სამკარიანი რომანი

კარი პირველი *)

XXIII

სკვითია

ძურძუკეთიდან ცხენების ჩამოყვანას სამხედრო სამზადისი მოჰყვა. ვეჟინის ბრძოლაში დიდძალი ცხენი დაუხოცეს მეფე გიორგის კახთა. დავითი ლაშქრის განახლებას შეუდგა, ამიტომაც დახარბდა ალანურ ცხენებს. ორგზის გამოგზავნა ისინი მარტია უძილამ, მრავალნაცადმა მცნობმა, თითოეულ რემაში [1]) სამ-სამი ათასი.

მესამე რემას თავათ ჩამოჰყვა მარტია. ერთი უცნაური ანაგობის ფაშატი თან ჩამოიყვანა, ყიფჩაღური. სამ ვაჟკაცს მოჰყავდა საბლით მთლად გატყიურებული პირუტყვი. უბადლო სიველურის გამო, სკვითია შეარქვეს ცხენს. გეგუთში მერემეთუხუცესმა დაუპირა წურთვნა; ეკლიანი საყბეურები შეასხეს, ორმაგი აფშარით დაჰყავდათ დასამწყურვალებლად.

ბოლოს შეკაზმვაც დაუპირეს, მაგრამ უნაგირის დანახვაზე გახელდა, ყური წასჭამა მეჯინიბეს ხახაის, ყალხზე შესდგა, ხუთი ვაჟკაცი მოეჭიდა საბელს, გუდურებივით გადაჰყარა ისინი და ჭალებისაკენ მოუსვა შმაგმა. ჭენებით უკან გამოუდგნენ მერემენი, მთელი დღე სდიეს, მაგრამ ვერა ცხენი ვერ მოეწია ოტებულს.

მერემეთუხუცესი შიშის ქარმა აიტანა, იცოდა: დავითი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ცხენებს და მახარაი უთუოთ ამცნობდა მას სკვითიას დაკარგვას.

შეეეედრა მახარაის, არ გაემხილა ეს ამბავი მეფისთვის, ამასობაში მოსძებნიანო მერემენი ცხენს.

მეფე ჩამობრძანდა თუ არა გეგუთს, კარვები დაადგმევინა რიონის ჭალებში. ერისთავებიც თან ახლდნენ მას: ლიპარიტი, შერგილ ლიპარტიანი, ბეჭისციხის პატრონი გვარამ, ნიანია ბაკურიანი და რატი.

რატისათვის ჯერაც ვერ ეპატივებინა მახარაის განდგომილ აღსართანისა და კვირიკესთვის მიმხრობა. ამ ბოლო ხანს ყურმოკვრით ჰქონდა განაგონი: რატი

*) იხ. „მნათობი", №№ 4, 5, 6-7, 8, 9.

[1]) რ ე მ ა — ცხენების ჯოგი.

უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა ქუთათისის სასახლეში, რად აყოვნებსო დავით მეფე ნიშნობას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესაწოლე ბერების თანდასწრებით მოურიდებლად ჰქირდავდა ეროვნულ ბიბლიოთეკას და თუ დანიშნავს, დანიშნოს, თუ არა და სადა მყავსო გასალანძლავი დაი.

ბერები ვერ უბედავდნენ ამის მოხსენებას დავითს, სამაგიეროდ მახარაის ჩააწვეთებდნენ ხოლმე ყურში, სავსებით დარწმუნებულნი, მას არაფერი დაადგებოდა ენაზე.

დავითს შენიშნული ჰქონდა: მახარაი უყმურად ეპყრობოდა ამ ბოლო ხანს ლიპარიტის ვაჟს. ხუმრობდა ხშირად მისი ახმახი ანაგობის გამო, რატი გრძელყელიძეს უწოდებდა; სახრჩობელას სვეტებად გამოდგებაო მისი გამხმარი ფეხები.

შიშობდა: არ გამილანძღოსო სტუმარი, ამიტომაც გეგუთს წარმოგზავნა მახარაი, ვითომდაც ალანური ცხენების საწვრთნელად. გეგუთს ჩავიდა თუ არა მეფე, ახლა ქუთათისის ციხეში უპირებდა გაგზავნას მას.

დავითმა უბრძანა მეჯინიბეთუხუცესს, მყისვე შეუდგნენ მეჯინიბენი სამურველებით წმენდას ცხენებისას, უზომოდ წაზრდილი ძუა-ფაფარის კრეჭას, ფლოქვების დაქნას და ჭედვას.

ნაბრძანები ჰქონდათ ტაჯგანაგებით ეცემნათ კიდევაც ზოგიერთი უჯიათი ულაყი. ბოგირებზე გადასვლას უნდა მისჩვეოდნენ ცხენები.

უმეტესნი გაუხედნავი აღმოჩნდნენ, უკაცრიელ ტრამალებზე გაზრდილნი.

გუთნისდედები მოაყვანინეს მისრატულთა, ველი მოახნევინეს ღრმად, მერმე დააბორკვინეს ცხენები და მხედრებმა აჭენეს ხნულებზე. კვიცთა შორის გაოჩნებულებს ლოდებს აჰკიდებდნენ ხურჯინით, რიონზე გაჰყავდათ ასე დატვირთულნი.

თრიალეთელნი აზნაურნი გააოცა ამ გვარად ხედნამ ცხენებისამ.

დავით მეფე ერისთავებთან ერთად ათევდა კარავში ღამეს, თავათ უძღოდა ცხენთა და სპათა წვრთნას.

ისევე როგორც ომში, თორგაუხდელად წვებოდა, ბუკის ხმა უთენია აპყრიდა ლაშქარს და მზის ჩასვლამდის გრძელდებოდა ჯირითი, გაჭენებული ცხენიდან ჰოროლას ცემა.

ერთხელ აიყოლია ერისთავები დავითმა, ცხენდაცხენ მიჰყვნენ რიონის ჭალებს, რათა უფრო შორს გადაეტანათ ბანაკი.

ნასამხრალზე, ძველ ბანაკში მობრუნებულნი, დაქვეითდნენ თუ არა, მარტია უძილა ეახლათ.

მესამე რემა მოვიყვანეთო, მოახსენა ნიანია ბაკურიანს.

ამ რემაში მხოლოდ ულაყები აღმოჩნდნენ.

რატი მიეახლებოდა ცხენებს, ხელს წაავლებდა ლაშებზე და სათითაოდ უსინჯავდა კბილებს. როცა მეფე გვერდით ამოუდგა, მოახსენა:

„უმთავრესად ალანური ცხენებია ამ რემაში, როგორც სჩანს. კარგ ცხენებს ზრდიან ალანნი, მაგრამ ესაა, ახალგაზრდანია უპირატესად“.

„ახალგაზრდობა ზადი არაა ცხენისათვის“.

სიტყვა ჩააკერა მეფის უკან მდგარმა მახარაიმ.

„ახალგაზრდა ცხენი ფრთხალია ომში, ბუკის ხმა შეაკრთობს ხოლმე. ხშირად ღრიანცელიცა“.

სთქვა რატიმ.

„არა გცოდნია ცხენის ამბავი, ერისთავო, ბატონო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუგო მახარაიმ.

რატი აიმრიზა.

„ომში უვარგისია, როგორც ულაყი, ისე იაბო. ყიფჩაღებს ... ცხენი არ შეჰყავთ ბრძოლაში“.

განაგრძო მახარაიმ.

„ოჰო, წამოიძახა რატიმ, რათაო ვითომ“?

მახარაიმ მეფესა და ლიპარიტს გადახედა და დასძინა:

„ჭაკი ჭენების დროს ახერხებს მოშარდვას, ხოლო ულაყი, გინა იაბო საგანგებოდ უნდა შესდგეს შარდის დასაქცევად, ამასობაში შესაძლოა, წამოგეწიოს მტერი.

მე მომივიდა მანციკერტთან აგრე. თურქი ამირა მოვკალი, უკანასკნელი ისრითა, გამომიდგა მეჯინიბე, რომელსაც მარქაფა ცხენი მოჰყავდა მის გვერდით, დიდხანს მსდია ველზე, ბოლოს გამიჩერდა ულაყი, ვიდრე ცხენი მოშარდავდა, თურქი წამომეწია და ბეჭი გამიგმირა ისრითა“.

რატი მაინც არ დაეთანხმა მახარაის, ულაყი სჯობიაო ჭაკს, როგორც ომში, აგრეთვე დოღში.

„აბა მე ჭაკზე შევჯდები, შენ ულაყი აირჩიე, რომელიც გნებავს, და ვნახოთ“.

დაექადნა ბერიკაცი ჭაბუკს.

რატიმ ზიზღით შეავლო ქოსა ლოყებს თვალი და გადაიხარხარა.

მახარაი გაწითლდა. მოიღუშა, გესლიანი სიტყვა მზად ჰქონდა, მაგრამ მუნვე იდგა მეფე და ამიტომაც დადუმდა.

ახლა ერთ ჩალისფერ ულაყს დაადგა თვალი რატიმ. კბილები გაუსინჯა, ახედ-დახედა ცხენს და ეუბნება მეფეს:

„ეგ სკვითური უნდა იყოს ვგონებ. ასეთი ცხენი ამ რემაში არ ურევია, მეფევ ბატონო, თქვენმა მზემ“.

მახარაიმ მოუარა ცხენს, ფეხები და ძუა-ფაფარი დაუწუნა და ეუბნება დავითს:

„ამ რემიდან ერთი ყიფჩაღური ფაშატი გაექცა ამ წინაებზე ბიჭებს, სამი მერემე გამოუდგა მას საუკეთესო ულაყებზე მჯდარი, მაშინ უნდა გენახათ, თუ როგორ იჯაბნებს ფაშატი ულაყებს“.

მარტია უძილა მეფის უკან იდგა, სკვითიას ხსენებაზე თავზარი დაეცა მოხუცს.

მეფე გამობრუნდა, მარტიას ეუბნება შუბლშეჭმუხვნილი:

„ეგ რა ცხენი დაგიკარგავთ, მარტიავ?“

მარტიამ წამოიჩოქა და ხელაპყრობილმა მოახსენა:

„მე არა, შენი რისხვამც ნუ მომეცეს, მეფევ ბატონო, სამივე რემა თვლით ჩავაბარე მერემეთუხუცესს, არც ეგ ვიცი, თუ როგორ გაექცათ მერემეებს სკვითია“.

წამოდექიო უბრძანა დავითმა, დაუყვავა და უთხრა:

„რა ცხენი იყო მაინც ის სკვითია?“

„სკვითია ალანთა მეფეს წაურთმევია ყიფჩაღთა უმთავრესის, ათრახა შარალანისძისათვის ომში. აგრე მიამბეს, მეფევ ბატონო, ოვსთა... ალანთა მეფეს თავის სიძისათვის მიუბოძებია, ბოლოს ერთ სომეხს შეუსყიდნია ეგ ცხენი, ხოლო მისგან მე შევიძინე იგი“.

დავითმა უბრძანა მერემეთუხუცესს:

ბიბლიოთეკა

დაუყონებლივ შეიპყარითო სკვითია.

ორი მერემე ოვსი შესვეს მუხლმაგარ ცხენებზე, კუთარაი [illegible] მექამანდე ლაზიც თან გააყოლეს, რუხია.

მეორე დილით ახალ ბანაკში მიდიოდნენ მეფე და ერისთავები ცხენით, გზაში მერემენი შემოეყარათ.

ორ ვაჟკაცს მაჯაგანით მოჰყავდათ ერთი დაბორკილი ფაშატი. ორმაგი საყბეური შეესხათ, ძლივს იმაგრებდნენ მაინც.

„კუთარაი რა იქნა?“

ეკითხება მერემეთუხუცესი.

„კუთარაის ნეკნები ჩაულეწა ტიალმა, ძეწნებთან აგდია გულშემოყრილი ახლაც“. ამბობს მექამანდე რუხია. „მთელი ღამე ვსდიეთ მთვარიანში, ბოლოს ჭაობებში გავინაპირეთ, როგორც იქნა გადავაცვი ქამანდი კისერზე. კუთარაი მიეჭრა პირველად, მყისვე უგვერდა და ტორები დაახვია, ბატონო“.

მეფისა და ერისთავების ცხენები რა დაინახა, უცნაურად აჭიხვინდა სკვითია.

„დაგრილება ხომ არ აკლია ნეტა ამ ცხენს?“

იკითხა ლიპარიტმა.

„ეგეც ვცადეთ, ერისთავთ-ერისთავო, ჩვენა, მაგრამ საჯიშე აჯილლები დაგვიოხრა ტიალმა“.

დაქვეითდნენ დავითი, ლიპარიტი, რატი და მახარაი, გარს შემოადგნენ და თვალიერება დაუწყეს ცხენს.

ლიპარიტი მარჯვენა თეძოზე დააცქერდა, ბოლოს რატის მიუბრუნდა: „მე თვალს არ მიჩანს კარგად, აბა ნახე, ეგ ალანური დალია თუ ყიფჩალური?“

რატი მიეახლა, თვალზე ხელი მიიჩრდილა და სთქვა:

„ახალი მთვარეა, ყიფჩალური უნდა იყოს, მამავ ბატონო. ვგონებ“.

ხელახლა უნდოდა დახედვა, მაგრამ ტლინკები იყარა ცხენმა.

უკუდგა რატი და ამბობს:

„ცხენი კი არა, ტრამალის მგელია“!

„მართლაც სკვითია“!

სთქვა ნიანია ბაკურიანმა.

თავწვრილა იყო სკვითია, მკერდგანიერი, წვივმაღალი, ფლოქვსქელი და მრგვალგავიანი.

წვრილი, წვრილი საოლავები ჰქონდა, ასე რომ მნახველს აოცებდა, ეგ ფეხები როგორ იმაგრებსო ამოდენა ტანს. კოჭების თავთან, ოთხივე ფეხზე ბალანი გაზრდოდა უკან, მტაცებლის ჭანგებივით დადრეკილნი, ასე ეგონებოდა შორიდან მაცქერალს: ნამგლები ასხიაო საოლავებზე.

ფერად მრეში იყო, მხოლოდ გავაზე გადასდიოდა წურბლისსისხო და წურბლისფერი ხაზი. ღამესავით შავი ძუა ჰქონდა, ასეთივე ფაფარი, მაგრამ ორივენი ჩალისფერი გახდომოდა კიდურებზე, იმდენი ბირკა მოჰკიდებოდა ძეძვებში ნარბენს.

როცა თავის წვრილსა და ჭკვიან თავს ზეასწევდა ცხენი, ეს ბირკათი დაბურდული ფაფარი ისე ადგა მშვილდებრ მოდრეკილ ქედზე, როგორც ხორკლიანი ფრთენი ქვის ლომებისა, ბაგრატის ტაძრის კარიბჭეზე გამოხატულნი.

ფეხები გაუხსენითო, უბრძანა მერემეთუხუცესს მეფემ.

ბორკილები ახსნეს.

„რამდენი წლისაა ნეტავ?“

იკითხა ნიანია ბაკურიანმა.

„კბილები გავუსინჯოთ“, სთქვა ლიპარიტმა და თავისი ცხენი რუხიას მიუგდო.

ნაბიჯი გადასდგა ერისთავმა თუ არა, ყალხზე შესდგა სკვითია და ლამის იყო დატორა იგი.

შეკრთა ლიპარიტი და უკუიქცა.

„ამაზე მეტად ხელი მომიყვანია ჭკუაზე“, დაიქადნა რატიმ და თამამად მიეჭრა ცხენს, საყბეურზე ჩამოსწია მაგრად. ახლა ლაშზე წაეპოტინა მეორე ხელით, მაგრამ დაასწრო სკვითიამ და ზეზის სახელური დაუფხრიწა ანაზდად.

გახელდა რატი, სადავე დაიხვია ხელზე, მოიზიდა, დაიჭიხვინა სკვითიამ და მცირე მანძილზე ათრია რატი.

დავითი მივიდა, მკლავზე ხელი წაავლო სტუმარს, სთხოვა: თავი დაანებე, არაფერი გავნოსო შმაგმა.

ერისთავების წრიდან უკითხავად გამოვიდა მახარაი. ხელის გული გაუშვირა ცხენს.

„თფ, თფ, თფ...“

ჩაიპუტუნა, თვინიერად მიეახლა გახელებულ პირუტყვს. სკვითია დააშტერდა მისკენ გაწვდილ ხელს, წამოიწია, მაგრამ ვიდრე ჩვიჩვირს დააკარებდა ზედ, ქვემო ლაში უტაცა ქოსამ, მეორე ხელი ცხვირზე წაუჭირა და იყვირა:

უნაგირიო!

უნაგირი მოარბენინა მარტია უძილამ.

დიდხანს ეწვალნენ ორნი, როგორც იქნა მოუჭირეს მოსართავები.

მახარაიმ სადავე დაუმოკლა, გამოატარა მცირედი, ბოროტად მოციაგე თვალებით შესცინა დავითსა და ლიპარიტს შორის მდგომარე რატის:

„აბა ვინც ვაჟკაცია, შეჯდეს ამ ჭაკზე“.

დავითმა თვალი შეასწრო: ყვრიმალები გაუწითლდა რატის. ოდნავ შეცფუნდა, მაგრამ თავმოთნეობა წამოეძალა ანაზდად და ორიოდე ნაბიჯით დაწინაურდა.

მეფე შეკრთა, ვაჲ თუ დამიშავოსო სტუმარი ცხენმა.

ნუ შეჯდებიო, ებრძანებინა ან ეთხოვა რაინდისათვის?

შესაძლო იყო, ეგეც წყენოდა უზომოდ გულფიცხ ლიპარიტისძეს. ამიტომაც დაასწრო ცხენთან მისვლა რატის და ღიმილით ეუბნება მახარაის:

„მე შევჯდები მაგ ცხენზე“.

მახარაი ამას არ მოელოდა და გადაფითრდა ანაზდად. რატისათვის ჰქონდა ეს საცთური მას განკუთვნილი, ახლა მეფე რა წაეპოტინა სადავეს, ცხენი განზე გააგდო და თავათ ჩასდგა დავითსა და მას შორის.

დავითი არ მოეშვა, მახარაი დაფრთხა: ვაჲ თუ სიავეს რასმეს გადავკიდოვო ჭაბუკი მეფე, ერთ წუთში მოისაზრა და თავათ დააპირა ბერიკაცმა შეჯდომა.

დავითს შეეშინდა: მოხუცი არ დაამტვრიოსო ცხენმა, სადავე გამოსტაცა მახარაის და უცნაურის სისწრაფით შემოახტა უნაგირს. ერისთავები შეშფოთდნენ, მაგრამ ეს ამბავი ისე ანაზდად მოხდა, წინგადგომაც ვერ მოასწრო ვერც ერთმა.

დავითი შეეცადა თავიდანვე დაურვებას ცხენისას, დატუქსა, შეუძახა ომახიანად, დაიჭიხვინა სკვითიამ, ადგილიდან მოსწყდა დანდობილად, კისერი წაიგრძელა და ქარბორბალასავით გაჭენდა ველზე.

თვალი შეასწრეს ერისთავებმა: მხედარი შეუპოვრად ებრძოდა საურმე გზა-

ზე მიმქროლავ ცხენს, სკვითია ხნულებში აპირებდა გადასვლას, მაგრამ დავითი არ ანებებდა გახელებულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჯექითო!

იყვირა ლიპარიტ ორბელიანმა, თავათაც მოახტა მალიქ-შაჰს მიერ ნაჩუქარ იაბოს.

ერისთავებმაც გააქანეს დასავლეთისაკენ ცხენები, მარტია უძილა, თათაი და რუხიაც მიაგელვებდნენ თავიანთ კვიცებს იქითკენ, საითკენაც ასე სწრაფად გაიტაცა დავით მეფე ყიფჩაღურმა ცხენმა.

მახარაის სუდარისფერი დასდებოდა სახეზე. უკანასკნელი ძალა მოიკრიფა სპარაზენმა მრავალნაცადმა, უზომოდ დატუქსა დავითის ულაყი ქუჯაი, დაუზოგავად მიაჭენებდა ცხენს, აგონდებოდა თმახუჭუჭა მარჩიელის წინნათქმი. ძრწოდა: ვაჲ თუ ამ ყიფჩაღურმა ცხენმა იმსხვერპლოსო ჩემივე მიზეზით მეფე!

ლაპაღუპით ჩამოსდიოდა ქარცემულს ცრემლები.

ბოლოს თვალუწვდენ ველზე დაეკარგათ ნაჩრდილი მხედრისა.

საგონებელში ჩავარდა დიდი და მცირე.

ეკითხებოდნენ გზად შემომხვდარ ცხენოსნებს, მაგრამ მეფის მნახველი არავინ აღმოჩნდა.

გზაჯვარედინზე ცხენი შეაყენა ლიპარიტ ერისთავმა.

გადაწყდა დაყოფილიყვნენ და ისე ეძებნათ მეფე. ვიდრე მხედრები გაიყრებოდნენ, მობრძანდებაო, წამოიძახა ნიანია ბაკურიანმა.

თავდაღმართში გამოჩნდა მხედარი. დავითს ოთხ-ახმით მოჰყავდა დაურვებული სკვითია.

მეფემ გაულიმა შეძრწუნებულ ერისთავებს და ფრიად აქო ყიფჩაღური ფაშატი.

„ოღონდ ესაა, დიდხანს ვერ შევძელი მისი დაურვება, ამ ჯვარედინამდის ისე მატარა, ვერასგზით მოვუდრიკე კისერი, ბოლოს აღმართში ჭენებით დაშვრა, როგორც იქნა, ოღლად შემოვაქციე გახელებული“.

ეუბნება მდევრებს დავითი.

„თავის წართმევა სცოდნია უცნაური, ორ-სამჯერ წამოჩოქებაც სცადა, ბოგირებზე გადასვლისას არ ფრთხება, მალაყებს გადადის ხშირად, უჯდომედობას წაუხდენია ცხენი“.

ბანაკში რა მობრუნდნენ, ახირდა რატი.

ახლა მე უნდა ვსინჯოვო შეჯდომა.

ლიპარიტს არ მოეწონა მისი ახირება, ცალყბად დაუშალა, ბოლოს გაჩუმდა.

დავითმა იცოდა, კარგი მოჯირითე რომ იყო რატი, მაინც ეშინოდა არ დაამარცხოსო გახელებულმა ცხენმა. კვლავ მოერიდა უარისთქმა, აუგად არ ჩამომართვასო დაშლა.

მიეახლა თუ არა რატი, კვლავინდებურად გაცოფდა სკვითია. ისე უხიაგად აბრიალებდა თვალებს, დემონი ჩასვლიაო გვამში.

მექამანდე რუხია მიეშველა რატის, უზანგი ჩამოუწია შეჯდომისას მხედარს. არ ეპრიანა ეს ამბავი ლიპარიტისძეს, მაინც შეახტა ცხენს. სადავის აკრეფა ძლივს მოასწრო რატიმ, ისე გაიტაცა მხედარი ცხენმა.

თავისი მდევური მკლავებით მოუგრიხა ლიპარიტისძემ დუქმორეულს კისერი, განზე როკვით გადასცდა საურმე გზას სკვითია, ბოლოს მოულოდნელი მალაყა გააკეთა, არ მოეშვა რატი სადავესა და უნაგირს, უკანა ფეხი ხნულში ჩაუვარ-

და ყალხზე შემდგარს, მხედარმა ველარ შეიკავა თავი და უნაგირიდან გადავარდა ანაზდად.

ვიდრე მეფე და ერისთავები რატის საშველად გადავიდოდნენ ხეულებში, წამოდგომა მოასწრო ცხენმა, ნაციებსავით აძაგძაგდა მტვერში მოთხვრილი, მერმე ტორებით დასწყვიტა სადავეები და ჭალებისაკენ მოუსვა კვლავ.

ოოლად გადარჩა რატი. მარჯვენა ფეხი იღრძო მხოლოდ, მარცხენა მკლავი დაებეჟა იდაყვთან. ორ დღეს გეგუთის სასახლეში იწვა, ბოლოს ქუთათისის ციხეში გადაიყვანეს იგი.

*

* *

სასაცილოდ არა ყოფნიდა იბერიელ სპარაზენს რატი ორბელიანის ცხენოსნობის ამბავი. თრიალეთელი აზნაურების გასაგონადაც ხუმრობდა: ჭაკებს აძაგებდა რატი, მაგრამ ჭაკმა დაამარცხაო უებარი რაინდი.

ციხელაისძე იაი შეეპაექრა: რატის ცხენოსნობა განთქმულიაო მთელს თრიალეთში.

თრიალეთის რა მოგახსენოთ, მაგრამ ამერში ჯერ არავის სმენია ლიპარიტისძის ცხენოსნობა, ოჯღანებოდა მახარაი. კარგი ცხენოსანი გაუხედნავი ცხენის დაურვებაში გამოჩნდება მხოლოდ. გახედნილ ცხენზე გუდურებსაც გადაჰკიდებენო.

დავით მეფეს გულით ეწადა დაშავებულ სტუმარს თან გაჰყოლოდა ქუთათისს, მაგრამ იმავე დღეს გეგუთში ეახლა მეფეს ვეშაგ სვანთა ერისთავი, რომელიც ვაზირთა უპირველესმა შემოიბიგა ბედიაში ქველთობის თვეში.

დიდძალი ძღვენი მოართვეს ახლად ნაკურთხ მეფეს სვანებმა.

ვეშაგს თან ახლდნენ ციხოვანნი აზნაურნი: ქარიმან სეტიელი, ტარიელ შემკუბილიანი, ქურსიკი თენეტიანი, აბლეთ უბლიანი, ზვიად ქარჩიანი.

ხევის მამანი: ქობაი ქალდანი, კვირიკე ასელიანი, მიქაელ ცხუმიანი, ბენდიანი რატიანი.

მედროშე-მელომენი: ივანე გუჯეჯიანი, სიქითურ ავაქიანი და ჯანგვა რუბაგიანი.

დავითმა ითაყვანა სვანნი და მიიღო მათგან ფიცი ერთგულებისა, „უქცეველი, უთუოი და უთუმცოი“.

XXIV

იჭვნეული ორბელიანი

მთელი კვირა ზე არ ამდგარა რატი. კატაი და დედისიმედი ღამეს უთევდნენ. ბოლოს ავად გახდა კატაიც, დედისიმედი მას უვლიდა ნიადაგ, ხოლო რატის კოზმან ბერი უთევდა ღამეს, სათხრობელი რა შემოაკლდა კოზმანს, წვრილად უამბო ლიპარიტისძეს ოცდამეცამეტე ალმასის ამბავი.

შაბათ საღამოს, ციხელაისძე იაი გამოგზავნა რატის მოსაკითხავად ლიპარიტმა. წინაღამეს გაცივებულიყო რატი, სარკმელთან მწოლარე. როცა იაი მოვიდა, რატის სიცხე ჰქონდა უკვე. ციხელაისძე მოენე იყო ბუნებით, მახარაის ნახუმრევი უამბო ლიპარიტისძეს.

გაცოფდა რატი.

ბალიშებზე თავქვე დამხობილი წყევლიდა მარიამ დედოფალს, მაჭანკალიაო

პირწავარდნილი, უშვერად აძაგებდა დედისიმედს, დავით მეფეს ქორდავდა, ოჯახი გამილანძღესო ბაგრატიონთა გარყვნილ სასახლეში.

მოკვლას მიპირებდნენ გეგუთში, გაუხედნელ ცხენზე შემსვეს — გინდებესად, ხნულებზე ჯირითიც ამისთვის მოიგონეს, თორემ ვის სმენიაო ნაგუთნევზე ჯირითი.

ალბათ, დავითს დარიგებული ჰყავდა გიჟი მახარაი წინასწარ, იმიტომაც გაფითრდა ქოსა, როცა ჩემს ნაცვლად მეფემ დააპირაო შეჯდომა.

შელამდა თუ არა, უარესად ატკივდა ნაღრძობი ფეხი. სიცხემ უმატა, ბოდვა დააწყებინა ბოლოს.

კოზმან ბერი დაფრთხა, მკურნალი ქარსანისძე მოაყვანინა ნაშუალამევს. ...შოშიას ცხელი მტლეები დაადვეს მუხლის თავზე ავადმყოფს.

ორივე მკლავით მოსჭიდებოდა მუხლისთავს, ნადირივით აკრაჭუნებდა კბილებს, ბორგავდა და ბოდავდა:

„ვაჲ დედი ჩემის ღმერთს, არ მერჩია დავრჩენილიყავ რუსთავის ციხეში, შევგებებოდი ციხეში შემოსულ მეფეს, ხმლით დამეკეპა იქედნეს ნაშობი“.

ნადირივით ღმუოდა, კბილით ღრნიდა მაჯას.

სძლისპირი მიგალობეო, უყვირა კოზმანს. ბერმა შეუსრულა წადილი.

როგორც იქნა, ჩასთვლიმა ავადმყოფს.

ყიფჩაღური ცხენი სკვითია ეზმანა დასიცხულს.

კლდეში უზარმაზარი კარია გამოჭრილი, სიბნელე გარს მოსწოლია ქვეყანას. ბნელეთის კარიბჭიდან გამოვარდება გამხეცებული პირუტყვი, დაიფრუტუნებს, ნესტოებიდან ცეცხლს აფრქვევს, ყალხზე შესდგება და წამოვა სკვითია, გაზნექილი ხმლები ასხია ჩლიქებზე, ხოლო ფაფარზე—ფრთენი ორბისა.

ჭიხვინებს, ფრუტუნებს და მოაფრქვევს ცეცხლს. ფრთასა და ფრთას შორის დავით მეფე მოსჩანს ხმალ-შემართული, მინდორზე წევს და საწყალობელად ჰკვნესის წელში გახერხილი რატი. კბილებს აკრაჭუნებს, წამოიწევა, ხმალს უნდა მისწვდეს მოშორებით გდებულს, მაგრამ აღარ ყოფნის ღონე, ხოლო სკვითია და მისი მხედარი მოიწევენ მისკენ მღვიმიდან.

შეკრთება, თვალს გაახელს.

ცვილის სანთლები ბჟუტავენ ნიშებში.

ბერი და აქიმი ხვრინავენ. მეცხოვნეთა შეძახილი მოისმის გარედან და მამლაყინწების უსუსური ყივილი.

მეორე დღეს უთენია მოიწადინა წამოდგომა.

შეშფოთდა ქარსანისძე, მკურნალი.

ხმა გაკმიდეო, უყვირა აქიმს.

კოზმან ბერს უბრძანა გაეგო: მარიამ დედოფალი ბედიიდან თუ მობრუნდაო?

გადაწყვეტილი ჰქონდა ფეხის მორჩენამდისაც არ დაეცადა. არც დავით მეფისთვის ეცლია გეგუთიდან ჩამოსვლა, დედა და დაი აეყოლებინა. დაუყონებლივ წასულიყო თრიალეთს.

ჯერ არ მობრძანებულაო მარიამ დედოფალი, მოიტანა ამბავი ბერმა.

„ჯანაბას იქითაც ჰქონია გზა!“

ჩაიბურდღუნა და საწოლიდან გადმოდგა ფეხი.

მაჯგანით ჩააცვა კოზმანმა ტანზე.

დედაჩემთან წამიყვანეო ახლავე.

უბრძანა ბერს და მარჯვენა ხელი გადახვია მხარზე, აკლობით თან გაჰყვა კოზმანს კატაის საწოლ დარბაზისკენ აგრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზში ჯერაც არ ჩაექროთ ჭაღები.

შიგ შესვლის უმალვე დაითხოვა მესაწოლე დიაცები რატიმ. რა მოხდაო, შვილო?

ეუბნება კატაი და თვალებს იფშვნეტს შეშფოთებული.

სასთაულთან მიუჯდა დედას და ეუბნება გულაღრენილი:

„სანამდის უნდა ვიყვეთ ამ გარყვნილ სასახლეში, დედი?“

გაოცდა კატაი, ამ სიტყვების გამგონე.

„როგორ თუ სანამდის, შვილო, მარიამ დედოფალი ასე ამბობს: გიორგობას შესდგებაო ნიშნობა. უამისოდ ხომ ვერ წავიყვანთ გასათხოვარ ქალს თრიალეთს, ااا?“

„არაფერი სცოდნია მაგ შენ მარიამს, დედი“.

წამოვარდა კატაი, ცალი იდაყვი ბალიშებზე დააყრდნო და ეკითხება პირგამეხებული ვაჟს:

„მაშ როდისღაო, ااا?“

მანდვე დაცუცქულ კოზმან ბერს მზერა ესროლა რატიმ და წარმოსთქვა:

„ქუთათელისათვის უამბნია ელენე დედოფალს: დავით მეფე დავითანხმე, ერთ წელსაც ვერ შესდგებაო ნიშნობა. გარდა ამისა, დასძინა ყოყმანით რატიმ, ასე უთქვამს ფლოქვიან ეპისკოპოსს: ნომოკანონიც არ მისცემსო ადრე დანიშვნის უფლებას მეფეს“.

„ნომოკანონი არ მისცემსო?!“

წამოიძახა კატაიმ და ბალიშებზე დაეცა აცრემლებული.

ბოლოს სული მოითქვა, დაღვრემილ ვაჟს მკლავზე წაავლო ხელი და უთხრა:

„ამაოდ ღელავ, შვილო, წინასწარ. ხვალ ჩამობრძანდება დედოფალი მარიამ და ყოველივე გამოირკვევა“.

„სხვა უარესიც ბევრი გავიგე გუშინ“...

იდუმალის გამომეტყველებით წარმოსთქვა რატიმ, დარბაზს თვალი მოავლო, თითქოს ვინმე ეგულებაო სპილოსფეხებიან კარადის გადაღმა.

„ამაზე უარესს რაღას მეტყვი, შვილო?“

შეეკითხა შეშფოთებული კატაი.

„ჯერ დედისიმედი ახმობინე ახლავე“.

„დედისიმედი ე მანდ წევს, ვგონებ“.

რატი წამოდგა, ისევ გადახვია კოზმან ბერს მკლავი და აკლობით გაემართა დედისიმედის საძებნად.

როცა სპილოსფეხებიან კარადას გასცდნენ, კოზმან ბერი გახევდა ანაზდად.

სოსანისფერი თავშალი წამოესხა დედისიმედს, ხელები მუხლებზე დაეწყო, ორივე ფეხი სადაფით მოოჭვილ, დაბალ სკამლოგინზე შეედგა, აგრე იჯდა თავჩაქინდრული ქალწული და უხმოდ კითხულობდა მუხლზე გადაშლილ ფსალმუნს.

ფეხისხმაზე შეკრთა, თავშალი გადაუცურდა მხრებიდან, უცნაური ნათელი სახეში ეცა ბერს, მარგალიტის ღილებიანი საკინძეები შეხსნილი ჰქონდა ქალს, ანაზდად იელვა გულისწამლებად მომხიბლველმა სითეთრემ ძუძუ-მკერდისამ.

ალმასების მანიაკი ქათქათებდა ნიშებში მოლიცლიცე სანთლების ერთობლივ ციმციმზე. ფეხები ისევე მოვლილი და ნატიფი ჰქონდა, როგორც ხელები. ვარდისფერი გადასდიოდა მისი სალუქი სხეულის კიდურებს.

რატი გახელებული მიეჭრა დას და ეუბნება:

„აქეთ გამობრძანდი სინათლეზე, დიაცო!“

„მე ვლოცულობ, მაცალე მცირედი, გარდა ამისა, ჩაუცმელიც ვარ, ხომ მხედავ“.

ესა სთქვა და მჭიდროდ მოიხვია თავშალი ორივე ხელით, მხოლოდ მაგრამ მუხლისთავების სიტიტვლე კვლავ აღელვებდა ბერს.

„ჩაიცვი ახლავე, ლოცვას მაშინაც მოასწრებ, როცა მონასტერში ჩაგკეტავთ“.

ჩაილაპარაკა განრისხებულმა რატიმ.

რატიმ შეატრიალა კოზმანი და სპილოსფეხებიან კარადისაკენ გაემართნენ ორივენი.

დედისიმედმა კაბა გადაიცვა ლაზულისფერი აბრეშუმისა, ისევ საწოლზე ჩამოჯდა და განაგრძო ლოცვა.

რატი გამობრუნდა, მკლავზე ხელი წაავლო დას.

დედისიმედი გაჯიქდა, მაგრამ არ მოეშვა რატი, წამოაგდო ქალი, ფსალმუნი გადავარდა განზე.

კატაის საწოლის წინ შეაყენა დედისიმედი ძმამ. ალმასების მანიაკს ხელი წაავლო, ზედ ნიკაპთან მოუტანა და ეუბნება:

„რამდენი ალმასი იყო ამ მანიაკში, დიაცო?“

დედისიმედი აიმღვრა ამის გამგონე, დუმილი არჩია თავჩაქინდრულმა.

„თქვი!“

დაილრიალა რატიმ და შეანჯღრია ქალწული ძლიერად.

გველცემულივით გადაფითრდა ქალი, განზე გაიწია, შეეცადა როგორმე გამოეხსნა რატის ძალოვან ხელისაგან მკლავი, თანაც ეს უთხრა:

„ცისკარზე მეჩქარება, გამიშვი, გა...“

ლაზულისფერი აბრეშუმის სახელური გაფხრიწა და კოზმან ბერს კვლავ თვალში ეცა მომნუსხველად სალუქი მკლავის სიტიტვლე. ეხლა ლალისფერი ტალები ზედ ემჩნევოდა ქალს, რატის უხეში თითებისგან ზედშენავლები.

მუხლი ეტკინა, სახე დაემანჭა რატის, ხელი მოუნაცვლა, მაჯას მისწვდა დისას, გადაუბრუნა და უყვირა:

„თქვი“.

„ოცდაცამეტი“.

წარმოსთქვეს ბალღურად გაბუტულმა ტუჩებმა (შეტყუბებულ ფურცლებს ბროწეულის ყვავილისას მიაგავდნენ ისინი ჯერაც).

მუხლის ტკივილი გადაავიწყა სიანჩხლემ რატის, ხელი შეუშვა კოზმანს, ალმასების მანიაკს თვლა დაუწყო სალოკი თითით, მერმე ზედ ნიკაპთან მოუტანა და უთხრა:

„აქ ხომ ოცდათორმეტია, არა?“

ოცდათორმეტიაო, დაუდასტურა ქალმა.

„მეოცდაცამეტე რა უყავი, დიაცო?“

„ლელვიანში დამეკარგა“.

მიუგო დედისიმედმა მორცხვად.

„ლელვიანში რას მიკეთებდი, დიაცო, ან მანიაკი ვინ გაგიწყვიტა? თქვი!“ წნორისფოთოლივით აცახცახდა დედისიმედი.

მაშინ დუმილისაგან გახელებულმა რატიმ მოიზიდა წელამდის მიწვდენილი დალალები და აგურის იატაკზე დაანარცხა უმწეო ქალწული.

„— ნუ სცემ, გეთაყვანე რატი, ოცდამეცამეტე ალმასი მე გამომიგზავნა დედოფალმა ელენემ წუხელ და ბევრი ვუთავაზე ამის გამო მეცა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოიძახა კატაიმ, წამოდგომა დააპირა ქალის საშველად, მაგრამ ვერ ადგა, რადგან საცმელი შორს იყო და კოზმან ბერის შერცხვა. გული აუდუღდა ბერს, მიფათურდა ერისთავის ვაჟთან.

ნუ ინებებო, ერისთავო, ბატონო!

რატის იდაყვი ისე ძლიერად ეძგერა მკერდზე, ლავაშივით აეკრა კედელზე, და ბრაგვანი მოადინა ძირს.

„შენ დედათა შერცხვენისათვის გიცემნია, მამი ჩემის წილ მე უნდა გავუსწორდე გვარისშემრცხვენელს“.

მუხლი რა მოდრიკა, საშინელი ტკივილი იგრძნო რატიმ, მაინც არ შეეპუა, ცალი მუხლი მკერდზე დააბჯინა, უმოწყალოდ სცემდა.

„თქვი!“

განმეორებულ კივილზე შემოსცვივდნენ ლელაი, სეფექალთა წინამდგომი შარვაშისძის ასული და მოხუცებული მსახურთუხუცესი არეშისძე.

შარვაშისძის ქალი რუსუდანის თანამდგომი იყო. გაიხარა, რა იხილა, აგურის იატაკზე უმწეოდ განრთხმული, ნაგვემი და სამოსშემოფხრეწილი დედისიმედი, მაგრამ „ქრისტიანული სათნოების“ გამოსაჩენად, აღშფოთებული სახე მიიღო მყის, მკლავზე ხელი წაავლო ლიპარიტისძეს და ეუბნება დინჯად:

„ცემა რა საკადრისია, ერისთავთ-ერისთავო, ბატონო, ბოლოს ნუ გავიწყდებათ, ბაგრატოვანთა სასახლეში რომ ბრძანდებით სტუმრად!“

ბაგრატოვანთა ხსენებამ უარესად გააცოფა ორბელიანი, ახლა სახეზე სცემდა დას და უყვიროდა:

„თქვი!“

დედისიმედმა თავი აიღო, ცალი იდაყვი იატაკზე დააყრდნო, მეორე ხელით თმები გაისწორა შუბლზე, მკაფიოდ და ამაყად სთქვა:

„საქმაროომ ჩემმა, ჩვენმა პატრონმა“.

ჩვენმა პატრონმაო?

უარესად გახელდა რატი. ისევ წააქცია იატაკზე გვემული, სცემდა და აგინებდა:

„გვარისშემრცხვენელო, დიაცო, ბოზო!“

თითები ყურში გაირჭო შარვაშისძის ქალმა, ბოლოს იძალა, თავისი ძარღვიანი, გამხმარი ხელებით ეძგერა რატის, ახლა მსახურთუხუცესი და კოზმან ბერიც წამოეშველნენ მას და მაჯგანით გაიყვანეს დარბაზიდან რატი.

XXV

ცხენბურთი

ბედიიდან მობრუნებულს ყოველივე მოახსენეს სეფექალებმა მარიამ დედოფალს. რატი გამომჯობინდა თუ არა, კატაი აიყოლია და ინახულა იგი, თანაც განუცხადა: დაუყონებლივ უნდა წავიდეთო თრიალეთს.

ხედავდა მარიამი: მისი დაწყობილი საქმე კვლავ აწეწეს რუსუდანის თანამდგომებმა და სასახლის მოენეებმა.

ლიპარიტი ბანაკში იყო მეფესთან, ასეთ დროს მისი სახლეულის ქუთათისიდან წასვლა უთუოდ გაამწვავებდა ურთიერთობას ბაგრატოვანთა და ორბელიანთ ოჯახებს შორის.

კატაი თავდაპირველად რატის აჰყვა, მაგრამ იმდენი უჩიჩინა მარიამმა ერისთავის მეუღლეს, ბოლოს თავათაც საგონებელში ჩავარდა კატაი, შეუჩნდა რა-

ტის, არწმუნებდა ვაჟს: დაუყონებლივ სასახლიდან წასვლა უთუოდ გაახარებსო რუსუდანის თანამდგომთა და ავისმზრახველთა. მოენეებს მოჰქრიდა ეკატაისთან შარვაშისძის ქალის ნათქვამიც:

ბიბლიოთეკა

„როგორმე წაშავდნენ ლიპარიტისძენი სასახლიდან, სოხასტენი არც ისე შორსაა, ბიზანტიის დედოფლებსაც არა ერთხელ გაუხდიათ შემონაზვნების შემდეგ ჩოხა და საკეისრო პორფირი წამოუსხამთ.

თავათ მარიამ დედოფალი ხომ შემონაზვნდა ბოტანაიტესის გადადგომის შემდეგ, ახლა კარგად იცვამსო წითელ-ყვითელ აბრეშუმებს კეკლუცი მონაზონ-ყოფილი. არც თუ ალექსი კეისართან აშიყობას დარიდებიაო მას შემდეგ.

ბოლოს რატიც ჩახვდა მოსალოდნელ საფრთხეს. ნომოკანონი კეისრებსა და მეფეებსაც რომ ბორკავდა, ეგეც შეიგნო მან და გადასწყვიტა გიორგობამდის სასახლეში დარჩენა.

მაინც არ დასცხრნენ მოენენი: დავით მეფემ საგანგებოდ მოაყვანინა ველური ცხენი ძურძუკეთიდან, მახარაი შეუჩინეს რატის, გააბრიყვეს და ზედ შესვეს. გადარჩა, მაგრამ სასახლიდან დაითხოვეს ლიპარიტისძე, ნაღრძობი ფეხით ველარ ჯდება ცხენზე, ამიტომაც დარჩაო ქუთათისში ერისთავის ვაჟი.

მეფე და ერისთავები საეგროს წაიყვანა მანდაური ციხეებისა და სპათა მოსახილველად შერგილ ლიპარიტიანმა, ეგეც სათანადოდ განმარტეს მათ.

ასე უთქვამსო დავითს: სანამ ლიპარიტისძე მანდ იქნება, არ მოვბრუნდებიო ქუთათისის ციხეში.

რატის მიერ დედისიმედის ცემა ხომ პირზე ეკერა დიდსა და მცირეს. ლელვიანში წასწრებიაო დედისიმედს რატი, ვიღაც თოროსან რაინდთან მომიჯნურეს, ამიტომაც სცემაო მომავალ დედოფალს ძმამ.

ბოლოს ჩამობრძანდა საეგროდან ტაძრეულითურთ დავითი.

მეორე დილას დიდხანს იცადა მარიამმა, ვიდრე მსახურთუხუცესი აუწყებდა ადგომას მეფისას.

მხოლოდ ნაშუადღევს აუწყეს დედოფალს:

ხანგრძლივი ღამის თევისაგან დაქანცულა პატრონი, ცხენისწყალზე გადასვლისას გაცივებულა ოდნავ, ამიტომაც ვერ გეახლაო დღესვე.

ადგა მარიამი და ბაგრატოვანთა სასახლეში წავიდა თავათ.

დავითი წამოწოლილი დაუხვდა. ახალგაზრდა ერისთავები გარს მოსდგომოდნენ, სასთაულთან შერგილი და ნიანია უსხდნენ.

მარიამის დანახვაზე ზეწამოიჭრნენ და საუბარი შესწყვიტეს ანაზდად. მარიამმა გადაკოცნა ძმისწული, სელზე ჩამოჯდა და სთხოვა თანადამსწრეთ, საუბარი განეგრძოთ.

„კახთა მეფის აღსართანის სიკვდილის გამო ვსაუბრობდით, ამბობდა დავითი, მალემსრბოლი მოვიდა ამ დილით ჰერეთიდან, მანდაური ვითარებანი გვაუწყა. საშინელი სიკვდილი ხვდომია უშჯულო აღსართანს წილად. სულის ამოხდის წინა ღამეს გაგიჟებულა, ჩალმა მოუხსნია, დაუფხრეწია, პირჯვარს იწერდა და ფსალმუნებს გალობდა თურმე. ნინოწმინდაში დამმარხეთო დაუბარებია.

„მაშ, კვირიკე ასულა ტახტზე?“

იკითხა მარიამმა.

„ჯერ კიდევ შარშან“.

მიუგო დავითმა.

„იგიც ხომ არ აპირებს გამუსლიმებას, თუ იცი?“

„არა ვგონებ, ამბობდა მეფე, კვირიკე მართლმორწმუნე ქრისტიანია, მაგრამ

ძმისწული მისი აღსართანი ცუდრუკი ვინმეა. ალბათ, წურთვნა მოგვიდგება მისი. ძაგან ერისთავს, ზედაზენის პატრონს, შეჩენიან აღსართან და კვირიკე, სამეფოის ორგულობაზე სურთ განაზრახონ თურმე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ალბათ, თურქნი აბრიყვებენ სამთავეს".

შენიშნა შერგილ ლიპარიტიანმა.

„ნიზამ-ალ-მულკის მსტოვარებით გავსილა კახეთ-ჰერეთი, განაგრძო დავითმა. დასავლეთში რა შემიგულეს, განუკითხავად დათარეშობენ კახეთში, ძაგან ერისთავს აქეზებენო, მაუწყა მემლვიმემ ერთმა, დავით მეფე იმერში გადასულა სანადიროდ, დრო იხელე, შიდა ქართლში შეიჭერიო.

არაფერია, ლაშქრის წურთვნას რა მოვათავებ, კახეთ-ჰერეთიდან უნდა დავძრა სელჯუკიანნი. შესაძლოა ტახტი დაჰკარგოს კვირიკემ, ხოლო აღსართან მეორეს თავი არ შერჩეს კისერზე".

იკითხა მარიამმა.

„ისპაჰანიდან რა ისმის?"

„ისპაჰანში აღრევა იწყება, როგორც სჩანს. ნიზამ-ალ-მულკს, მალიქ-შაჰს ვაზირს წაჰკიდებია ტჯურკან ხათურ. მცირე აზიის ამირები ბარქიაროკს მიმხრობიან, თავათ მალიქ-შაჰ დაბერდა, ძმაი მისი სოლიმანი ყოყმანობს, აღარ იცის, რომელს მიეკედლოს, ტჯურკან ხათუნს თუ დიდ ვაზირს?

ვნახოთ, რას მოგვიტანს ხვალე".

დასძინა მეფემ.

მცირე ხნის დუმილის შემდეგ ხმადაბლა ეუბნება მარიამი მეფეს: ორიოდე სიტყვა მაქვსო შენთან.

ერისთავებმა დარბაზი დასტოვეს, დავითმა შენიშნა: წყენის ჩრდილი რიალებდა მარიამის სახეზე, ამიტომაც მოემზადა უსიამო ამბის მოსასმენად.

ცხენბურთი მომენატრა, გიორგობის მეორე დღეს ცაცხვიანში გამართეო ცხენბურთი, შეევედრა დედოფალი.

დავითი გაოცდა, გაუღიმა მამიდას და თვალი გაუყარა თვალში.

ცხენბურთი ფრიად გავრცელებული იყო იმჟამინდელ ბიზანტიასა და საქართველოში კეისართა და მეფეთა კარზე. დავითიც ნიადაგ აწყობდა ამ თამაშს, მაგრამ ხანგრძლივი ცხენოსნობისაგან დაქანცულს, მოსვენება ეწადა ორიოდე დღით, რათა აფხაზეთს წაჰყოლოდა ცხუმის ერისთავს მანდაური ციხეების განსაახლებლად. მაინც ვერ გაუტეხა ხათრი თავის სათაყვანებელ მამიდას, ეს ღა უთხრა მხოლოდ:

„რაისთვის მოგნატრებია, მამიდავ ბატონო, ცხენბურთი აგრე?"

თავი დახარა დედოფალმა, გიშრის კრიალოსანი გადათვალა და სთქვა:

„სასახლეში ათასგვარი ჭორი დაბადეს უკანასკნელმა ამბებმა. იმ ღამეს დიდხანს ვეცადე საუბარით შემექცია ლიპარიტი, კატაი და რატი, მაგრამ თქვენ ნამეტნავად დაგაგვიანდათ და რატის უნახავხართ ლეღვიანიდან მობრუნებულნი".

დარცხვენილმა ჭაბუკმა მზერა აარიდა მამიდას, ხოლო მარიამმა კვლავინდებურად, თავაზიანად განაგრძო:

„კარგად იცი, ანჩხლია ერისთავის მეუღლე კატაი, ხოლო რატი უზომოდ გულფიცხი. ამის გამო წყენა შეხვედრია დედისიმედს. რუსუდანის თანამდგომნი არა სცხრებიან, ჭორები დაჰყარეს: სასახლიდან დაითხოვაო დავით მეფემ რატი.

მეფეთა სასახლეში მეჭორეებს რა გამოლევს. როგორც ვხედავ, ჩვენებსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასდებია მაგნავრისა და ბუკოლეონის სასახლეთა სენი. მათ მომ/ხამეს ადრიან სიყრმიდან სიცოცხლის ლხენა.

დაუჯერე შენს ერთგულ მამიდას. მთელი საქრისტიანო დიდ გასაჭირ-ში ია, შიდა ქართლსაც ეპოტინებიან სელჯუკნი, ბიზანტიიდანაც ცუდი ამბები მომდის, ასეთ დროს არ გირჩევდი ლიპარიტისძეთა კვლავ მომდურებას. მე დავათათბირე კატაი და რატი, ნომოკანონს თვით კეისარნიც ველარ წაუვლენ მეთქი. გეგედრები, აფხაზეთს წასვლამდის გამართე ცხენბურთი, რათა მოასპარეზედ დაგინახოს შენ და რატი ერმა".

*

* *

ქუთათისის ციხის დასავლეთით სპათა საწვრთნელი ასპარეზი იყო დიდი. ცაცხვიანს უწოდებდნენ მას, რადგან ოდითგანვე მოაქჟამამდის უზარმაზარი ცაცხვები მდგარან ამ ადგილზე ნიადაგ.

ცაცხვების ქვეშ ბიზანტიური კარავი დაედგათ.

სეფექალები და ერისთავთა ქალ-რძალნი გარს მოსხდომოდნენ ორხოვით გადაფენილ ტახტრევანზე მჯდომარე მარიამსა და დედისიმედს.

მეფე გიორგი, გრიგოლ ბაკურიანი, ლიპარიტ ორბელიანი და თვით გიორგი ჭყონდიდელიც, რომელიც ყოველივე სალხინო თავყრილობას გაურბოდა ხოლმე, აეყოლებინა დედოფალ მარიამს. ნასუქალი ცხენების ჭიხვინი მოისმოდა ასპარეზიდან.

აღმოსავლეთის ჰელოს [1]) დავითი იცავდა ყიფჩაღურ ფაშატზე მჯდარი. მეფეს თანამდგომებად აერჩია ვეშაგ სვანთა ერისთავი, უკვე შეჭღალებული დევკაცი, ნიანია ბაკურიანი, ჯოჯიკი, ცხუმის ერისთავის ვაჟი, შერგილ ლიპარიტიანი, პაპუნა, გვარამ ერისთავის ვაჟი და ბეშქენ ჯაყელი.

დასავლეთის ჰელოსთან ცხენდაცხენ იდგნენ ლიპარიტისძე რატი, თრიალეთელნი აზნაურნი: ციხელაისძე იაი, კარაისძე ხახუტაი, მახარობლისძე მამისთვალაი, ედიშერ გარაყანისძე და მესხი აზნაური დუკისძე, დედისძმაი რატისა, სვანი აზნაური ქარიმან სეტიელი.

შუაგულ ასპარეზზე გამოვიდა ლიპარიტ ორბელიანი და მაღლა აისროლა ბურთი.

დაიძრნენ აღმოსავლეთის და დასავლეთის ცხენოსნები, მაგრამ იმარჯვა მახარობლისძემ, ცხენდაცხენ დაიჭირა ბურთი, გაჰკრა ჩოგანი და თრიალეთელებს მიუგდო.

გამოენთნენ თრიალეთელებს ერისთავები, მაგრამ ისეთის სისწრაფით მიჰქონდა ბურთი რატის, ჯაჭვისფერ ულაყზე მჯდარს, თვით შერგილ ლიპარიტიანიც ველარ მიეწია, დიდოსტატი ცხენოსნობისა. აღმოსავლეთის ჰელოში რა შეაგდეს ბურთი, უცნაური ჟივილი ასტეხეს მოსეირეთა.

ხელახლა წამოიღეს თრიალეთელებმა ბურთი, მეორეჯერაც რატი ხელმძღვანელობდა შეტევას, გამოსტაცებდნენ ერისთავები რომელიმე თრიალეთელს ბურთს, რატი წამოეწეოდა მათ თავისი მუხლმაგარი ულაყის მეოხებით, ჩოგანსაც მარჯვედ ხმარობდა იგი.

მოულოდნელად გამოუხტა უზარმაზარ თურქულ ულაყზე მჯდარ დევკაცს ტანმორჩილი აფხაზური ჭაკით ჯოჯიკი, ცხვირწინ ააცალა ლიპარიტისძეს

---

[1]) ჰ ე ლ ო—საბურთაო ასპარეზის, მოედნის კარი, ფინიში.

ბურთი, ეძგერა მამისთვალა მახარობლისძე, ხელი მოუცარა, მაგრამ თავისი გრძელი მკლავი აღმართა ვეშაგ სვანთა ერისთავმა, ჩოგანი დაუხვიდა მაღლა მიმფრინავ ბურთს და ერთის მოქნევით შეაგდო დასავლეთის ველზე.

ზედიზედ ორჯერ მოიტანეს იერიში თრიალეთელებმა, სულ ახლოს მოიტანეს აღმოსავლეთის ჰელომდის ბურთი და ორგზისვე ჯოჯიკიმ წაართვა მათ. თრიალეთელნი დაიჯაბნესო?

გახელდა ლიპარიტისძე რატი, კვლავ ჩამოიტოვა ერისთავები უკან, მაგრამ ნახევარი უტევანი უკლდა ჯერ კიდევ ჰელომდის, ლანდის უსწრაფესად წამოეწია ნიანია ბაკურიანი, ცხენი ცხენს მიეხალა მოულოღნელად, მოქნეული ჩოგანი მოეცარა რატის, ნიანიამ გამართა მკლავი, დავითს მიანება ბურთი.

მეფემ გაინაპირა იგი, დატუქსა დაუზოგველად სკვითია, გამოუდგნენ თრიალეთელნი ჭენებით, ბოლოს წამოეწიენ ციხელაისძე იაი და მამისთვალა მახარობლისძე, მაგრამ პირისპირ რა შეეხეჩნენ, შეკრთნენ, ბურთის წართმევა ვეღარ შეჰბედეს მეფეს.

მოსეირენი ახმაურდნენ ჭაბუკი მეფის დანახვაზე, ასტეხა ყიჟინი გახარებულმა ხალხმა, დაფრთხა სკვითია ერთბაშად, ხელი მოეცარა მეფეს, განზე წაუვიდა ბურთი.

ამასობაში იდროვა რატიმ, გზა მოუჭრა დავითს.

ბურთი მაღლა მოფრინავდა, მეფის მიერ გამოტყორცნილი, გაჭენებულ ცხენზე აღიმართა რატი, მთელის ძალით მოუქნია ჩოგანი, მაგრამ ხელიდან გაუსხლტა ტარი, ბზრიალით გაჰქანდა ჩოგანი და მეფის უნაგირს მიენარცხა სპილოსძვლის ტახტაზე.

უცნაური ღრიანცელი მორთეს მოსეირეთა, უსტვინეს რატის. მობურთალთაგანნი, ახლოსმყოფნი გახევდნენ, ყურები გაუწითლდა რატის. ცხენდაცხენ მიეჭრა მეფეს, დაქვეითდა და პატივება ითხოვა.

ცხენი შეაყენა დავითმა, მარცხენა ხელი შეუშვა სადავეს ანაზდად, ტუჩპირთან მიიტანა მჯიღი, შესჭამა ჩოგანისაგან მიყენებული მწვავე ტკივილი, ნაძალადევად გაუღიმა დასამშვიდებლად სტუმარს.

სწორედ ამ დროს შენიშნა მეფემ: ასპარეზზე გადაიარა ვიღაც თორიანმა ცხენოსანმა ჭენებით. ბიზანტიურ კარავს რა მიეახლა, ცხენს სადავე გადაუგდო, მუზარადი მოიხადა და კარავიდან გამოსულ მსახურთუხუცესს გადასცა გრაგნილი.

ნიანია გვერდით ამოუდგა დავითს და ეუბნება ხმადაბლა:

„საიდგანღაც მალემსრბოლი მოვიდა, მეფევ ბატონო, ვგონებ.“

ისეთი შეშფოთებული სახე ჰქონდა ბაკურიანს, დავითმა ასპარეზი დასთმო და კარვისაკენ გაემართა ანაზდად.

ვიდრე მეფე და ნიანია გადაივლიდნენ მოედანს, გიორგი ჭყონდიდელი გამოვიდა კარვიდან, ხელი მოიჩრდილა თვალზე, თავშიშველა მსახურთუხუცესი მათკენ მოდიოდა გამალებული.

ცხენებს აუჩქარეს ორთა.

მეფეთ მეფე გიორგი მობრძანებასა სთხოვსო მეფეს.

როცა რატის ხელიდან გამოსხლტილი ჩოგანი დავითის უნაგირს ეძგერა ტახტაზე, კარვიდან მხოლოდ დედისიმედმა შენიშნა ეს, იკივლა და გული წაუვიდა ანაზდად.

ამიტომაც გაოცდნენ თანადამსწრენი, რამ შეაძრწუნაო აგრე რიგად ერისთავის ასული?

როცა კარავში შემოსული მეფის ხმა გაიგონა, თვალი გაახილა ცნობამიხდილმა და მიაშტერდა დავითის მარცხენას. გალურჯებულ ხელიდან სისხლი მოეფონავდა მცირედი.

ბიბლიოთეკა

ბარიამ დედოფალს ვარაუდი გაუწბილდა. ცხენბურთმა უარესად ააყაყანა ენამრავალნი.

დრტვინავდა ხალხი: ლიპარიტისძე რატი ისე გათავხედდა, ჩოგანი ესროლაო მოასპარეზე მეფეს.

ფალაშური ლექსი

XXVI

სასახლეში მიბრუნებულთ ორივე მეფესა და დარბაზის ერთა გრაგნილი წაუკითხა ვაზირთა უპირველესმა.

კვირიკე IV-ეს, კახეთ-ჰერეთის მეფეს, არაგვი გადმოულახავს მცხეთასთან. მას მიმხრობიან ზედაზენის ერისთავი, ძაგანი და ძმაი მისი მოდისტოს.

ძაგანს მიუთვისებია სვეტიცხოვლის, წილკნისა და შიომღვიმის მამულები, მეფეთა ერთგულნი შეუპყრია, ციხედ უქცევია შიომღვიმე, მეციხოვნენი ჩაუყენებია შიგ.

ქართლის კათოლიკოსის დაუკითხავად ეპისკოპოსად უკურთხებიათ მოდისტოს.

ეგეც არ უკმარიათ. მუხრანის ციხის შემოსაწყობად ემზადებიანო კახნი და თურქნი.

ამას იუწყებოდა ქავთარ ბარამიძე, რომელიც მუცოს ციხეს შეხიზნებია ჰერეთიდან გადახვეწილი.

„მოულოდნელი აქ არაფერია, ბრძანა ვაზირთა უპირველესმა. თუმც მართლმორწმუნე ქრისტეანეა კვირიკე, მაგრამ კახეთ-ჰერეთის ციხეებში მაგრად სხედან თურქნი და იგიც იძულებულია განაგრძოსო აღსართანის გზა.

ჩვენ ცნობა გვქონდა, სომხეთიდან დიდძალი ჯარი გადმოუსხამს ბარქიაროვს, ამჟამადაც ივრისა და ალაზნის ჭალებში აძოვებენ სელჯუკიანნი თავიანთ ფარებს. თრიალეთის საერისთაოს გამუსლიმება ვეღარ შესძლეს თურქთა, რადგან მოლები გამორეკა იქიდან ხალხმა, ახლა შიდა ქართლი სურთ მიიტაცონო ოროგორმე“.

როცა თრიალეთის საერისთაო ახსენა ჭყონდიდელმა, ცალი წარბი ზეაწკიპა ლიპარიტმა და უსიამოდ შეიშმუშვნა ოქროჭედილ სელზე.

„მოდგება ჟამი, როცა მეფენი შეუდგებიან ღვთის იმედით კვირიკე მეფისა და ძაგან ერისთავის წურთვნას“.

განაგრძო ჭყონდიდელმა დინჯად, „ჩვენს ხელთაა ეჭვმიუტანელნი ცნობანი, თურქთა მსტოვარნი აქეზებენ ჩვენს მიმართ კახთა, მაგრამ დიდია სასოება მბადისა, უკვე აღრევა იწყება ისპაჰანის კარზე, სელჯუკიანთა სასულტანოს გამგებლობა თავის მცირეწლოვან ვაჟთათვის გადაუპირებია ნიზამ-ალ-მულკს, მალიქ-შაჰს ვაზირთა უპირველესს, გახელებულა სულტანის ცოლი ტაურკან ხათუნ, ასე შეუთვალა თურმე ნიზამ-ალ-მულკს:

— მაგ ჩალმას მოგაძრობო თავიდან მალე.

— ჩემი ჩალმა და შენი თაჯი[1]) მჭიდროდ არიანო ურთიერთზე გადაჭდობილნი. უპასუხნია ვაზირს.

ღმერთი მოწყალეა, იგი მიუზღავს ჯეროვანს ისპაჰანის სასულტანოს ქრის-

[1]) თაჯი—მაჰმადიან მბრძანებელთა თავსაბურავი, გვირგვინით.

ტეან ბერძენთა, ქართველთა და სომეხთა უდანაშაულო სისხლის მაგიერ. ჩვენ გვმართებს ისეთ დროს დავჭკრათ სელჯუკიანებს, როცა ნაკლები მსხვერპლის ფასად დასჭირდება სამეფოს. მაშინ, ალბათ, ერთად გადავარდება სულტანეს თაჯი და ვაზირის ჩალმა“.

გაფითრებული ჭყონდიდელი სელზე დაბრძანდა, სიჩუმე ჩამოვარდა დარბაზში. სდუმდნენ ხანდაზმულნი ერისთავნი და ეპისკოპოსნი.

ქუთათელმა უჩურჩულა მროველ ეპისკოპოსს, ვითარცა უხუცესი, შენ წარმოსთქვიო პირველი სიტყვა. მროველმა ადგომა დააპირა, მაგრამ ხველა აუვარდა მღელვარებისაგან. დიდხანს ახველა და დადუმდა ბოლოს.

ბეშქენ ჯაყელი წამოდგა სელიდან, მოიბოდიშა:

„რადგან უხუცესნი სდუმან, ნება გვიბოძეთ, უმრწემესთა გაახლოთ გულისხმა.

როცა აღსართან კახთა მეფემ ციხენი წარსტაცა სამეფოის ერთგულ აზნაურთა არიშიანსა და ბარამისძეს, ჩვენ ძალი არ შეგვწევდა სამაგიერო მიგვეზღო მისთვის, რადგან სელჯუკიანთა თანადგომას ემყარებოდნენ კახნი. ახლა კვირიკე და ძაგანი შიდა ქართლს წაეპოტინენ, მუხრანიდან არც ისე შორსაა უფლისციხე, ბოლოს წაღვლისთავს მისწვდებიან, ტასისკარის ციხეს გასტეხენ და სამცხეში გადმოვლნენ თურქნი“.

ბეშქენ ჯაყელმა მოითხოვა დაუყონებლივ ჯარის წარგზავნა, კვირიკე მეფისა და ძაგან ერისთავის წურთვნა.

წამოდგა გვარამ ბეჭისციხის პატრონი, აღვიარა, საკუთარი ძალით ვერ გაეუმკლავდებიო სელჯუკიანთა და კახთა. ორივე მეფეს გადახედა და სთქვა:

„თუ მეფენი ინებებენ, წარვგზავნოთ კაცნი სარწმუნონი ალექსი კომნინთან, კონსტანტინოპოლში მრავლად არიან ჩამოსულნი ფრაკნი, ვორაგნი და ბულღარნი. მოვიმხროთ ისინი როქის სპის შესავსებად როგორმე.

ან არა და, როგორც ამას წინად დავით მეფე ბრძანებდა, სუნჯას წარვგზავნოთ, ათრაახ შარაღანისძესთან დესპანნი.

ლიპარიტ ერისთავს გაეხარდა, დარბაზის ერთა გულისყური ძაგან ერისთავის წურვთნიდან ალექსი კეისართან დესპანების წარგზავნაზე რომ გადაიტანა გვარამ ბეჭისციხის პატრონმა.

ფრიად მჭევრად ლაპარაკობდა ლიპარიტ, რადგან მას სიტყვაც ისევე უჭრიდა, როგორც თავისი მრავალნაცადი მახვილი. უმთავრესი განზე დასტოვა, კვირიკე და ძაგან ერისთავი არც უხსენებია. მხოლოდ ორივე აღსართანი აძაგა, აუგად ახსენა ქვეგამხედვარნი და სამეფოის მტერნი.

გვარამ ერისთავის ნათქვამს წაეტანა, დიახაც წარგზავნოთო დესპანები კეისრის კარზე, ხოტბა აღავლინა ალექსი კომნინის მიმართ, თავისი პაპა ახსენა, ლიპარიტ დიდი, იგი იყოო სელჯუკიანთა ნათესავის რისხვა.

კვლავ მიუბრუნდა ბიზანტიის კეისრების ქებას, ისააკ კომნენი ახსენა, ლიპარიტ დიდის მფარველი, კონსტანტინე მონომახი ადიდა, ალექსი კომნინი შერაცხა, ვითარცა „უავგუსტაესი“ ბიზანტიის კეისართა შორის. მას შესცქერისო სრულიადი საქრისტიანო იმედის თვალით, იგი უთუოდ წარმოგზავნისო ჩვენდა საშველად თავის „უკვდავთა გვარდიას“, ფრანკების, ვორაგების და ბულღართა კოჰორტებს[1]).

რაიცა შეეხება როქისსპის შესავსებად ყიფჩაღთა მოყვანას, ყიფჩაღნი საესებით უხმარიაო ჩვენთვის. დარბაზის ერის სხდომაზე კრინტი არ დაუძრავს იმ

[1] კოჰორტი—ათასეულს ერქვა ბიზანტიის ჯარში. საერთოდ განსაზღვრულ ნაწილს ბიზანტ. არმიისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს დავით მეფეს, მაგრამ ყველამ უთქმელად იცოდა, დავითს ეწადა ყიფჩაღთა მოწვევა, ამასაც ამჩნევდნენ დარბაზის ერნი, დავითს ... შეფარულად ლიპარიტ ერისთავი.

შეჯული არ გააჩნიათო ყიფჩაღებს და არც ვაჟკაცობა, ამიტომაც ვერც ფიცით დაბამთ მათ, ველარც რაინდული სიტყვითა. ქონება არ გააჩნიათ და მამული, მძევალს მოგვცემს და ხელში შეგატოვებს, დედაწულიანად აყრილნი მოვლენ, დედაწულიანადვე აიყრებიან და წავლენო.

მუხანათობა მათი სიმხთალის შედეგია, ხოლო ვერაგობისა — ღალატი. მისანდობნი რომ ყოფილიყვნენ ყიფჩაღნი, კარგა ხანია ბიზანტიის უბოროტესს მტრებს, პაჭანიკებს ებრძვიან ისინი, ალექსი კომნინი საკუთარ როქის სპაში შოიწვევდაო უთუოდ მათ.

ყიფჩაღთა ძაგება მოთავებული არა ჰქონდა ლიპარიტს, როცა მესტუმრეთ-უხუცესმა თორიანი რაინდი შემოიყვანა დარბაზში. ჯერ გიორგი მეფეს მიეჭრა იგი, ხელზე ემთხვია, დავითმა მისკენ წაიწია და გადაჰკოცნა. როცა გამობრუნდა, ბარამ არიშიანი შეიცვნეს დარბაზის ერთა.

კვირიკესა და ძაგანის მიერ დევნილი, დვალეთიდან გადმოსულიყო ამერში იგი. კახთა და თურქთა შიდა ქართლში შემოჭრის ამბავი მხოლოდ გზაში გაეგო მას.

მცირე ხანს ყური უგდო მან ლიპარიტს, მის გასაგონად მიამიტად იკითხა:

„ბოლოს სად ბინადრობენ ეგ ყიფჩაღნი ნეტავ?“

„კავკასიის მთებს გადაღმა, ტილიჭამიების მახლობლად, როგორც იტყვიან იმ ქვეყნებში ნავალნი კაცნი მეცნიერნი, ბინადრობს თურმე ქაჩალთა ნათესავი. ქაჩალნი იმადაც შეურქმევიათ მათთვის, რომ მართლაც მელოტნი არიან ისინი, როგორც კაცნი, აგრეთვე დიაცნი.

ცხვირპაჭუანი ყოფილან ეგ ქაჩალნი, ვარხვის ჩინჩაყვივით გამობერილი ნიკაპი ჰქონია მათ თურმე. ამ ქაჩალთა სამკვიდროს გადაღმა სამი დღის სავალზე პაჭანაკნი დათარეშობენ, ხოლო მათ ზემოთ ყიფჩაღნი.

ცხენები მოჰყავდათ მათგან სულკურთხეულ მამა ჩემთან ოვსებს, როცა ჰაჩიანკისა და არშამუნიკის მთავარმართველად იყო მამაი. ახლაც მახსოვს ასე გვიამბობდნენ ოვსნი: ცხვრის ფარები ჰყავთო აურაცხელნი თავათაც ცხვარსავით მომრავლებულ ყიფჩაღებს. ცხვრის ფარები და რემანი ცხენთა“.

ლიპარიტს ესიამოვნა, რა შენიშნა, ხმაგაკმედილნი ყურს უგდებდნენ დარბაზის ერნი, ამიტომაც გააჭიანურა სათქმელი.

„ეგეც ვიცოდეთ, შეუმუსვრელი ფლოქვები აქვთ ყიფჩაღთა ცხენებს, მოკლე რქები ეზრდებათ ვერძებსა და ვაცებს, რადგან გრძელი, გრძელი ზამთარი ცოდნია მათ ქვეყანაში თურმე.

თავათ ჯაბანნი არიან ყიფჩაღნი ფეხმარდი ცხენებისა და ვრცელი ტრამალების იმედით, ამიტომაც მუდამ გაქცევაზე უჭირავთ თვალი. უკეთუ ოტებულ ლაშქარს მიუსევ, მხოლოდ მაშინ მამაცობენ მხდალნი.

აწ ამასაც მოგახსენებ, მეფეთ მეფევ გიორგი ბატონო, და შენც, მეფეო და პანიპერსევასტოს დავით, თქვენ მაჩვენეთ თუნდაც მალიქ-შაჰს ლაშქარი, ოღონდ ოტებული, მერწმუნეთ, მე და ჩემნი თრიალეთელნი აზნაურნი ვეყოფით მას, თვლით ჩაგაბარებთ სელჯუკიანთა თავებს. უკუქცევაც ვაჟკაცობაა უთუოდ, მაგრამ მტრის უკუქცევასაც ხომ სჭირია ვაჟკაცობა თავისთავადი.

სულკურთხეული მამიჩემისაგან მაქვს განაგონი: ყიფჩაღნი უმხდალესნი არიანო თურქის ნათესავთა შორის.

უკუქცევაშია ყიფჩაღთა სიმამაცე, უკუქცევით სძლიეს სპარსთა მეფეს დარიუსს სკვითთა. მთელ წელს სდია დარიუსმა ტრამალებზე მათ, ცხენები დაუვარდა, სპანი ამოუწყდა, ბოლოს უკან გამობრუნდა გაწბილებული.

ასე რომ ყიფჩაღნიც ტრამალებზე არიან შეუმუსვრელნი, ხოლო ჩვენს მთიანეთში, სადაც თვით ბუნებაც წინ აღდგომია ოტებულს, ვერ ივარგებენ ყიფჩაღთა სპანი".

ვიდრე ლიპარიტი ენამზეობდა, დავითი თვალს არ აშორებდა მას. თვალები აევლვრა ლაპარაკის დროს, ღაწვისთავები წამოეჭარხლა, ყველას არიდებდა მზერას, მხოლოდ გიორგი მეფეს შესციცინებდა სახეში. ეგეც შენიშნა დავითმა, მეფე გიორგი თავს უქნევდა მას, აგრეთ, კვერს უკრავდა ხშირად.

მხოლოდ როგორც კი საუწყებელი მოათავა ორბელიანმა, დავითს ირიბი მზერა ესროლა და მიაშურა ოქროჭედილ სელს.

არც ეს გამოპარვია დავითს, როცა ლიპარიტი სიტყვას ამბობდა, მოუთმენლად ცქმუტავდა რატი.

როგორც იყო წამოდგა ღიპიანი მოხუცი ეპისკოპოსი ათანასე.

იგი უილაჯოდ მეტყველებდა, ახველებდა, ასრუტუნებდა ბუკივით გაბუშტულ ნესტოებს, როცა სიტყვა შემოელეოდა, წყალში შეჭირვებული კაციეით ათუხთუხთებოდა, თვალს მიაშტერებდა სივრცეს, ლაპარაკის დროს ყანყალებდა, ხელებს იშველიებდა, და როცა აზრი გაუწყდებოდა, წამოიძახებდა: „ო ო ო"-ს.

უპირატესად შეშფოთებული იყო იმის გამო, როგორ გაბედაო ძაგანმა ქართლის კათოლიკოსის დაუკითხავად თავისი ძმის მოდისტოსის ეპისკოპოსად ხელდასმა. მწვალებლობა დააბრალა ძაგანს და ჯერ არ გაგონილი მკვრეხელობა.

ბოლოს სელჯუკებს მიადგა, შეაჩვენა ისინი მრავალგზის.

„განა მარტო ჩვენ, სჩივოდა მოხუცი, მთელი საქრისტიანო იავარჰყვეს ამ უსჯულოთა, ქრისტიანთა გოდება ისმის ანისის მონასტრების თაღებიდან, ქრისტიანთა სისხლი იქცევა ანტიოქიასა, სირიასა და პალესტინაში. ქრისტეს საფლავი წაბილწეს სელჯუკიანთა. მცხეთელნი ბერნი გამობრუნდნენ ერაყიდან, შეძრწუნებულნი, წმინდა ადგილებზე მოსალოცად არ უშვებენ სამცხიდან მწირთა".

ალექსი კომნინი ადიდა მოხუცმაც. უთუოდ მოგვცემსო ფრანკებსა და ვორაგებს კეისარი. იერუსალიმსაც იგი გამოიხსნისო თურქთა კირთებისგან. არაგვზე გადმოსულან უშჯულო თურქნი, მცხეთაში დაცულია კვართი უფლისა, ალექსი კომნინი გამოგვიგზავნის სპათა, მცხეთასა წარსტაცებენ უფლის იმედით სარკინოზებს, მერე კარის ციხეს წაართმევენ სელჯუკიანთ ბერძენნი და იქიდან გადავლენო იერუსალიმს, რასაკვირველია.

„ო ო ო..."

წამოიძახა მოხუცმა ეპისკოპოსმა, ბოლოს დასძინა: რასაკვირველია, კეისარი ალექსი კომნინი უთუოდ წარმოგზავნისო ფრანკთა.

საკმაოდ მჭევრი აღმოჩნდა ლიპარიტის ძე რატიცა. ნუგეშინის სიტყვაც არ დაიშურა. რას დავაკლებთო კვირიკესა და ძაგანის მიერ დაგებულნი პოტიკნი. ძაგანს ციხეთა მიტაცება როდი ეწადა, არამედ ეპისკოპოსად ხელდასხმა თავის ძმის მოდისტოსი.

ბოლოს მროველ ეპისკოპოსსავით მასაც დაებნა სათქმელი. წინა-უკნო მტკიცებას მოჰყვა.

ასეთი რამეც შეჰკადრა მეფეებს: არ გირჩევთო ამჟამად ძალადასტანებლად მოდისტოსის გადაკიდებას. მოდისტოს ბერია, მაგრამ ვეჟინის ომში თორში ჩამჯდარი ებრძოდაო გიორგი მეფეს.

მეფე გიორგიმ დაუდასტურა: დიახ, გვებრძოდაო.

ეს არა ჰგავს ვეჟინს, სადაც მუჰმედ ატტავილის ბრბოები ებრძოდნენ სამეფოის სპათა, აქ მალიქ-შაჰს ლაშქართან გვექნებაო საქმე. რატომაც ბევრი აძაგა ყიფჩაღნი, ბოლოს დასძინა:

„ათრახა შარაღანისძემ, ყიფჩაღთა უმთავრესმან, კიდევაც რომ მოგვცეს სპანი, ალანებსა და ყიფჩაღებს მუდმივი ომი აქვთ, არც გამოატარებენ დარიალანში ყიფჩაღებს ოვსნი“.

ქუთათელმაც მოდისტოსის უკანონოდ კურთხევიდან დაიწყო. ალექსი კომნინი ადიდა ფრიად, კონსტანტინოპოლის პატრიარქიც გვიშველისო ქრისტიან სპათა მოყვანაში. ყიფჩაღნი ქუთათელმაც აძაგა, ქურდნი უწოდა მათ და უსჯულნი, მორჯულებით მათ ვერ მოვარჯულებთ, ვის გაუგიაო მგლისთავზე სახარების კითხვა. მეფეთ მეფემ გიორგიმ სცადა მგლის ბოკვერების სანადიროდ წურთვნა, მაგრამ ცხვრებს დაერიენო მოშინაურებულნი გეგუთში.

გიორგი მეფეს გაეცინა ამის გამგონეს, შვიდმა ეპისკოპოსმა გულიანად გადაიხარხარა.

დავითი და ახალგაზრდა ერისთავები სდუმდნენ. სამმა ეპისკოპოსმა თითქმის გაიმეორეს ქუთათელისა და მროველის ნათქვამი. მხოლოდ წილკნელი მიემხრო ახალგაზრდებს.

გიორგი მეფე უილაჯოდ ლაპარაკობდა. მასაც ეს აწუხებდა უპირატესად, როგორ გაბედესო მოდისტოსის კურთხევა.

რაიცა შეეხება ძაგანის მიერ სვეტიცხოვლის, წილკნის და შიო მღვიმის მამულების მიტაცებას, ეს ყოველივე „სხვათაც ჰქონდაო მის გვართა“.

კეისართან დესპანების გაგზავნას მხარი დაუჭირა, ხოლო უშჯულო ყიფჩაღნი რა მოსაყვანიაო ქრისტიანთა სამკვიდროში.

„მე ჩემდა თავათ ხელი ამიღია მგლის ლეკვების წურთვნაზე“.

ასე დააბოლოვა სიტყვა.

დარბაზის ერნი ხმაგაკმედილნი ისმენდნენ გრიგოლ ბაკურიანის ნათქვამს. ბაკურიანიც ასე ვარაუდობდა: ბიზანტიის კეისარი დიახაც გაიხარებს თუ საქართველოდან გარეკავთო სელჯუკიანთა. კონსტანტინოპოლში მრავლად არიან ფრანკნი, ვორაგნი და ბულღარნი. კეისარი ხელს შეგვიწყობს, ხელანდებსაც მოგვცემსო მათ გადმოსაყვანად.

ალექსი კომნინსაც ეწადა შარშან ქირის ჯარში ყიფჩაღთა მოწვევა, მაგრამ პაჭანიკნი დაამარცხა და აღარ დასჭირვებია მას შემდეგ.

ბოლოს კონსტანტინოპოლიდან გავაგზავნი ყიფჩაღეთში დესპანებსა და მოეაგვარებო ამ საქმეს.

ოცა დარბაზის ერთა ბჭობა დასრულდა, გიორგი ჭყონდიდელი ეთათბირა ორივე მეფეს, კონსტანტინოპოლს წარსაგზავნ დესპანთა წინამდგომად ქუთათელი შერაცხეს, ბედიელი, მროველი, წილკნელი და გვარამ ბეჭისციხის პატრონი უნდა ხლებოდნენ მას, გრიგოლ ბაკურიანი მფარველობას გაუწევდა დესპანებს. ქუთათელს არ უნდოდა წილკნელის თან წაყვანა, ბერძნულიც არ იცისო მან, მაგრამ დავით მეფემ ბრძანა და ხმა გაკმინდა ქუთათელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასამხრალზე მალემსრბოლი მოვიდა კონსტანტინოპოლიდან, კეისარი ალექსი კომნინი სასწრაფოდ იბარებდა გრიგოლ ბაკურიანს.

*

* *

სალამოს გიორგი ჭყონდიდელმა დიდხანს ეძია დავითი, მაგრამ სასახლეში ვერ იპოვნა მეფე. გეგუთს აპირებდა ჭყონდიდელი წასვლას, მსახურთუხუცესმა აუწყა:

დავით მეფე კოლხურ კოშკში გიცდისო.

მეფე გრძელ საკარცხლულზე წამოწოლილიყო. ნატებზე ისხდნენ: ბეშქენ ჯაყელი, შერგილ ლიპარიტიანი, ბარამ არიშიანი და ნიანია. ჭყონდიდელის დანახვაზე ზეწამოიჭრნენ ჭაბუკნი.

ვაზირთა უპირველესმა არ დაანება წამოდგომა მეფეს, ერისთავებს დაბრძანება და საუბრის განგრძობა სთხოვა:

„ჰო და იმას მოგახსენებდი, მეფევ ბატონო, მეცა, სთქვა ბარამ არიშიანმა, არ მომეწონა მეთქი ლიპარიტის ნაუბარი დღეს“. მეფეს ღიმილმა გადაურბინა ტუჩპირზე. მძიმედ დააფახულა თავისი დიდრონი, სევდიანი თვალები და სთქვა:

„რატომ? ტკბილად უბნობდა ერისთავი ლიპარიტ, მხოლოდ ეგაა, კოლხურ თაფლს მოგვაგონებს მისი სიმჭევრის სიტკბო, თქვენ უწყით, ალბათ, ცხენისწყლის პირად თაფლი იცის ისეთი, სიტკბოთი ათრობს. მაგრამ სწამლავს, ვინც მას იგემებს“.

„ეს გასაგებია, სთქვა ნიანია ბაკურიანმა, დუკიძის ქალია მისი მეუღლე კატაი“.

„დუკიძის ქალიაო? მერმე რაი?“

იკითხა შერგილმა.

„დუკიძე ძველი აზნაურია, მესხი, დუკიძენი ლიპარიტის თანამდგომნი იყვნენ ბაგრატ კუროპალატთან ბრძოლაში. უმთავრესი მაინც სულ სხვაა, კატაის დაი ცოლადა ჰყავს ძაგან ერისთავს“.

„ლიპარიტ ეჩოსა ჰგავს, სთქვა ღიმილით მეფემ, იგი თავისკენ მიითლის მუდამ“.

„მიტომაც გაურბოდა ძაგანისა და ზედაზენის ხსენებას, სიტყვა ჩაურთო ჭყონდიდელმა. თუ დავით მეფემ ზედაზენი აიღო, ეგეც კარგად იცის ლიპარიტმა, მერმე მასვე დასჭირდება ცხელი წაბლის გამოტანა ცეცხლიდან“.

„უფრო გულახდილი იყო ლიპარიტის ძე რატი“.

ამბობს შერგილი.

„გულახდილობა სიცუნდრუკის ნიშანია ხშირად“.

სთქვა ნიანიამ.

„ხანაც მტკნარი სისულელისა“.

დასძინა მეფემ.

ბეშქენ ჯაყელი:

„ყიფჩაღთა ძაგებაც გასაგებია უკვე“.

ჭყონდიდელი:

„ლიპარიტი და რატი მიტომაც ჰქირდავდნენ ყიფჩაღთა, რადგან როქის სპის გაძლიერება აშინებს მათ. კარგად უწყიან, ეგ იქნება ზოგიერთ ერისთავთა თავგასულობისთვის მზღვარის დადება“.

ნიანია:

„ოდესღაც თავათაც უნდოდა მოეყვანა ყიფჩაღეთიდან ცხენები, ჭოლს სპანიც შემოსთავაზეს. მაშინ გიორგი მეფეს ებრძოდა ლიპარიტ, ბატონიშვილმა საფასი მოსთხოვეს დიდი და ხელი აიღო, როგორც ვიცი, ბოლოს“.

ბეშქენ ჯაყელი:

„როგორ გგონია, მეფევ ბატონო, ალექსი კომნინი თუ წარმოგზავნის როქის სპისათვის ფრანკთა?“

დავითი:

„კეისარს დიახაც გაახარებდა, სელჯუკიანნი რომ გავდევნოთ კახეთ-ჰერეთიდან, მაგრამ მე დამაფიქრა მისმა მალემსრბოლმა.

კომნინს რომ არ უჭირდეს, გრიგოლ ბაკურიანს ასე მალე არ გაიწვევდა. უნაყოფოა დესპანების წარგზავნა ამჟამად, მაგრამ დეე, მოიოხონ გული გიორგი მეფემ და ეპისკოპოსთა, მხოლოდ უიმედოა სხვისი იმედით ყოფნა მუდამ“.

*
* *

როცა ერისთავები წავიდნენ, დავითმა შესჩივლა მზრდელს გიორგი მეფის უილაჯობისა და გულჩვილობის გამო.

„მოლალატეთა დასაჩუქრება, ოდითგანვე აგრე სჩვევია გიორგი მეფეს, სთქვა ჭყონდიდელმა. როცა ივანე ლიპარიტისძემ ქსნის პირი მოაოხრა, ხოლო ნიანია ქვაბულისძემ ქუთათისის ციხის საჭურჭლენი მიიტაცა, მეფემ სიკეთითა სიბრძნითა ლოწობანი უბოძა ორბელიანს, ხოლო ქვაბულისძეს თმოგვისციხე უწყალობა“.

მეფე წამოდგა, გაშლილ ეტრატთან მიიყვანა ვაზირთა უპირველესი და წაიკითხა ფალაშური ლექსი ბერძნულად ნათარგმნი:

„სიძაბუნემ ჩემმა მომაშლევინა გამოშვება ზედმეტი სისხლისა, მე ვცოცხლობ ვითომდაც, მაგრამ სიძაბუნის ჩემისა გამო აღარც ვარსებობ თითქმის“.

საკუთარი ხელით დაენიშნა ეს ადგილი ეტრატზე მეფეს.

*
* *

გვიანი ღამით სტეფანოზ წილკნელი იხმეს. დიდხანს საუბრობდნენ სამნი. წასვლის წინ წილკნელს დააბარა დავითმა: „ეცადე ყიფჩაღებს მისწვდე, სტეფანოზ, როგორმე. შენ ოვსეთში ნამყოფი ხარ მრავალგზის, ალანურიც ესმითო ყიფჩაღთაგან ზოგს“.

XXVII

ეპისტოლა *

დესპანების ბიზანტიონს გამგზავრების შემდეგ ერთი თვეც არ გასულა და იერუსალიმიდან გამობრუნებულმა ქართველმა ბერებმა ჩამოიტანეს ქუთათისის სასახლეში ალექსი კომნინის ეპისტოლა, რომელიც მთელი საქრისტიანოს მეფეთა და მთავართა დაუგზავნა ბიზანტიის კეისარმა.

„უწმინდესი იმპერია ბერძენ ქრისტიანთა ფრიად შეჭირვებულთა პაჭანიკთა და თურქთა მიერ. ისინი უმოწყალოდ გვძარცვავენ და გვტაცებენ სხვადასხვა მხარეებს იმპერიისას. ქრისტიანთა ჟლეტა და გვემა და საშინელებანი, რო-

* ეპისტოლა — კეისრის მიერ წარგზავნილი ბარათი.

მელთაც ამ დროს ჩადიან ისინი, აღურაცხელია და მოსასმენად საზარელი. თურქნი არ ერიდებიან ქრისტიან ჩვილთა და ჭაბუკთა ძალით წინააღმდეგთას. ისინი ნამუსს ხდიან ქრისტიანთა ცოლებსა და ქალწულებს, ლუდათა ბანთა თვალწინ. სოდომის ცოდვათა უსაზიზღრეს ბოროტებას ჩადიან ყრმათა, ჭაბუკთა, ბერთა და თვით ეპისკოპოსთა მიმართ.

„თითქმის მთელი ჩვენი საბრძანისი იერუსალიმიდან საბერძნეთამდე, ბოლოს სრულიადი საბერძნეთი და მისნი თემანი [1]), უმთავრესნი კუნძულნი ხიოს და მიტილინი და მრავალნი კუნძულნი, ქვეყანანი და თვით თრაკიაც იავარჰყვეს თურქთა.

„ჩვენ შეგვრჩა მარტოოდენ კონსტანტინოპოლი, მაგრამ ისინი ამ ქალაქის წართმევასაც გვიქადიან უკვე, უკეთუ ლათინთა მოდგმის ქრისტიანნი არ წამოგვეშველნენ. პროპონდიტში უკვე სდგას ორასი ხელანდი [2]), ესენი ძალით აგებინეს დამპყრობელთა ბერძენ ოსტატებს.

„ამრიგად კონსტანტინოპოლს საფრთხე უქადის როგორც ხმელეთიდან, აგრეთვე ზღვიდან.

„მე თავათ იმპერატორი ვარ პორფიროსანი და ვერავითარ ხსნას ველარ ვხედავ უკვე.

„ხშირად იძულებულიცა ვარ ზურგი ვაჩვენო პაჭანიკთა და თურქთა,—ჯერ ხნობით ამ ქალაქში ვიმყოფები, ვიდრე მათი თავდასხმა არ მაიძულებს სხვა სამკვიდრო ვიპოვნო სადმე.

„ამრიგად, სახელითა ღვთისათა და სახელითა ყოველთა მოციქულთა და წმინდანთა, გევედრები თქვენ, მეომარნო ქრისტეს მიერნო, ვინაც არ უნდა იყვეთ თქვენ და რომელი ნათესავის ნაშიერნი, ისწრაფოდეთ ჩემდა და ქრისტიანთა საშველად.

„ჩვენ გვირჩევნია თქვენა გვფლობდეთ, ვიდრე წარმართნი დაგვიპყრობდნენ. დეე, კონსტანტინოპოლი თქვენ გერგოთ, ოღონდ სელჯუკიანნი და პაჭანიკნი ნუ წაბილწავენ მას.

„ალბათ, თქვენთვისაც ისევე ძვირფასია ის წმინდანნი, რომელნიც ამკობენ კონსტანტინეს ქალაქს.

„ხსნისა ჩვენის იარაღი იგივეა, რითაც აწამეს და მოაკვდინეს მაცხოვარი,—გვირგვინი ეკლისა, რომელიც თავზე დაადგეს მას, ჯვარი პატიოსანი, რომელზედაც გააკრეს იგი, აურაცხელნი ნაწილნი წმინდანთანი, როგორიცაა თავი იოანე ნათლისმცემლისა, უხრწნელი ნეშტი წმინდისა სტეფანესი,—ნუთუ ეს ყოველივე წარმართთა უნდა წარსტაცონ ქრისტიანეთა?

„უკეთუ თქვენ არ აგაფრთოვანოთ ამ ქრისტიანულმა საუნჯეებმა, მე თქვენ მოგაგონებთ იმ აურაცხელ სიმდიდრეს, რომელიც დაცულია ჩვენს სატახტო ქალაქში.

„კონსტანტინოპოლს მარტოოდენ ეკლესიათა საგანძურნი, ოქრო, ვერცხლი, მარგალიტნი, თვალნი პატიოსანნი, აბრეშუმნი და ქსოვილნი, მთელი ქვეყნის ეკლესიებს ეყოფოდა მოსაკაზმავად.

„საჭურჭლენი მარტოოდენ წ. სოფიას ტაძრისა აღემატებიან ყველა ამ საუნჯეთა ერთად აღებულთ. არაფერს ვიტყვი იმ აურაცხელ სიმდიდრის გამო, რომელიც დაფლულია გარდასულ კეისართა და დიდ აზნაურთა სამალეებში.

---

[1]) თ ე მ ა — ბიზანტიის ოლქს ერქვა აქედან წარმოსდგა ქართული თემი.
[2]) ხ ე ლ ა ნ დ ი — ხომალდი.

„ამრიგად, ისწრაფოდეთ, ქრისტეს მიერ მხედარნო, თან წამოიყვანეთ ერნი თქვენნი და ეცადეთ ეს საჭურჭლენი და საგანძურნი თურქთა ხელში არ მიიტაცონ.

„ჩვენ უკვე ველარ ვენდობით იმ ლაშქარს, რომელიც გაგვაჩნია ამჟამად, რადგან იგიც შესაძლოა, მას ხელი წასცდეს ამ სიმდიდრეთა წარტაცებისაკენ.

„ამრიგად ისწრაფეთ ქრისტეს მიერ მხედარნო, სანამდის დრო არის, სანამ ქრისტიანული იმპერია და უმეტესი ამისა, კუბო მაცხოვრისა არ დაკარგულა ჩვენთვის და თქვენთვის სამარადჟამოდ“.

XXVIII

„მოკრივე მწყემსი“

მთელი კვირა იცდიდნენ დესპანები აკროპოლის სასახლეში, ვიდრე გრიგოლ ბაკურიანი კეისარს ინახულებდა და ხუთ იანვრისათვის დანიშნავდა დევტერი[1]) მიღებას.

აკროპოლის სასახლის მზარეული თურქი აღმოჩნდა. ქუთათელი ახირდა, სარკინოზის მიერ შემზადებულ საჭმელს როგორ ვჭამთო ეპისკოპოსნი?

ბოლოს, კონსტანტინეპოლის პატრიარქის ბრძანებით, სტუდიის მონასტერში მოაწყვეს საგანგებო პალატა სტუმრებისათვის.

გვარამ ერისთავი გრიგოლ ბაკურიანმა მიიწვია თავის სასახლეში, წილკნელი სტეფანოზ შეყოყმანდა, ბაკურიანმა შეატყო მას, არა სურდა ქუთათელთან, ბედიელთან და მროველთან ცხოვრება.

მგზავრობის დროს კაცი კაცს უკეთ ეცნობა, გზაში დამეგობრდნენ წილკნელი და ბაკურიანი, ამიტომაც ორი დღის შემდეგ სტეფანოზიც მიიწვია მან.

ერთ საღამოს უგუნებობა შენიშნა წილკნელმა ბაკურიანს. მიზეზი ჰკითხა.

„ვგონებ, ომი გვექნება პაჭანიკებთან, სტეფანოზ“.

„მოდი, ერთი ძველი თორი გექნება სადმე, მათხოვე და ეგებ მეც მოვკლა ორიოდე პაჭანიკი, გრიგოლ“.

ბაკურიანი ადგა, ჟანგისფერი თორი ამოიღო და გაუწოდა წილკნელს.

სტეფანოზმა სასინჯად გადაიცვა ბერულ ჩოხაზე თორი.

ბაკურიანმა შეხედა თოროსან ეპისკოპოსს, ძლივს შეიკავა ღიმილი.

უცნაურად წაწვეტებული წვერი წელამდის უწევდა თავმსხვილა და მოკლეფეხება სტეფანოზს, მთელ სახეზე თმა ჰქონდა ღაწვის თავებამდე მორეული, ბეწვები გამოსვლოდა ნესტოებიდან და ყურებიდან. მთაში მოქსოვილი უხეში, ჭვალოს ჩოხა ეცვა, ბერული.

საერთოდ ხის თოჯინას ჰგავდა იგი, სწორედ ასეთნი ენახა ბაკურიანს ბიზანტიის ბოსტნებში ყვავების საფრთხობელად დადგმულნი.

საქართველოს მეფეთა სამსახურში შეჭალრებულს მოხევეს მუდამ ლაშქრობაში უხდებოდა ყოფნა, ხანაც ძურძუკეთსა და ოვსეთში ჰგზავნიდნენ მას სადესპანო საქმეთა გამო. საეკლესიონი მიგდებული ჰქონდა, ამიტომაც ერისკაცური ჩვევანი სჭარბობდნენ მის ბუნებაში.

ღვინოს სვამდა, ჩინებული თამადა იყო, უფრო უკეთესი მოჯირითე, ხან ხმლით, ხან ჯვრით მუდამ წინ, უძღოდა სპათა.

---

[1]) დ ე ვ ტ ე რ ი—კეისრის სახლთუხუცესის პაპიასის თანაშემწე.

ვეჟინში სამგზის დასჭრეს ჰერეთის აზნაურთა იგი, მაინც არ მოშორებია ალყის შემოხსნამდის გიორგი მეორეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის წარსულის გამო არ უყვარდა საუბარი ჭირთამოვლილ ადამიანებთან, ამიტომაც გაუკვირდა ბაკურიანს, როცა წილკნელმა სთხოვა: თუ პაჭანიკებთან ომი ატყდეს მართლაც, უთუოდ წარმიტანეო თან.

ქუთათელი ბიზანტიაში იყო განსწავლული, ამიტომაც კარგად იცნობდა კონსტანტინოპოლსა და მის სანახებს. მან ზეპირად იცოდა ამ ქალაქის ხუთასი ეკლესია-მონასტრის სახელი და მდებარეობა.

სწორედ მას დაჰყვებოდნენ ქალაქის დასათვალიერებლად ეპისკოპოსნი. ბაკურიანის სასახლე შორს იყო სტუდიის მონასტრიდან. კონსტანტინოპოლის მიკიბულ-მოკიბულ ქუჩებში ხშირად გზა ებნეოდა წილკნელს, არც ბერძნული ლაპარაკი ემარჯვებოდა, ხანაც ქალაქის ავარები დასცინოდნენ უცხო ანაგობის ეპისკოპოსს, წინა-უკმოდ მიასწავლიდნენ გზას.

ამასობაში მოუთმენელი ქუთათელი ხელს ჩააქნევდა, უმისოდ წავიდოდნენ ეპისკოპოსნი ქალაქში, მერმე დაადგებოდა მარტოხელა წილკნელი გზას, ხალხს აცინებდა თავის ჩიქორთული ბერძნულით, გამვლელნი შესდგებოდნენ, დასცინოდნენ მოუხეშავ მოხეველს და იგიც ყოველი სასახლის, ყოველი ძეგლის, ან ეკლესიის წინაშე იდგა გაოცებისაგან პირდაბჩენილი. ათვალიერებდა ცხენოსან იმპერატორების ძეგლებს, იპოდრომის წინაშე აღმართულ ბრინჯაოს ცხენებს „ბოოს აგორას"-ზე [1]) მდგარ ბრინჯაოს ხარს, (რომელშიაც დამნაშავეებს სწვავდნენ ხოლმე ბიზანტიელნი იმ დროს), ოქროს ჭიშკარს, ავგუსტეონის, ფილოქსენის, ლავსის, ანტიოქისა და პატრიარქის სასახლეებს.

ვევკსიპის აბანოში ლამის იყო დამდუღრეს წილკნელი, რადგან ბერძნულის ცოდნამ უღალატა და ცივის ნაცვლად ცხელი წყალი გადაასხა მეაბანოემ ზურგზე.

ერთ დღეს ნაშუაღამევს ადგა წილკნელი, უთენია მიუსწრო ეპისკოპოსებს სტუდიის მონასტერში.

ქართველ სტუმრებს სწვევოდნენ იმ დღეს ეპიფანე არამსმელი, ხიოსისა და პაფლაგონის ეპისკოპოსნი.

ბერძენმა მასპინძლებმა აია სოფიაში წაიყვანეს დილიდანვე სტუმრები. ოქროს, ვერცხლის და მარმალილოს ბრწყინვალებამ თვალი მოსჭრა წილკნელს.

ნეტავი წილკანში მოგვცაო ასეთი ტაძარი, ინატრა მან. როცა იმ კოლონას ჩაუარეს, რომელზედაც ბრინჯაოს უზარმაზარი გველი იყო შემოხვეული, ამასაც ხომ არ ინატრებდიო?

ეკითხება მროველი.

„ამოდენას ვუსურვებთ ქუთათელს თავის ბაღში, ოღონდ ცოცხალს".

მიუგო სტეფანოზმა ღიმილით მროველს.

ცრუმორწმუნე იყო ქუთათელი, მან ყური მოჰკრა ხმადაბლა ნათქვამს, აუგად ჩამოართვა ეს ხუმრობა წილკნელს.

იქიდან „ტა პალატიონში" [1]) წაიყვანეს ოთხივე, ქრიზოტრიკლინის, ტრიკ-

---

[1]) „ბ ო ო ს ა გ ო რ ა ს"—ხარის მოტანი.

[1]) „ტ ა პ ა ლ ა ტ ი ო ნ" — ბიზანტიის კეისრების სასახლეებს ერქვა.

ონხის, აკკუვიტების, დაფნის, ხალკის, მაგნავრის, ბლახერნის და ბუკოლეონის პალატები აჩვენეს.

უთვალავი ხალხი ირეოდა ავგუსტეონის მოედანზე. ბერძენნი, ბულგარნი, რუსნი, თურქნი, ჰინდონი, ეგვიპტელნი და არაბნი.

ქუთათელი ამჩნევდა: უკვე აღარ უჭვრეტდნენ გამვლელნი წილკნელს, რადგან უფრო უცნაური სანახაობით იყო გართული კონსტანტინეპოლის მოსახლეობა..

სწორედ იმ დღეებში ჩამოვიდნენ ჯვაროსანი რაინდები, ფლანდრიის გრაფის რობერტ ფრიზის მეთაურობით დასავლეთიდან.

მესას ქუჩაზე მოაჯირითებდნენ ვერცხლის თოროსან ცხენებს ისინი, ზოგნი ქვეითად დადიოდნენ და ათვალიერებდნენ ქალაქს.

მოცლილთა ბრბო უკან დასდევდა თოროსან რაინდებს, მათი უცხოური ანაგობის, თორ-იარაღის და ცხენსაკაზმის ნახვას დახარბებულნი. მთელი ქალაქი ლაპარაკობდა რობერტ ფრიზისა და მისი რაინდების გამო.

ამით გაყოყოჩებულნი ისინი უდიერად ეექცეოდნენ კონსტანტინეპოლის მკვიდრთა, ეკლესიებში ქუდიანად შედიოდნენ, ოქროჭედილ ხატებს მუშტრის თვალით უჭვრეტდნენ, ხანაც პატიოსან თვლებს აძრობდნენ ჩუმად, შეტბორებულ ხალხში რა მოხვდებოდნენ, უტიფრად სჩქმეტდნენ დიაცებს, ხშირად მხარს გაჰკრავდნენ ბერძენ ვაჟკაცებს, უმიზეზოდ ასტეხდნენ ჩხუბს, ხანაც ნაპარავის ან ნადავლის გამო წაეკიდებოდნენ თავათაც ურთიერთს მთვრალნი და ეს კენწლაობა ისე გართულდებოდა ზოგჯერ, კონსტანტინოპოლის ეპარქი[1]) ჩაერეოდა ხოლმე საქმეში.

ქუთათელს არ უყვარდა წილკნელი, დასცინოდა, „დიაკონს“ უწოდებდა მას, ღარიბული, ჯვალოს ჩოხისა და მოხევური მოუხეშაობის გამო, ერცხვინებოდა კიდევაც მასთან სიარული, ამიტომაც ჩქარი ნაბიჯით მიჰყვებოდა ეპიფანე არამსმელს და ხიოსის ეპისკოპოსს.

ვიწრო ქუჩაზე ტევა აღარ იყო, ეპისკოპოსები მხოლოდ ბერძნულად ლაპარაკობდნენ, ამიტომაც დაღვრემილი წილკნელი უკან მიჩანჩალებდა მუდამ.

უკვე გარეუბანში იყვნენ, ქუთათელს მოშივდა, თვალს აცეცებდა გზაზე გამწკრივებულ დუქნებისაკენ, საიდანაც მთვრალები გამოდიოდნენ ბარბაცით.

უსიამოდ ეინჟღავდა, ატალახებულ ქუჩებში ტბორები იყო დამდგარი. ეპისკოპოსებს ჩოხის ქობებზე ხელი წაევლოთ, ისე მიდიოდნენ საუბარში გართულნი.

ეპიფანე არამსმელი სიამოვნებით იგონებდა საქართველოში გატარებულ დღეებს, კოლხურ ღვინოებს, ქუთათელის ბაღში შესმულს, კოლხურ ლოკოკინებს, რიონის ზუთხს და ირმის მწვადებს.

ბერძნული საჭმელებისაგან გაბეზრებულ ანტონს ნერწყვი ადგებოდა ამ საჭმელების ხსენებაზე.

პაფლაგონელი ეპისკოპოზიც მროველსა და ბედიელს ესაუბრებოდა ისევე კოლხური ჭამა-სმის გამო.

ბოლოს ეპიფანე არამსმელი შესდგა და ეუბნება ქუთათელს:

„დღეს უთუოდ უნდა გაჩვენოთ, მეუფენო, წმ. სტეფანეს უხრწნელი ნეშ-

---

[1]) ეპარქი — ქალაქის თავი.

ტი. ჯერ თქვენ ორმოც მოწამეთა, არც ანასტასიას და თეოდორიხის ეკლესიები, რაც უმთავრესია, იოანე ნათლისმცემლის თავიც არ გინახავთ“.

ქართველ ეპისკოპოსებს ჯიბეები ჰქონდათ უკვე გამოტენილი ოქროთეფეს თმებით, წმ. ვიტალის ფრჩხილებით, წმ. ანასტასიას პერანგის ნამუსრევებით, ხელსაკიდი ხატებითა და ჯვრებით.

რას ამბობსო ეპიფანე არამსმელი?

ეკითხება წილკნელი მროველს.

გადაუთარგმნეს.

„მაგას გადაეცი ჩემს მაგივრად, გეთაყვა, ბერძნული ღვინოები გაგვასინჯოს, ეს ურჩევნია“.

ქუთათელი აიმრიზა ასეთი „მკვრეხელობის“ გაგონებისას და დაწინაურდა.

„ეს ბერი ვინაა, მეუფეო?“ ეკითხება ეპიფანე არამსმელი ქუთათელს.

„ეგ ჩვენი დიაკონია“.

მიუგო ქუთათელმა ბერძნულად.

ამ დროს ორი თოროსანი რაინდი გამობარბაცდა დუქნიდან. შუკას აგურის მწკრივი მისდევდა მიჯრით დაგებული. ეპისკოპოსები სათითაოდ მიდიოდნენ მასზე, რადგან შუაგულ შუკაში ტბორები იდგა ნაწვიმარზე დაგროვილნი.

რაინდებმა მშვიდად ჩაუარეს ფარჩის ანაფორიან, ოქროსჯვრიან ქუთათელს და დანარჩენ ეპისკოპოსებს, მაგრამ როცა წილკნელს გაუსწორდნენ, უწვერულმა, ვერცხლის თოროსანმა ენა გამოუყო მას, ნიკაპზე ხელი დაისვა და თხასავით შეჰკიკინა სახეში:

„პეე!“

პეეო?

გაუშალა და ლეწა წილკნელმა ვერცხლის მუზარადიან რაინდს. ტანაჯორივით დაატრიალა იგი, რაინდი შეჰქანდა და წუმპეში ჩავარდა პირქვე.

ახლა თითფერის მუზარადიანმა გამართა მკლავი და სტეფანოზის წაწვეტებულ წვერს წაეპოტინა, თავი განზე გადასწია ანაზდად წილკნელმა, გამოწვდილ მარჯვენაზე წაავლო ხელი, მხარზე წამოიკიდა ვეება ვაჟკაცი და ხურჯინივით ზედ დააგდო წუმპეში გაშოთილ ვერცხლის თოროსანზე.

ანაზდად წამოაჯდა ორივეს, ხმლები ააძრო და სიბრტყით დაუწყო ცემა. გამვლელნი ბერძენნი მისცვივდნენ, წილკნელის ვაჟკაცობისაგან გახარებულნი, გუშაგებმა მხრები გაუკრეს აბეზართ და მსაჯულს წაუყვანეს ლაფში ამოსვრილნი.

განუზომელად აღშფოთდა მთავარეპისკოპოსი ქუთათელი.

„ვის სმენია ეკლესიის მწყემსი მოკრივე ან მოჩხუბარი დესპანი მეფეთა?“

„არც ის გამიგონია სადმე, მეფეთა დესპანს წვერით რომ ათრევდნენ წუმპეში“.

მოუჭრა სიტყვა სტეფანოზმა ანტონის.

ქუთათელი ამის შემდეგ დაეუბრა წილკნელს. უკვე აღარ უცდიდა დილაობით სტუდიის მონასტერში „დიაკონის“ მოსვლას...

არც ფრანკები გახსენებია მას, არც ვორაგები, წმ. ადგილების მოლოცვა. სასახლეებისა და მონასტრების თვალიერებას სუყე სადილები თან მოჰყვა, ხიოსისა და პაფლავინის ეპისკოპოსთა სასახლეებში გამართულნი.

ეპიფანე არამსმელი პურადძვირი აღმოჩნდა. მას ერთხელაც არ გაუმარ-

თავს ქართველ სტუმრებისათვის ლხინი, სამაგიეროდ ხალისიანად თამადობდა, ადიდებდა სტუმრებს, ჰპირდებოდა: გაისადაც გეწვევითო უცილოდ.

ამ ნადიმების დროს სევდა მამულისადმი მოაწვებოდა ბოროტ ანტონის გულზე, რადგან ბერძნულად დაშაქრული, ცხიმიანი და ზეთიანი საჭმელები უნებლიედ აგონებდნენ მას პილპილიან, ნივრიან და ქინძიან ქართულ კერძებსა და სურნელოვან ღვინოებს.

მროველიც დაუდასტურებდა ხოლმე ანტონის: ჭეშმარიტად აგრეა, მეუფეო. ჩვენისთანა ქვეყანა არავის მოეძევაო მზისქვეშეთში სხვას.

XXIX

ტოგოტაკ და ტოგოტა.

სწორედ იანვრის 5-ს, როცა ქართველი დესპანები ქრიზოტრიკლინის სასახლეს მიადგნენ, რკინის ჭიშკარზე გამოჰკიდეს კეისრის თორი, ფარი და ხმალი.

ქუთათელი შესდგა.

რა მოხდაო?

ეკითხება გრიგოლ ბაკურიანს.

ეს ომის გამოცხადებას მოასწავებს, მიუგო მან. პაჭანიკები შემოჭრილანო საკეისროს სამანებში გუშინწინ.

ბაკურიანმა ურჩია ქართველ დესპანებს, კეისარს დანიშნული აქვსო მიღება, მაგრამ რა კი ომია, არ ეხსენებინათ როქის სპაში მოსაწვევ ფრანკებისა და ვორაგების ამბავი.

გადაწყდა: მხოლოდ მისალმებოდნენ ქრისტიან კეისარს საქართველოს მეფეთა სახელით.

როგორც ყოველი რომაელი პატრიციუსი, ბიზანტიის კეისარიც დილის შვიდ საათზე იღებდა კლიენტებსა და ელჩებს.

სასტუმრო პალატაში უკვე გროვდებოდნენ სასახლის მოხელენი, ოქროს ხკარამანგები ზედ ეცვათ მათ, წელზე ხმლები ერტყათ.

სასტუმროში ირეოდნენ ბულგარელი, სომეხი, რუსი თავადნი და ეპისკოპოსნი, ორიოდე მუსლიმი მძევალიც ერია მათ შორის, აკროპოლის სასახლის ბინადარი.

შვიდი საათი შესრულდა თუ არა, ქრიზოტრიკლინის სამხრეთის კამარიდან კეისრის საწოლის დარბაზისაკენ მიმავალ კარს ვერცხლისას მიეახლა დიეტარი[1]) და სამჯერ დააკაკუნა ზედ.

ოქროს პალატაში შემოვიდა კეისარი ალექსი კომნინი. მას პორფირის ტოგა ეცვა, ოქრომკედულით კიდე-კიდე შემოვლებული, სამკერდე და სამხრენი პატიოსანი თვლებით ჰქონდა მოოჭვილი სრულად. თავზე გვირგვინი ეხურა „კაისარიკიონ“, მარგალიტებით დამშვენებული.

აღმოსავლეთის კონხისაკენ გაემართა კეისარი და მაცხოვრის ხატის წინ მოიყარა მუხლნი. მცირე ხნის შემდეგ წამოდგა და მუნვე მდგარ ტახტის გვერდით ჩამოჯდა მოოქროვილ, მრგვალ საკარცხლულზე.

თვალი გაუმართა პაპიასს, რომელიც წელში გაჯგიმული იდგა აბრეშუმის ფარდის წინ და რქვა:

---

[1]) დ ი ე ტ ა რ ი—კეისრის დარბაზთა გამგე, სასახლის უხუცესის—პაპიასის ხელქვეითი.

„ლოგოთეტი“.

პაპიას ლავზიაკის დარბაზში გავიდა, ადმისიონალის უბრძანა: ლოგოთეტი იხმეო.

ლოგოთეტი, შემოვიდა თუ არა დარბაზში, იატაკზე განერთხა, თაყვანი სცა კეისარს, ბოლოს წამოდგა, წარუდგა მასვე და მოახსენა:

„პაჭანიკთა ურდოები რკინის კარში[1]) შემოიჭრნენ და ბანაკი დასცეს გოლოესა და დიამპოლის შორის“.

ალექსი კომნინი გაფითრდა, ლაშქრის მზადება უბრძანა ლოგოთეტს.

ერთი საათის შემდეგ კეისარმა მიიღო გრაფი ფლანდრიისა რობერტ ფრიზ, ოქროს თორიანი ახმახი რაინდი.

შემდგომ ამისა დაიწყო დესპანებისა და კლიენტების მიღება. ქუთათელი შეკრთა, უგუნებობა რა შენიშნა კეისარს, მოიბოდიშა ბერძნულად ლაპარაკი გადამავიწყდაო და სთხოვა ბაკურიანს თავათ ეკისრნა ქართველ დესპანების წინამდგომობა.

გრიგოლ ბაკურიანმა თაყვანისცა კეისარს.

ლოგოთეტს მიმართა წესისამებრ ბაკურიანმა.

„როგორ ბრძანდება ბასილევსი, უფლის მიერ აღმატებული, სულიერი მამა საქართველოის მეფეთა, როგორ ბრძანდება დედოფალი, უაგვუსტესი ქალბატონი ჩვენი, როგორ ბრძანდება ბასილისა, ასული კეისრისა, როგორ ბრძანდება პატრიარქი კონსტანტინოპოლისა, ყოველთა ქრისტიანთა მამაი და სასო?“

ლოგოთეტმა ასეთი პასუხი გასცა ბაკურიანს:

„როგორ მოგიკითხოთ სულიერი შვილი ღვთისმოყვარე ბასილევსისა, მეფეთ-მეფე ყოველთა იმერთა, აფხაზთა და სვანთა, სევასტოსი გიორგი, როგორ ბრძანდება მეფე აფხაზთა და ქართველთა, პანიპერ-სევასტოსი, დავით, როგორ ბრძანდებიან ღვთის მიერ შენაყვარებნი დედოფალნი, ძენი და ასულნი საქართველოს მეფეთა?“

*
* *

უფლის განცხადების დღეს კონსტანტინოპოლის პატრიარქი სწირავდა. უთენია დაიწყო სინკლიტის ცერემონიალი სვლა პალატეონიდან აია სოფიასაკენ.

უამრავი ხალხი პირქვე ეცემოდა კეისრის დანახვაზე, ფსალმუნებს გალობდა.

ალექსი კომნინმა შეავედრა საქრისტიანო მაცხოვარს და იმავე დღეს დიამპოლს წავიდა ლაშქრითურთ.

გრიგოლ ბაკურიანი თან ახლდა მას და გვარამ ბეჭისციხის პატრონიც.

წილკნელმა ეპისკოპოსმა სტეფანოზმა არ ისურვა კონსტანტინოპოლში დარჩენა, მან თორი გადაიცვა და ბაკურიანის კოჰორტებს ბრძოლის ველზე თან გაჰყვა.

---

[1] რკინის კარი—წარმოადგენს დარიალის მაგვარ ხევს ბალკანეთის მთებში, დიამპოლის მახლობლად.

*
* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიამპოლში მისვლისთანავე მსტოვარებმა ამბავი მოუტანეს კეისარს, კონინის კარში შემოსულ პაჭანიკებს ყიფჩაღნი მოსდევენო უკან.

ისინი დუნაის მოსდგომოდნენ უკვე და ბალკანეთში ლამობენო შემოჭრას.

მცირე აზიიდან მალიქ-შაჰს ძმა სოლიმონი აპირებდა შემოტევას.

ალექსი შეკრთა, მაგრამ იმ დღეს მოაღწია რობერტ ფრიზის ხუთასმა ცხენოსანმა, მათვე ჩამოუყვანეს კეისარს 1500 ცხენი, რომელნიც მიჰყიდეს ალექსის.

პაჭანიკებმა რა გაიგეს თოროსანი რაინდების კეისრის ბანაკში მოსვლა, დაფრთხნენ, ერთ ხევში დაბანაკდნენ და უცდიდნენ ხელმარჯვე დროს.

ახალმა მტერმა იჩინა თავი.

ჯერ კიდევ ნიკიფორე ბოტანაიტესის დროს კონსტანტინოპოლში, ბლახერნის სასახლეში, გაზარდეს მცირეწლოვანი ვაჟი მუსლიმი ხანისა, ვინმე ჩახა, რომელსაც პროტონობილისიმუსის ტიტულიც მიუბოძეს გაქრისტიანების შემდეგ.

ეს ჩახა აკროპოლის სასახლიდან გაიქცა, მეკობრე თურქნი აიყოლია, რამდენიმე გემი მოსტაცა ბერძნებს, მცირე ფლოტს თავი მოუყარა, აიღო ქალაქები ფოკეი და კაზომენა, კუნძულები: ხიოსი და ლესბოსი. ელჩები გაუგზავნა პაჭანიკებს, სისხლის მიერი ნათესაობა შეახსენა და ურჩია: ერთად დავკრათო კონსტანტინოპოლს.

ალექსი კომნინი ხედავდა, თუ უსწრაფესად არ მოუღებდა ამ განსაცდელს ბოლოს, დაღუპვის უფსკრული უკვე შორს აღარ იყო.

კესაროსი ნიკიფორე მელისინი წარგზავნა, ქუდზე კაცი გამოიძახა. მელისინს უნდა მოეგროვებინა მეჯოგე ბულგარები, თესალიაში მომთაბარე ბლახები.

მალემსრბოლნი აფრინა დნეპრის ტრამალებისაკენ, საჩუქრები და ოქროს სიგელი გაუგზავნა ყიფჩაღთა უმთავრესს ტოგორტაკსა და ტოგორტას, სასწრაფოდ მოიხმო ყიფჩაღნი.

გვარამ ერისთავსა და წილკნელს იმედი მოეცათ, თუ ეს ომი მოიგო კეისარმა, ტოგორტაკსა და ტოგორტას მოვაცემინებთო როქის სპასათვის მხედრებს.

მაინც დაღონებული იყო კეისარი.

ყიფჩაღები ბუნებრივ მოკავშირედ უნდა გახდომოდნენ იმპერიას, მაგრამ ეგეც კარგად იცოდა კეისარმა, ყიფჩაღებიც თურქნი იყვნენ, ფიცის გამტეხნი და ვერაგნი. სახიფათო იყო ასეთი მოკავშირეების საკეისროს სამანებში შემოშვება.

ალექსი ეთათბირა ბაკურიანს.

გრიგოლს მოაგონდა ლიპარიტის ნაამბობი, თავათაც იცნობდა მათ, ამიტომაც ვერ ურჩია კომნინს ბალკანეთში გადმოშვება ყიფჩაღებისა.

ისევ პაჭანიკებთან გავმართოთო მოლაპარაკება.

კეისარს მით უმეტეს ჭკუაში დაუჯდა ეს, რადგან რობერტ ფრიზის რაინდების იმედი ჰქონდა. კატეპანი სინეზი მიუგზავნა პაჭანიკთა უმთავრესს ალექსიმ. საჩუქრები გაატანა მას და ოქროს სიგელი წითელი მელნით ხელმოწერილი, მძევლები მოსთხოვა ამ პატივის ნაცვლად.

პაჭანიკებმა ქრთამები მიიღეს, მაგრამ მძევალთა მოცემაზე უარი შემოთვალეს.

ამასობაში ყიფჩაღთა უმთავრესნი ტოგორტაკ და ტოგორტა ურდოებითურთ მოუახლოვდნენ ბალკანეთის მთებს. ბიზანტიელ კოჰორტებს რა შეეყარნენ, მოსთხოვეს მათ:

იმპერატორის ნახვა გვინდა, გაგვატარეთო.

ბერძნებმა თავაზიანად მიუგეს:

ამჟამად თქვენი თანადგომა არა გვჭირია, საჩუქრები მიიღეთ და უკან გაბრუნდითო.

ამასობაში მსტოვარებმა აუწყეს ალექსის: პაჭანიკები ქალაქ ენოსსში წავიდნენო. მდინარე გერბის ნაპირად უნდა შეხვედროდნენ ურთიერთს ჩახას მეთაურობით დაძრულნი მეზღვაურნი სელჯუკიანნი და პაჭანიკთა ურდონი.

ალექსი კომნინი ხედავდა, ცუდად წარიმართა საქმე. პაჭანიკნი და სელჯუკიანნი, ეს ორი თურქული მოდგმა, ბოსფორზე აპირებდნენ ურთიერთისათვის ხელის გაწვდენას.

ხელანდები გაამართვინა კეისარმა, თავის მცირერიცხოვან ქირის ჯარითურთ აჰყვა დასავლეთისაკენ მდინარეს. ნაპირები მიმოიხილა, დასაბანაკებელი ადგილები დაზვერა თავათ. ამოირჩია ვრცელი ველი, რომელსაც ცალ კიდეზე გერბის წყალი ჩამოუდიოდა, ხოლო მეორე მხრიდან ჭაობები ზედ ეკრა.

მისასვლელები ხანდაკებით შემოაზღუდვინა. ბანაკიდან კეისარი ენოსს წავიდა, მაგრამ გრიგოლ ბაკურიანმა ამცნო: უცხონი და აურაცხელნი ბრბონი უახლოვდებიანო ბანაკს.

ბაკურიანს ეწადა დაუყონებლივ შებრძოლებოდა მათ, მაგრამ სტეფანოზ წილკნელმა ურჩია, დავუცადოთო კეისრის მოსვლას. იმ საღამოსვე ბანაკში გაჩნდა ალექსი კომნინი და თავათ ნახა საზარელი სურათი.

ცისკიდური დააბნელეს ველურების უთვალავმა ბრბოებმა, ისრებით, ხმლებით, ცელებით შეიარაღებულნი, ნადირის ქურქებში გახვეულნი მხეცკაცები ისხდნენ უბელო ცხენებზე, ზოგიც ქვეითად მოაბოტებდა, ზოგი კიბიტკებს მობლაუჭებოდა.

შიგადაშიგ დიაცებიც მოდიოდნენ ცხენით და ურმით, მხარზე კაპარჭები და ბალღები ეკიდათ უსაშველოდ აღნავლებულნი. უწესრიგოდ მომდინარე ურდოებს ბღავილით უკან მოსდევდნენ ჯოგები, თვალბრიალა ძაღლები, სახედრები და მოჭიხვინე ცხენების რემა.

ამის დანახვაზე შეკრთა კეისარი, ბაკურიანი უკვე მზად იყო ორიოდე ათასი თოროსანი რაინდის ამარა შებრძოლებოდა მათ.

სწორედ ამ დროს მოვიდა მალემსრბოლი და აუწყა ალექსის: ყიფჩაღნი გეახლნენო მაშველად.

ალექსიმ მიიპატიჟა ყიფჩაღთა უმთავრესნი ტოგორტაკ და ტოგორტა.

სასწრაფოდ გაშალეს ბიზანტიური სუფრა კეისრის კარავში.

როცა ტოგორტაკი და ტოგორტა ათიოდე ვაჟკაცის თანხლებით კარავს მიეახლნენ, ისინი იმ სიმაღლენი იყვნენ, ვერც ერთი ვერ შემოეტია კარში.

კეისარი და ბაკურიანი თავათ სთავაზობდნენ მათ ნაირნაირ ბიზანტიურ საჭმელს, ცხიმოვანს, დაშაქრულს, შემწვარსა და მოხარშულს. მაგრამ პურმარილზე უარი სთქვეს მათ.

ტოგორტაკ და ტოგორტა გაოცებულნი შეცქეროდნენ ოქროს თოროსან იმპერატორსა და დასავლეთის დომესტიკს. ისინი მოურიდებლად ხელს ახლებ-

ლნენ ხან ალექსის, ხან გრიგოლის აბჯარს, ვადამოქვრილ ხმლებს, ვერცხლის კაპარჭებს, ბალღივით აღტაცებულნი იღრიჭებოდნენ, თავიანთ მტაცებლურ, წვეტიან კბილებს აჩენდნენ და თარჯიმანის მეოხებით ეკითხებოდნენ კეისარს:

ვის მოსტაცეო ესა?

ალექსიმ რა დაინახა საჭმელს პირი არ დააკარეს ველურებმა, თავათ დაიწყო ჭამა, ბაკურიანსა და კატეპან სინეზის ანიშნა: თქვენაც მიირთვითო.

როცა მასპინძლებმა პურობა დაიწყეს, ყიფჩაღნიც გამხნევდნენ, მაგრამ ყველიჭამია მომთაბარენი ყველს დახარბდნენ უპირატესად.

კეისარმა ღვინო დაუსხა ტოგორტაკს, მან ჩაიგუბა პირში, მერე გამოაპურჭყა გაბუშტულ პირიდან და კეისარს შეაშხეფა სამოსზე.

ოქროსვადიანი ხმალი აჩუქა კეისარმა ყიფჩაღთა უმთავრესთ, ჯაჭვის პერანგიც მიუბოძა თითო.

ბალღებივით გაიხარეს სტუმრებმა.

წამოდგა ტოგორტაკ, მხარზე ხელი დაჰკრა კეისარს და მიუბრუნდა თარჯიმანს:

„უთხარი ამ ოქროსსამოსიან მეფეს. სამი დღე გვაცალოს ოლონდ და ჩვენ ჩვენებურად გავუსწორდებით პაჭანიკებს“.

ახლა იმპერატორი ეუბნება თარჯიმანს:

გადაუთარგმნე მათ: ათი დღეც მომიცია თქო.

თარჯიმანი ბერძენი ბერი იყო, მან ყიფჩაღური კარგად არ იცოდა, ამიტომ მის ნათქვამიდან ასე გაიგო ტოგორტაკმა, თითქოს კეისარს ებრძანებინა მხოლოდ ათი დღის შემდეგ შეუტიეთო ყიფჩაღებს. ამიტომაც ვაგლახად მოიღუშა ტოგორტაკ, პურობა მიატოვა და ამალითურთ გავიდა კარვიდან.

ცხენებს შემოასხდნენ სტუმრები და ყიფჩაღთა ბანაკში წავიდნენ.

როგორც კეისარი, ისე ბაკურიანიც ქვეშეცნეულად მიხვდნენ, უკმაყოფილონი რომ წავიდნენ ყიფჩაღთა უმთავრესნი, მაგრამ მიზეზისთვის ვერ მიეკვლიათ.

თარჯიმანი იხმო კეისარმა, გამოჰკითხა კარგად, თუ გადაუთარგმნეო ჩემი ნათქვამი ტოგორტაკს? ორმოცი წმინდანი დაიფიცა ბერმა, შენი ნაბრძანები ჯეროვნად გადავეციო.

სამი დღე გავიდა, ჭაჭანება არსაიდან ისმოდა. მსტოვარებს აგზავნიდა იმპერატორი, პაჭანიკები თავიანთ ბანაკში იყვნენ გატვრინულნი. არც ყიფჩაღნი იძვროდნენ იმ კორდებიდან, სადაც თავიდანვე დაბანაკდნენ ისინი.

ალექსი კომნინს შეეშინდა, ვაჲ თუ მეამბოხე ჩახამ მოალწიოს, ყიფჩაღებსა და პაჭანიკებს სისხლის მიერი ნათესაობა მოაგონოს და საერთო ძალით შეგვმუსრონო თურქთა.

ერთ საღამოს შესხდნენ ცხენებზე ალექსი კომნინი, გრიგოლ ბაკურიანი და კატეპანი სინეზი, მტრის ბანაკის დასაზვერად წავიდნენ.

აღმოსავლეთისკენ შენიშნა ბაკურიანმა უამრავი ურემი მოჭრიალობდა ჩამოძონძილი ხალხით დატვირთული.

ალექსი შეკრთა, ალბათ, გვიახლოვდებაო მტერი და ბანაკში აფრინა მალემსრბოლი დაუყონებლივ.

მცირე ხნის შემდეგ სხვა მალემსრბოლი მოვიდა. ეს ნიკიფორე მელისინის მიერ მოგზავნილნი მწყემსნი აღმოჩნდნენ, ბულღარნი და ბლახნი.

ტოგორტაკსა და ტოგორტას ეჩქარებოდათ კეისარისაგან ქრთამების მიღება, ხუთი დღე იცადეს კიდევ და გამოუგზავნეს მოციქული ალექსის:

„სანამდის უნდა ვუცადოთ ომის დაწყებას, იცოდე კიდევ საქ. ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააგელვებდა ცხენს ყიფჩაღთა შორის და ქრისტეს სახელით ემუდარებოდა დაინდევითო ყრმანი.

ყიფჩაღნი სიცილს ვეღარ იკავებდნენ, თავებს წააცლიდნენ ბავშვებს, ერმე ჰოროლზე აგებდნენ თავებს და ბურთივით ისროდნენ ხრამებში.

სამ დღეს გაგრძელდა პაჭანიკების ხოცვა, გადარჩენილთ იარაღი დაჰყარეს, მახლობელ ჩირგვებს შეეხიზნენ, მაგრამ ვერც კეისარმა, ვეღარც ბაკურიანმა და წილკნელმა შესძლეს გამხეცებულ ყიფჩაღების დაოკება.

დააგელვებდნენ ჩირგვებში ცხენებს, თავს აცლიდნენ უიარაღოთ, სამოსსა ხდიდნენ, თვალებსა სთხრიდნენ, წაჭრილ თავებსა და მარჯვენებს აქუჩებდნენ ერთად.

მხოლოდ სამიოდე ათასი ტყვედ წამოიყვანეს ბერძნებმა და დასავლეთელმა რაინდებმა თავიანთ ბანაკში. ყიფჩაღები მათაც უპირებდნენ დახოცვას, მაგრამ არა ქნა კეისარმა.

*
* *

ერთ საღამოს ალექსიმ უბრძანა ბაკურიანს: ტყვე პაჭანიკებს იარაღი აჰყარეთ და გუშაგნი მიუჩინეთო.

ეს ბრძანება დაუყონებლივ შეასრულეს, მაგრამ ნაშუაღამევს კატეპანი სინეზი ეახლა ბაკურიანს და სთხოვა, კეისარი გააღვიძეთო.

ალექსი გააღვიძეს და სინეზიმ მოახსენა:

„გვიჯობს ამაღამვე დავხოცოთ ტყვე პაჭანიკნი, რადგან მსტოვარებმა ამბავი მოგვიტანეს: ყიფჩაღთა ბანაკში ნანობენ უკვე, აგრე უმოწყალოდ რად დავხოცეთო უიარაღო პაჭანიკნი?

ბალღებსა ჰგვანან ეს ველურნი, დასძინა სინეზიმ. ერთ წუთში კაცს მოჰკლავენ და მერმე თვითონვე ინანებენ, მე მეშინია სიბრალულმა არ იბარტყოს, ტყვე პაჭანიკნი არ გამოგვტაცონ და საერთო ძალით არ შეგვმუსრონ თურქთა“.

დასძინა კატეპანმა სინეზიმ.

ქრისტიანი იმპერატორი აიმღვრა.

„პაჭანიკნი სკვითები არიან, მაინც ხომ ადამიანები არიან ისინი, მოდი სიცოცხლე მაინც შევარჩინოთო მაგ ბედშავთ“.

იმპერატორმა ძილი განაგრძო.

მთელ ღამეს ძილფხიზლობდა სინეზი.

წასთვლემდა თუ არა, მგლის ყმუილი მოესმოდა. ასე იფიქრა: დახოცილთა გვამების საძიებელად მოსულაო ნადირი. სადაცაა დაერევა ცხედრებს და დაცხრებაო.

მაინც ყმუოდა მგელი.

წარგზავნა მოისარნი და უბრძანა: მოჰკალითო ნადირი. მობრუნდნენ მოისარნი და მოახსენეს: მგელი კი არა, კაცი ყმუისო მგლისებრ.

გაოცდა კატეპანი, თარჯიმანი გააღვიძა.

გამოირკვა: ტოგორტაკს სჩვეოდა მგლისებრ ყმუილი გამარჯვების შემდეგ. სინეზის შეეშინდა, ალბათ, ტოგორტაკი იმადაც მოსულა ასე ახლოს, ყმუილით ანიშნებსო პაჭანიკ ტყვეებს რაღაცას.

წამოჰყარა მოისარნი და მძინარე პაჭანიკებს თავები დააყრევინეს ბერძნებმა.

მეორე დილასვე გაიგეს ეს ამბავი ყიფჩაღთა ბანაკში. ტოგორტაკს და ტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორტას შეეშინდათ, ჩვენ არ დაგვაბრალოსო კეისარმა ტყვე აჩქარებთ დახოცვა, აჰყარეს ბანაკი და მიაშურეს ტრამალებს. კეისრის მიერ შეპირებულ საჩუქრებსაც აღარ მოუცადეს.

ასე რომ გრიგოლ ბაკურიანს იმედი გაუცრუვდა: მან ველარ შესძლო გამარჯვებულ ყიფჩაღებთან მოლაპარაკების დაწყება.

წილკნელმა ეპისკოპოსმა თორი დაუბრუნა იმავე დღეს ბაკურიანს: დავით მეფის ნაბრძანები უნდა შევასრულოვო, ანაფორა გადაიცვა, ხმლის ნაცვლად, თავისი თითბერის ჯვარი დაიკიდა კვლავ. ბაკურიანსა და ბეჭისციხის პატრონს დაემშვიდობა და იმავე გზით გაჰქუსლა ცხენი, საითკენაც ყიფჩაღნი მიეფარნენ თვალს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი კაჭახიძე

სამამულო ომში
დაღუპულ გმირებისადმი

მტერმა სვავები ცაში შეჰყარა,
მტაცებელ ურდოდ დასძრა მან ჯარი;
მტერს წინ აღუდგა ჩვენი ქვეყანა,
და თქვენც აისხით მარჯვედ აბჯარი.

ურდოს ეკვეთეთ თავგამეტებით,
მკერდში ჩაიდგით რისხვად ქვაგული,
რომ მხნედ დაგეცვათ დები, დედები
და ხატოვანი ჩვენი მამული.

შემოგყურებდნენ ცეცხლის თვალებით
ხშირად სოფლები და სადგურები, —
თქვენც ცეცხლდებოდით და გამალებით
მტერს გამხეცებულს ანადგურებდით.

გავდით ურდოზე მეხის დაცემას,
სამშობლოს ბედი გაინაწილეთ.
გზრდიდათ მამული თქვენ დევკაცებად,
გწვრთნიდათ დედები როგორც არწივებს.

მედგრად იბრძოდით, კაცებრ იცხოვრეთ,
თქვენს ვაჟკაცობას ვინ არ ინატრებს!
სამშობლოსათვის დასთმეთ სიცოცხლე,
როგორც ჩვევოდათ ჩვენს გმირ წინაპრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ქვეყნისთვის ბრძოლა ქებული,
ანდა გმირები განა კვდებიან!
თქვენით ჭაბუკნი გულანთებულნი
ლეგიონებად ფრონტზე დგებიან.

თქვენი სიცოცხლის მძლავრი ზვირთები
ლონედ ერთვიან ქვეყნის დამცველებს...
არ დაცემულხართ, ისევ ინთებით,
გმირულ სიცოცხლეს ისევ აგრძელებთ.

ისევ მოგვესმის თქვენი ძახილი,
საიერიშოდ გრაზმავთ ხმა ბრძოლის;
ისევ მტრებს გმირავს თქვენი მახვილი,
თქვენი ყუმბარა მარჯვედ ნასროლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ თავაძე

უკანასკნელი და გადამწყვეტი

რომანი

I

ქალის გული

კვირას, 1941 წლის 22 ივნისს, სამსონ ლომთაძე აივანზე იჯდა ჩაფიქრებული.

დღის პირველი საათი ახლოვდებოდა. სიცხე მატულობდა. თბილისის ტაფობში ალმურისებური ჰაერი გუბდებოდა.

არც თუ მთლად ნაღვლიანი იყო სამსონის ფიქრები, მცირეოდენი სევდა შეპარულიყო მხოლოდ მის გულში და თავს ისე გრძნობდა, თითქო რალაც ამოუხსნელი ამოცანის წინაშე დგასო.

თვალწინ ესახებოდა ახალგაზრდა ქალი, პირსავსე, ტანადი; შავი თვალწარბი, მუქი წაბლისფერი თმა, ლამაზად შელერებული ყელი, დამცინავ ღიმილს ჩვეული ტუჩები.

კარგა ხანია იცნობდა ეთერს. არც ისე მორცხვი და გამოუცდელი ჭაბუკი იყო, რომ ქალისათვის გული ვერ გადაეშალა, მაგრამ მის გვერდით თავს ყოველთვის შეჯაჭვულად გრძნობდა,—საოცარი ძალით იპყრობდა ეს გაბედული, მუდამ მკვირცხლი ქალიშვილი. რალაც ისეთი უნარით იყო დაჯილდოებული, რომ სამსონს ხშირად სათქმელად მომზადებული სიტყვები ბაგეებზე შეაშრებოდა, ეთერის დამცინავ ღიმილს თვალს აარიდებდა და გულჩათხრობილი გაჰყვებოდა გვერდით.

ხანდახან გულიც კი მოსდიოდა: რას ამაყობს? ვითომ ვერც კი ამჩნევს, თუ როგორ იტანჯება ვაჟკაცი მისი სიყვარულით. ერთხელ მაინც ეგრძნობინებინა ეთერს გარკვევით — იზიარებს თუ არა სამსონის მისწრაფებას.

არა, ამას ბოლო უნდა მოეღოს. ამ საღამოს ბაღში გაიწვევს და პირდაპირ დაუსვამს კითხვას...

სამსონის ზურგს უკან, სახლის კედელზე, რადიოს რუპორი იყო მიდგმული. უცებ რალაც უჩვეულო ხმა გაისმა, მკვეთრი, მოულოდნელი.

ამხანაგმა მოლოტოვმა თავისი ისტორიული სიტყვა დაიწყო...

მიწყდა ხმები.

სამსონი სწრაფად წამოდგა. მოვარვარე სივრცეს თვალი მიაპყრო. მყისვე მიხვდა, რომ ამაზე უდიდესი მოვლენა მას ჯერ ცხოვრებაში არ განეცადა. მრავალჯერ უფიქრნია თავდასხმაზე, ორი ქვეყნის სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახებაზე, მაგრამ ახლა ამ ამბავმა ყველაფერს გადააჭარბა, ახლა უმალვე თვალწინ დაუდგა რალაც შხამიანი ურჩხულის მსგავსი მხეცი, რომელიც ჩვენს

წმინდა მამულში მოიზლაზნება და სიკვდილით ემუქრება ყველაფერს, რაც კი მზეს, სიცოცხლეს ეტრფის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე რა კარგად იცნობს სამსონი იმ ადგილებს, რომელსაც ახლა ბატონმა თავისი სისხლიანი ბრჭყალი შეახო. სულ ცხრა თვეა, იქიდან რომ დაბრუნდა. სამ წელიწადს მსახურებდა არმიაში და დასავლეთ უკრაინის განთავისუფლებისათვის ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა.

მრავალმა სურათმა გაუელვა თვალწინ და უნებლიედ ისიც კი მოაგონდა, კარპატის მთებში სანადიროდ რომ ახლდა თავის უფროსს. კარგი მსროლელი იყო სამსონი და უფროსმა იმიტომ აირჩია...

სულ მცირე ხანს იყო გარინდული, მერე მარჯვედ შებრუნდა და ხელი აიქნია, თან ხმამაღლა დასძინა:

— ეიჰეი, ბიჭებო!..

შინ არავინ იყო. სწრაფად გამოხურა კარი და გასაღები დანიშნულ ალაგას შეინახა.

ქუჩაში ხალხი ჩვეულებრივად მიმოდიოდა, მაგრამ სამსონს ყველაფერი შეცვლილი ეჩვენა.

რაღაც განსაკუთრებული, იდუმალად დიადი ელფერი ეფინებოდა ამ ბობოქარ მშობლიურ ქალაქს.

სამსონიც ოდნავ აჩქარებულ მოსეირნესავით მიიმართებოდა ხალხით გაჭედილ პროსპექტზე. გარეგნულად არც მას ეჩნეოდა რაიმე განსაკუთრებული, მაგრამ მისი ფრთაშესხმული წარმოსახვა თითქო უდიდეს ქარტეხილს დაჰყურებდა, ვით სივრცის მრისხანე ტალღებთან მებრძოლი არწივი...

დაიძრა, ამხედრდა, აღსდგა ის ქვეყანა, რომელმაც სამსონი აღზარდა, ქვეყანა, რომელიც მთელი თავისი ფესვებით იყო ძირგადგმული ამ ოცდაოთხი წლის ჭაბუკის არსებაში.

ბავშვობიდანვე ინერგებოდა სამსონის გულში აზრი, რომ აუცილებლად უნდა მომხდარიყო ძველისა და ახალი ქვეყნის დაჯახება, რომ ეს იქნებოდა უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა...

წლინახევრის წინათ, დასავლეთ უკრაინისაკენ დაძრული არმიის რიგებში რომ მიაბიჯებდა, მაშინ ცხოვლად გრძნობდა, რომ ახლოვდებოდა ამ გადამწყვეტი ბრძოლის დასაწყისი...

ჰო-და, სწორედ ეს ჟამი დადგა ახლა: დაიძრა, აღსდგა, ამხედრდა მშობელი ქვეყანა. ახლა თვალნათლივ ნახავს ვერაგი მტერი, თუ რა დაუშრეტელია საბჭოთა ხალხის ძლევამოსილება...

სამსონმა იცოდა, რომ დაუყოვნებლივ უნდა წასულიყო არმიაში, მაგრამ ის ახლა ამაზე არა ფიქრობდა, ეს თავისთავად იგულისხმებოდა.

მიდიოდა ხალხით გაჭედილ პროსპექტზე და ასე ეგონა, რომ ამ ადამიანებისაგან რაღაც იდუმალი შუქი გამოკრთოდა, გამაერთიანებელი, დამრაზმავი შუქი სიყვარულისა...

რა კარგია, რომ შეიძლებოდეს ყველას გაესაუბროს, ძმურად მოეხვიოს, უთხრას:

— ხედავთ, უკვე დადგა უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლის ჟამი...

ალმართს აჰყვა.

ეამა, ნაცნობ ხეებს რომ თვალი შეავლო.

ახლა თითქო ეს ხეებიც რაღაც განსაკუთრებულის იერით გამოიყურებიან,

თითქო ყველაფერს ის ცხოველმყოფელი სხივი ამშვენებს, რომელიც არასოდეს არა ჰქრება, თაობიდან თაობაში გადადის...

ჭიშკარს მიადგა... ახლა მიხვდა, რომ აქ უდროო დროს მოვიდა. სულ არ უფიქრია აქ მოსვლაზე, თავისთავად ამოჰყვა ნაცნობ გზას.

ეზოში ახალგაზრდა ხეები და ყვავილები იყო ბლომად.

მოკრძალებით შეათვალიერა სამსონმა ყველა კუთხე.

არა ღირს ახლა გამოჩენა, უხერხულია... თუმცა...

აგერ ეზოში გამოვიდა ეთერი. ლამაზფოთლებიანი კაბა აცვია, გულამოჭრილი, უსახელო. მზისაგან დამწვარი მხრები და მკლავები ხორბლისფრად უელვარებენ. მსხვილი ნაწნავები დიადემასავით აქვს თავზე შემოხვეული.

არასოდეს არ მოსჩენებია სამსონს იგი ასე მიმზიდველი, ასე მახლობელი.

არა, სწორედ ახლა უნდა მივიდეს მასთან, რომ თავისი მღელვარე გრძნობები გაუზიაროს.

მაინც მორიდებულად გადადგა ნაბიჯი.

ეთერმა მაშინვე მოჰკრა თვალი და ინსტიქტურად სამოსზე დაიხედა, წელთან კაბის ნაოჭი გაისწორა, მერე თავი ასწია და განცვიფრებით შეაცქერდა სამსონს.

— ეთერ, გაიგე, ფაშისტური გერმანია თავს დაგვესხა?

— რას ამბობ?!

კიდევ რამდენიმე კითხვა-პასუხი და უეცრად ორივენი დადუმდნენ.

ეთერმა თითქო რალაც უხერხულობა იგრძნო, დაკვირვებით შეათვალიერა სამსონი.

კაცს ეგონებოდა, ვაჟის გარეგნობაში მხოლოდ ახლა აღმოაჩინა რალაც ახალი. მისთვის სავსებით უცნობი:

საშუალოზე ოდნავ მაღალია, ჩასკვნილი, მხრებგანიერი, მაღალი, კეხიანი ცხვირი აქვს, მაგრამ დიდრონი, მუდამ ანთებული თვალები ისეთ შუქსა ჰფენენ მის მოგრძო სახეს, რომ ყველას იზიდავს თავისი ვაჟკაცური გამომეტყველებით.

ვერავინ მიხვდებოდა, ამ მიმზიდველმა ეშხმა აიძულა ეთერი, რომ თავი დაეხარა, თუ იმ კითხვამ, რომელიც მეტად უჩვეულო სინაზით წარმოსთქვა:

— სამსონ, შენც ხომ მოგიწევს ახლა წასვლა?

ეთერის კილომ ააგზნო სამსონი, თვალები გაუბრწყინდა, ალტაცებით წამოიძახა:

— რა თქმა უნდა! ჩემი ადგილი ახლა იქ არის!

უთხრა ეს და ოდნავ ხმაშეცვლილად დასძინა:

— იცი, ეთერ, რა უნდა გითხრა... რამდენი ხანია...

ეთერი ისე შეირხა, თითქო უეცრად რალაც მოაგონდაო, ხმამაღლა გაიცინა და სამსონს სიტყვა შეაწყვეტინა:

— სამსონ, დღეს მე ფეხბურთის ბილეთები შევიძინე. ხომ იცი, რა საინტერესო შეხვედრაა: ლენინგრადის დინამოელებს ეთამაშებიან ჩვენები. ახლა თუ მოვიგეთ, ლიდერს დავეწევით... შენც ხომ წამოხვალ? ზეგაა, სამშაბათს...

სამსონს სახე მოეღუშა, თვალებში ანთებული ალი ჩაუქრა. კუშტად ახედ-დახედა ეთერს.

საოცარია, სამსონს რა დიდი რამ უნდა ეთქვა და ეს რას ეუბნება?! რა დროს ფეხბურთია! სამსონს ახლა ეთერის ერთი სიტყვა, ერთი ნანატრი შე-

მოხედვა ისეთ ძალას შემატებდა, რომ მტერს ლომივით ეკვეთებოდა. ეს კი... მოდი ახლა და გაიგე ქალის გული?!

„რა საჭირო იყო ახლა აქ ჩემი მოსვლაო“, უსაყვედურა თავს ეთერს ისე გაუწოდა ხელი, თითქო სამუდამოდ ემშვიდობებაო.

— მართლა, სამსონ, ხომ წამოხვალ? თუ ჩემი ხათრი გაქვს...

— არა... ვნახოთ... იქნება წამოვიდე.

ჩაილაპარაკა სამსონმა და სწრაფად განშორდა.

სამშაბათს ნაშუადღემდის ებრძოდა თავს სამსონი—გაევლო თუ არა ეთერთან? ხომ იცის მისი ხასიათი, როგორაა გატაცებული სპორტით. თვითონაც მშვენიერი ჩოგბურთელია, მცურავი, გაბედული ველოსიპედისტი... კი, მაგრამ რატომაა, რომ ყოველთვის, როცა სამსონი მრავალგზის გამომჟღავნებული გრძნობის გამხელას დაუპირებს, ეთერი წამსვე სხვა საგანზე ჩამოუგდებს საუბარს? ნუ თუ არ იცის? იცის, როგორ არა. მაშ რა არის: კაცი ფრონტზე მიდიოდეს, მტერს უნდა შეებას და აგერ ერთი უბრალო გოგოსათვის კითხვა პირდაპირ ვერ დაუსვამს? არა, გაუვლის... საინტერესოა მაინც, რას უპასუხებს...

სტადიონის წინ, სალაროებთან ხალხი თანდათან მატულობდა.

ცხელოდა.

ლამაზად აქოჩრილი ახალგაზრდა ხეების ჩრდილები ალმოდებულივით **ირთოდნენ გახურებულ** ასფალტზე.

ეთერი სამსონს წინ უსწრებდა. მიიჩქაროდა. ამ ხერხით აწყვეტინებდა რამდენჯერმე წამოწყებულ სათქმელს.

გუნდები უკვე გამოდიოდნენ მოედანზე, მეორე იარუსზე რომ მოთავსდნენ. მეტად ცოცხალი თამაში გაიმართა. ეთერი აღტაცებული იყო. მთელი თავისი არსებით იღებდა მონაწილეობას თავგამოდებულ შეჯიბრებაში.

თბილისელებმა უპირატესობას მიაღწიეს.

გასასვლელისაკენ დაძრულ ხალხის ტალღას რომ მიჰყვებოდნენ, ეთერმა სამსონს ხელი მხარზე დააყრდნო და ნაღვლიანად ჩაილაპარაკა:

— რა არის ადამიანი! ჩვენ აქ ფეხბურთით ვერთობით, იქ კი ზღვა სისხლი იღვრება!

სამსონს გულში ჩაწვდა ეთერის სიტყვები და მხარზე დაყრდნობილი ხელის სითბო. დაუფარავი სიყვარულით შეავლო სახეზე თვალი, ხმა კი არ დაუძრავს, ვინაიდან ამ შეჯგუფებულ ხალხში არ გამოითქმებოდა მის გულში ნაფეთქი სიხარული.

ფართო პროსპექტზე გაშლილ ხალხს მიჰყვებოდნენ. ირგვლივ ჩვეულებრივად მისაუბრობდნენ, ოხუნჯობდნენ, იცინოდნენ...

ეს იყო თავის ძლიერებაში, თავის გამარჯვებაში შეურყევლად დარწმუნებული ხალხი. სამსონთან ერთად აქ იყვნენ ვაჟკაცები, რომლებიც ხვალ თუ ზეგ წითელი არმიის რიგებში უნდა ჩამდგარიყვნენ. სამსონის არსებაში ღრმად იყო ფესვგადგმული რწმენა, რომ ამ ტიტანური ბრძოლიდან გამარჯვებული დაბრუნდებოდა. მაგრამ მაინც რაღაცა აკლდა, მაინც სწყუროდა ეთერისაგან ნანატრი პასუხის მიღება.

— ეთერ, მოდი ამ ბაღში შევუხვიოთ, ორიოდე სიტყვა უნდა გითხრა...

— ვიცი, ვიცი! — შემკრთალივით წამოიძახა ეთერმა და მკლავი გაინთავისუფლა.

— ახლა ამხანაგები მელოდებიან. მეტად საჩქარო საქმე გვაქვს. წაველამდე კიდევ ვნახავთ ერთმანეთს.

ეს უთხრა და იქვე ახლოს გაჩერებულ ტროლეიბუსს მიაშურა. სამსონი გაარღვია და ნახევრად მიხურულ კარში გაძვრა.

სამსონი სახტად დარჩა. ერთ წამს გაშეშებული იდგა ქუჩაში, მერე თვალები მრისხანედ აანთო, სქელი წარბები შეკმუხნა და ხელი მოწყვეტით ჩაიქნია.

მორჩა! ამიერიდან მის სახელსაც კი არ ახსენებს. სადა სცალია ახლა ამ თავნება გოგოსათვის?! ხვალ გასაწვევ პუნქტში უნდა გამოცხადდეს... ეჰ, რას გაიგებს კაცი, თუ რა არის ქალის გულში! ცვალებადია ისე, როგორც დღე და ღამე, როგორც ზამთარი და გაზაფხული...

მესამე დღეს მხედრულად გამოწყობილი სამსონი „პალას ოტელის“ წინ იდგა თავის რაზმეულში, — რესტორანში სასადილოდ უნდა შესულიყვნენ. მხედრული ქუდი უფრო ამაღლებდა მის კეხიან ცხვირს, დიდრონ თვალებს უფართოვებდა და თან მისი მოგრძო სახის იმ ჯავარსაც უფრო აჩენდა, რომელიც ომში მიმავალ ვაჟკაცს ამშვენებს.

აგერ სამსონის მახლობლად მხედრულად მორთულ ქალთა მწკრივი შეჩერდა. ექიმები, ფერშლები და მედიცინის დები უნდა იყვნენ. ზოგს მხედრული ფეხსაცმელი ხელში უჭირავს, ერთს მხარზე გადაუკიდნია გრეხილით ურთიერთს მიბმული. ალბათ, საწყობიდან ახლა მიუღიათ. მამაცად გამოიყურებიან, სახე ულიმით.

სათითაოდ გააყოლა მათ სამსონმა თვალი და უცებ თავიდან ტერფამდის ერუანტელმა დაუარა.

ნუ თუ ეს ეთერია?!

მოლისფერი ხალათი აცვია, ვიწრო წელზე წაბლისფერი ქამარი შემოუკრავს, გრუზა თმა კეფაზე დაუხვევია და თავზე ვარსკვლავიანი მხედრული ქუდი ჰხურავს.

ერთსა და იმავე დროს მოჰკრეს ურთიერთს თვალი. ეთერს სავსე ღაწვები შეეფაკლა, თვალები აუციმციმდა.

ერთბაშად მოსწყდა ადგილს სამსონი და ეთერთან მიიჭრა.

— ეთერ! ნუთუ?

— ჰო, მეც მოვდივარ...

არასოდეს ასე თანაზიარი არ ყოფილა მათი სიტყვები. სახის ყოველი მოძრაობაც მათი გახსნილი გულის ანარეკლი იყო. მხედრულმა გრძნობამ შეადუღა მათი სულისკვეთება.

— ხომ იცი, ეთერ, რა უნდა მეთქვა შენთვის?

ქალმა ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ არავინ არ დაუნახავს, მარტოოდენ ვაჟის სახე ედგა თვალწინ.

— ვიცი, ვიცი... მოიწი ახლოს...

და შემდეგ ხმას დაუწია:

— ჯერ გავიმარჯვოთ... ხომ გესმის?

II

ᲒᲖᲐᲨᲘ

მატარებელი რომელიღაც სადგურიდან დაიძრა.

სამსონს გამოელვიძა. ჯერ შეწყვეტილ სიზმარს ჩაუკვირდა. ზოგი რამ გაიხსენა. ორნაირი იყო ეს სიზმარი—ნათელი და შავი: პირველად საუცხოოდ

აყვავებულ მშობლიურ მიდამოს შეჰხაროდა, რაკი იქვე, მის გვერდით, ეთერი იყო, მხიარული, თვალებგაბრწყინვებული. ერთხელაც არ შეგინიშნავს მის ტუჩებზე დამცინავი ღიმილი. ტკბილად მისაუბრობდნენ... შემდეგ ... საშინელი უფსკრულები დაიწყო, მღვრიე წყლით სავსე ორმოები...

რამდენჯერმე მოისვა თვალზე ხელი, რომ იმ ჯურღმულებისათვის აღარ ეცქირა. მერე ფრთხილად წაიწია და ისე მიჩოჩდა ვაგონის კართან, რომ ამხანაგები არ გაუღვიძებია.

ეამა გრილი ჰაერი.

ახალი გათენებული იყო. ირგვლივ გაშლილ ტრამალებს მზის შუქი ჯერ არ მოჰფენოდა. შორს, ძალიან შორს, ცას მიბჯენოდა მთების ზოლი, ალისფრად მოკამკამე.

დიდხანს ვერ მოსწყვიტა თვალი სამსონმა იმ მწვერვალებს.

ხანგრძლივი ცქერისაგან თვალი დაენამა, გამჭვირვალე ბურუსში გაეხვია შორეული მთაგრეხილი. მერე თითქო ცისფერი დოლბანდი შეირხა და თოვლივით თეთრი თმით შემობარდნილი დედის სახე მოეჩვენა. სწორედ ასე გამოიყურებოდა ის გამოთხოვებისას. ტუჩები უთრთოდა და მოალერსე ხმით იმეორებდა:

— აბა, შენ იცი, შვილო...

საკვირველია! დედის სახე თანდათან მიიმალა სივრცეში და... პატარა სამსონი ღელის პირად ზის, ხელში კენჭები შერჩენია და ცამდე აწვდილ მთებს გაჰყურებს. რამდენჯერ უნატრია — ასულიყო იქ და მთელი ქვეყნიერებისათვის თვალი მოევლო...

უცებ ამხანაგის ხელი დაეყრდნო მხარზე. მიიხედა. მამედ ქერიმოვის გაღიმებული თვალები შეეფეთა.

— რამ ჩაგაფიქრა, ძმობილო? — დაბალი ხმით უთხრა მამედმა და მისკენ მიიწია, მხარი მხარს მიაყრდნო

წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო მამედი, შავგრემანი, ცხვირმაღალი. მზისგან დაძწვარი მოგრძო სახე ფოლადივით უელვარებდა. მხოლოდ სიცილის დროს შეეკეცებოდა გატკეცილი ლოყები, ალმასივით თეთრი კბილები გამოუჩნდებოდა და ოდნავ წამოკარკლული თვალები მოეჭუტებოდა.

ბაქოელი მუშის შვილი იყო, ქალაქში გაზრდილი. რუსული გვარიანად იცოდა, მაგრამ ლაპარაკში ხშირად გაურევდა ხოლმე „ყარდაშ", „იოლდაშ" (ძმაო, ამხანაგო).

— იცი, სამსონ, ყარდაშ...

წამოიწყო მამედმა და მძინარე ამხანაგებს მოავლო თვალი, შემდეგ ზღვასავით გაშლილ ველებს დააცქერდა:

— ჰო, ვიცი, რაზედაც ფიქრობ... დიდ საქმეზე მივდივართ, სიკვდილს თვალში უნდა ვუცქიროთ... მე ერთი მოხუცი მეგობარი მყავდა, ათას უბედურებაში გამოვლილი კაცი. იმან მითხრა ერთხელ: სიკვდილი მხდალს ეძებსო. თუ მის ცივ თვალებს თვალი ვერ გაუსწორე და ზურგი შეაქციე, მაშინვე დაგეწევა, ჩაგავლებს ყელში ხელს და გაგგუდავსო... ეს მართალია, იოლდაშ...

მატარებელი ხიდზე აგრიალდა. უცნობმა მდინარემ თვალი მოსტაცა მამედს და საუბარი შესწყვიტა

თავთავებ-დახრილი პური ბიბინებდა თვალუწვდენელ ველზე, ისე მშვიდად ლივლივებდნენ ოდნავ დაკლაკნილი ჭავლები, თითქო ქვეყნად მარტოოდენ სიმშვიდეა, საამო ნიავით დამტკბარი.

აგერ რომელიღაც სოფელი, — თეთრი სახლები, ბაღები, ხეხილნარი...

— შეხედე, სამსონ, — განაგრძო მცირე დუმილის შემდეგ, — რა კარგი სოფელია! ცხოვრობდა ტკბილად ხალხი, შრომობდა [illegible] ასე იყო ყველგან, მთელს ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ ჩვენთვის ახალი ცხოვრება შევქმენით, ვიზრდებოდით, წინ მივდიოდით... წამოვიდა ახლა ის ჯალათი და იმუქრება — უნდა დაგანგრიოთ, უნდა დაგიმონოთო. ისე უნდა იცხოვროთ, როგორც მე მესიამოვნებაო. ტირანს კი, ხომ იცი, რა ესიამოვნება — ქედმოხრილი, მორჩილი, ცხვრებივით უსიტყვო ხალხი... ახლა ერთი გზაა — ან სიკვდილი, ან გამარჯვება. რაღაც რთული ამბავია ეს, ძნელად გამოსათქმელი. მე კი მგონია, რომ ამ ბრძოლაში სიკვდილიც კი სიცოცხლეს უდრის... მიხვდი, რატომ? ერთის, გინდ ასის სიკვდილი მილიონების, მთელი თაობების თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებას ხიდად გაედება...

სამსონმა განცვიფრებით შეხედა მამედს. თითქო პირველად შენიშნაო მისი თაფლისფერი თვალების ელვარება, მცირე, სულ მცირე ნაოჭი გადაშვილდული წარბების ძირებში და ისეთი გულითადი გამომეტყველება, გეგონება სიყრმიდანვე თანშეზრდილი ადამიანი ესაუბრებაო.

მაინც ეუცხოვა მამედის უკანასკნელი სიტყვები. არასოდეს სიკვდილზე ასე არ უფიქრია. იცოდა, რომ ბრძოლაში მრავალი დაიღუპებოდა, მაგრამ თავის თავზე ეს ვერ წარმოედგინა. მის გონებას არასოდეს არ უხილავს მკვდარი, სამარეში ჩასვენებული სამსონი. ახლა კი მამედი სიკვდილშიაც სიცოცხლეს ხედავს. შესაძლოა, ეს მხოლოდ სათქმელადაა ადვილი, ისე კი...

— უცნაურად ლაპარაკობ, მამედ! სიკვდილს ჩვენთან რა უნდა? ჩვენ მხოლოდ გამარჯვება გვიწერია... რა ჯანდაბად მინდა სიკვდილი! მე ვიცი, რომ გავიმარჯვებთ. ეს რწმენა მექნება მუდამ, ვიდრე პირში სული მიდგას. მერე კი მე ვერაფერს გავიგებ და არც მინდა ვიფიქრო იმაზე, რასაც ვერ გავიგებ.

— მართალს ამბობ, ძმაო... მაგრამ ვისაც სიკვდილისა ეშინიან, ის ადვილად გადაიჩეხება უფსკრულში... წინასწარ უნდა შეურიგდე, თუ მოკვდები, მოკვდი სამშობლოსათვის... მხოლოდ ისე უნდა მოკვდე, რომ შენმა სისხლმა უხვად მორწყოს ნიადაგი ახალი სიცოცხლისათვის...

— კარგი, გეყოფა, მამედ! — მკაცრად შეაწყვეტინა სამსონმა. — რა მოგვიდა ამ დილას, სულ სიკვდილზე ლაპარაკობ. ყორანი ხომ არა ხარ...

— არც ბულბული ვარ. ზარბაზნების გრიალში ბულბულის ხმას ვერ გაიგონებ... ყური მიგდე, ოლდაშ, სამსონ! მე შენ მომეწონე, კაი ბიჭი ხარ. მე ერთი თქვენი მწერლის მოთხრობა წავიკითხე. იმაში ეწერა... მოდი დავძმობილდეთ. ასე სოდნიათ ძველად. სადაც არ უნდა ვიყოთ, ერთმანეთი გვახსოვდეს, ერთმანეთს მივხედოთ...

სამსონს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. გაფართოებული თვალები შეაშუქა მამედს. იგრძნო, რომ ეს წამი ღრმა კვალს ავლებდა მის გულში.

მცირე ხანს სდუმდნენ, ურთიერთს თვალმიპყრობილნი.

მერე უსიტყვოდ ასწია ხელი სამსონმა, მამედს ყელზე მოხვია და მხურვალედ აკოცა.

— ეც შემიყვარდი, მამედ. ვიყოთ ძმები ჭირშიაც და ლხინშიაც.

მღელვარე ხმით უთხრა სამსონმა და ალერსით თავზე ხელი მოუსვა.

მამედს ლიმჩამდგარი თვალები გაუბრწყინდა, ტუჩები შეერხა, ვინაიდან ბუნებრივად შემოწოლილი გრძნობის გამოთქმა ვერ მოახერხა. ნერწყვი გადაყლაპა და მოკლედ მოსჭრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შინ ცოცხალი ნუ დაბრუნდეს, ვინც ამ წმინდა ფიცს ულალატოს!..
წამიც არ გასულა, რომ პროპელერის ზუზუნი მოესმათ.
ნატარებელი მთელი სისწრაფით მიჰქროდა.
ლიანდაგის გასწვრივ ხშირი ტყე იყო გაფენილი.
სადღაც, მატარებლის სიახლოვეს, ყუმბარა გასკდა, ერთი, მეორე...
ყველას გამოელვიძა. თოფებს ჩაავლეს ხელი. უმალვე მოესმათ ლია ვაგონზე დადგმული საზენიტო ქვემეხისა და ტყვიამფრქვევის ჭექა და ჭახჭახი.
მატარებელს სვლა არ შეუნელებია.
ფაშისტური სვავების ზუზუნი ცის სიღრმეში დაინთქა.
— ჰა, ეგეც შენ! — დასჭყივლა მიხეილ სენკომ. — წადი ახლა და მოახსენე იმ შენს ცოფიან ტარტაროზს — უკვე მოდიან ბიჭები, შენი აღსასრული ახლოვდება-თქვა. ასეა ხომ, ბიჭებო?
მარჯვედ შეტრიალდა სენკო, თავი დასწია, შუბლი შეიკრა და მკაცრად მოავლო ირგვლივ თვალი.
ყველას გაეცინა.
შეუძლებელი იყო სენკოს ისე დაეძრა სიტყვა ან სახის გამომეტყველება შეეცვალა ისე, რომ ღიმილი არ გამოეწვია. რაღაც ისეთი მარილი ჰქონდა მის გამოთქმას, მის გამოხედვას, მის მიხრა-მოხრას, რომ კაცს უთუოდ სიცილის გუნებაზე დააყენებდა.
საშუალოზე ოდნავ დაბალი, ჩასკვნილი ჭაბუკი იყო. მრგვალი სახე ჰქონდა, ფართო შუბლი და წვრილი, ცისფერი თვალები, მუდამ ელვარე, მუდამ ნაპერწკლიანი. მისი მსხვილი მკლავები და ფართო ხელები ცხადჰყოფდნენ, რომ ფიზიკურ შრომას ბავშვობიდანვე იყო შეზრდილი. საამო, მჭექარე ხმა ჰქონდა, მხედრული სიმღერების წამოწყებაში ვერავინ სჯობნიდა.
ფრონტს უახლოვდებოდნენ.
კარგა ხანს იდგნენ სადგურზე. ხელპირი დაიბანეს. ისაუზმეს.
არ იჩქნევდნენ, მაგრამ ყველას შეატყობდით იმ ღრმა ფიქრს, რომელიც დიდი საქმის წინ იპყრობს ხოლმე ადამიანს.
იცინოდნენ, ოხუნჯობდნენ, ურთიერთს მოსწრებულ სიტყვებს ესროდნენ, — გულის სიღრმეში კი მწვავედ განიცდიდნენ მოახლოებული ბრძოლის ალმურს, იმ შთაგონებისებურ გზნებას, რომელიც განსაცდელის წინ იდუმლად ჰფეთქს კაცის არსებაში.
სენკო ვერ ისვენებდა. სხვა საოხუნჯო რომ შემოელია, მამედს მუცელზე მიაღირა მუშტი:
— რავა ბურჟუასავით გამოგიწევია ეგ ღიპი? გასწორდი! მებრძოლი ხარ, მესანგრე!
მამედს არავითარი ღიპი არა ჰქონდა, ალვის ხესავით ტანადი იყო. მაინც შეაკრთო უეცარმა შეძახებამ, წელში გაიმართა.
ბიჭებს სიცილი წასკდათ. მამედსაც გაეღიმა. მერე ნაძალადევად წარბები შეიჭმუხნა და სენკოს კუშტად შეუტია:
— დაიცა, მე შენ გიჩვენებ სეირს!
— მატარებელში ჩასხედით! — გაისმა ბრძანება.
წამსვე თავთავიანთ ალაგას მოეწყვნენ.
დაიძრა მატარებელი და სენკომ სიმღერა წამოიწყო.
შევარდენივით გაინავარდა მისმა წკრიალა ხმამ.
ყველანი აჰყვნენ. სახე წამოეგზნოთ, თვალებში რწმენის სხივი აუკიაფდათ.

მიჰქროდა მატარებელი, შურდულივით ჰკვეთდა სივრცეს, უკან ტოვებდა ტყეებს, ველებსა და სოფლებს. მაგრამ ამაზე უფრო ფრთამალი იყო მებრძოლთა სიმღერა: იგი ხან სიყრმიდან შეთვისებულ კუთხურ ხალკვეტებდა მერცხალივით, მშობლებს, სატრფოს, მეუღლეს ეხმატკბილებოდა, ხან ამბორს უგზავნიდა მათ, ხან მრისხანედ სჭექდა, ელვარე ხმალივით იჭრებოდა მტრების ბანაკში, მუსრს ავლებდა მათ და მაღლა, სულ მაღლა აჰქონდა თავდადებულთა სისხლით გაბრწყინვებული დროშა ძმობისა და სიყვარულისა.

მღეროდნენ და თვითეული მებრძოლი გრძნობდა, რომ ახლა ისინი არა მარტო ურთიერთის განუყრელ ნაწილს შეადგენდნენ, არამედ ღრმად იყვნენ ფესვგადგმულნი იმ მშობლიურ მიწაში, რომლის ყოველი მტკაველი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა დაეცვათ.

III

პირველი დღეები

მდინარის სიახლოვეს, მეჩხერ ტყეში, შენიღბული იყო სალაშქრო კარვები.

გალმა-გამოლმიდან ხშირად ისმოდა ზარბაზნების გრუხუნი, ტყვიამფრქვევთა კაკანი.

მტერმა რამდენჯერმე სცადა გადმოელახა მდინარე, მაგრამ ყოველთვის დიდი დანაკლისით იხევდა უკან.

მტრის ერთი რაზმი ნაპირთან მოუშვეს და შემდეგ პირწმინდად მოცელეს. ცოცხალი თითქმის ერთიც არ გადარჩენილა.

სამსონი, მამედი და სენკო ერთად იყვნენ კარავში.

ომის პირველი დღეები რაღაც ბუნდოვანი ნისლით იყო თითქო შემობურვილი. ამ ნისლს ხშირად ჰფანტავდა ყუმბარების გრიალი, თვითმფრინავების ზუზუნი, ავტომატების გაბმული ჭახჭახი. მაგრამ სამსონი გრძნობდა, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო შესაცნობი. რაც უფრო ღრმად უკვირდებოდა, მით უფრო რთულდებოდა ომის მექანიკა.

მუდამ მკვირცხლი და ოხუნჯი მიხეილ სენკოც კი ამაოდ ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი უდარდელი სიმხიარულე. ხანდახან უნებლიედ ჭკვრებოდა მის ცისფერ თვალებში ანთებული ღიმილი და გაბადრული სახე მოელუშებოდა; ემჩნეოდა, იმ წამს მეტად მწვავე ფიქრი ეუფლებოდა, თუმცა მალე გამოერკვევოდა ხოლმე და ხმამაღლა წამოიძახებდა:

— აჰ, ჯანდაბას მისი თავი!..

მერე დასძენდა:

— მოდით, ბიჭებო, ერთი რამ უნდა გიამბოთ...

ამბის მოყოლა კი ერთობ საინტერესოდ იცოდა სენკომ.

მამედ ქერიმოვი ამ დღეებში ისე გამოიყურებოდა, თითქო ლაპარაკი ეზარებაო. ხშირად იტყოდა ხოლმე:

— გავიდეთ ბარემ, დავცხოთ... მოთმინება აღარ მყოფნის...

ერთ საღამოს კი სამსონი განზე გაიხმო.

ყუმბარისაგან მოხეთქილ ხეზე ჩამოსხდნენ.

— იცი, ძმობილო, როგორ მენატრება... ჰო, შენთვის არ მიამბნია: მე ისეთი მოხუცი დედა მყავს, გეგონება, სული რომ შეუბერო, წაიქცევაო. ის კი ფეხზე მაგრა დგას. სახეზე იმდენი ნაოჭი აქვს, მთელ დღეს რომ ითვალო, ვერ დაითვლი. თვალებში კი სიბერე სულ არ ემჩნევა. გაგიღიმებს, ლოყები

ყბებში ჩაეკეცება. თვალები კი უბრწყინავს, ისე უბრწყინავს, თითქო დელის მზემ შემოგაშუქაო... მე ერთი დისწული მყავს, ორი წლისაა, ობოლი, ბედა-ჩემი ზრდის. ისეთი ცქრიალა გოგონაა, ისეთი ჩიტუნია, რომ ... ჩაისვა. ის რომ გაგიცინებს და თავის შავ თვალებს შემოგანათებს, ასე გგონია, მთელ ქვეყანაზე სიცოცხლისა და სიხარულის მეტი არაფერი არ არსებობსო... ჰო-და, სამსონ, იოლდაშ, ეს ჩემი გოგონა მომენატრა, ისე მომენატრა, თითქო მთელი წელიწადია არ მენახოს. ახლა მივხვდი, რა ყოფილა ნატვრა... თუმცა იქნება, სიკვდილის პირისპირ რომ ვდგეგვართ, იმიტომ მიტაცებს ასე მისი ნორჩი სახე, იმიტომ მწყურია მისი ხმის გაგონება...

ღამდებოდა. ტყე ოდნავ შრიალებდა.

მისწყდებოდა ზარბაზნების გრიალი, თვითმფრინავების ზუზუნი და ტყეში ისეთი სიჩუმე მყარდებოდა, თითქო არაფერიც არ მომხდარიყოს, თითქო ეს ტოტებგაშლილი ხეები უხსოვარი დროიდან დგანან აქ და ფოთლების ირთოლვით ესაუბრებიან ერთმანეთს, თითქო ადამიანების მიერ ატეხილი განგაში, მთელი ეს ორომტრიალი და ხოცვა-ჟლეტა მათ მიღმა ხდებოდეს.

ეს ყუმბარისაგან მოხეთქილი ხეც კი, რომელზედაც ახლა სამსონი და მამედი სხედან, ისე ჩაჰხუტებია მიწას, ისე ჩახვევია თავისი შტოებით, თითქო მშობლის ალერსით ვერ გამძღარაო.

— ბიჭებო, პოლიტხელი გხმობილობთ! — მოესმათ სენკოს ხმა.

მეომართა წრეში იდგა პოლიტხელი — შალვა ყიფშიძე.

ქვაბივით ჩამომხობილი მხედრული ქუდი ეხურა, იცინოდა, ოხუნჯობდა. კარგად იცნობდა თავის ხელქვეითებს, სიცოცხლით სავსე მესანგრეებსა და სნაიპერებს. იცოდა თვითეული მათგანის ხასიათი, მიდრეკილება.

თვითონ მაღალი იყო, ალვის ხესავით აშოლტილი, გეგონებოდა, მარტოოდენ ძვლებისა და ძარღვებისაგან არის შემდგარი მისი სხეულიო. მზისაგან დამწვარი სახის კანი ჩამოსხმულ ბრინჯაოსავით ჰქონდა ყბებზე შემოტკეცილი. მისი შავი თვალები ალმასივით მკვეთრად გამოიყურებოდნენ.

მთელი მისი აღნაგობა, ტანზე ლამაზად მორგებული სამოსი, გაკრიალებული ჩექმები, თოვლივით თეთრი საყელო, — ყველაფერი მის მხედრულ სიკოხტავეს ამჟღავნებდა.

მამედი და სამსონი რომ მივიდნენ, შალვამ მყისვე სერიოზული გამომეტყველება მიიღო, გამომცდელი თვალი მიაპყრო ყველას და ფოლადივით მტკიცე ხმით სთქვა:

— ამხანაგებო, ვის სურს ჩემთან წამოსვლა?

სულ მცირე დუმილის შემდეგ დასძინა:

— ადვილი საქმე არაა, ყველაფერი მოსალოდნელია, შესაძლოა — სიკვდილიც.

— მე, — დაასწრო ყველას მამედმა.

— მე, — გაიმეორეს სამსონმა და მიხეილ სენკომ.

არც ერთი მებრძოლი არ დარჩენილა, რომელსაც არ ეთქვას — მეო.

შალვამ ელვარე თვალი მოავლო ყველას, სიამოვნებისაგან ნიკაპზე ისე მოისვა ხელი, თითქო გრძელი წვერი ჰქონოდეს.

— ძალიან გთხოვთ, მეც წამიყვანოთ, — გაიმეორა სერჟანტმა ალექსანდროვმა, ორიოდე თვის წინათ კურსდამთავრებულმა კომკავშირელმა.

— არა, ყველანი არა ხართ საჭირო, — კმაყოფილებით უპასუხა მათ ყიფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიძემ და შვიდი მათგანი გამოიძახა, მათ შორის — სერჟანტი ალექსანდროვი, მამედ ქერიმოვი, მიხეილ სენკო და სამსონი.

ღრუბლებით დაბურული ღამე იყო. ბნელოდა.

ნაპირს რომ მიუახლოვდნენ, მდინარე არა სჩანდა, მხოლოდ მისი შრიალი ისმოდა.

ხიდი, რომელიც უნდა აეფეთქებინათ, შორს არ იყო. სულ სამასი ნაბიჯი იქნებოდა.

ფეხაკრეფით, ჩუმად მიიპარებიან წელში მოხრილნი, ფრთხილად მიაქვთ მძიმე ყუთები, ფეთქებადი ნივთიერებით სავსე.

გაღმიდან ბაიბური არ ისმის, თითქო მტრის ბანაკში ყველას სძინავსო.

სამსონი, მამედი და სენკო მხარმხარ მიდიოდნენ. სენკო ისე მსუბუქად სწევდა ხოლმე ყუთს, თითქო იგი სამი ფუთი კი არ ყოფილიყოს, არამედ რამდენიმე კილოგრამი.

შალვა წინ მიუძღოდათ. მას აქ ყოველი ქვა, ყოველი კოლბოხი გულდასმით ჰქონდა შესწავლილი. თან სიბნელეს თვალი უკვე შეაჩვიეს და მდინარის ანარეკლზე ზოგ რამეს ბუნდოვანად ამჩნევდნენ.

სამსონს სუნთქვა შეეკრა. ყელში რაღაც მოაწვა და დახველება მოუნდა. ძლივს გადაყლაპა ნერწყვი და ღრმად ამოისუნთქა, რომ ხველებით სიჩუმე არ დაერღვია.

მამედმა რამდენჯერმე მჭიდროდ მიაყრდნო მხარი, რომ ამით ენიშნებინა თავისი მხნეობა.

უცებ შეენთო ცეცხლი ღამის სიბნელეს, ვეება მინასავით გატყდა, დაიმსხვრა მძიმედ ჩამოწოლილი სიჩუმე; გაბმულად აკაკანდა ტყვიამფრქვევი, მარჯვნიდან, მარცხნიდან, წინიდან. დაილმუილეს ნალმებმა.

ისე სწრაფად დაემხვნენ პირქვე, თითქო ყველანი ტყვიამ მოცელაო.

შალვამ სათითაოდ გამოიძახა ამხანაგები, ყველასაგან პასუხი მიიღო. ცოცხლები არიანო, — გაიფიქრა სიხარულით და გახოხდა მუცლით წინ, ხიდისაკენ.

ყველანი მას მიჰყვნენ.

მიხოხავდნენ, ყუთებს მიათრევდნენ.

ტყვიები სულ ახლოს ჰკვეთდნენ ჰაერს, შხუოდნენ. ზუზუნებდნენ. მიწისა და ქვის ნამსხვრევებს აფრქვევდნენ მებრძოლთ.

მაინც შეუპოვრად მიიწევდნენ წინ, იდაყვსა და მუხლებს ეყრდნობოდნენ, მიცურავდნენ.

მტერი გააფთრდა, ცეცხლი უფრო მეტად გააძლიერა.

ამ ხიდს მათთვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: აქედან აპირებდნენ დილით იერიშზე გადასვლას. მაგრამ ამ ღამეში პირისპირ შებმა მაინც ვერ გაბედეს. როგორ წარმოიდგენდნენ, რომ მათკენ სულ რვა მებრძოლი მიიწევდა.

სამსონმა მაჯით ოფლი მოიწმინდა და ერთ წამს ლოყით დაეყრდნო გრილ ბალახს. სწორედ ამ დროს გადაუქროლა ტყვიამ თავთან ისე ახლოს, რომ დაფისაპკი კინალამ გაუსკდა, ყურმა ისეთი წივილი გააბა, თითქო ტყვიას შიგ გაევლოს.

სულ არ ჩაჰკვირვებია სამსონი, ისე ინსტინქტით მიხვდა, რომ ბეწვზე გადარჩა. ბალახზე რომ ლოყა არ დაეყრდნო, ტყვია უთუოდ თავში მოხვდებოდა. „რა სათუთი რამაა სიცოცხლე, შეიძლება თვალის დახამხამებაზე გაჰქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს", — ესეც თავისთავად, მოუსაზრებლად გაივლო გუნებაში და გვერდით მწოლარე მამედს შეახო ხელი.

— აბა, წინ! ყუთს მიაწექი! — გაეხმაურა მამედი.

ხიდზე ახოხდნენ. ახლა მათი საფარი მარტოოდენ ღამე იყო.

შალვა მთელი თავისი მოქნილი სხეულით წინ მისრიალებდა.

— მგონია, კმარა, — სთქვა ვილაცამ.

— არა, სჯობს უფრო ახლოს მივართვათ ეს საჩუქარი, — უპასუხა ყიფშიძემ და მოცურავესავით მოუსვა მკლავი.

თითქმის მტრის საგუშაგომდის მიაღწიეს. აქ შეამზადეს ყუთები. ზონარი გამართეს.

დიდი სიფრთხილით გაიყვანა ხიდიდან შალვამ თავისი რაზმი.

ხიდზე ამფეთქებლად მიხეილ სენკო დასტოვა.

სენკომ ზონარს მოუკიდა და სწრაფად გახოხდა უკან. ის იყო დაეწია მომლოდინე ამხანაგებს და კიდევაც იფეთქა, იგრიალა ნალმმა.

დალეწილი ხიდი მდინარეში ჩაიხერგა.

— მომყევით! — სთქვა ყიფშიძემ და ისე გასრიალდა, თითქო მართლა მდინარეში ცურავსო.

გაბზარული ღამე ჯერ კიდევ ზრიალებდა, გუგუნი შორიდან შორს გადადიოდა.

ოცოდე მეტრით გასცილდნენ აფეთქებულ ხიდს. გონს მოსულმა მტერმა გალმიდან საშინელი სროლა ასტეხა.

ტყვიამფრქვევთა კაკანი გაბმულ ჭახჭახად იქცა.

მებრძოლნი მიწაზე გაერთხნენ.

— არ გაინძრეთ! — გასცა განკარგულება შალვამ.

დიდხანს იყვნენ გარინდული მოზუზუნე ტყვიების ქვეშ.

სერჟანტი ალექსანდროვი სენკოს გვერდით იწვა. აღტაცებული იყო. უნდოდა ვისმესთვის გაეზიარებინა თავისი სიხარული იმის გამო, რომ მტერს თვალწინ ასე გაბედულად აუფეთქეს ხიდი. მაგრამ რაკი საუბარი არ შეიძლებოდა, ბალახს ეალერსებოდა, ნაზად უსვამდა ხელს, თან ლოყას ადებდა მიწას, ხარბად ყნოსავდა მის სურნელებას. რაღაც უხილავი ქსელი გაება ახალგაზრდა მებრძოლსა და იდუმლად მეტყველ მიწას შორის.

შხუილით ჰკვეთდნენ ტყვიები ბნელ სივრცეს, ღამე თითქო ნაჭერნაჭერ სცვივოდა ირგვლივ, ალექსანდროვი კი არავითარ საფრთხეზე არ ფიქრობდა, უცნაურმა გზნებამ შეიპყრო იგი: მიწის სიღრმიდან მოდიოდა თითქო დედის ალერსივით დამატკბობელი ძალა, ალექსანდროვის გულში იღვრებოდა და შორს იტაცებდა, ავიწყებდა თავზე ზუზუნით გადამავალ ტყვიებს.

რამდენჯერ გაუტაცნია ოცნებას და თვალნათლივ უხილავს ასეთი ქარცეცხლიდან გამარჯვებული გამოსვლა. ახლა ეს სინამდვილეა, ახლა მართლა სეტყვასავით ცვივა ტყვიები, მაგრამ ალექსანდროვს ეს ვერ შეაკრთობს.

სროლა შენელდა. ბანაკისაკენ დაიძრნენ.

სენკომ ზვინულივით შემაღლებულ ბექობს გვერდი შეუარა და ალექსანდროვს ხელი გაუწოდა, რომ მას გაჰყოლოდა.

ამ დროს ასწია თავი ალექსანდროვმა.

უცებ მოსწყდა, მოეშვა.

სენკოს არ დაუნახავს ეს, მაგრამ გულმა უაზრა, რომ ამხანაგს რაღაც მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უვიდა. მიჩოჩდა. ხელი შეახო. დაჭრილიაო, სთქვა თავისთვის და მაგრა მოხვია თავისი მძლავრი მკლავი, ფრთხილად ასწია...

თენდებოდა, ბანაკს რომ მიაღწიეს.

ნელნელა შედიოდა ტყეში დილის სინათლე, მდუმარედ იდგნენ ირგვლივ ქუფრად გამონაკვთული ხეები.

დილის ნიავიც ერიდებოდა ხმაურს, ფრთხილად დაძვრებოდა ტოტებში, ოდნავ აშრიალებდა ფოთლებს.

შორს, ტყის მილმა ამოჰყო მზემ წვერი. აქა-იქ შეიჭრნენ სხივები და ფოთლებზე შერჩენილი ცვრები ააციმციმეს.

კარვის წინ ესვენა სერჟანტი ალექსანდროვი.

ისეთი სიმშვიდე ეფინა სახეზე, თითქო ღრმად სძინავსო. მხოლოდ ძალზე ფერმკრთალი იყო. ამით თუ მიხვდებოდა კაცი, რომ მისი თვალები ამიერიდან დილის შუქს ღიმილით ვეღარ შეეგებებოდნენ.

უსიტყვოდ ეთხოვებოდნენ მებრძოლნი საყვარელ ამხანაგს.

მამედ ქერიმოვმა დაარღვია მხოლოდ სიჩუმე, მუშტი მაღლა აღმართა, თვალები მკაცრად მოჭუტა და მტრის ბანაკს გასძახა:

— არაფერია! ასწილად გადაგიხდით, ასწილად!..

IV

წრთობილი სამეული

ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, განსაკუთრებით იმ იარაღის შემმუსვრელ ძალას, რომელიც თვით ადამიანების მიერ არის მოგონილი.

არა ეშველება-რა მიწისძვრას, უცებ მოვარდნილ წარღვნას, ხოლო ადამიანის ნააზრევს, რაც უნდა ძლიერი იყოს იგი, ადამიანისავე აზრი გაუმკლავდება.

ბრძოლა დღითი-დღე მძაფრდებოდა. მტერს გააფთრებული იერიშები მოჰქონდა.

ზრიალებდნენ თვითმფრინავები, სეტყვასავით ცვივოდნენ ყუმბარები, ჭახჭახებდნენ ტყვიამფრქვევები. იელვებდა უეცარი ცეცხლი და თვალსა სჭრიდა.

აგერ იერიშზე გადმოსულ მტერს გაქანებული მოტოციკლებით წინ მოუძღვებიან ტყვიამფრქვეველები, ისე მოჰქრიან, თითქო ცა და დედამიწა თან ძოაქვთო, მოჰქრიან და გაბმულად ისვრიან.

მოტოციკლებს მოჰყვებიან ტანკეტები, ხოლო მათ უკან მოიმართებიან ტანკები და ქვეითი ჯარი.

ერთი შეხედვით, ისეთი გრიგალისებური ტალღაა, რომ შეუძლებელია კაცი მას პირისპირ ეკვეთოს.

ასეთი ელვისებური სვლით ცდილობდა მტერი პანიკა შეექმნა წითელი არმიის რიგებში.

მაგრამ ჩვენმა მებრძოლებმა მალე აუღეს მას ალღო, მალე მიხვდნენ, რომ ამ ჯავშანსა და ცეცხლს ამოფარებულ ავაზაკებს თავზარი ეცემათ, როგორც კი საბჭოთა ადამიანების საბრძოლო ყიჟინას გაიგონებენ.

განსაკუთრებით ცხადი იყო ეს, როდესაც ჩვენი მებრძოლები კონტრშეტევაზე გადადიოდნენ, „ურას“ დასძახებდნენ და ხიშტმომარჯვებულნი ეკვეთებოდნენ მტრის ქვეითა ჯარს.

წამსვე იფერფლებოდა ფაშისტების მედიდური სიმტკიცე, ირაღი ხელიდან უვარდებოდათ და თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ.

სამსონ ლომთაძე, მიხეილ სენკო და მამედ ქერიმოვი არაერთგზის ერეოდნენ მონაწილეობას ასეთ ბრძოლებში, — შალვა ყიფშიძემ მათ წრთობილი სამეული უწოდა.

თუმცა ხანგრძლივი ფიქრისთვის დრო არა რჩებოდა, მაგრამ სამსონი მაინც გრძნობდა, რომ მის არსებაში დიდი ცვლილება ხდებოდა.

პირველი შეტაკებების დროს მტრის მთელი ეს სწრაფადმომქმედი და რთული მექანიკა თავბრუს ახვევდა სამსონს, ბევრი რამ მისთვის მოულოდნელი და შეუცნობელი იყო. მაგრამ რამდენიმე ბრძოლის შემდეგ თანდათან გაიფანტა ეს ბურუსი.

ერთი რამ შეამჩნია კიდევ სამსონმა: რაც დღე გადიოდა, მით უფრო იზრდებოდა მისი მრისხანება მტრის მიმართ. ახლა ეს მარტოოდენ ის უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა როდი იყო, რომელზედაც სამსონს ერთობ რომანტიული წარმოდგენა ჰქონდა, არა, ეს იყო მთელ სამშობლოსთან ერთად მისი პირადი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ვერაგ მტერთან, რომლის შეუმუსრავად მას სულისთქმა აღარ შეეძლო.

იმ საღამოს „წრთობილმა სამეულმა" რამდენიმე კილომეტრით დაშორებული ტყის დაზვერვა იკისრა.

ივლისის თბილი ღამე იყო. მეჩხერი ვარსკვლავები ცის სიღრმეში ბეუტავდნენ.

ტყის პირად შეისვენეს, სული მოითქვეს.

— გესმის? — ჩურჩულით სთქვა სენკომ და სამსონს იდაყვი შეახო.

— ჩუ!.. ისინი არიან...

დიდხანს იხოხეს, მრავალ ბუჩქში გაძვრნენ...

განთიადი მოახლოებული იყო, ბანაკში რომ დაბრუნდნენ.

— ტყეში მტრის ტანკებია თავმოყრილი. იერიშზე გადმოსასვლელად ემზადებიან, — მოახსენეს უფროსს.

მალე ტყეს, სადაც მტრის ტანკები იყვნენ შემალული, ჩვენმა არტილერიამ ყუმბარები დააყარა. ცის სიღრმე გაბმულმა გრუხუნმა შეაზრიალა.

ოცოდე წუთის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა.

ირიჟრაჟა.

ტყის პირს გერმანელების რამდენიმე ათეული ტანკი მოადგა. წამსვე გააჩაღეს გრიგალისებური ცეცხლი ქვემეხებიდან და ტყვიამფრქვევებიდან.

წითელი არმიის ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნები ჯერ ხმას არ იღებდნენ, რომ თავიანთი პოზიციები არ გამოეაშკარავებინათ.

დამხმარე არტილერიამ კი წამსვე ცეცხლით უპასუხა.

ფაშისტების რამდენიმე ტანკი წყობიდან გამოვიდა, ხოლო დანარჩენები იძულებული გახდნენ იერიში შეუმზადებლად დაეჩქარებინათ.

სწრაფად დაიძრნენ და მიზანში ამოუღებლად განაგრძეს სროლა.

საგანგებოდ ამოთხრილ ორმოებს მიადგნენ. გვერდი შეუარეს, შეჯგუფდნენ. სწორედ ამ დროს წააწყდნენ დანაღმულ ველს: ორიოდე წამში რამდენიმე ტანკი აფეთქდა.

სამსონი, მამედი და სენკო ღრმა თხრილში იყვნენ ჩასაფრებული და კარგად ხედავდნენ, როგორ ხტებოდნენ ჩასაშვები კარებიდან ფაშისტი ტანკის-

ტები და მანქანების გვერდით ეცემოდნენ ტყვიამფრქვევების ცეცხლით მოცელილნი.

დანარჩენმა ტანკებმა ორმოებს შემოუარეს და თავდაცვის მოწინააღმდეგეზისაკენ გამოემართნენ.

ამავე დროს ხელმარჯვნივ, ტყიდან გამოიჭრნენ გერმანელი ჯარისკაცებით სავსე მანქანები.

მარჯვენა ფრთაზე ჩასაფრებულმა ასეულმა ტყვიამფრქვევთა ჯვარედინი ცეცხლი შეუნთო მათ. რამდენიმე წუთის განმავლობაში მთელი ტყის პირი გერმანელი ჯარისკაცების გვამებით მოიფინა.

უარესი ბედი ეწია ფაშისტების ქვეითთა ჯარს, რომელიც მწყობრად გამოემართა ტყიდან, რომ ფსიქიური იერიში მოეხდინა. ამათ ისე დააყარეს ტყვია, რომ სულ მცირე ნაწილმა შეასწრო ტყეში.

მაგრამ გადარჩენილი ტანკები წინსვლას მაინც განაგრძობდნენ. ზოგი მათგანი გზატკეცილზე გამოვიდა.

— ახლა ჩვენი რიგია! — ღიმილით უთხრა მამედმა სამსონს და სენკოს.

ხიდი წინასწარ დანაღმული იყო. იგი „წრთობილ სამეულს“ უნდა აეფეთქებინა.

აგერ პირველი მძიმე ტანკი უკვე გამოვიდა ხიდზე. სხვებსაც გული მიეცათ. მაგრამ სწორედ ამ დროს მოუკიდა ზონარს ცეცხლი სამსონმა. ფაშისტებს ხიდი ცხვირწინ აუფეთქდათ.

გზის პირად შენილბულმა ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნებმა შემმუსვრელი ცეცხლი შეუნთეს ხიდთან შეჯგუფულ ტანკებს. რამდენიმე მათგანი დაიმსხვრა. ხოლო წინ შემოჭრილ ტანკს მუხლუხოებში ატაკეს ყუმბარა და იქვე ჩააჩოქეს.

ამ ტანკიდან სროლას მაინც განაგრძობდნენ.

უცებ საიდანღაც გაჩნდა იქ პოლიტხელი შალვა ყიფშიძე, თითქო მიწიდან ამოჰყოო თავი, სწრაფად მივარდა ტანკს და გავარვარებულ საკვამლე მილს ბენზინით სავსე ბოთლი მიამსხვრია.

ტანკს ცეცხლი მოედო. იარაღ-მომარჯვებული ტანკისტები გზაზე გადმოხტნენ.

შალვამ პირველი ფაშისტი დამბაჩის ტყვიით გაგმირა, ხოლო დანარჩენები ხელყუმბარებით შემუსრა.

სანგრიდან მოჰკრა თვალი ამ სურათს სამსონმა და უნებლიედ წამოიძახა ქართულად:

— გენაცვალე, ბიჭო, ხელებში!..

თან მღელვარებისაგან ისე წამოიწია, თითქო იერიშზე გადასვლას ლამობსო.

— რას სჩადიხარ? დაწექი! — უყვირა მამედმა.

სამსონმა დამნაშავესავით შეხედა ამხანაგს, თვალებით გაუღიმა, წამსვე იდაყვს დაეყრდნო, შაშხანა მოიმარჯვა და სროლა განაგრძო.

გერმანელმა ქვეითთა ჯარმა ტყიდან გამოსვლა დააპირა, მაგრამ ისეთ ცეცხლს წააწყდა, რომ იძულებული გახდა ტყის პირად ჩაწოლილიყო.

იმავე დროს ცენტრში მტრის ტანკები კიდევ მოქმედებდნენ. მათ გვერდი აუარეს ღრმა ორმოებსა და დანაღმულ ველს და საბჭოთა ქვეითთა ჯარს მიუახლოვდნენ.

ტანკებზე მიბმული იყო გერმანელი ჯარისკაცებით სავსე ჯავშნიანი მანქა-

ნები. ქვეითა ჯარის ნაწილი თვით ტანკებს შემოსხდომოდა უკან. სქელ ჯავშანს ეფარებოდნენ.

წითელი არმიის ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნებმა მხოლოდ ერთ ტანკს მათ ყუმბარები, როდესაც ისინი ძლიერ ახლოს მივიდნენ. აი შელეწეს ერთი ტანკი, მეორე, მესამე...

არტილერია ახლა მანქანებს აღარ უშენდა, მან ცეცხლი ტყის პირისაკენ გადაიტანა, რომ მტრის ტანკებისაგან ქვეითა ჯარი მოეწყვიტა.

შუადღე ახლოვდებოდა. ყუმბარებისაგან გარუჯულ ჰაერში კვამლის სუნი იდგა. ნისლშეფენილი ცა ვეება ქვაბივით ვარვარებდა.

ფაშისტების რეზერვები წინ ვერ იწევდნენ. საჭირო იყო მხოლოდ იმ ტანკებისა და ჯარის შემუსვრა, რომელნიც ახლოს იყვნენ შემოჭრილი.

ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნებმა მტრის მრავალი ტანკი დალეწეს, მაგრამ მტერმა მაინც შეძლო ამ ზარბაზნების დიდი ნაწილის წყობიდან გაყვანა.

ფაშისტების გადარჩენილი ტანკები უკვე მიადგნენ სანგრების პირველ ხაზს.

ზღაპრული დევებივით მიიმართებოდნენ მძიმე ჯავშნიანები, გამანადგურებელ ცეცხლს აფრქვევდნენ ირგვლივ.

შეუპოვრად წამოცვივდნენ სანგრებიდან მამაცი მებრძოლნი და ბენზინით სავსე ბოთლები სტყორცნეს ტანკებს, ცეცხლის ალში გახვიეს ისინი...

აგერ სამსონის გვერდით დაეცა გულგაგმირული ამხანაგი, მაგრამ სამსონს მისკენ არ მიუხედნია, უცხაურმა სურათმა მოსტაცა თვალი:

ერთი უხერხულად ნასროლი ბოთლი ტანკის კოშკურიდან ჩამოცურდა. ფაშისტმა ზედა კარი შეაღო და ისეთი დამცინავი თვალით გადმოიხედა, რომ სამსონს გული მრისხანე ზიზღით აევსო. წამსვე შემართა თოფი, აღარ ახსოვს — დაუმიზნა თუ არა, ის კი არასოდეს არ დაავიწყდება, რომ მედიდურ ფაშისტს დამცინავი ღიმილი ჩაუქრა და კოშკურზე უსულოდ გადმოიკეცა.

სწორედ ისეთი სიამე იგრძნო სამსონმა, როგორიც ერთხელ მგელზე ნადირობისას განიცადა: ვეება რუხი მგელი პირდაპირ მისი საფრისაკენ გამოემართა. ისე მძიმედ, ისე ამაყად მოაბიჯებდა, თითქო მთელი ქვეყნის მბრძანებელი ყოფილიყოს. გავარდა თოფი და შუბლგაგმირული მგელი მოწყვეტით დაეცა. სწრაფად მიირბინა სამსონმა, მგელს ფეხი დაადგა და თოფიანი მარჯვენა ხელი ზევით აღმართა, — ამით გამოხატა თავისი დიდი სიხარული.

ახლაც თოფი ხელში მოინაცვლა სამსონმა, ხელყუმბარა მოიმარჯვა, ტანკს მიუახლოვდა, მუხლუხის ქვეშ შეაგდო და უმალვე უკან გადახტა, პირქვე დაემხო.

ყუმბარის ნამსხვრევებმა თავზე გადაუარეს, — ამოთხრილი მიწის მტვერსა და კვამლში გაეხვია...

მალე გამოერკვა და იერიშზე გადასულ ამხანაგებს მიჰყვა...

გერმანელთა ქვეითი ჯარი შედრკა. ხიშტშემართულმა წითელარმიელებმა თავზარი დასცეს მათ.

უწესრიგოდ უკუქცეული ფაშისტები მაღალ ჭვავში მიძვრებოდნენ, იარაღს ჭყრიდნენ და წარჩინების ნიშნებს იგლეჯდნენ...

გადათელილი ყანა მოკლულთა და დაჭრილთა გვამებით მოიფინა.

გზებსა და ველებზე დალეწილი ტანკების ჩონჩხები დაყუდებულიყვნენ.

მარცხენა ფრთიდან უკუქცეული მტერი მეტად მრავალრიცხოვანი იყო. ერთმა ნაწილმა ტყის პირად სცადა ჩასაფრება, მაგრამ ამის საშუალება არ მისცეს, გაშმაგებით ეკვეთნენ საბჭოთა ქვეყნის ლომგულოვანი შვილები.

სამსონს არ ახსოვს, როგორ გაჩნდა სწორედ იმ ადგილას, სადაც გათელილ-ბული ხელჩართული ბრძოლა იყო. ის კი იცის, რომ მამედსა და მიხეილ სენ-კოს არ შორდებოდა, მუდამ მათ სიახლოვეს იბრძოდა. სულ [illegible] წინათ სენკომ სიკვდილისაგან იხსნა სამსონი, რომელსაც უცებ [illegible] მივარდა. ვიდრე სამსონი ერთ მორკინალს გაუმკლავდებოდა, სენკომ სამი დასცა ძირს.

ხიშტით ხელჩართულ ბრძოლაში მიხეილ სენკოს ტოლი არა ჰყავდა. ვეფ-ხვივით ტრიალებდა ეს ჯმუხი, ჩასკვნილი ვაჟკაცი. მის ლონიერ მკლავებში მო-მარჯვებულ მახვილს წინ ვერავინ უდგებოდა. გაბადრულ სახეზე ოფლი შემ-შრალი ჰქონდა, ცისფერი თვალები მოეჭუტა და ალმასივით მკვეთრად იხედე-ბოდა, ლითონივით ჩამკრივებული იყო და შეუპოვრად მიიმართებოდა წინ.

ახლა ვერავინ იფიქრებდა, თუ ამ მრისხანე ჭაბუკს ჩვეულებრივ დროს ტკბილი ოხუნჯობა, სიცილი და სიმღერა უყვარდა, თუ მას ბავშვივით გუ-ლუბრყვილო გამომეტყველება ჰქონდა და მეტად საამოდ მჟღერავი ხმა.

აუტანელად დაცხა. ჰაერი შეიხუთა.

სამსონმა დაღლილობა იგრძნო.

რა კარგი იქნებოდა, ახლა რომ სადმე მდინარის პირად ჩამოჯდებოდეს, პირზე წყალს შეისხამდეს, წყურვილს მოიკლავდეს და მცირე ხნით თავს მის-დებდეს!

ნახევარი წამიც არ გასულა, ეს რომ გულში გაივლო, გვერდზე მიიხედა და ზაფრისაგან კინაღამ დაიყვირა: მამედი განსაცდელში დაინახა. უმალვე გონს მოეგო, სწრაფად გადახტა და მამედის ზურგს უკან ხიშტშემართული ფაშის-ტი უკუაქცია... თავი ვერ შეიკავა, კოლბოხს ფეხი წაჰკრა და წაბარბაცდა.

მტერმა დრო უშოვა და მახვილი ჩასცა...

სასტიკად იძია შური მამედმა. მოსისხლეს მკერდი გაუპო, ხოლო სენკომ ბავშვივით აიყვანა სამსონი, თავის მძლავრ მკლავებზე დაიწვინა და ტყისაკენ გააქანა...

დამთავრდა ცხარე ბრძოლა. საღამო მოახლოვდა. მთელი დღის მეხთატეხი-სა, ზათქისა და გუგუნის შემდეგ ჩამოვარდნილი მყუდროება ისეთი იდუმა-ლებით იყო სავსე, თითქო მთელი ქვეყნიერება ხელახლა იბადებაო.

სამსონმა თვალი მძიმედ გაახილა და თეთრი თმით შემობარდნილი დედის სახე მოელანდა. დედამისის თვალებში ის ალერსი გამოკრთოდა, სამსონს რომ ბავშვობისას უყვარდა. მაგრამ მალე ჩაჰქრა ეს ალერსი და დედის სახე ნისლს მიეფარა...

საოცრად საამო ნიავმა გაჰფანტა ეს ნისლი და... სამსონს უკვირს: რატომაა ასე მოწყენილი ეთერი. ნუ თუ ვერასოდეს ვერ უნდა ამოიკითხოს მისი გუ-ლის პასუხი?.. ოჰ, ეს ისევ ისაა — მისი დამცინავი ღიმილი...

აუტანელი ტკივილი იგრძნო სამსონმა და თვალი მძიმედ დახუჭა...

V

სამი და

რულმორეულ ეთერს კვნესა მოესმა და თავი ძლივს ასწია, გაწითლებული თვალები ვრცელ პალატას მიაპყრო. უნდოდა ისევ დაეხუჭა დამძიმებული ქუთუთოები, მაგრამ უცებ შეკრთა, თავი გაიქნია.

მეორე ღამეა არ უძინია. წინა დღეს მრავალი დაჭრილი მოიყვანეს. ფრონ-

ტი მოახლოვდა. რამდენიმე მედიცინის და ბრძოლის ველზე წავიდა, სადაც იქ სანიტრებს დახმარებოდნენ.

ახლო-ახლო ჩამწკრივებულ საწოლებს მიმოავლო თვალი ეთერმა. მალე ინათებდა. სწორედ ის დრო იყო, როდესაც მძიმე ავადმყოფსაც კი მცირე ხნით ძილი ეუფლება.

დაჭრილმა, რომელსაც ეთერი გვერდით ეჯდა, თავი შეარხია, თვალი არ გაუხელია, ისე დაიძახა მისუსტებული ხმით:

— დაო!.. გესმის, დაო!..

ამ ხმამ სავსებით გამოაფხიზლა ეთერი, დაიხარა და სიცხეში მბორგავ ავადმყოფს სახეზე ოფლი მოსწმინდა, მერე ფრთხილად დაადო შუბლზე ხელი.

— ოჰ, რა კარგია!.. გმადლობ! — სთქვა ავადმყოფმა და თვალი გაახილა. ეტყობოდა, რომ მზერა ამღვრეული ჰქონდა. ოცისა თუ ოცდაერთი წლის ჭაბუკი იქნებოდა.

ერთხანს იყუჩა. მერე წამოღვივებულ ტუჩებზე ენა მოისვა და წარბები შეიჭმუხნა:

— არაფერია, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს! — დაემუქრა ვილაცას. — რა მედიდურად გამოიყურებიან!.. ასე ჰგონიათ, მზე მხოლოდ მათთვის ანათებს... დამაცადეთ, მალე დაგიბნელებთ მაგ მზეს!

თვალი მოჭუტა, თითქო რაღაცას მრისხანე მძულვარებით დააცქერდაო.

— იცით, რას ვერ შევრიგებივარ, რა არის ყველაზე საშინელი? თქვენ ამას ვერასოდეს ვერ წარმოიდგენთ... მტერი ზურგს უკან მოგვექცა. შეუპოვარი ბრძოლით გავარღვიეთ რკალი... ახალი პუნქტისაკენ მივიწევდით. იქ უნდა გავმაგრებულიყავით... გზატკეცილზე დაბიდან წამოსული ლტოლვილები გამოფენილიყვნენ, ქალები და ბავშვები... ამ დროს გამოჩნდა ფაშისტების თვითმფრინავი. ჩვენსკენ ვერ გაბედა წამოსვლა, ქალებსა და ბავშვებს ჩაუქროლა. ტყვიამფრქვევით დაცხრილა ისინი... ახლა რომ ის ფაშისტი ხელში ჩამაგდებინა, მგლად ვიქცევი, კბილებით დავგლეჯ...

შეირხა. ტკივილმა შეაკრთო. ეთერს მიაპყრო თვალი, ისე შეაშტერდა, თითქო პირველად ხედავსო.

— ჰო, თქვენ და ხართ, ჩემი კარგი და... უკაცრავად, თქვენი სახელი?

— ეთერი...

— დიახ, ვიცნობ მაგ სახელს... დაიცა... ჰო, ოპერა „აბესალომ და ეთერი". ორჯერ ვნახე ჩვენს დედა-ქალაქში. ძალიან მომეწონა... თუმცა თქვენ ის ეთერი არა ხართ... ის სიყვარულისათვის ეწამა... თქვენ კი...

— მოისვენეთ, ლაპარაკი გაწყვენთ! — ბრძანების კილოთი უთხრა ეთერმა და ხელი ალერსით გადაუსვა თავზე.

— არა, ყური დამიგდეთ. საუბარი ტკივილს მავიწყებს... იცით, აი, როგორც თქვენ გხედავთ ახლა, ისე მიდგას თვალწინ დედაჩემი. ვიცი, არა სძინავს, ჩემზე ფიქრობს... გამოცდილი პედაგოგია, განათლებული ქალია, მაგრამ მაინც დედაა. თქვენ ხომ გყავთ დედა?

— არა, მე დედა ადრე გარდამეცვალა, მამა მყავს და დები.

— დედა... რა იქნება, ადამიანს რომ ადამიანისათვის ისე ეწვოდეს გული, როგორც დედას თავისი შვილებისათვის... ეს იქნება კაცობრიობის უდიდესი გამარჯვება მთელ ქვეყანაზე... ჯერ ფაშისტების ბუნაგი უნდა მოვსპოთ... მერე კი — ადამიანი უპირველეს ყოვლისა... უკაცრავად, დაო, ძვირფასო დაო, როგორ ატყობთ, ხომ მოვრჩები?

ეთერმა ნაზად მოუსვა დაჭრილს თავზე ხელი და უნდოდა გამამხნევებელი სიტყვა ეთქვა, მაგრამ ავადმყოფმა არ აცალა, მყისვე განაგრძო:

— იცით, რა ბიჭები დავტოვე მე იქ, ფრონტზე? რა გული გამიძლებს, მათთან რომ არ დავბრუნდე?

— კარგი, ჩემო კეთილო, მოისვენეთ ახლა. უთუოდ მალე მორჩებით, ამხანაგებთანაც წახვალთ და დედასაც ნახავთ...

— კარგი იმედია... ჩემი ჭრილობა კი... არა, რა საჭიროა ამაზე ფიქრი... არავინ ისე არ მეცოდება, როგორც საწყალი დედაჩემი... სხვას არ შეამჩნევინებს, ამაყია. ისე კი სულ ჩემზე დარდობს... ამბობენ, როდესაც ადამიანს ვინმე ძალიან, ძალიან უყვარს, მის გაჭირვებას შორიდანაც იგრძნობსო. დარწმუნებული ვარ, ზის ახლა ლოგინში დედაჩემი და... იცით, რა მამაცი ქალია? სამოქალაქო ომის მონაწილეა. სასწავლებელი ახალი დამთავრებული ჰქონდა, მოწყალების დად რომ წავიდა...

ეთერი შეკრთა. მწვავედ შემოენთო ავადმყოფის სიტყვები: „როდესაც ადამიანს ვინმე ძალიან, ძალიან უყვარს, მის გაჭირვებას შორიდანაც იგრძნობსო“... სად არის ახლა სამსონი?.. ვაი თუ... უკვე თვე გადის, ერთმანეთს რომ დაშორდნენ. ამ ერთმა თვემ გაცილებით უფრო მეტი შეასწავლა ეთერს, ვიდრე მთელი მისი ცხოვრების ოცდაერთმა წელიწადმა. ახლა მის თვალწინ იყო ადამიანის ძლიერებაც და სისუსტეც. ახლა ისეთ სიღრმეს ჰკიდა თვალი, ისეთ ქარცეცხლში შევიდა, რომ ქვეყნიერებამ თითქო ფერი იცვალა. წინათ იყო მხოლოდ უდარდელი ახალგაზრდობა, სწავლა, სპორტი, გართობა, ლამაზი ცამოსი, სიყვარულის პირველი გზნება, უფრო თამაში, ვიდრე ის მწვავე ცეცხლი, რომელიც ახლა მის გულში ანთია...

არა, როგორ აპატიოს თავის თავს სამსონისადმი ისეთი უგულო მოპყრობა! რამდენჯერ შეაწყვეტინა სიტყვა, რამდენჯერ დასცინა... თუმცა ის დაცინვა როდი იყო, — ცელქობა იყო, ერთობ საამო ცელქობა... ვინ იცის, როგორ ჩარჩა გულში... ოჰ, ნეტავი ერთი ახლა ნახავდეს; წამსვე ეტყვის, თუ როგორ გაიზარდა, როგორ გაღრმავდა მისგან დანერგილი სიყვარული... ყველაზე უძლიერესი ძალა, რომელიც ადამიანს უკიდურეს გაჭირვებაშიაც ამხნევებს, სიყვარული ყოფილა თურმე.

საწოლებს მოავლო თვალი.

პალატაში განთიადის შუქი შეჭრილიყო.

დაჭრილებს აქა-იქ თავი წამოეწიათ, ზოგი კვნესოდა, ზოგი მძიმედ სუნთქავდა.

განთიადისას უფრო გამძაფრებულიყო საავადმყოფოს ის მძიმე, სპეციფიური სუნი, რომელსაც ეთერი თითქმის შეეჩვია. ხოლო ამ წამს იგი სრულიად არ უგრძვნია, ღრმა ფიქრში იყო დანთქმული. ისეთი გრძნობა აღეძრა, თითქო ირგვლივ მწოლარე დაჭრილ მებრძოლთაგან რაღაც იდუმალი შუქი გამოკრთაო, — უცნაურ სხივებად იქსელებოდა და მთელ ქვეყნიერებას სწვდებოდა. მშობელი მიწის გულიდან ამოდიოდა ეს ქსელი, ადამიანთა თვალებში სხივოსნობდა, გულიდან გულს ეფინებოდა. და იგი სხვა არა იყო რა, თუ არა მარტოოდენ სიყვარული, უანგარო სიყვარული და თავგანწირვა სამშობლოსათვის...

პალატაში ტანმორჩილი, თეთრხალათიანი ქალი შევიდა, ეთერისაკენ გაეშურა.

მკვირცხლად მიაბიჯებდა, შეკრეჭილ სქელ თმაზე თეთრ მანდილს ისწო-

რებდა. მკრთალი სახე ჰქონდა, დიდრონი თვალები, ფართო შუბლი და ვიწრო ნიკაპი. თუმცა ახალგაზრდული ელვარება აღარ ამშვენებდა, — ოცდაათი წლის ქალი იყო, — მაგრამ მის მიხვრა-მოხვრაში, საუბარსა და მოქმედებაში იმდენი ცხოველი ენერგია იყო, რომ ახლად გაფურჩქნილ ქალიშვილს შეეხარბებოდა.

— ცავ, ეთერ, წადი ახლა შენ, დაისვენე! — მისვლისთანავე უთხრა ეთერს და ისე მოუსვა ლოყაზე ხელი, თითქო პატარა ბავშვს ეალერსებაო.

მერე თავი დასწია და ყურში ჩასჩურჩულა:

— იცი, ტატიანა პავლოვნა თავისას არ იშლის, აუცილებლად უნდა წავიდეთო, იქ უნდა მივეშველოთო, აქ სხვებიც მოუვლიანო. ვითომ რა, მართალი არაა თუ? წადი ახლა, ცოტა დაიძინე, მერე მოვილაპარაკოთ.

— რა მოლაპარაკება უნდა, უთუოდ უნდა წავიდეთ, იქნება...

ეთერს უნდოდა ეთქვა: იქნება სამსონის ამბავი გავიგოო, მაგრამ აზრი აღარ დაამთავრა, წამოდგა და მარიკა მძიმედ დაჭრილი მებრძოლისკენ მიახედა, თვალით ანიშნა — ამას განსაკუთრებული მოვლა ესაჭიროებაო.

მარიკა ნაკაიძის პირადი ცხოვრება იმთავითვე არ მოეწყო ისე, როგორც თვითონ ნატრობდა.

გაბედული და სიცოცხლით სავსე გოგონა იყო. გურიიდან რომ თბილისში ჩამოვიდა, ნათესავთან მოეწყო და უნივერსიტეტში სწავლა დაიწყო. შეძლებული მშობლები ჰყავდა, მაგრამ მუდამ იმას ცდილობდა, რომ დამოუკიდებლად გაეკაფა თავისი ცხოვრების გზა. ცოტათი თავნება ქალიშვილი იყო, ვაჟკაცობას ჩემულობდა. თმაც მუდამ ვაჟივით ჰქონდა შეკრეჭილი. ფიზკულტურა შარვლის ჩაცმის გულისათვის შეიყვარა. რატომღაც ეგონა: ქალური კდემამოსილება ძველი ცხოვრების ნაშთიაო.

მესამე კურსზე იყო მარიკა, ერთ სტუდენტს რომ გადაეყარა. ეს კავშირი არ იყო ღრმად ფესვგადგმული სიყვარულის შედეგი. იგი უფრო იმ დამოუკიდებელი ცხოვრებისადმი ლტოლვის შედეგი იყო, რაზედაც მარიკა ისე გულუბრყვილოდ ოცნებობდა. სტუდენტმა მცირე ხანს იცხოვრა მასთან და განშორდა.

მას შემდეგ ერთხელ კიდევ სცადა მარიკამ თავისი ცხოვრება მტკიცე ნიადაგზე დაეფუძნებინა, მაგრამ აქაც იმედი გაუცრუვდა და თითქმის სამუდამოდ ხელი ჩაიქნია... გულჩათხრობილი მსახურებდა რომელიღაც სახელმწიფო დაწესებულებაში, თავის საქმეს ბეჯითად ასრულებდა, მაგრამ მუდამ რაღაცა აკლდა. ისეთი სევდა შეეპარებოდა ხოლმე გულში, თითქო ამ ქვეყნად სავსებით განმარტოებული დარჩენილიყოს, ერთი ადამიანიც კი არ მოიპოვებოდეს, რომელსაც მასზე გული შესტკივოდეს. დედა რომ ცოცხალი ჰყოლოდა, კიდევ ჰო. დები კი გათხოვდნენ, ძმამ ცოლი შეირთო. ყველამ საკუთარი ოჯახი გაიჩინა, მარიკა კი დარჩა განაპირებული ამ უზარმაზარ ქვეყანაში...

ამ გრძნობამ იმდენად შეიპყრო, რომ ხშირად წონასწორობას ჰკარგავდა, გული მოსდიოდა, სულ უბრალო რამეზე გაანჩხლდებოდა, მეგობარი ქალები მასთან შელაპარაკებას ერიდებოდნენ.

ხოლო მას შემდეგ, რაც აქ წამოვიდა მოხალისედ, ხასიათი გამოეცვალა, ისეთი დიდი საქმე გაუჩნდა, რომ პირადი დარდი სულ გადაავიწყდა.

პირველ დღეებში უხერხულობას გრძნობდა, დაჭრილების წუხილი აკრთობდა: ეგონა, მუდამ გარს დასტრიალებდა სიკვდილის ზარდამცემი ლანდი. მაგრამ შემდეგ, როდესაც ისეთი გულითადი მეგობრები გაიჩინა, როგორიც იყვნენ ტატიანა პავლოვნა და ეთერი, გამხნევდა, მის ცხოვრებას აზრი მიეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაისტუმრა თუ არა ეთერი, დაჭრილებს ჩამოუარა, ყველას სახეზე დახედა, ზოგს გამოესაუბრა, გაულიმა, თავისი პაწია ხელი შეახო, მოიტანა ... ალი გაუსწორა, მოემსახურა.

არ ჩაჰფიქრებია მარიკა, ისე კი დიდ სიტკბოს გრძნობდა, როდესაც ავადმყოფს უვლიდა, — ტკივილს ავიწყებინებდა, ღიმილს ჰგვრიდა. თავს ისე წარმოიდგენდა, თითქო დედა სნეულ ბავშვს თავს ევლებაო. ვინ იცის, იქნებ ეს იყო დედობას მოწყურებული ქალის სათნოება.

ექიმმა ჩამოიარა. მძიმედ დაჭრილ ჭაბუკთან დიდხანს შეჩერდა, მარიკას ქაფური შეაშხაპუნებინა. წასვლისას უიმედოდ გაიქნია თავი და ნაღვლიანი თვალებით აგრძნობინა მარიკას, რომ ავადმყოფის სიცოცხლის წუთები დათვლილი იყო.

ჭაბუკი ძლივს სუნთქავდა, ყელი ეკუმშებოდა, ლაჟვარდისფერი თვალები უშტერდებოდა. ანაზდად შეკრთებოდა, შეშფოთებული ხმით იტყოდა:

— დავცურდი, ვვარდები... დაო, მიშველე, ვვარდები!..

მარიკა ხელს მოხვევდა და ამშვიდებდა:

— ნუ გეშინიან, მე აქა ვარ...

— ვიცი, მაგრამ ხანდახან ნიადაგი მეცლება, უფსკრულში ვვარდები... ჰო, ახლა ისევ ის არის, ჩემი საბრალო დედა... იცის, ხედავს, რა დღეში ვარ... ისე ცრემლი არ მოერეოდა... კარგი, დედი, ტირილი რას გიშველის... ცრემლი წყალია, ჩვენ კი ცეცხლი გვინდა, ისეთი ცეცხლი, რომ... ოჰ, დაო, კეთილო დაო, მართლა აქა ხარ?.. ახლა მე სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე ვარ და ისეთ რამეს ვხედავ, რასაც სხვადროს ადამიანი ვერ დაინახავს... ერთ მხარეს მზეა და დიდი, დიდი სინათლე... მეორე მხარეს კი საშინელი უფსკრულია, კუპრივით შავი... აქ არის მიჯნა. სულ ვიწრო ზოლი... ამ ზოლზე უნდა გავიარო... და მე ვვარდები, დაო, კეთილო დაო...

მარიკამ კოვზით რძე მიუტანა ტუჩთან, დაჭრილმა ტუჩი მომუწა და თავი გაიქნია:

— რა საჭიროა, მაინც ხომ მივდივარ... არა, დედი, სიკვდილისა არ მეშინიან... შენ მეცოდები... თორემ მე იმდენი მკვდარი ვნახე...

მომაკვდავს თვალი დაენამა, მერე თითქო გაუფართოვდა, ერთ წერტილს მიაშტერა.

ეს პირველად იყო, მარიკას თვალწინ რომ ადამიანი სიკვდილს ებრძოდა. შიშმა შეიპყრო, ცრემლები მოერია, თავს ძლივს იკავებდა...

ნელ-ნელა ჩაუქრა ჭაბუკს სხივი გაშტერებულ თვალებში და სული მშვიდად დალია...

დიდხანს იდგა თავდახრილი, გახევებული მარიკა. ბოლოს ირგვლივ დამნაშავესავით მიმოიხედა, მიცვალებულს სახეზე ზეწარი გადააფარა და პალატიდან შურდულივით გაიჭრა.

დასასვენებელი ოთახის კარი შეაღო.

ტატიანა პავლოვნა ამდგარიყო, თმას ივარცხნიდა. ეთერს ეძინა.

მარიკამ ტატიანა პავლოვნას მიაშურა, მოეხვია და ქვითინი წასკდა.

ტატიანა მყისვე მიხვდა, რატომ ტიროდა მარიკა, ალერსით მოხვია თავზე ხელი და თავის მაღალ მკერდზე მიიყრდნო. თქმით კი არაფერი უთხრა, ფართო თვალებში რაღაც ცივი შუქი გამოკრთა და შვილდივით მოხრილი წარბები შეჭმუხნა.

ქმარი ფინეთთან ომში დაეღუპა ტატიანა პავლოვნას. ფეხმძიმედ იყო მაშინ. ახლა ათი თვის ბავშვი დედას დაუტოვა, თვითონ-კი აქეთ-იქეთ [illegible]

ტანადი, ჯანიანი ქალი იყო ტატიანა პავლოვნა. მეტად [illegible] ჰქონდა. პირველი შეხედვისთანავე ჯანსაღი დედა წარმოგიდგებოდათ.

— კმარა, ძვირფასო!—ტკბილი ხმით უთხრა მარიკას. — ეთერი არ გააღვიძო, მოისვენოს... განა ტირილისათვის ვართ აქ მოსული? ან სიკვდილმა უნდა შეგვაშინოს? ამიერიდან ცრემლი არ დამანახო! ომი სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლაა. ჩვენ კი სიცოცხლის მსახურნი ვართ...

VI

დედის ბრძნობა

მთელ დღეს ბრძოლა არ შეწყვეტილა. მტერი რამდენჯერმე უკუაქციეს კონტრიერიშით.

იყო გაბმული გრუხუნი, ზრიალი, მიწა ირყეოდა და ცა ზანზარებდა.

მხოლოდ საღამოს ჟამს მიწყნარდა ოდნავ.

სივრცეში გაშლილი კვამლი ნაცრისფერ ღრუბლებს შეუერთდა. გავიდა მცირე ხანი და ღრუბლებში მზის სხივმა გამოჟონა. თანაც წვიმის წვრილი წვეთები ჩამოცვივდა.

ტყის უბეში, მაღალ ფიჭვებს ქვეშ, შეფარებული იყო საველე კარვები. ამ კარვებში იმ დღეს დაჭრილი მებრძოლნი იწვნენ.

ტატიანა პავლოვნა, მარიკა ნაკაიძე და ეთერი დილიდანვე ურთიერთს არ გასაუბრებიან, — დრო არა ჰქონდათ: დაჭრილები მოჰყავდათ, უხვევდნენ, ულიდნენ.

ეს იყო, ახლა იშოვეს მცირე დრო და შეჯგუფდნენ, ფიჭვის ძირას, მდელოზე ჩამოსხდნენ.

კარგა ხანს ხმა არ დაუძრავთ, უზომოდ დაღლილები იყვნენ, თანაც ენით გამოუთქმელი შთაბეჭდილებებით იყვნენ დატვირთული.

ყურში ჯერ კიდევ ზუზუნებდნენ ტყვიები, გრიალებდნენ ზარბაზნები, სკდებოდნენ ყუმბარები, ჭახჭახებდნენ ტყვიამფრქვევები.

დაჭრილთა კვნესა, სისხლი, მოკლულთა გვამები — ეს ედგათ მხოლოდ თვალწინ.

ტატიანა პავლოვნასა და მარიკას თვალი მინაბული ჰქონდათ, ეთერი ტყის სილრმეს გაჰყურებდა.

აგერ ბალახებში აღმართულ ყვავილზე წვიმის წვეთი ციმციმებს, თრთის, თითქო ციცინათელასავით გაფრენას ლამობსო.

უცებ თოვლივით თეთრი პეპელა მოფარფატდა, ყვავილზე დაჯდა, წვეთი მოსწყდა და ბალახებში ჩაიღვარა.

პეპელასაც თითქო ეს უნდოდა, წამსვე ფრთა გაშალა და გაფრინდა.

ხის ტოტიდან პატარა, ჭრელი ჩიტი დაეშვა, ბალახებში ჩაფართქალდა, ხმელ ფიჩხზე შეჯდა, შიშით მიმოიხედა; ესეც ცვარივით ტოკავდა, კრთოდა, თავს ატრიალებდა, ხან ცისკენ იხედებოდა, ხან მიწას დასცქეროდა. მერე ჭივჭივით წარსთქვა რაღაცა და ფიჭვის შტოებში მიიმალა.

ეთერის თვალწინ ხდებოდა ეს, მაგრამ მას არაფერი არ დაუნახავს, ისეთ გუნებაზე იყო, როდესაც ადამიანი ურთულესი ფიქრითაა შეპყრობილი, გარკვევით კი არა გაეგება-რა.

არაერთ მებრძოლს შეუხვია დღეს ჭრილობა, მიაჩვია ყური ტყვიების ზუზუნს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხოხდებოდა დაჭრილთან და მისდაუნებლიედ არ შორდებოდა. ... ნება სამსონია...

ახლაც სამსონზე ოცნებობს თვალგაშტერებული:

...აი, მიაღწია დაჭრილთან, სახეზე დახედა. თვალს არ უჯერის: ნუთუ სამსონია? „სამსონ, თავს შემოგევლე, სამსონ!“ ჩურჩულებს ეთერი და ჭრილობას უსინჯავს... მსუბუქადაა დაჭრილი... საშიში არაფერია, რამდენიმე დღეში მორჩება...

ბრწყინვალე შუქი გამოკრთა თვალთაგან ეთერს. ტუჩებზე ღიმილმა გადაუქროლა.

რა ბედნიერებაა, სამსონი რომ ასე მსუბუქად დაჭრილი იპოვნა! მაინც ფრთხილად, ნიავივით ფრთხილად უხვევს, რომ ტკივილი არ აგრძნობინოს. თან ტუჩებით ეხება მის მხურვალე შუბლს...

მარიკამ მის მუხლზე თავდაყრდნობილ ტატიანა პავლოვნას დახედა, სძინავსო, გაიფიქრა და ჩურჩულით მიმართა ეთერს:

— ცავ, ეთერი... რამ შეგაშინა? ჩუ! არ გაინძრე, ტატიანა არ გააღვიძო... იცი, რა უნდა გითხრა... საშინელი ყოფილა, ცავ. კაცის გული... რას არ გაუძლებს თურმე... რაფერ წარმოვიდგენდი, თუ მე ასეთ რამეს ავიტანდი... ან იმას რაფერ ვიფიქრებდი, რაც დღეს შემემთხვა... ერთ დაჭრილთან მივხოხდი. თავი ჰქონდა გახეთქილი. სისხლი თვალებში ჩალვროდა. მაინც ვიცანი, კინალამ დავიკივლე... მერე გეტყვი, ვინც არის... თავი შევუხვიე, წამოვიყვანე. მან ვერ მიცნო: ცალი თვალი უჩანს მხოლოდ და ისიც ამონაღვლებული აქვს... ახლა დაძინებული დავტოვე. ნამეტარი დასუსტებულია, თვარა თავგახეთქილს რა დააძინებდა...

— ვინ არის? რატომ არ მეტყვი? — შეაწყვეტინა ეთერმა.

— მაი გრძელი ამბავია... შორს წაგვიყვანს... ნენავ, რა ყოფილა კაცის გული! მეგონა, რომ შემხვდეს, კბილით დავგლეჯ-მეთქი. ახლა კი ისე შემეცოდა, თითქო მასზე უსაყვარლესი არავინ მყავდეს...

ტატიანა პავლოვნამ თავი წამოსწია, სახეზე ხელი მოისვა.

— ჩამძინებია! — განცვიფრებით სთქვა და ერთ წამს თვალი გაუშტერდა, მერე რაღაც მოაგონდა და მაშინვე წამოხტა:

— დებო, მე უნდა წავიდე. ღამდება. დროა ახლა...

— რას ამბობ, სად უნდა წახვიდე?

— დღეს ტყის პირად ერთი დაჭრილი დამრჩა. ჭრილობა შეხვეული აქვს. მალე მოგაკითხავ-მეთქი, შევპირდი... დამაგვიანდა...

— ჩვენც წამოვალთ.

— არა, თქვენ აქა ხართ საჭირო.

— შემოგაღამდება.

— არა უშავს-რა. წადით, დაჭრილებს მიხედეთ. მე ორ-სამ საათში აქ გავჩნდები.

გამოეწყო. სამედიცინო ჩანთა ჩამოიკიდა. თავზე ზუჩი დაიხურა. შარვალი და ჩექმები გაისწორა, მოლისფერ გიმნასტურაში ამობურთული სავსე მკერდი შეარხია, წელში მხედრულად გაიმართა. ახოვან ვაჟკაცს დაემსგავსა.

ჩამავალი მზის შუქი, გაპენტილი ღრუბლებიდან გამომკრთალი, ფიჭვების

კენწეროებს ეფინებოდა. ტყის სილრმეში კი ფისისა და ბალახის სუნით გაჟღენთილი ჩრდილი იდგა.

ხანგამოშვებით სიჩუმეს ქვემეხების შორეული გრუხუნი ირღვევდა. მაგრამ ტატიანა პავლოვნა მას ყურადღებას არ აქცევდა. მიიჩქაროდა. გარშემო იხედებოდა, ყოველ ჩქამს აკვირდებოდა.

ტყის პირად ხეებს მიეფარა და გზა განაგრძო. ბალახი წვიმებამდის სწვდებოდა, შრიალებდა.

გულში ეჭვი შეეპარა: ვაი თუ ვერ მივაგნოო. ნაბიჯს აუჩქარა. მწვავე სინანული აღეძრა — ამდენხანს რატომ არ მოვიკითხეო.

„დამნაშავე ვარ, დაჭრილები სხვებისთვის უნდა ჩამებარებინა და მე მაშინვე უნდა გამოვბრუნებულიყავი, — ფიქრობდა ტატიან პავლოვნა, — ვინ იცის, რა დღეშია ახლა საბრალო! მძიმედ დაჭრილი მაინც არ იყოს“...

აქ ახლოსაა სადღაც. აგერ ის მოხეთქილი ხე... იქნებ, რაკი ალარ მივედი, ძალა მოიკრიბა და გახოხდა...

უცებ კვნესა მოესმა. შეჩერდა, ყური მიუგდო.

ხმას მიჰყვა.

ხის ძირას იწვა დაჭრილი პირალმა. აჩქარებულ ტატიანა პავლოვნას მოჰკრა თვალი და გმინვა ალმოხდა. წამოიწია, თითქო ადგომას ლამობსო, ცალი ხელი ძლივს ასწია, სახეზე მიიფარა და ულონოდ ჩაიკეცა.

— რავ შეგაშინა, ძვირფასო? მე ვარ, წასაყვანად მოვედი, — წარსთქვა ტატიანა პავლოვნამ, დაჭრილთან მიიჩქარა და თავქვეშ ხელი ამოსდო.

დააკვირდა. გაოცდა. ეს ის არ არის. ეს... აგერ მხარსა და გულმკერდზე სისხლი შეშრობია, ბეჭთან მოყონავს მხოლოდ... იმას ხომ ჭრილობა შეუხვია...

დაჭრილმა ძლივს გაახილა თვალი და ქალს შეაშტერდა, ტუჩები აუცახცახდა, სწორედ ისე, დედისაგან დატუქსული ბავშვი რომ ტირილს დააპირებს. მერე რაღაცა წაილულლუღა.

ტატიანა პავლოვნამ მისი სიტყვები ვერ გაარკვია, მხოლოდ სიბრალულის ალმძვრელი კილო შეიცნო. მწუხრის ბინდში მხოლოდ ახლა გაარჩია ახალგაზრდა კაცის ქერა სახე.

შეკრთა. გერმანელი ჯარისკაციაო, სთქვა გუნებაში და მოუფიქრებლად წამოიმართა, წასვლა დააპირა.

რაღაცამ შეაჩერა.

„სად მცალიან ახლა ამისთვის, ჩვენიანი უნდა მოვნახო“, — უთხრა ერთმა გულმა. მაგრამ წამოდგომა მაინც ვერ შესძლო.

„ესეც ხომ ადამიანია... კი, მაგრამ, ვინ იცის, რამდენი ჩვენიანი გამოასალმა სიცოცხლეს... არა, ეს უმწეოა, ცოდვაა“...

მერყეობა დასძლია. სამედიცინო ჩანთა გახსნა და თავისი მოქნილი ხელებით სწრაფად, გულდაგულ შეუხვია ჭრილობა.

დაჭრილი რაღაცას ბუტბუტებდა, თითქო ლოცულობსო. ერთხელ ტატიანა პავლოვნას ხელს მისწვდა ტუჩებით და მხურვალედ ეამბორა.

ტატიანა პავლოვნა შეკრთა და ხელი უკან გასწია, გერმანელს მკაცრად შეუბღვირა.

— იყავი ახლა აქ, შე საბრალოვ! — მაინც ლმობიერი ხმით უთხრა ბოლოს ტატიანა პავლოვნამ და წელში გაიმართა.

დაჭრილი გაუგებარ სიტყვებს ეუბნებოდა, მაგრამ ხმაზე ეტყობოდა, რომ მადლობას უხდიდა და რაღაცას ეხვეწებოდა:

— ჰო, სწყურიან! — მიხვდა ტატიანა პავლოვნა და დაჭრილს მათარა ტუჩთან მიუტანა.

ტატიანა პავლოვნა ბუნდოვანმა ფიქრმა შეიპყრო, ისეთმა ფიქრმა, ოდესაც ადამიანი მხოლოდ ჰგრძნობს, სიტყვებით კი ვერ გამოსთქვამს.

გონს რომ მოეგო, დაჭრილს მათარა თითქმის გამოეცალა.

— სულ შეუსვამს ამ წყეულს! — მკაცრად სთქვა მან და წამოდგა. წასვლისას მაინც დარბილებული ხმით უთხრა:

— იწექი მანდ, ნუ გეშინიან, არ დაგტოვებთ.

მიდიოდა და კმაყოფილებაზე უფრო მეტად სინანულს გრძნობდა: ვაი თუ ჩემს დაჭრილთან დამაგვიანდესო.

ჩამობნელდა.

ტყის პირად მიმავალი ტატიანა პავლოვნა ყუმბარებისაგან ამოთხრილ ორმოებს ძლივს არჩევდა.

მოთმინებას ჰკარგავდა. იქნება გზა აერია და დაჭრილი ამალამ გარედ დარჩეს უპატრონოდ. რა ეშმაკად გადაეყარა იმ წყეულ გერმანელს? ჯერ შენიანს უნდა მიხედო და მერე...

— ვინ მოდის? შენ ხომ არა ხარ, დაო?

მოესმა ამ დროს ტატიანა პავლოვნას.

ხმაზე იცნო. მიირბინა. ჩაიჩოქა. სახეზე ხელი მოუსვა, მიეფერა.

— მაპატიე, ძვირფასო, ამდენ ხანს რომ დავიგვიანე. ახლა ნუ გეშინიან, მალე მიგიყვან კარავში.

— წყალი! — ჩავარდნილი ხმით სთქვა დაჭრილმა.

ტატიანა პავლოვნამ მათარა მიაწოდა.

დაჭრილმა ორი მოთქმით გამოცალა მათარაში დარჩენილი წყალი, ტუჩებზე ენა მოისვა და ტატიანა პავლოვნას საყვედურით შეაცქერდა.

— ამაში ორი წვეთი იყო, სავსე რატომ არ წამოიღე?

ბავშვი რომ დედას შეესიტყვება, ისეთი კილო მოისმოდა დაჭრილის ხმაში.

ტატიანა პავლოვნას გული სიბრალულით აევსო.

— დამნაშავე ვარ... მაგრამ ნუ გეშინიან... აბა, აიწი, მხარში ამოგიდგები, — უთხრა დაჭრილს და თავი ფრთხილად აუწია.

დიდის წვალებით მიდიოდნენ.

გადაადგმევინებდა დაჭრილს რამდენიმე ნაბიჯს და შეასვენებდა. თვითონაც გამალებით უცემდა გული.

დაჭრილს ძალა ელეოდა, მთელი სიმძიმით აწვებოდა ტატიანა პავლოვნას. ეტყობოდა, მტკიცე ნებისყოფის ვაჟკაცი იყო, მაგრამ ახლა სისხლი აღარ შერჩენოდა და ერთიანად მოდუნებულ სხეულს ვერ იმორჩილებდა.

ტატიანა პავლოვნასაც უწია მთელი დღის დაღლილობამ. სული შეეხუთა.

ბალახში ჩაიჩოქა და დაჭრილი ფრთხილად დააწვინა.

კარავი ახლა შორს არ უნდა იყოს, მაგრამ ტყეში ისეთი უკუნი ჩამოწვა, რომ სულ ადვილად შეიძლება მიმართულება შეეცვალოს და მთელი ღამე ამაოდ იხეტიალოს.

სმენად გადაიქცა: იქნება ჩვენების ხმა გავიგონოო.

ტყე სდუმდა.

არა, კი არ სდუმდა, იდუმლად მეტყველებდა ღამის საფარველს ქვეშ, უცნაურად შრიალებდა.

— წყალი! — ძლივს დასძრა ხმა დაჭრილმა.

ტატიანა პავლოვნას მწვავედ უკბინა გულში სინანულმა.

— ცოტა მოითმინე, ძვირფასო, მალე მივალთ... გამაგრდი, ეტაკვალ არა ხარ? — დაყვავებით ეუბნებოდა იგი.

ბიბლიოთეკა

უთუოდ მეტისმეტად დაილალა ქალი და იმიტომ აღეძრა ეს გრძნობა: ასე ჰგონია, უცნობ კაცს კი არ ეფერება, ბავშვს ეხმატკბილება დასაძინებლად...

უცებ ნაცნობი ხმა მოესმა. ეს კარვებიდანაა. ახლოს ყოფილან. გული სიხარულით აევსო. ერთ წამს თავი მარჯვენა ხელზე დააყრდნო, განცხრომით თვალი მოხუჭა და მარცხენა ხელი ნაზად შეახო თავზე დაჭრილს.

საოცარია, მთელი დღის განმავლობაში თავისი პირმშო არ მოჰგონებია, იმდენად გართული იყო საქმეში, ახლა-კი უცნობი დაჭრილი როდია ეს, თავზე რომ ალერსით ხელს უსვამს, ეს მისი პირბადრი ბიჭუნაა. მამისეული ცისფერი თვალები ულიმის ბაკშკს და გულდამტკბარი დედა ამ ღიმილში მთელ საყაროს ხედავს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კალე ბოგოლიუბოვი

მამულიშვილნი

ჩვენო ტკბილო მამულო, ზოგჯერ სისხლით ნამულო,
ბევრჯერ გამარჯვებულო, დამრბეველო მტერისა,
ქალაქებო, სოფლებო, ხუტორო და აულო,
სიამაყევ, სიმდიდრევ, დიდ საბჭოთა ერისა!
ჩვენი ქვეყნის გმირებო, მფრინავებო ღრუბლებში,
გზრდიდათ მამულიშვილებს ტკბილი ნანა დედისა,
ცხენოსნებო, ვაჟკაცნო, ზრდილნო ქვეყნის უბეში,
გამარჯვებით მჭედელნო დიდ სამშობლოს ბედისა!
მეზღვაურნო ამაყნო, ზღვაზე შემოგარენო,
მტრებს ეცემათ ლახვრებად თქვენი კრეისერები,
დაიცავით ქვეყანა — მშობლიური გარემო,
ჩვენი ზღვა და ხმელეთი, ჩვენი მთა და სერები!
ფეხოსნებო მამაცნო, გამძლე სნაიპერებო,
ფაშიზმს ტყვია ახალეთ, ყუმბარები აწვიმეთ,
ჯავშნოსნებო, ტანკებო, მტრისგან შეუჩერებნო,
არ დაინდოთ, მტარვალი სასიკვდილოდ გაწირეთ!
ჩვენი ქვეყნის მამებო, ჩვენი ქვეყნის დედებო,
შრომით ჰედეთ მშობელი ქვეყნის ბედნიერება,
დაიცავით ქვეყანა, ბრძენო შემომქმედებო,
მოწოდება გმირული გულში ჩაგვეწერება!
გოგონებო ლამაზნო, მოციმციმე მალხაზნო,
მოუქსოვეთ მებრძოლებს ზამთრის თბილი წინდები,
თქვენმა ზრუნვამ, ალერსმა სიხარულით აგვავსო,
თქვენით ხარობს წარმტაცი ჩვენი ქვეყნის მინდვრებიც!
ჩვენთანა ხართ, ბრძოლის ველს ათბობთ თვალთა ნათებით,
თქვენ შეგვცვალეთ ქალაქად, თქვენვე იბრძვით სოფლადა,
მოგვდის, როგორც სალამი თქვენი ამანათები,
თქვენი ძმები არასდროს თავს არ ვიგრძნობთ ობლადა!
ჩვენი ქვეყნის ვარსკვლავნო, თქვენი სახის იერი,
დეე იყოს მარადის სიხარულით მძლეველი.
დაეცემა ფაშიზმი ბოროტი და ცბიერი,
გაიხარებს ზურმუხტი მშობლიური ტყე-ველი!
და როდესაც სამშობლო მოიცილებს მტარვალებს,
და როდესაც ჰიტლერი ყველგან გაიწირება,
მზე ეწვევა საყვარელს ლამაზ მთებს და ტრამალებს,
და წყვდიადი ღამისა ზღვაში ჩაიძირება!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

სამშობლოსათვის

„ბატონიშვილ ერეკლესა
ირმის ძუძუ უწოვნია.
წყალნი უსვამს ალგეთისა
თრიალეთზე უძოვნია“.
ხ ა ლ ხ უ რ ი

არ მიწოვია ძუძუ ირმისა,
ყმაწვილს არც ჯაჭვის პერანგი მეცვა,
მაგრამ მზის სხივით გულმოსირმული
გმირ წინაპართა მოდგმისა მეც ვარ...

მკერდში მეომრის გული მეც მიცემს,
მიტაცებს თერგის ტალღის დინება
და თუ რამე მაქვს — ყველაფერს მივცემ,
სამშობლომ ჩემმა თუ რომ ინება!

სამშობლომ ჩემმა რადგან ინება
ბედნიერება ჩემთვის ამდენი! —
მიწას მშობლიურს, მზეს გაბრწყინვებულს
მე შევღაღადებ ამ ერუანტელით.

მეც მსურს ვიბრძოდე ძალგულოვანი
ისე, ვით დიად წინაპრებს სწამდათ...
შერცხვეს სიცოცხლე ათასწლოვანი
სამშობლოსათვის სიკვდილის წამთან!..

არ შემისვია ალგეთის წყალი,
ყმაწვილს არც ჯაჭვის პერანგი მეცვა,
მომგვარეთ რაში, მომეცით ხმალი! —
გმირ წინაპართა მოდგმისა მეც ვარ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კლიმენტი გოგიავა

ღრუბლებში

V

ამინდიც რომ მტერია *)

ვანო გაშლილ რუქაზე წითელი ფანქრით ავლებს ხაზებს. აქა-იქ, თითქოს ფიქრი დაამთავრაო, მსხვილ წერტილებსა და ისრებს სახავს.

— აჰა, — უკანასკნელი წერტილის დასმის დროს აღმოხდა ვანოს, გაიღიმა და ამხანაგებს მიუბრუნდა, რომლებიც აგუზგუზებულ ბუხარს უსხდნენ და პაპიროსს აბოლებდნენ.

— რა მოგვიდათ, ბიჭებო, ლამის სული შემიგუბდეს! — ამ სიტყვებზე მან კარი გამოაღო.

აშარმა ქარმა მაგიდიდან რუქა გადმოაგდო, ქაღალდები ააფრინა, ფანჯრები ააძიგძიგა.

— აქ ასეა, იქ რაღა იქნება!

— ნამდვილი „მურაა“, ახლა ფრენა შეიძლება?! — შეეკითხა ზამკოვი.

— ქართული ანდაზაა: როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო. თუ საჭიროა და აუცილებელი, რატომ არ შეიძლება ფრენა? რა გახდა ასეთი ეს ყურე! აი, ლეიტენანტი ნ. ვნახოთ რას იზამს, მე მგონია გადაივლის.

— უკან თუ არ დაბრუნდა, გადაივლის მა რას იზამს.

— არა, ზამკოვ, ლეიტენანტი ნ. ყურეს გადალახავს და ბრძანებასაც შეასრულებს.

მტკიცედ წარმოსთქვა ვანომ, კარი დაკეტა და ლოგინზე წამოწვა, ზამკოვს პაპიროსი სთხოვა და კვამლის თეთრი რგოლები ნესტოებიდან გამოუშვა.

— ამხანაგებო, გუგუნი ისმის, ალბათ, ღმერთი გაუწყრა ლეიტენანტ ნ-ს.

ზამკოვმა ფანჯარაზე აფარებული გაზეთი ჩამოგლიჯა და გახედა რიჟრაჟს. განთიადის წინ ცა უფრო გაშავებულიყო. გუგუნი ახლა გარკვევით ისმოდა.

— არ მჯერა, მაგრამ მაინც გავიდეთ გარეთ.

მფრინავებმა ბეწვის ჯუბები ჩაიცვეს, პოლარულ ქარ-ყინვას ხან ზურგით და ხან მოხრილად ებრძოდნენ და ისე მიიკვლევდნენ გზას აეროდრომისკენ.

— არა, ძმაო, ისევ თვითმფრინავი დალოცოს ღმერთმა, თორემ ფეხების იმედი ნუ გაქვს! — წაიდუდუნა ჩერნოვმა, უცებ წაიბორძიკა, თავი ვერ შეიმაგრა და თოვლში გაგორდა.

— მიწაზე ვერ გაგივლია და თვითმფრინავიო, იძახი! — შეუტია ვანომ და მიბრუნდა მის ასაყენებლად.

---

*) დასასრული. იხ. „მნათობი“ № 9.

ისინი უკვე აეროდრომზე მივიდნენ. ახლად დაფრენილი ყუმბარმშენები ჯერ კიდევ თუხთუხებდნენ, ხოლო პრიალა პროპელერები ზანტად ტრიალებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამხანაგო პოლკოვნიკო! — ძლივს ამბობდა აღელვებისაგან სუნთქვაშეგუბებული და დარცხვენილი ლეიტენანტი ნ-ი: — ყურე ვერ გადავლახეთ, დაღუპვას დაბრუნება ვამჯობინეთ. ისეთი „მურაა“, რომ მოძრაობა შეუძლებელია.

— შეუძლებელი არაფერია, მე თვითონ მივდივარ! აბა, ზამკოვ, ჩერნოვ, ბიჭებო, მოემზადეთ!

ჰყინავს.

მიწა ყინულის ლოდად გადაქცეულა. აქა-იქ შენიღბულ ჯარისკაცებივით მდგარ ხეებს ყინვისაგან გაშეშებული ტოტები ცისკენ გაუშვერიათ, თითქოს მზის ამოსვლას ითხოვენო. ტყვიისფერ ცაში ყინვის უზარმაზარი ღრუბლები დასცურავენ და თოვლითა და წარღვნით იმუქრებიან.

ვანო ზარიძის ესკადრილია ჯერ ისე დაბლა მიფრინავდა, რომ მერცხალივით მიწას ეკვროდა, მაგრამ შემდეგ, თითქოს უჩინარმა ძალამ სული ჩაბერაო, გუგუნით მაღლა ავარდა.

ფინეთის ყურე თავისი გრიგალით, წყლის შხეფებით და მძაფრი ყინვით წინ აღუდგა ესკადრილიას. ქარიშხლის კედელი აღიმართა მიწიდან ცამდე.

ბუნებაც რომ მტერია, — ფიქრობდა ვანო და ყუმბარმშენის საჭეს ისე უჭერდა ხელებს, ფრჩხილებიდან საცაა სისხლს წამოიდენდა. „გადასვლა შეუძლებელია!“ უიმედოდ გაივლო მან გულში, მაგრამ უმალვე ღონე მოიკრიბა.

— ბიჭებო, მომყევით! — ჩასჭყივლა მილაკში და ღრუბლებში შეცურდა.

შვება იგრძნო. იქ ქარიშხალი არ მძვინვარებდა, მაგრამ არც ჰაერი მოძრაობდა. ყველაფერი გაშეშებული იყო და პროპელერის ყოველ მოტრიალებაზე ხომალდი შეტოკდებოდა ხოლმე.

— გადავრჩით!

გადარჩენის გრძნობამ უფრო გაამხნევა ვანო და თვალწინ ლეიტენანტი ნ-ი წარმოუდგა.

— ღრუბლების ზემოთ ფრენა არ შეგეძლო?

შეეკითხა იგი ლეიტენანტს.

— გეზი არ დაჰკარგოთ, ფრთხილად, მედგრად! „დაი-რაი... რი-რა-რაი-რაი“. — ჩაამღერა მან მილაკში და მფრინავები გაამხნევა.

— უცნაური კაცია, რა დროს სიმღერაა? — წაიბუტბუტა ჩერნოვმა — არა, მთავარ ხიფათს მართლა გადავრჩით, რაკი ყურე გადავლახეთ, არაფერი გვიშავს.

— წინ!.. პირდაპირ!..

ეს ვანო იყო.

— მომყევით! — დასჭექა მან, შეხუთულ ღრუბლებში მოხერხებულად გაძვრა და ერთ წუთს ესკადრილია ისევ ღრუბლების ზემოთ, გამჭვირვალე სივრცეში მოაქცია, სადაც არც ისე ჰყინავდა და ოდნავი ქარიც არ უბერავდა. ცაზე შეყინული მთვარე მზვერავივით იჭყიტებოდა და მისი სხივების ელვარება სრულებით არ იგრძნობოდა.

ყუმბარმშენებთან ერთად თოვლით დახუნძული ღრუბლებიც მიიჩქაროდ-

ნენ მტრის ბანაკისაკენ. კაბინაში ვანო კარგად გრძნობდა თავს. მან წუთით ხელები საჭეს გაუშვა და ნახაზი გაშალა.

— ჰელსინკს მივუახლოვდით. აბა, თქვენ იცით, ბიჭებო, ბრძანეთ, ყუმბარა უმიზნოდ!

გაიწკრიალა მილაკში მოწოდებისა და გაფრთხილების ხმამ და ყუმბარმშენებმა რაღაცნაირად მაღლა შეინავარდეს.

— სძინავთ, ჩემმა მზემ, სძინავთ!—ღელავდა ვანო და სწრაფად მიაქროლებდა ხომალდს.

— რომ დავაყრით, უკეთესად დაიძინებენ! — ყურში ჩასძახა ჩერნოვმა და ორივემ გაიცინა.

— მაშ, მაშ, ჟენია! — და შემდეგ თავისთვის გაიფიქრა ვანომ: „ნამეტანი მომივიდა, საძაგელი ამინდია, ვერაფერს ვხედავ. გადავაჭარბე, აშკარად გადავაჭარბე... ისინი... აი მესმის, ჭკუიანები ყოფილან, დაბრუნდნენ. შეეშინდათ? არა, მტერი მტერია, მაგრამ ამინდიც რომ მტერია... დაბრუნდნენ-აქაო და გზა ვერ გავიკვლიეთო... მართლაც რომ ძნელია... რომ დავიღუპო! ჩემს მიწაზე მაინც დავეცემოდე, კიდევ არა უშავდა-რა“...

— პოლკოვნიკო, ლეიტენანტ ნ-ს ესკადრილია რომ დაბრუნდა, შესცდა. აბა რა არის აქ ძნელი! ისე მშვიდად მივდივართ, თითქოს ჩვენს მიწა-წყალზე ვიყოთ.

— ჩერნოვ, შიში ხომ არ გალაპარაკებს მაგას?.. ავიაგამანადგურებლები... ყვავები, ყვავები! უფრო მაღლა ღრუბლებში! — დასჭყივლა ვანომ. მაგრამ მტერმა ჯერ მარცხნიდან, შემდეგ მარჯვენა ფრთიდან ისე მიაყარა ცეცხლი, რომ გამოსვლა უკვე ძნელი გახდა.

— გავებით! ჰა, ვითომ გავებით? მოგიკვდეს ბიჭი არსენა, სროლა ჩვენც ვიცით. ცეცხლი! — შეჰყვირა ვანომ და ამეტყველდა ტყვიამფრქვევი.

მთელი ესკადრილია თავდაცვიდან იერიშზე გადავიდა, დაჰკუწეს, დაფლითეს ღრუბლები.

ბოლოს ერთი ავიაგამანადგურებელი გაჩერდა, თავით მიწისკენ დაქანდა და შავი კვამლი რგოლებად ამოჰყარა. შემდეგ მეორედანაც ცეცხლის ლაპლაპა კვამლი ავარდა, ღრუბლების ნაჭერს გაურბინა და ისე გაჰქრა. სულ სამნი ყოფილან. რაკი ორი დაეცა, მესამემ თავს უშველა.

— ყვავები ჩამოვაგდეთ, ბახალა გაგვექცა. მაგრამ, ამხანაგო პოლკოვნიკო, ზამკოვი დაიჭრა! — ღელავდა ჩერნოვი, რომლის სიტყვები რადიომ ზამკოვსაც მიუტანა და...

— არაფერიც, ჩერნოვი მიჰქარავს: მუხლი გამეკაწრა ცოტა, ხელები ხომ ჯანსაღი მაქვს, წინ!..

— ზამკოვ!

— დრო არ არის, პოლკოვნიკო, წინ!

ახლა ტკივილი გულთან უფრო მძლავრად მივიდა, ზამკოვმა თავი ჩაქინდრა, ხელები გაუშვა საჭეს, ხომალდი შეტორტმანდა. სანამ მეორედ მოუვლიდა ტკივილი, ზამკოვმა მუხლებზე შარვალი ამოიჭრა, იოდიანი ბამბით ნატყვიარი შეიხვია და ამხანაგებს ჩამორჩენილი ისევ დაეწია მათ, ვანოს ამოუდგა გვერდში.

— ყოჩაღ, ზამკოვ!

— არა, პოლკოვნიკო, ყვავის ტყვია არც ისე მწარე ყოფილა, თუმცა მუხლში კი მიღიტინებს, მაგრამ ჩემი ყუმბარები თუ არ დავაყარე — მოვკვდები.

— ზამკოვ, შენი ჯიუტობით არ დაიღუპო!

— ჯავრი ნუ გაქვს, პოლკოვნიკო, ჯიუტობა რას მიქვია, წინ!

— ამას სულ წინ და წინ აკერია პირზე, მოდი შევარქვათ ... გაეხუმრა ჩერნოვმა.

მისი სიტყვები რადიომ ამხანაგებსაც გადასცა.

ზამკოვი სრულებით არ იყო ხუმრობის გუნებაზე. მუხლი საშინლად სტკიოდა, მაგრამ ტკივილს გადააჭარბა შურისძიების გრძნობამ, რომელიც მას სავსებით დაუფლებოდა და წინ ეწეოდა.

*

* *

ჯერ კიდევ დილას თავისი ფრთები არ გაუშლია და ქალაქს სიხარულად არ მოსდებია ღრის კრიალა ნათელი.

ჯერ კიდევ განთიადი არ მიწურულა და ქალაქი, თითქოს ტყე იყოს, ისეა ჩაბნელებული. იგი გუშინ მთავრობამ დასტოვა, ხოლო სამხედრო ხელისუფლებამ ქუჩებში გამოაკრა ბრძანება, რომლის ძალითაც მშვიდობიან მცხოვრებლებს 24 საათში ჰელსინკი უნდა დაეტოვებინათ.

ბულდათუთქული დედები, რომელთა შვილებიც ფრონტზე გარეკეს, მთელ ღამეს ცრემლით იმდურებოდნენ და ისე ალაგებდნენ ჩემოდნებში ნივთებს. ცოლები, შვილები, დები და პატარა ძმები ტირილით, მოთქმითა და ღნავილით დაბორიალებდნენ ოთახიდან ოთახში, ერთმანეთს ფეხებში ედებოდნენ, ყველას თავისი ნივთი და დარდი გამოჰქონდა გარეთ. სახლებიდან მოისმოდა მტვრევის, კვნესისა და ყვირილის ხმები. ქუჩები საბარგულებით, მოდგანდგარე ავტომობილებით, მარხილებით იყო სავსე.

ლტოლვილთა ჯგუფები ერთმანეთს უერთდებოდნენ და გრძელ ქარავნებად მიედინებოდნენ.

— ეს-ღა დაგვრჩა, შვილო? მოაშორე აქედან!

და დედამ პატარა გოგონას თავისი საყვარელი ფისო ხელიდან გააგდებინა. კატა თოვლში გადახტა, კნავილით შინისაკენ გაიქცა, მაგრამ პოლიციელის (რომელიც კარებს ლუქავდა) ღონიერმა წიხლმა იგი ისევ ბავშვის წინ დაანარცხა. აღრიალდა გოგონა და ფისო გულში ჩაიკრა. დედასაც ცრემლი მოერია, ბავშვი თავისი ფისოთი საბარგულში ჩასვა და გზას გაუდგნენ.

— ბატონო ოფიცერო, ბავშვი ავადმყოფია, ეგრე ტომარასავით რად ჩააგდეთ მანქანაში!

ატირდა დედა და ბრჭყვიალა ეპოლეტებიან ოფიცერს ზიზღით სავსე თვალები შეანათა.

— გეწყინათ! — და ოფიცერმა ბავშვი ავტომობილიდან ისევ თოვლზე დასვა. —მაშ რა ვქნა, თქვენთან არშიყობის დრო არა მაქვს. ომია, რითი ვერ გაიგეთ, ომი!

ოფიცერი კაბინაში ჩაჯდა და შოფერს თვალებით ანიშნა, წადიო. დედა ტირილით მივარდა და ცრემლიანი სიტყვებით შეევედრა:

— მიშველეთ, ნუ დამტოვებთ, ბატონო ოფიცერო!

— ჰმ, არა უშავს-რა, მოსკოველები რომ ჩამოგახრჩობენ, მაშინ გაიგებ!— და დაიძრა ავტომობილი. დედას მუხლები ჩაეკეცა, დაყინულ თოვლზე დაემხო. ბავშვიც აღრიალდა.

მოხუცი მეტყევე იაგორე გააკონენი იქვე ტროტუარზე იდგა და მფრინავი

შვილის ლაპარაკს ყურს რომ უგდებდა, ამ ქალის საცოდაობის შემყურეს გული ეთუთქებოდა. ვერ მოითმინა მოხუცმა, გაიქცა ქალისაკენ და ერთხელად წამოაყენა იგი. ახალგაზრდა მფრინავმაც ბავშვი აიყვანა ხელში.

— მოსკოველები ისე საშიშნი არ არიან, როგორც იმ ვაუბატონს ჰგონია,— ჩუმად უთხრა მოხუცმა ქალს და თანაც დაუმატა: — ჩვენთან წამობრძანდით, ჩემი ძმის მანქანაში მოგაწყობთ.

ქალის სახეზე მცირე იმედის შუქმა გაირბინა. მოწყალების თვალებით შეხედა გააკონენს და მდუმარედ გაჰყვა მას.

— ჩემო ბატონო, როგორ გაგვაუბედურა ამ ომმა! ადამიანები ლამის მათხოვრებად გვაქციოს. ქმარი და ძმები ომში მყავს და მე აქ ვიღაც ვიგინდარა ოფიცერი სიცოცხლეს მიმწარებს. ეს სადაური სამართალია!

ქალის ცრემლნარევი სიტყვები მამაშვილს გულზე მდულარესავით გადაევლო. იაგორემ მზრუნველად შეხედა ქალს და გულდაწყვეტით უპასუხა:

— რას იზამთ, შვილო, ადამიანი დაიბადება თუ არა, განგება თავისი მაცდური ხელით მაშინვე შუბლზე დააწერს: იშრომე, იბრძოლე და იცხოვრეო. და ჩვენც რა გზა გვაქვს მეტი, ვასრულებთ ამ ბრძანებას და აი რა დღეში ვართ!

მოხუცმა გაიხედა ლტოლვილთა ქარავნისაკენ, რომელიც მოედანზე გამოჩნდა. ქარავანს, მიუხედავად სიცივისა, ენაგამოგდებული ძაღლები ყეფითა და წკმუტუნით მისდევდნენ. ლამობდნენ მარხილებზე შეხტომას, მაგრამ იქიდან პატრონები აგდებდნენ.

— ხედავთ, რიკასების მსუბუქი ავტომობილები როგორ მიჰქრიან, ჩვენისთანა ხალხის მარხილები და საბარგულები კი როგორ მიიზლაზნებიან! ასეთი ულმობელია ცხოვრება: ერთი ასწრებს მეორეს. ვინც წინ წავა, ბურთიც მისია.

— ჰო, ეგ კი მართალია, ჩემო ბატონო!

— მამა, ნუ გაუწყალე ამ ადამიანს გული... თქვენს ბიჭიკოს დაეძინა, ბატონო, — ალერსიანად მიმართა ახალგაზრდა მფრინავმა ქალს.

— თქვენ დაიღლებით, მომეცით.

— უკვე მივედით.

და ისინი აგურისფრად შეღებილ სახლის დერეფანში შევიდნენ. იაგორეხის კიბეებზე ფეხების ბაკუნით მაღლა ავიდა.

— ჰა, ჩემო ძმაო, — მიმართა მან ძმას ოთახში შესვლისთანავე, — სტუმრები მოგიყვანე. ამათმა ცოდვამ დამწვა, ჩვენს მანქანაში მოვაწყოთ როგორმე!

ბავშვივით მორიდებული ქალი კუთხეში იდგა და ცახცახებდა, სანამ სკამი არ მიაწოდეს.

— დაბრძანდით! — მიიპატიჟა იაგორეს ძმამ, თავისი სახლობაც გააცნო და შემდეგ, ძმისწულს რომ შეხედა, გადიხარხარა.

— ბიჭოს, როგორ გიხდება ბავშვი. ამან ცოლის შერთვის მადაზე არ მოგიყვანოს, თორემ კარგი დღე არ დაგადგება, იცოდე.

მფრინავს ტოვიოს ეძახდნენ. ლტოლვილმა ქალმა ბავშვი გამოართვა და იქვე ლოგინზე დააწვინა.

დიასახლისმა ჩაი გამოიტანა, პური დააწყო თეფშზე და დარცხვენილად სტუმარს მიმართა:

— შაქარი გაწყდა, ნუ დაგვძრახავთ.

— შაქარზე ვინ ფიქრობს, როცა თავათ ჩვენ ვწყდებით, — და ბავშვს გადახედა.

— იმასაც ვაჭმევთ, დარდი ნუ გაქვთ, — დააიმედა კეთილმა დიასახლისმა და მაგიდას მიუჯდა. ისინი პურს ჩაიში ალბობდნენ და კამფეტს ატანდნენ. ვილაცამ კარები სამჯერ დააკაკუნა. ტოვიომ თავისი ამხანაგი მფრინავი შემოიყვანა. იგი სუფრაზე მიიპატიჟეს და ჩაი მიართვეს.

— ჰაა, ბიჭებო, ცხელი ჩაი სჯობია თუ ცივ ჰაერში ნავარდი?

— ორივე კარგია, მამაჩემო, — მიუგო ტოვიომ და კამფეტი მოკვნიტა.

არ ესვენებოდა იაგორეს. მან მესამე ჭიქა გამოსცალა და თანაც დააყოლა:

— ერთიც კიდევ, ჩემო რძალო, წყალს მასმევ, არაყს ხომ არა!

— არა ძმაო, — შეესიტყვა ძმა, — ამდენი წყალი გაგბერავს... ქალო, ერთი არაყი გამოიტანე. არ ვიცი, ვის უნახავ, ხვალიდან შეიძლება ვერც მნახო.

— ჩაის შემდეგ არაყი არ ვარგა, მაგრამ ახლა არჩევის თავი ვისა აქვს. არ გვაწყენს! — მიმართა იაგორემ თავისი შვილის ამხანაგს, რომელსაც საყელოზე ოქროსფერი წერტილები უბრწყინავდა და მკერდზედაც ჯვარი ერხეოდა, ხოლო სახე თეთრი და გაყინული ჰქონდა, როგორც თოვლი, თვალებიც ცივი. იგი ბავშვივით წუწნიდა კამფეტს.

— არა უშავს, — წრიპინით აღმოხდა მას და ტოვიოს მიუბრუნდა, — სმის უფლება რომ არა გვაქვს?

— უფლებას ვინ დაეძებს, შვილებო...

დიასახლისმა არაყის ბოთლი და ძეხვის ნაჭრებით სავსე თეფში სუფრაზე დადგა.

— უფლებას ვინ დაეძებს, — განიმეორა იაგორემ, ჭიქები შეუვსო ყველას, შვილის ამხანაგის ჭიქას თავისი სასმისი მიუჭახუნა და შესვა.

ეამა მოხუცს არაყი, რაღაცნაირად სახე გაუნათლდა და თვალების ჭუტვით დაიწყო:

— ბომბარდირება და სიკვდილი ყოველ წუთს მოსალოდნელია. რუსები თურმე არავის არ ინდობენ. ან ბრძოლაში დანდობა როგორ შეიძლება. მანერჰაიმმა ბრძანა, ჰელსინკი დაცულიაო. არ შეგჭამოს ჭირმა! დაცული კი არა, წუხელ ოფიცერთა უბანი ნანგრევებად აქციეს. ოფიცრებს თავიანთი თავი ვერ დაუცვიათ და ჩვენ აბა, რა ხეირს დაგვაყრიან. ერთი ბრმა ყუმბარის ნატეხიც საკმარისია ჩვენი ქოხების ნაცრად ქცევისათვის.

— ჰე, იაგორე, დაიწყე რაღა! სუფრაზე მაინც ნუ ვილაპარაკებთ ომზე. მეშინიან... არა... არ მეშინიან, მაგრამ ადამიანები მეცოდებიან. გუშინ ქალაქიდან ერთი სოფელი ხალხი აყარეს და ძუძუთა ბავშვების ღნავილმა გული დამითუთქა. ასეთ საშინელებას „კალევალაშიც“ ვერ ამოიკითხავთ. ხვალ ფრონტზე მგზავნიან, — ამის დასამტკიცებლად ცახცახით ამოიღო უბიდან ყვითელი ქაღალდი და ძმას თვალებთან მიუტანა: — ნახე... ვარგისი ხარო. მითხრეს. არაფერი არ გტკივაო. ბიჭოს, ფეხი არ მტკივა, მაგრამ გული...

— შენც რაღაცას მიედ-მოედები. გულს ვინ დაეძებს! ყველაზე მეტი გასავალი ახლა სწორედ უგულო ადამიანს აქვს.

— ხა-ხა-ხა! მართალია! — ხარხარით დაუდასტურა ძმამ.

— რა არის მართალი? თქვენ ტოვატების სისხლი არა გქონიათ! — წამოხტა მფრინავი. — ამას როდი გვასწავლიდნენ ჩვენი წინაპრები. ერთ სუომს ასი გული უნდა ჰქონდეს, თორემ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენ ის გვლუპავს, რომ ასი გული გვაქვს და არა ერთი. ეი, ეჰ, ჩემო შვილო... უკაცრავად, შენი სახელი?

— ოუმი!

— ჰო, კეთილი, შვილო ოუმი, იცი, რა გითხრა? დაჩაგრული კაცი ვარ, ბიჭო. უფროსი, სიყრმის შვილი გადაკარგული მყავს. არაფერი ვიცი, მკვდარია თუ ცოცხალი.

— განა სად არის ისეთ ადგილას? — შეეკითხა ლტოლვილი ქალი.

— პეტერბურგშია, ჩემო ბატონო, ოცი წელია არ მინახავს. ათი წლისა იყო, დეიდამ რომ წაიყვანა.

უცებ საჰაერო განგაშის ხმამ მოხუცს პირთან მიტანილი ჭიქა სუფრაზე დაადგმევინა, ბავშვიც ააღნავლა, მფრინავებიც წამოახტუნა და სახეზე ნიღაბჩამოცმული გარეთ გააგდო.

— სად გარბიხარ, ბიჭო! — მიაძახა მამამ ტოვიოს. მაგრამ მისი ძახილი აფეთქების გრუხუნში შთაინთქა. სუფრიდან ბოთლი გადავარდა და არაყი ცრემლებივით მიესხურა კედელს.

გრანიტოვან ნახევარკუნძულიდან საზენიტო არტილერიის ცეცხლი ცას ჩამონგრევით ემუქრებოდა. განუწყვეტლივ ისმოდა ყუმბარების სკდომის ჯოჯოხეთური ხმა, ტყვიამფრქვევის კაკანი და გაბმული სტვენა. ღრუბლებში შეინავარდებდნენ თვითმფრინავები და ისევ უჩინარდებოდნენ.

— ალბათ, მტერი დაგვესხა თავს. ყუმბარები არ დაგვაყაროს, თორემ სახლის ნანგრევებში ჩვენს ძვალს ვერა ნახავს კაცი, გავიდეთ გარეთ! — გამაფრთხილებლად წარმოსთქვა იაგორეს ძმამ.

— ჯავრი ნუ გაქვთ, რუსები არიან, ჩვენ არას გვერჩიან, ხედავ! — და გრანიტოვან ნახევარკუნძულის იქითა აეროდრომიდან ავარდნილ ცეცხლზე მიუთითა მოხუცმა.

— ლენტოკენტა იწვის!

მართლაც, ცეცხლს გამოეყო თავისი მუქწითელი, ეკალივით წვეტიანი ენა, რომელიც გაყინულ ჰაერს ხარბად ლოკავდა. სკდებოდა ბენზინის ბაკები და ცეცხლოვანი წვეთები ჟინჟღილებივით იფანტებოდნენ.

ზარების უზომო წკარუნით და ხმაურით ჩაიქროლეს სახანძრო ავტომობილებმა. ბოლოს ცეცხლმქრობი თვითმფრინავები გამოჩნდნენ, და აეროდრომის დამწვარ ცას კვამლის სვეტები მიებჯინა.

VI

„ფროლენტის დედა“

ეს მეხუთე დღეც მიიწურა. დალამდაო, შემოიტანა ამბავი სანიტარმა, თორემ ამ მიწურში დღის დალევას კაცი ვერ გაიგებს. ფარნების მკრთალი შუქი ისე ულონია, როგორც თინას წინ ლოგინზე მობუზული ჯარისკაცი, რომელიც, სანამ იქ მიიყვანდნენ, სისხლისაგან დაცლილა, თვალებში შუქი ჩაჰქრობია და ახლა ექიმს ისე შეჰყურებს, როგორც თავის უკანასკნელ იმედს.

— ნუ გეშინიანთ, ანატოლი, გამოკეთდებით. ორი კვირის შემდეგ ისევ თქვენს ტყვიამფრქვევს დაუბრუნდებით.

— მაგას, ამხანაგო ექიმო, თუ მოვესწარი, მერე არაფერს არ დავეძებ!

ამ დროს მიწურში უფროსი ექიმი გააკონენი შევიდა. მოლიმარი და გულკეთილი ექიმი ილიას გააკონენი ამ ხუთ დღეში ისე დაუახლოვდა თინას, რომ

ზედმეტ სახელად მას „ფრონტის დედა“ შეარქვა. გააკონენი საველე გაზეთით ხელში ანატოლთან მივიდა.

— გიხაროდეს, ანატოლი! გმირი ხარ, გმირი!—მიმართა მას დაჭრილს

და ვიდრე ანატოლი დოლგომინსკი შეხვეულ ხელს ასწევდა, გააკონენმა გაზეთი გაშალა და ლამფის შუქზე ბრძანებულება წაიკითხა.

— მოგვილოცავს, ანატოლი!

— ამხანაგო დოლგომინსკი, გილოცავთ!

მიაძახეს ავადმყოფებმა და ტაშიც კი შემოჰკრეს.

ანატოლ დოლგომინსკისთვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭება მის სამშობლო ქალაქში უკვე გაეგოთ. დილით შტაბიდან მისულმა ჯარისკაცმა მისალოც დეპეშებთან ერთად დედის წერილიც მიუტანა, და ანატოლს უეცარმა სიხარულმა ტკივილები გაუქრო.

„... შვილო, ეს რა ამბავია: გაზეთებში რომ სწერენ, მართლა ასეთი კაცი შეიქენი? — სწერდა დედა. — არა მჯერა, რომ შენ ჩემი ანატოლი ხარ, არა მჯერა, თუ შენ ამდენი შეგეძლო!

უი, მართლა, გუშინ მე და გამოტვინებული მამაშენი ავტომობილში ჩაგვსვეს და შენს ქარხანაში კრების წინ დაგვაყენეს. გინდა თუ არა, რამე სთქვითო, უთხრეს მამაშენს. იმან ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ამდენი ხალხის წინ კი არა, ორ კაცთან ლაპარაკს ძლივს ვახერხებო, და სახრე მე გადამატეხა. ვერც მე დავძარი ენა. დამუნჯებულმა ანატოლი მეთქი, დავიფრუტუნე და შენს სურათთან მივედი, ხელი მოვუსვი და რომ ვაკოცე, ისეთი ტაში დამაყარეს, კინაღამ წავიქეცი. ბოლოს ტაშმა გამომაფხიზლა, ღონე ვიგრძენი და რაღაც ვთქვი, თუმცა აღარ მახსოვს, რა ვთქვი. მეორე დღეს ჩემი სიტყვა გაზეთში დაბეჭდეს. კარგი რამე მითქვამს თურმე.

მამაშენი მხოლოდ მოკითხვას გითვლის. მისი ბრალია: წერა რომ ესწავლა, ხომ გამოადგებოდა, ერთ-ორ სიტყვას ისიც მოუყრიდა თავს. ჩვენ კარგად ვართ. შენმა ამბავმა ფრთები შეგვასხა.

ბიჭო, მოცლა არ გექნება, მაგრამ ერთი-ორი სიტყვა მაინც მოგვაწვდინე, შენ გენაცვალოს დედა“.

ანატოლი წერილს ისე უყურებდა, თითქოს დედის სახეს შესცქერისო. ტკივილს აღარა გრძნობდა. გამხნევებულმა წამოდგომაც კი დააპირა. გულის რომელიღაც კუნჭულიდან დაძრული მოგონება სიხარულად მოედო. ერთხელ კიდევ გაშალა დეპეშები და წერილები, მაგრამ რასაც ეძებდა, ვერ იპოვნა.

„ნუთუ ასე მალე დავავიწყდი? დაუჯერებელია!“ — დაარწმუნა თავისი თავი და საველე ჩანთა მოითხოვა. როგორც იყო, გახსნა იგი, ამოიღო სურათი და დიდხანს დაჰყურებდა მას. სურათიდან გაღიმებული ქალი შესცქეროდა.

— ანატოლი, ვის ეჩურჩულები ეგრე? — მიაძახა თინამ, რომელიც მეორე კუთხეში ვიღაცას სინჯავდა.

ღამე დაეუფლა ფრონტს. არტილერიის გუგუნი მინელდა. ბნელი ცა მდუმარედ დაჰყურებდა ჯარისკაცთა ნაკვალევით დასერილ თოვლს. დროდადრო წყვდიადს პროჟექტორის შუქი არღვევდა. იგი ცისარტყელასავით გაეკვრებოდა ხოლმე ცას. პროჟექტორის შუქში დაფლეთილი ღრუბლები ისე აცურდებოდნენ, თითქოს თემშარაზე დაღლილი ფარა მოედინებაო.

საუცხოვო შესახედავი იყო ცა. სანგრებში ძილგატეხილი ჯარისკაცები სიამოვნებით შეჰყურებდნენ ღრუბლების ზანტ მიმოსვლას.

ტკივილით მოთენთილ დაჭრილებს, როგორც იყო, ჩაეძინათ. თინა ფეხაკ-

რეფით გაძვრა მიწურის ხვრელში და მედიკამენტებით სავსე ქვაბულში შეავიდა. ეს მიწისქვეშა ოთახი ფიცრებით და ბოძებით გამაგრებულიყო. შიგ თბილოდა. უფროსი ექიმი გააკონენი ხმადაბალი ღუღუნით [illegible] ოპერაციო დანებს, მაკრატლებს და სხვა პრიალა ხელსაწყოებს. თინას შესვლაზე მან ღუღუნი შესწყვიტა და გამაფრთხილებელი სიტყვები შეაგება ექიმს:

— დაჭრილი ადამიანი ბავშვზე ჭირვეულია. თქვენ როდი უნდა აჭყვეთ: ყველაფერი თავის დროზე გაუკეთეთ, იზრუნეთ მის მორჩენაზე, გართობა-კი თქვენი საქმე არ არის.

— რატომ, ექიმო, ტკბილი სიტყვა მალამოა ავადმყოფისათვის.

— ტყუილად კი არ შეგარქვით „ფრონტის დედა". ცოდვა კი არის, რომ ნამდვილი დედა არა ხართ... მერე, როგორ დაგშვენდებოდათ ერთი ბუთული ბავშვი. ჩემო მეგობარო, ნუ დაემსგავსებით თქვენს კოლეგა ექიმებს, რომლებიც სანამ არ დამჟავდებიან, არა თხოვდებიან... ღვთის წინაშე, მეც-კი კარგად დავაგვიანე: უკვე 30 წლისა ვარ... მაგრამ შეცდომას გამოვასწორებ. საცაა ჩვენები ვიბორგს აიღებენ. მშობლების ამბავს გავიგებ და თუ ცოცხლები არიან, ერთ ბებრუცუნას მეც მოვნახავ. მაშინ სუფრის თავზე თქვენ დაგსვამთ. რას იტყვით, ჩემო მეგობარო?

— როგორ, თქვენ ფინელი ხართ? — შეეკითხა იგი.

— ჩემი ბიოგრაფია არც ისე საინტერესოა. ათი წლისა ვიყავი, როცა დეიდაჩემის ქმარმა, პეტერბურგის პირველი გილდის ვაჭარმა, თქვენი ჭირი წაიღო. ხომ მოგეხსენებათ უშვილო ოჯახის ამბავი: გადაირია დეიდა, არ მოისვენა იმ დრომდე, სანამ მშობლებს ჩემი თავი არ გამოსტაცა. ჰო-და პეტერბურგში ჩამიყვანეს, სილარიბის სუნით გაჟღენთილი ტანისამოსი გამხადეს და სულ ფარჩებით შემმოსეს, ფუფუნებაში გავიზარდე, ვისწავლე. დეიდაჩემმა თავის გვარზე მომნათლა, მაგრამ ის რომ გარდაიცვალა, მე შემრცხვა ჩემი თავისა, ვიღაც ვაჭრის გვარმა არ მომასვენა და ისევ ჩემი, მამიჩემის გვარი დავიბრუნე. და აი მე ისევ გააკონენი ვარ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მშობლებს წერილებს ვუგზავნიდი, მაგრამ ამ წერილებს უკანვე მიბრუნებდნენ. აგერ 20 წელიწადია, მშობლებისა არა ვიცი-რა! ვინ იცის, იქნებ ჩემს მოლოდინში სულიც კი დალიეს.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! — აღმოხდა თინას.

მასზე, როგორც გულჩვილ ადამიანზე, ძალიან იმოქმედა ამ ისტორიამ. და სიბრალულის გრძნობამ თვალები აუცრემლა. გააკონენმა შეხედა თინას ცრემლით გაბრწყინვებულ თვალებს და ეს თავის დამამცირებლად მიიღო. არა, ცრემლსაფრქვევი მე არაფერი მჭირს, გაივლო მან გულში და ქალს მიმართა:

— ვიბორგიდან წამოსვლით არაფერი წამიგია, პირიქით, იქ რომ დავრჩენილიყავი, ან შიმშილი მომკლავდა ან წყურვილი. ახლა ექიმი ვარ. ტყის მჭრელის შვილი ექიმი გავხდი. ფინეთში ეს ძნელი წარმოსადგენია. მშობლების ბედი კი მაწუხებს. მაგრამ ცხოვრების ულმობელი ტალღა ხან სად მიანარცხებს ადამიანს და ხან სად...

მეორე დღეს ჯერ კიდევ დილა იყო, როცა მიწურის შესასვლელთან მსუბუქმა ავტომობილმა დაიპიპინა. მანქანიდან მფრინავი ვანო გადმოვიდა. მან დაჭრილი ზამკოვი გამოიყვანა და მიწურში შეიყვანა.

მიწურში მოწყალების დები ლოგინებს ალაგებდნენ.

— აი მფრინავიც მოგვიყვანეს,—უთხრა ერთმა მეორეს.

მფრინავის გაგონებაზე თინამ მიიხედა და აღტაცებულმა შეჰკივლა:

— ვანო! აქ საიდან გაჩნდი? — და ვანოსაკენ გაემართა.

მაგრამ ვანომ მისვლა აღარ დააცადა, თავათ მივარდა, ღონიერი ხელებით აიტაცა და მაგრა გადაჰკოცნა.

იქვე მყოფმა გააკონენმა ტუჩები ააცმაცუნა და თავის ოთახში შევიდა. მოწყალების დებმაც ზურგი შეაქციეს, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ დასძლიათ და ცალი თვალით მაინც იჭყიტებოდნენ მათკენ. ზამკოვი სკამზე ჩამოჯდა და გაოცებული შეჰყურებდა ქალ-ვაჟს.

— პოლკოვნიკო, უკვე მოვრჩი, წავიდეთ!

ვანომ ხელი გაუშვა ქალს და, ამხანაგს რომ შეხედა, გადაიხარხარა.

— თუ მორჩი, წავიდეთ! — გაეხუმრა ვანოც.

ბოლოს ვანომ გააცნო თინას თავის ამხანაგი ზამკოვი და სთხოვა, კარგად მოეკლო მისთვის.

— მე კი ახლავე უნდა წავიდე, — დაუმატა მან, — მაგვიანდება. აბა, შენ იცი, თინა, როგორც მოუკლი ჩემ ჟენიას. ხვალ კიდევ მოვაკითხავ, ზეგ კი უნდა დამიბრუნო.

— ძნელია ორ დღეში მორჩენა, ერთი კვირა მაინც დასჭირდება.

— უმაგისოდ ბრიგადას გაუჭირდება.

— განა ეგრე გიყვართ?

— როგორ შეიძლება მებრძოლს ამხანაგი არ უყვარდეს?

— ჰო, რასაკვირველია, მფრინავებმა მაგარი სიყვარული იცით, — სთქვა ღვარძლიანად თინამ.

— შენ მაინც შენსას არ იშლი! — მიუგო სიცილით ვანომ, გამოემშვიდობა ორივეს და გარეთ გავიდა.

თინა მიწურის კარებიდან დიდხანს უყურებდა მიმავალ ავტომობილს, და თვალები ეცრემლებოდა.

იგი მარტოდ დარჩა, ოცნებისა და ფიქრის ამარა.

VII

შევარდნებმა გაინავარდეს

გუშინ ტყე ცეცხლს გადაუტრუსავს. ახლა, ქარის პირველ შემობერვის შემდეგ, თეთრ მინდორსა და მის გულში შავად გამომზირალ ტბას ფერფლისა და წიწვის მტვერი დასდებია. ტყიდან აყრილი ფრინველები ამაოდ დაფარფატებენ გაყინულ ჰაერში და თბილ ადგილს დაეძებენ.

„ამ ომმა ფრინველებიც ააწიოკა“, — გაიფიქრა ვანომ.

მისი ცას მიკრული თვითმფრინავი ღრუბელ-ღრუბელ მიდიოდა, როცა დაბლა ჩამოეშვა, შეშინებულ ფრინველთა ქარავანი უკან გამოუდგა. ზამკოვმა კაბინის სამზირიდან გამოიჭყიტა და გაიცინა:

რკინისგზა ზევიდან, როგორც რუკაზე გავლებული ხაზი, ისე აჩნდა მინდორს. გამოჩნდა მატარებელი. ორთქლმავლის კვამლი მაღლა მიიწეოდა და ცას უერთდებოდა. მატარებელი ფრონტისკენ მიჰქროდა, მას მაშველი ჯარი მიჰყავდა და მიიჩქაროდა.

— ჰმ! როგორ ბედის ანაბარა გამოუშვიათ მატარებელი! — გაიკვირვა ვანომ.

— მართლაც, თვითმფრინავები არ მოჰყვებიან. ის ღა დაგვრჩენია, დავა-

ყაროთ ზევიდან ყუმბარები და დავბრუნდეთ შინ... ეე, ვანო, შენმა თინამ კარგად ვერ მომირჩინა ფეხი: ისევ ამტკივდა.

— ეგ შიშისაგან მოგდის... იცი რა, ორთქლმავლიდან დავიწყოთ.

ზამკოვმა ყუმბარჩამომყრელს ხელი დააჭირა. გაისმა გრუხუნი. თვითმფრინავი ისე დაბლა დაეშვა, რომ ორთქლმავლიდან ავარდნილი ალი მის პროპელერს შესწვდა. ორთქლმავალი მატარებელს მოსწყდა, ვაგონები ინერციით ერთმანეთს შეასხდნენ. გულგახეთქილი ჯარისკაცები ტომრებივით ცვივოდნენ ყინულზე.

ყუმბარმშენმა ისევ ზევით შეინავარდა. ვანომ გეზი აეროდრომისკენ აიღო. მან ზამკოვს მიმართა:

— სად არიან დამხმარეები? კიდევ კარგი, ეშელონს თვითმფრინაეები არ იცავდნენ, თორემ გაგვიჭირდებოდა. შეიძლება ახლა, კაბინის მაგიერ, ყინულზე ვმსხდარვიყავით.

— მერე ამ სიცივეში რა სასიამოვნოა ყინულზე ჯდომა?!

— ხუმრობა იქით იყოს და ხედავ „ყვავი“ მოგვდევს.

ზამკოვმა წამოიწია და რომ გაიხედა, ხელი ჩაიქნია.

— ეგ არაფერია, მზვერავია.

— როგორ თუ არაფერი? დაგვაყრის, უეჭველად, დაგვაყრის. უნდა გავუფრთხილდეთ!

— ჯავრი ნუ გაქვს, ვერ გაბედავს.

ეტყობოდა, მტრის თვითმფრინავზე ვიღაც გამოცდილი სნაიპერი იჯდა. იგი ზუსტად ისროდა. პირველმა ტყვიამ მარცხენა სამზირი გაამტვრია და ვანოს ყურთან გაიზუილა.

— ბიჭოს, ეგ აღარა ხუმრობს! — დაიძახა ვანომ და გააფთრებულმა ტყვიამფრქვევიდან ისეთი ცეცხლი დაუშინა, რომ ციდან შავი კვამლი მიწაზე ბოძივით ჩამოეშვა და ამ კვამლის მიღმა ორი ადამიანი ჰაერში ჩამოეკიდა. მათი პარაშუტები ტბის ფრინველის ფრთებივით გაშლილიყვნენ და ნელ-ნელა ეშვებოდნენ მიწისაკენ.

ვანომ სწრაფად გააქანა თვითმფრინავი აეროდრომისკენ.

. შუადღე გადასული იყო. თბილოდა. აეროდრომს ნისლი მოსდებოდა. ვანო, როგორც თავათ ამბობს ხოლმე, ძერასავით დაეშვა მიწაზე, და ყუმბარმშენი ანგარანში მსუბუქად შეაგორა.

— იცი, ბიჭო, რა? — მიმართა მან ზამკოვს, — წავიდეთ, ვნახოთ ის კაცი, ასე ზუსტად რომ გვესროდა. არ გაინტერესებს?

ზამკოვი დაღლილი იყო, მაგრამ ხათრი ვეღარ გაუტეხა ამხანაგს. ისინი ავტომობილში ჩასხდნენ და გზას გაუდგნენ.

— ყოჩაღები ყოფილან, რომ გადმოხტომა მოასწრეს, — სთქვა ზამკოვმა.

— არც იმდენად, ყოჩაღები მაშინ იქნებოდნენ, ჩვენ რომ ჩამოვეგდეთ.

ავტომობილი შტაბის წინ გაჩერდა.

ქვეითი ჯარის მებრძოლებს მტრის მფრინავები უკვე მიეყვანათ იქ. ერთი მათგანი, პილოტი, სრულიად ახალგაზრდა იყო. იგი ისე დამფრთხალიყო, რომ უზნეო ბავშვივით სლუკუნებდა.

მეორეს თავი ამაყად ეჭირა. სულ ბრწყინავდა ოფიცრის სირმიან და ვარაყიან ტანისამოსში. ვითომც აქ არაფერიაო, იხტიბარს არ იტეხდა. ზამკოვის შეკითხვაზე მან მწარედ გაიცინა და, თითქოს ლეში მიუტანეს ცხვირთანაო, დაიღმიჭა და გადააფურთხა.

— რას იფურთხები, აკი კარგად ისროდი! — უთხრა ზამკოვმა.

— კარგად რომ ესროლათ, არც ჩამოვარდებოდნენ. — უპასუხა — შტაბის უფროსმა და ვანოსთან მივიდა: — თქვენი ვაუკაცობის შესახებ: სარდლობას უკვე ვუპატაკე... ეს საცოდავია ვილაც, უნდა გავუშვა, — სთქვა მან მფრინავზე, — ხოლო ეს, — თითით უჩვენა ოფიცერზე, — გამოგვადგება, სანამ არ დაფქვავს, იჯდეს.

ვანომ მფრინავს მიმართა:

— ნუ სწუხარ, გაგანთავისუფლებენ და წახვალ.

— არა, მე არსად არ წავალ: ჩემი ძმა თქვენთან არის, მეც თქვენთან უნდა დავრჩე, მაჩვენეთ ჩემი ძმა, ტყის მჭრელი ვარ, ღარიბი...

შტაბიდან ვანო პირდაპირ შინ მივიდა. სწრაფად პირი დაიბანა და სუფრა გაიშალა, — მარტოხელა კაცს რომ შეეფერებოდა, ისეთი სუფრა.

ნასაუზმევს რვეული აიღო და შიგ ჩასწერა:

VIII

დღიური

„არასოდეს დღიური არ მიწერია. მახსოვს, ერთხელ კომკავშირის კრებაზე ერთი ახალგაზრდის პესიმისტური დღიური გამოვიტანეთ. შეყვარებული იყო, დამწვარი, და თავის გათხოვილ საცოლეს მისტიროდა. ბიჭებმა გავაკრიტიკეთ, მერე გავამხნევეთ... ვიცინოდით. იმის შემდეგ ამა და ამ კაცმა დღიური დასწერაო, თუ ვინმემ მითხრა, გამეცინება, უიმედოდ შეყვარებული მგონია.

გუშინ ერთი რედაქტორი ჩამაცივდა: გინდა თუ არა, ჟურნალისათვის დამიწერე თეთრფინელებთან ბრძოლის ამბები, დღიურის სახით დაწერეო. გამეცინა, მაგრამ მან მოსვენება არ მომცა და სიტყვა ჩამომართვა — მებრძოლის სიტყვა, რომ რაიმეს დავწერდი.

ვასრულებ სიტყვას, ვნახოთ, რა გამომივა.

1940 წლის 1 იანვარი. ახალი წელი ფრონტზე გამითენდა. ნისლია. ფრენა შეუძლებელია. დილიდანვე არტილერიამ სროლა ასტეხა და, მიუხედავად ნისლისა, აეროდრომიდან აშკარად სჩანს, თუ როგორ იწვიან ტყეები.

მტერი მოხერხებულად მოქმედებს. არ უნდა პირისპირ შეხვდეს ჩვენს ჯარს და აქა-იქ უსაფრდება, ისვრის, უზომოდ ისვრის. მაგრამ ამაზე ახლა სრულებით არ ვფიქრობ, ისროლოს, სანამ არ მობეზრდება.

ამ წუთებში ჩემი ფიქრი თინაზე შეჩერდა. რა უცნაური ქალია! ათი დღეა არ მინახავს. ფრონტმა ეჭვები გაუფანტა. საყვედურებით არ მავსებს.

დისერტაციის თემა შეუცვლია.

საველე ქირურგია.

— როგორ მოგწონთ ჩემი თემა? — შემომღიმა მან.

დიდებულია-მეთქი, ვუპასუხე. სათქმელი კიდევ ბევრი მქონდა, მაგრამ ამ დროს გააკონენმა შემოაბოტა, ცივად მომესალმა და თავისი დუმილით პირდაპირ ტერორი მომიწყო.

დღეს ახალი წელია. თინა ახალი ფიქრებით შემომხვდება-მეთქი, და ყველა საქმეს რომ თავი მოვაბი, მისკენ გავეშურე.

თინა მედიკამენტებით სავსე მაგიდას უჯდა. თეთრ ხალათში ღვთაებრივად მომეჩვენა. კარგ გუნებაზე იყო. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ახალწელს

ჰოსპიტალი სიკვდილით არ შეხვედრია. პატაკი შტაბის უფროსის სახელზე ჩემს თვალწინ დასწერა: „... 1940 წლის პირველ იანვრის ... ... კარგად გაუთენდა: არავინ მომკვდარა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღეს დილით ფრონტმა გამაღვიძა, — დაიწყო თინამ. — გასაგიჟებელი ამბები ხდება! როგორ იბრძვიან ჩვენები! წუხელ ერთი მზვერავი მოიყვანეს. ფეხები მოყინული ჰქონდა. მიუხედავად ამისა, როცა მტრის მზვერავთა ჯგუფი მიუახლოვდა თურმე, ტყვიამფრქვევი დაუშინა და მთლად მოუსერავს მტერი. რა რკინის ნებისყოფაა!

თინა მზად იყო, ყველა დაჭრილისა და მოყინულის თავგადასავალი ეამბნა. იგი გაბრუებული იყო წითელარმიელთა საგმირო ამბებით. ლაპარაკობდა გატაცებით, ხელების ქნევით, და როცა მძიმე ტრაგიკულ ეპიზოდს მიადგებოდა, ტანსაც შეარხევდა ხოლმე.

ჰო-და მეც ვუსმენდი, თითქოს მე არა მცოდნოდა ეს ამბები და უფრო უკეთესიც. ვუსმენდი მის ელურტულს ომზე, გმირობაზე და მიკვირდა, როგორ ამაღლდა ეს მდუმარე, ეჭვიანი ექიმი.

... გააკონენი შემობაკუნდა. მარდად გამოძვრა ქურქიდან და გაიბა ლაპარაკი ჰოსპიტლის საქმეებზე.

გუნება წამიხდა. გამოვემშვიდობე თინას და წამოვედი.“

IX

მოხუცი ხეზე

იაგორე გააკონენის ძმამ, ავენიუსმა, ერთმა ალალმა შოფერმა, როგორც თავათ ამბობდა ხოლმე თავისთავზე, ლტოლვილი ქალი ბავშვითურთ სოფელ სოუნში დასტოვა და თავისი ჯაგლაგა ავტომობილი იმატრის შელმართს შეუყენა. იქ სიცივე ისე არ იგრძნობოდა და იაგორემაც ქურქის საყელო ჩამოიკეცა, ბეწვის ქუდი შუბლიდან გადაიწია და ხარბად ჩაისუნთქა ჰაერი.

იმატრი გრიალით მოჰქუხს გრანიტის კალაპოტში და შხეფებს წვიმასავით ასხურებს თავის ნაპირებს.

იმატრის ღრიალით შეწუხებულმა იაგორემ ხელები ყურებზე მიიდო და ავენიუსს დაუყვირა:

— გარეკე, ლამის ყურები დამიხეთქოს ამ ოხერმა!

მის რძალს, ქმარს რომ გვერდით ეჯდა, შალით ჰქონდა თავი შეხვეული, მაგრამ იმატრის გრიალი მასაც სწვდებოდა ყურებამდე. ამიტომ მაზლს იმანაც დაუჭირა მხარი:

— რა ხელები დაგება, გარეკე, გარეკე!

ავტომობილმა სიჩქარეს უმატა, ტელეგრაფის წითლად შეღებილ ბოძებს ჩაუქროლა და ერთ პატარა სოფელში შეიჭრა. ლაქაშითა და ფიცრებით გადახურულ ქოხებიდან სევდასავით ამოდიოდა შავი კვამლი...

ავტომობილი ერთ ეზოს ჭიშკართან გაჩერდა, და ქოხიდან, თითქოს გამოფრინდაო, ისე გამოვარდა ხელებგაშლილი ქალი. ეს იაგორეს ქოხი იყო, ხოლო ქალი — მისი ცოლი უუპუსი. მან ქოხში შესვლისთანავე სთქვა:

— მოხარული ვარ, რომ მოხვედით. წუხელ ნახევარი სოფელი წაიყვანეს, მოხუცებიც კი გარეკეს ფრონტზე...

— სულერთია, ზურგში ტანჯვას ისევ ფრონტი სჯობია!

იაგორეს ქოხი, რომელიც ორი თვალისაგან შესდგებოდა, შიგნით მუქ-

წითლად იყო შეღებილი. ფანჯარას ვარდისფერი ფარდა ეფარა. ჩარჩოში, ჩამოტეხილი მინის მაგიერ, დიასახლისს ბალიში ჩაეტენა. სარკმლიდან შემოსულ თოვლის სინათლეს კედლისა და ფარდის ანარეკლი წითელ-ალიფებდა. ძმებმა რომ მოიშილიფეს, მათმა წითელმა ხალათებმაც იელვეს, და ოთახში დადგა ღია-წითელი ფერი, ფინელის საყვარელი ფერი.

კედელზე, გარდა სანადირო თოფისა, ბირდაბირი, ცული, ეჩო, შალაშინი და მრავალი სხვა პრიალა იარაღი ეკიდა, რაც ამტკიცებდა, რომ ამ სახლში ტყისმჭრელი ცხოვრობდა. ორმოცდათვრამეტი წლის სიმძიმეს იგი ჯერაც კიდევ ვერ მოეხარა წელში. სამაგიეროდ თმა დავერცხლილი ჰქონდა.

— ჯარში შენც გაგიწვიეს? — ჰკითხა ავენიუსს რძალმა და პასუხი რომ მიიღო, მწარედ ამოიკვნესა.

— უი, ღმერთო ჩემო, იქნებ ჩემი ილიასი შეგხვდეს? ნეტავ ცოცხალი თუა?

ამ დროს ჭიშკართან საბარგო ავტომობილმა დაიგუგუნა და ქოხში ორი ჯარისკაცი შევიდა.

— იაგორე გააკონენი და მისი ძმა, რომელიც დღეს ჩამოვიდა ჰელსინკიდან თავისი ავტომობილით, უნდა გამოგვყვნენ ჩვენ. აბა, სწრაფად ჩაიცვით და გავწიოთ. — ბრძანა ერთმა ჯარისკაცმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ საბარგო ავტომობილს პატარა ფორდით უკან მისდევდნენ ძმები იაგორე და ავენიუსი. მოხუცები მწუხარედ იყურებოდნენ უკან ქოხისაკენ...

სოფლის ბოლოში, სადაც გაყინული ტბა სარკესავით ბრჭყვიალებს, მორეგისაგან შეკრული სახლი დგას. მის წინ თეთრხალათიანი ჯარისკაცები ირევიან. ამ სახლის ჭიშკართან დააყენეს საბარგო ავტომობილი და ავენიუსის დანჯღრეული ფორდი. იაგორე და ავენიუსი იმავე დღეს სხვებთან ერთად გაგზავნეს ფრონტზე. მუხლებში ღონეგამოლეულმა ძმებმა ძლივს მიაღწიეს ფრონტის ზონამდე.

ერთი საათის შემდეგ იაგორე და ავენიუს გააკონენები დათვებივით ხეებზე შესვეს. ტოტებში კარგად რომ მოიკალათეს, ავტომატური შაშხანები მიაწოდეს. ვაზნის ყუთებიც იქვე მახლობელ ტოტზე მიამაგრეს და უბრძანეს დაეცხოთ მოსკალებისათვის. ასე გაანაწილეს მოხუცები და მოზარდები მთელ ტყეში.

— ეს როგორი ომია? — აღმოხდა გულიდან იაგორე გააკონენს.

— ესეც ბედნიერებაა, რომ ძმები ერთად ვიღუპებით! — გამოეხმაურა მახლობელ ხიდან ავენიუსი.

— აქ ლაპარაკი აკრძალულია, აქ შაშხანებმა უნდა ილაპარაკონ! — დაუყვირა მათ ქვევიდან ვილაც უფროსმა. — გაფრთხილებთ, ამალამ შეტევას მოველით, დიდ შეტევას, და თუ წითლები ტყეში შემოიჭრნენ, ცოცხალი არავინ გადარჩება. ვინც თავს არ გასწირავს, მას ჩვენ გავსწირავთ...

ეს კაცი დიდხანს დადიოდა ხეებს შორის, ხან იმუქრებოდა, ხანაც ლმობიერად ლაპარაკობდა. ბოლოს თვითონაც ახოხდა ერთ განაპირებულ ხეზე, რომლის ტოტებშიც მავთული იყო გახლართული და ტელეფონის აპარატი ეკიდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. იაგორემ შაშხანა ტოტზე ჩამოჰკიდა, თავისუფლად ამოისუნთქა და ფიქრებს მიეცა. ესროლეო, რა ადვილად ამბობენ! ვის ვესროლო მერე? იქნებ ჩემი შვილი მიდგას წინ? ესეც არ იყოს, რატომ უნდა ვესრო-

ლო-წითელარმიელს? რა დამიშავა? მას ხომ თავისუფლება მოაქვს. არა, ჩემგან სროლას ნუ ელი, ბატონო ოფიცერო. ბებრუცუნას მეძახე, მაგრამ შენზე მეტი ვიცი, რადგან შენზე მეტი მიცხოვრია ამ ქვეყანაზე და ... ...ვისაგან ვარჩევ.

— ჰეი, ძმაო! — ჩურჩულით დაუძახა მან ავენიუსს, — გძინავს?

— არა.

— რას ფხიზლობ? თოფი არ გაისროლო, ლმერთი არ გაგიწყრეს.

— ვითომ რატომაო, ჩემი თავის მტერი ხომ არა ვარ?

— თუ გაისვრი, აი მაშინ იქნები შენი თავის მტერი. ვის უნდა ესროლო? რუსებს? გაიხსენე 1918 წელი. რა გვითხრეს ჰელსინკში: ფინელი და რუსი მშრომელი ძმები არიანო. ჰო-და, სულ ჩვენებს რომ უჯერი, იმათ, რომელნიც გვატყუებენ, ერთი სხვასაც დაუჯერე, იქნებ სიმართლე იქ იყოს!

— მერე ოფიცერი?

— ნუ გეშინიან, იმას...

ამ დროს არტილერიამ დაიგრიალა და ამ ხმამ ისე შეაკრთო იაგორე, რომ სათქმელი ყელში მოებჯინა და ხეზე საიმედოდ მიბმული რომ არ ყოფილიყო, ძირს ბრაგვანს გაადენდა.

— რა არის ადამიანის ცხოვრება! ამ ხიდან ერთი ბრმა ტყვია ჩიტივით ჩამოგაგდებს და მერე უყარე კაკალი... ავენიუს, ბიჭო, ცოცხალი ხარ?

— ჯერჯერობით კი.

— ალა!.. ალა!.. ალა!..

მოისმა შორიდან.

— ავენიუს, გესმის? ჩვენები გადადიან.

— არაფერი არ მესმის, მცივა, გავიყინე...

— ალა... ალა...

ხმა უფრო გარკვევით მოისმა. გამოჩნდნენ მებრძოლნიც: მოყინულ მინდორზე თხილამურებით მიჰქროდნენ ისინი.

იაგორემ მთელი ღამე ხეზე გაატარა. მთლად გაიყინა. ღამეზე უფრო ცივმა განთიადმა რომ მოატანა, მის წინ ერთი ყუმბარა გასკდა და უზარმაზარი ფიჭვის ნაფლეთები ბერიკაცს შეაყარა. შემდეგ თოთმფრინავებმაც გადაიზუზუნეს, ხოლო ტანკების დგანდგარმა ტყემდე მოაღწია.

— ალა... ალა... — გაისმა ისევ.

მაგრამ მალე ეს შეძახილი სხვა შეძახილებმა დაჰფარეს:

— ურაააა!

— სტალინისათვის!

— სამშობლოსათვის!

— ურაააა!

ეს სიტყვები ქვემეხების გრიალში, ტყვიამფრქვევებისა და შაშხანების კაკანში ზარების რეკასავით გაისმოდა. შუქი უფროდაუფრო ადგებოდა ტყეს და გაყინულ მინდორს, და შფოთიანი დღე კვლავ უბრუნდებოდა დედამიწას. თენდებოდა, მაგრამ მიდამოს შავი კვამლი აბნელებდა.

ფინელებმა უკან დაიხიეს. იაგორემ ნისლში ძლივს გაარჩია, როგორ გარბოდნენ ფინელი ჯარისკაცები, ზოგ მათგანს ტყვია ცელავდა, ზოგიც თავათ წვებოდა თოვლში.

— მოემზადენით! — გასცა ბრძანება ოფიცერმა, და ხეებზე მყოფებმა თოფები ააჩხაკუნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სამშობლოსათვის, სტალინისათვის!.. — ისევ მოესმა იაგორეს.

მან წელზე შემოჭერილი თასმა გადასჭრა და ძირს ჩაიხედა: თეთრ ხალათიანი მეომრები გამორბოდნენ.

— სტალინ.. სტალინ!—შეჰყვირა მათ იაგორემ, ხიდან ჩაეშვა და ხელებაწეულმა კვლავ დაიძახა: — სტალინ! სტალინ!

იაგორეს ძმამაც მიჰბაძა. მათ დანახვაზე წითელარმიელები შეჩერდნენ.

ოფიცერი, წინა საღამოს იაგორეს რომ ემუქრებოდა, ჯერ ხმას არ იღებდა, მერე კი, თითქოს ამ წუთებს ელოდაო, ავტომატის სროლა ასტეხა. ერთი ტყვია იაგორეს მოჰხვდა. ის იქვე ჩაიკეცა.

ავენიუსმა გონება არ დაჰკარგა და წითელარმიელებთან ერთად შაშხანა აალაპარაკა. განაპირებულ ნაძვს ხშირი და გრძელი ტოტები ჰქონდა. ამ ხიდან ჩამოვარდნილი ოფიცერი ქვედა ტოტებზე შერჩა, ხოლო მისმა სისხლმა ძირს, თოვლზე, სიკვდილი დასწერა.

ფინელები ძლეულ იქნენ. გადარჩენილებმა თავს უშველეს და ტყე მიატოვეს.

არ გასულა დიდი ხანი, რომ სანიტარული ავტომობილიც მოგრიალდა და დაჭრილები ჩასვეს.

როდესაც დაჭრილი იაგორე ააყენეს, ილიას გააკონენმა შესძახა:

— შენ, მოხუცო, რაღა გაბრძოლებდა?

IX

მოულოდნელი უბედურება

წითელარმიელთა შეტევისა და მტრის განდევნის შემდეგ თინა მოწყალების დასთან ერთად დაორმოებულ მინდორში მიიკვლევდა გზას: ვიდრე სანიტარული ავტომობილი მიაღწევდა, მათ დაჭრილებისათვის დახმარება უნდა აღმოეჩინათ.

ნისლი იდგა და ადამიანს ხუთ მეტრზედაც ვერ გაარჩევდა თვალი.

მხოლოდ საღამოზე დაბრუნდა თინა თავის მიწურში. დაღლილი იყო, მაგრამ ძილი მაინც არ ეკარებოდა. ფიქრებმა გაიტაცეს. თვალწინ ვანო ზარიძე წარმოუდგა. იგი მხიარულად შეღიმოდა. თინა ჩვეულებრივი საყვედურებით ავსებდა, ებუზღუნებოდა, კიცხავდა.

„შე კაი კაცო,—ეუბნებოდა გუნებაში ვანოს,—ეს ნინო გერსამია რა გაგიხდა ასეთი, რომ უიმისოდ ერთ დღეს ვერა სძლებ? რაღა შენს რაზმში ჩაირიცხა მაინცდამაინც და ერთად დაფრინავთ, მე კი კვირაში ერთხელაც არ გამიხსენებ! არა, რითი ვარ გერსამიაზე ნაკლები? ის თუ მფრინავია, მე ექიმი ვარ. მრავალ ადამიანს სიკვდილის ბრჭყალებიდან ვგლეჯ. შენ ქვა ხარ, ქვა!.. მაგრამ, იცოდე, სანანებლად დაგირჩება. არიან ისეთები, რომელნიც სულ სხვანაირად იქცევიან. აი ილიას გააკონენი: ისეთი კაცია, რომ თავს შემოგევლება, სულში ჩაგიძვრება.

სამი თვეა ვიცნობ და ისე დამიახლოვდა, თითქოს სამი წლის მეგობრები ვიყოთ. მიკვირს, ასეთი კაცი რომ ცოლიანი არ არის. აშკარად ვგრძნობ, რომ იწვის... რამდენჯერმე ვანოსთან დამინახა და შეშფოთდა“...

ამ ფიქრებში, როგორც იყო, ჩაეძინა.

მაგრამ იმ ღამეს მარტო თინა არ იყო ფიქრებში გართული. მოუსვენრად

გაატარა ღამე ილიას გააკონენმაც. მეტად ღრმად ჩაეფლო სიყვარულში და არ იცის, გამოუტყდეს თინას თუ ითმინოს....

მიუხედავად ასე შფოთიანად გატარებული ღამისა, მეორე დღეს ორივე, თინაც და გააკონენიც მხნედ შეუდგნენ მუშაობას ჰოსპიტალში.

ავადმყოფების ჩამოვლისას გააკონენი ერთი მოხუცის წინ შეჩერდა. ეს მოხუცი იაგორე იყო. იგი ლოგინზე წამომჯდარიყო და მწარედ ოხრავდა. დარდის გასაქარვებლად ფინურ სიტყვებს ბუტბუტებდა. ილიასს რაღაცნაირად ეს ბოხი ხმა, ეს სიტყვები გულს მოხვდა. დააკვირდა და მერე უცბათ წამოიძახა:

— მამა!

წამოიძახა და ხელებგაშლილი მივარდა მოხუცს.

— აა, შვილო, ჩემო დაკარგულო შვილო, შენა ხარ, ბიჭო! — ჩიფჩიფებდა მოხუცი და ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა თვალებიდან.

დაჭრილები ცნობისმოყვარეობით შემოეხვივნენ მამაშვილს.

— ბედნიერი ხართ, მოხუცო! — მიმართა ერთმა.

— აი თურმე ვისთვის ოხრავდა, ვის ეძებდა! — სთქვა მეორემ.

დიდხანს იჯდა მამა-შვილი და ტკბილად საუბრობდა.

— დეიდაშენის სული წაწყდეს, რომ მკერდიდან მომგლიჯა შენი თავი! რა მომახუცებდა, შენ რომ გვერდში მდგომოდი?.. სხვა, შვილო, როგორა ხარ?

— მე რა საკითხავი ვარ, მამა, შენ როგორა ხარ? დედაჩემი როგორ არის?

— დედაშენი, შვილო, დაბერდა, ძალიან გატყდა, ახლა შენი ძმისა და ჩემმა წამოსვლამ მთლად გააქრო უბედური.

— ძმისა?!

— შენი ძმა ოუმი შენს შემდეგ გაჩნდა, სულ შენა გგავს, ამიტომ გვიყვარს ისე ძალიან, შვილო.

თინა ამ დროს თვალყურს ადევნებდა, როგორ აწვენდნენ საწოლზე დაჭრილებს. ერთი ტყვე ჯარისკაცი ძალზე შფოთავდა. ამღვრეულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. აშკარად ეტყობოდა, რომ ომს მთლად დაეკარგნა მისთვის სულიერი წონასწორობა.

ეს ჯარისკაცი უეცრად ზეზე წამოიჭრა, რატომღაც თინა გვილავას მივარდა და დანა ბეჭში ჩასცა. თინამ ერთი კი შეჰკივლა და იატაკზე გაიშხლართა.

ატყდა ერთი აურზაური. მთელი პალატა შეინძრა. დაჭრილები ლოგინებიდან წამოცვივდნენ.

მთელ ღამეს კვნესოდა თინა. ილიას გააკონენი გათენებამდე არ მოშორებია თინას საწოლს...

გავიდა დღეები. თინას უკეთესობა დაეტყო.

ერთ დილას ილიას გააკონენმა უსაყვედურა უკვე საკმაოდ გამოკეთებულ თინას:

— რამდენჯერ გაგაფრთხილე, ავადმყოფს სულში ნუ ჩაუძვრები-მეთქი, შენ მაინც შენი არ მოიშალე.

— ტყვიას გადავურჩი და რას წარმოვიდგენდი, თუ დანა მომეწეოდა.

— ყველა, ყველა, მაგრამ სად არის შენი ვანო, რომ აქამდე არ გინახულა? — მიმართა ცბიერად გააკონენმა.

— რა ვუყოთ მერე!..

— რა ვიცი, ძალიან კი გევლებოდა თავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

X

რას სწერს...

„10 თებერვალი. მართალი გითხრათ, ძალიან გამიტაცა დღიურების წერამ. უკვე ორმოცი დღეა ვწერ განუწყვეტლივ. მთელი ჩემი ამბები მძიეებივით ავასხი და ახლა სხვა რომ არა იყოს რა, ჩემ მიერ განცდილი ამბები მეც მაინტერესებს.

დილით მოვიდა ჩემი რედაქტორი. ჯერ მხიარულად მომესალმა და შემდეგ, დღიურები რომ გადაათვალიერა, შეიშმუშნა და ბურტყუნით მომმართა:

— ნამეტანი დაგიტვირთავს პირადი ამბებით. აბა, მითხარით, ვის რად აინტერესებს თინა გვილავა და მასთან შენი სიყვარულის ამბები? ომია, ძმავ, ახლა, ომი! ომის ამბების აღწერა გთხოვეთ! — ამ სიტყვებზე ჩემი რვეული ხელში აიღო, გადაფურცლ-გადმოფურცლა, ისევ ჩაიხედა შიგ და ბოლოს სთქვა: — მეტი გზა არ არის, სიყვარულისა და გატაცების ამბები უნდა ამოვშალოთ და ისე დავიწყოთ ბეჭდვა.

— არა, ამხანაგო, სიყვარულისა და გატაცების ამბების ამოშლა საჭიროდ არ მიმაჩნია და არც სურვილი მაქვს ამის დაბეჭდვისა. იყოს ეს რვეული ჩემთვის, ვის რას დაუშავებს? — ვუპასუხე მე.

სადღაც მიიჩქაროდა და მალე მიმატოვა. ჰმ! როგორ შეიძლება ადამიანს ცხოვრებიდან სიყვარული და გატაცება ამოუშალო? გავიფიქრე და ისევ შევუდექი წერას.

ზამკოვი ამ ბოლო დროს კარგ გუნებაზეა. ხშირად ხუმრობს, თვითმფრინავს დასტრიალებს და როგორც ადამიანს, ისე ესაუბრება ამ ცისფერ ხომალდს.

— არ მიღალატო, თუ რამე გტკივა, აქვე მაჩვენე, თორემ ჰაერში გვიან იქნება, — ეუბნება იგი ყუმბარმშენს და ილიმება.

ნასადილევს ზამკოვი ჩემთან მოვიდა. პარტბიუროს კრებაზე უნდა წავსულიყავით. ჯერ ადრე იყო, მაგრამ სანამ არ გავყევი, არ მომასვენა. გარეთ ნისლი იდგა, მაინც მარწმუნებდა:

— მეტეოროლოგებმა არაფერი იციან: ამალამ გამოიდარებს, გავფრინდეთ. ბრძანება შენი, სროლა — ჩემი.

კრების თავმჯდომარედ ნინო გერსამია ავირჩიეთ. ზამკოვი ერთხმად მივიღეთ პარტიაში. მომეწონა მისი უკანასკნელი სიტყვები:

— ხალხის საქმისათვის ვიბრძვი, პარტიის საქმისათვის ვიბრძვი და უპარტიო რად უნდა ვიყო? დღეიდან ჩემი თავისა არ შემრცხვება. თუ მოვკვდები, დაე, ბოლშევიკად მოვკვდე!..

ნინო შინ მივაცილე. გზაში ხელგაყრილი მიმყავდა. ენას ძლივს ვძრავდით, ნისლი გვიშლიდა — გულებს გვიკუმშავდა. ოთახში გაზეთებით სავსე მაგიდას მივუსხედით.

— უუ, ძლივს მოვითქვი სული! — დაჯდომისთანავე ჩაიბუტბუტა ნინომ. — როგორც იქნა, დღეს შტაბის მაგიდიდან თავი დავიხსენი, — საჰაერო რაზმში გადამრიცხეს: ამიერიდან ბრძოლაში მაინც ერთად ვიქნებით.

— რატომ ბრძოლაში მაინც?

შევეკითხე მე, მაგრამ მან პასუხის ნაცვლად თავი დახარა“.

„12 თებერვალი. ალიონისას ჩემი საჰაერო რაზმი შეტევაზე გადავიდა. ჩვენი ქვეითი ჯარის წინსვლა ხანგრძლივი საცეცხლო წერტილიდან გრიგალისებურმა სროლამ შეაჩერა. მტრის სასროლო წერტილები ოსტატურად არის

შენიღბული. როგორც თხუნელა, ისე შემძვრალა მიწაში იგი და იქიდან გვიშენს ტყვიას. არაფერი მესმის, მხოლოდ ვხედავ, როგორ ასკდებიან ჩვენი არტილერიის ყუმბარები ხანგრძლივ საცეცხლო წერტილებს და ამ ცეცხლში ტანკების კოლონები მიიწევენ წინ.

ჩემმა ხომალდმა სისწრაფეს მოუკლო. ჩემს ბრძანებაზე ზამკოვმა ხელი დააჭირა ყუმბარჩამომყრელს. ლითონის უზარმაზარი ბურთები ერთ-ორ კილომეტრზე მოგვდევდნენ და შემდეგ, რომ დაეშვნენ, შევნიშნე, თუ როგორ ავარდნენ მიწიდან ცეცხლში გახვეული ბელტები.

ნინო გერსამია გაფითრებულია. მას მივანდე თვითმფრინავის მართვა და ძალიან კარგადაც მოვიქეცი: ჩინებულად მიჰყავს ხომალდი.

როცა ბაზაში დავბრუნდი, მინდოდა მიმელოცა ნინოსთვის, მაგრამ ზამკოვმა დამასწრო, ლეკვი ლომისა სწორიაო, უთხრა მან".

„13 თებერვალი. ვინ იტყვის, ადამიანის სიცოცხლე ბეწვზე არა ჰკიდიაო. წუთია ყველაფერი. ის ბრმა ტყვია რომ მომხვედროდა, ჩემს ძვალსაც ვერ ნახავდა ჩემი პატრონი.

თვითმფრინავიდან ასეთი ზუსტი სროლა პირდაპირ დაუჯერებელია. ერთმა ტყვიამ ზედ შუბლთან გაიზუზუნა, მეორემ ყურის ბიბილოც-კი ამიწვა ოდნავ. ჰუ, როგორ მიწივიან ყურები!.."

„14 თებერვალი. დღეს აეროდრომზე ოუმი გააკონენი შემომხვდა. იგი აღტაცებული იყო. წითელარმიელის ქუდი დაუხურავს. გამომეჭიმა.

— ნება მომეცით, დაჭრილი მამა ვინახულო, — მომმართა მან.

— ვინ მამა?

— იაგორე გააკონენი. ჰოსპიტალში წევს.

— ძმა გყავს?

— დიაღ, მყავს.

— ცოტა მომიცადე, მეც მივდივარ ჰოსპიტალში, ძმასთან შეგახვედრებ.

ოუმი მივიყვანე ჰოსპიტალში. მამისა და შვილის შეხვედრისთვის აღარ მიყურებია: თინას დაჭრის ამბავმა თავზარი დამცა და გული დამწვა.

თინა!

აგერ ათი დღეა თურმე წევს. მე-კი არაფერი გამიგია. შეშფოთებულმა გავსწიე მისი პალატისაკენ, მაგრამ წინ ილიას გააკონენი გადამელობა, შემაჩერა:

— თქვენი ნახვა თინაზე ცუდად იმოქმედებს. თუ მისი გამოკეთება გსურთ, ნუ შეხვალთ...

მეც რა ძალა მქონდა, აღარ შევედი.

— ჰო-და ასე, — გამიღიმა გააკონენმა, — ჭრილობა საშიში არ არის, დანა ბეჭის ძვალს ასცდენია და განზე წასულა. ერთი-ორი კვირა და ფეხზე დადგება. ჯავრი ნუ გაქვთ. თითონაც ძალიან მთხოვა, ჩემთან ნურავის ნუ შემოუშვებო".

„16 თებერვალი. არც გუშინ და არც დღეს ჩემს რაზმს ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. კარელიის ყელზე დიდი ამბები ხდება. ჩვენები წინ მიიწევენ. მომიტანეს გაზეთები. პირველად ვკითხულობ „ოპერატიულ ცნობებს", როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, უკვე მივუახლოვდით ვიბორგს. ილიას გააკონენი გახარებული იქნება, მალე დედასაც შეხვდება.

საღამოთი ნინო გერსამია მოვიდა და შემოსვლისთანავე შემომიბღვირა:

— ვანო, არა გრცხვენია, თინა ერთხელაც არ გინახულებია თურმე!

— როგორ არა, ვიყავი, მაგრამ გააკონენმა მითხრა, შესვლა არ შეიძლებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა გვიანაა, ხვალ ინახულე აუცილებლად.
— შენ ინახულე თუ?
— როგორ არა, ახლა იქიდან მოვდივარ.
— რა გითხრა, როგორ არის?
— არა უშავს-რა, ცუდად ყოფილა, მაგრამ გამოკეთებულა".

XI

იგი ღრუბლებს შეჰყურებდა

ვანო ზარიძე აეროდრომის უფროსის კაბინეტში იჯდა და სარდლობისაგან ახალ ბრძანებას მოელოდა. თინას ამბებმა და ჩერნოვის უგზოუკვლოდ დაკარგვამ იგი ძალზე ააფორიაქა. შეტევის წინ მფრინავთა ფაცა-ფუცს ვანო ცივად უყურებდა და გულში ილიას გააკონენს ჰკიცხავდა. ამ ომმა პირდაპირ ძისთვის დაიბერტყა კალთა: მშობლებს შეახვედრა, ძმა გვერდში ამოუყენა, თავისი სამშობლო სოფელი დაუბრუნა და, ბოლოს... ბედის ვარსკვლავიც აუცომცომა. ვისა ჰქონია საეჭვიანოდ საქმე და ვინ ეჭვიანობდა თურმე...

— რაზე ფიქრობ, ვანო, რაც იყო, იყო: მალე აფრინდები ღრუბლებში და ყველაფერი დაგავიწყდება, — მიმართა ზამკოვმა. — ფიქრისაგან არაფერი არ გამოვა. ყველაფერში ზომიერებაა საჭირო: ზედმეტი არც ფიქრი ვარგა და არც სიხარული.

— კარგი, ზამკოვ, ლექციებით გული შემიღონე.

— ხანდისხან, ძმაო, უმცროსის რჩევა წამალია... ჰო-და, ნეტავი რას აყოვნებს შტაბი? ყველა ბრიგადა აფრინდა, ჩვენ რეზერვში ხომ არ გადაგვიძახეს?

ამ დროს ტელეფონის ზარმა დააწკარუნა.

— აა, შე ეშმაკის ფეხო, — გამოეხმაურა ზარს აეროდრომის უფროსი, — როგორ მოგვაგენი? მამაშენი აქ არის. დაელაპარაკე, — და მილი ზამკოვს გადასცა.

— პეტია, საიდან, ბიჭო? კარგად ხართ? მე გმირი ვარ? ვინ გითხრა? დღეგანდელ „პრავდაში" სწერია? სტყუი! აბა დედას გადაეცი მილი. მართალია? ვანოც? ჰო, მოიცა! — ზამკოვმა მილი დასდო და ხელებგაშლილი ვანოსაკენ წავიდა.

მეგობრები მხურვალედ გადაეხვივნენ ერთმანეთს.

აეროდრომზე საფოსტო ავტომობილი მიგრიალდა და მოსკოვის გაზეთებმა ერთხმად დაადასტურეს ზამკოვის ბიჭუნას სიტყვები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ვანო ზარიძეს და გიორგი ზამკოვს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება.

მფრინავებმა ხელში აიტაცეს ისინი და „ურას" ძახილით ჰაერში ააბურთავეს.

ტელეფონმა კვლავ გაირაწკუნა, და ვანომ სარდლობიდან საბრძოლო ბრძანება მიიღო. ანგარებიდან გამოგრიალდნენ ყუმბარმშენები. მათი ცისფერი ბოლოები გაზაფხულის პირველმა სხივმა ააბრჭყვიალა. პროპელერებმა ერთი გაიშხუილეს, და ხომალდები მიწას მოსწყდნენ. ჯერ დაბლა, გალხობილ ყინულს გადაუშლიგინეს და შემდეგ მაღლა, სულ მაღლა მუქი ღრუბლების ქარავანს გაუნავარდეს.

გამოჩნდა ვიბორგის ყურე თავისი აშხუილებული ტალღებით, თოვლით გადაპენტილი მიდამოებით, ლურჯი ტყეებით და დანახშირებული სახლებით, ნასოფლარებით.

აქა-იქ ჯერ კიდევ ღვივოდა ცეცხლი, და კვამლი, როგორც მიწის უსაზღვრო სევდა, ზევით მიიმართებოდა: ფინელები უკან იხევდნენ [illegible] ავიანთ მიწა-წყალს ცეცხლს აძლევდნენ. კიდით-კიდემდე ცეცხლი [illegible] ყველაფერს. ალის გაალმასებული ენები მისდევდნენ მათს გამჩაღებლებს. გალხობილი თოვლი წვრილ ნაკადულებად მოწანწკარებდა. ცაზე შეყინული მზე მშვიდად იჭყიტებოდა თეთრი ღრუბლების ნაპრალებიდან.

მუხლუხა ტანკები, მძიმე ქვემეხები, ტყვიამფრქვევები, სწრაფად მოძრავ ადამიანებთან ერთად, ცეცხლს ცეცხლზე აყრიდნენ და ადამიანები მგრგვინავი შეყიჟინებით გარბი-გამორბოდნენ. ეს წითელარმიელები იყვნენ, რკინიგზის გაყოლებაზე სადგურ ხეინოკიდან ვიბორგისაკენ რომ მიიწევდნენ.

საჰაერო ბრძოლა უკვე დაწყებული იყო. ლადოგისა და საიმერის ტბების ნაპირებზე მძიმე ყუმბარები სკდებოდნენ. რკინიგზის ნგრევის ხმა, შარაგზის აფეთქება და გარღვეულ არხებიდან წყლის შხუილი მიდამოებს ამაზრზენად ედებოდა.

ყველაფერი ირყეოდა.

მეორე მხარეს, გადამწვარი ტყის თავზე, ავიაგამანადგურებლების დუელს ცა გაეწითლებინა და აწივლებული ქულები ნაპერწკალდებოდნენ.

ვანოს რაზმი ჩრდილოეთით წამოვიდა და ხანგრძლივ საცეცხლო წერტილს და სათავდაცვო კოშკებს გრიგალისებური ცეცხლი დაუშინა.

— სამშობლოსათვის!

ვანოს ამ სიტყვებზე ზამკოვის მიერ დამიზნებულმა ყუმბარამ ხანგრძლივი საცეცხლო წერტილიდან რკინაბეტონის ნამსხვრევები ამოჰყარა.

ფრონტიდან ვანო გვიან დაბრუნდა. ბინდდებოდა. ღამე თავის შავ თმაა შლიდა.

ვანოს ბრიგადა მშვიდობით გადარჩა. მტერმა ყუმბარმშენებს ვერაფერი დააკლო.

ზამკოვი კარგ გუნებაზე იყო.

ვანოს ღრუბლებში მართლაც გაჰქრობოდა გულის ჯავრი და დამშვიდებული დაბრუნდა ყაზარმაში. მას ჯერ კიდევ უღვივოდა გულში თინას იმედი. არა სჯეროდა, რომ თინა მართლა გაჰყვებოდა ილიას გააკონენს. მან გადასწყვიტა თინას ნახვა და ყველაფრის გაგება.

ვანომ თავისი ოთახის კარი შეაღო. იატაკზე წერილი დაუხვდა, — ჭუჭრუტანიდან შეეგდოთ.

„... შენ რომ ჩემს ამბავს არ კითხულობ, კარგს შვრები. როგორც შეყვარებულნი, აწი ერთმანეთს ვერასოდეს ველარ შევხვდებით. ვიყოთ მეგობრები, ამხანაგები... შუაში ჩაგვიდგა ექიმი. არ ვამბობ, რომ ის შენზე კარგია, არა, მაგრამ დამძლია, დამიმორჩილა. როგორც ბავშვს, ისე მიფრთხილდება, თვალებში შემომყურებს. ნატყვიარში ზედმეტად შეზრდილ ხორცივით ამოსჭრა ჩემი გულიდან შენი თავი. რა უნდა მექნა?“

ხოლო წერილის ქვევით გამანადგურებლად მიეწერა:

„მომიკითხე ნინო გერსამია“.

ვანო ერთხანს გაშეშებული იდგა. შემდეგ კარი გამოაღო, — ცივი, გაყინული ჰაერი სახეზე მიესალბუნა.

იგი შეჰყურებდა ღრუბლების ქოთქოთს და წერილს ძალზე ჭმუჭნიდა, თითქოს ის ყოფილიყოს დამნაშავე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ. ოსიპოვი

დივიზიის უფროსი კიკვიძე

X *)

კრასნოვის მიერ აგვისტოში წარმატებით დაწყებული შემოტევა მარცხით დამთავრდა.

აგვისტოს დამლევს უკვე დაიწყო გარდატეხა სამხედრო მოქმედებაში, ხოლო სექტემბრის პირველი დღეები თეთრი კაზაკების სრული განადგურების დღეები იყო. წითელ არმიას დიდი ნადავლი დარჩა: საბრძოლო საჭურველი, ამუნიცია და სურსათი. წითლებმა დიდი, ხუთი-ათასიანი ნახირი ჩაიგდეს.

აგვისტოში დამარცხების შემდეგ თეთრი კაზაკების ხელმძღვანელებმა გადასწყვიტეს ოქტომბერში კვლავ ეცადნათ ცარიცინის დაპყრობა. კრასნოვმა მოახერხა და თავი მოუყარა ორმოცდახუთ ათას ქვეითა და ცხენოსან მეომარს, ასორმოცდაათ ქვემეხს, ორას ოცდარვა ტყვიამფრქვევსა და რვა ჯავშანმატარებელს. ამას გარდა დონის სარდლობის განკარგულებაში იყო ოცი ათასი კაცი, ეგრეთწოდებული ნორჩი არმია, რომლის ნაწილებითაც ავსებდნენ ძირითადი კადრების დანაკლისს.

თეთრებმა დაიკავეს სადგურები კრივაია მუზგა, კარპოვკა, ლოგი. სვეტლი იართან გადალახეს ვოლგა და მარცხენა ნაპირზე გადავიდნენ. რევოლუციის ციტადელი სასიკვდილო საფრთხეში ვარდებოდა. სწორედ ამ დღეებში გაიცა ვოროშილოვის ბრძანება: „ებრძანებ, დაკავებული პოზიციებიდან არც ერთი ნაბიჯით უკან არ დაიხიოთ განკარგულებამდე. ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს, დახვრეტილი იქნება“.

თოთხმეტ ოქტომბერს ვოროშილოვი ტელეგრაფით ატყობინებდა სვერდლოვს მოსკოვში და რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს არზამასში: „...მოწინააღმდეგე დიდი ძალებით უტევს ცარიცინის ფრონტის ცენტრალურ და ჩრდილოეთის უბნებს. ჩვენი ნაწილები უკან იხევენ. მოწინააღმდეგემ ვოლგა გადასჭრა სამხრეთით, ცდილობს გადასჭრას ჩრდილოეთით და აიღოს ცარიცინი. მდგომარეობა კრიტიკულია, ჭურვები არა გვაქვს. აუცილებელია დაუყოვნებლივი დახმარება სამხედრო გემებით, ცოცხალი ძალით, ჭურვებით. შემდეგ მდგომარეობის გამოსწორება უკვე ძნელი იქნება. არმია გმირულად იბრძვის, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს“.

ამ ტელეგრამის შედეგად სამხრეთის ფრონტის სარდალს სტალინს წინადადება მიეცა, თავისი მე-9 არმია დაეძრა „საიერიშოდ, სრულ დაძაბვამდე, იმ ანგარიშით, რომ მას უაღრესად არსებითი გავლენა მოეხდინა ცარიცინის წინააღმდეგ კაზაკთა რაზმების მოქმედებაზე“. ეს შეტევა პასიურად სწარმოებდა და მას ოდნავადაც არ შეუმსუბუქებია ცარიცინთან შექმნილი მდგომარეობა. ამის მიზეზი სტალინისა და კნიაგნიცკის უაღრესად უსიცოცხლო ხელმძღვანე-

*) დასასრული. იხ. „მნათობი“, № 8, 9.

ლობა იყო. დივიზიები, მეთაურიდან უკანასკნელ მეომრამდე, მამაცურად იბრძოდნენ, განსაკუთრებით კიკვიძის დივიზია.

თექვსმეტ ოქტომბერს კიკვიძემ სასწრაფოდ დაიბარა ყველა მეთაური. ეტაპლობა ჯერ კიდევ მთლად მოშუშებული არა ჰქონდა, ფერმკრთალი და ძალზე მისუსტებული იყო.

— უწინარეს ყოვლისა, — სთქვა მან, — მოგილოცავთ ჩვენი დივიზიის გარდაქმნას წითელი არმიის რეგულარულ ნაწილად.

კოზლოვიდან ახალმოტანილი დოკუმენტი მაგიდაზე დასდო. მეთაურები ერთმანეთს ეკვროდნენ, ხელიდან გლეჯდნენ და კითხულობდნენ:

„ბრძანება № 26

რუსეთის რესპუბლიკის სამხრეთის ფრონტის არმია

ქ. კოზლოვი 14 ოქტომბერი 1918 წ.

5) კიკვიძის ქვეითა დივიზიას დაერქვას მე-16 ქვეითა დივიზია. დივიზიის უფროსად ინიშნება კიკვიძე“.

— ყველამ წაიკითხეთ? — ერთი წუთის შემდეგ იკითხა დივიზიის უფროსმა. — არ ვიცი, ამხანაგებო, რას მოასწავებს ეს თქვენთვის, ჩემთვის კი დიდი ბედნიერებაა. ყოველთვის მწყინდა სახელწოდება: „კიკვიძის რაზმი“ ან „რიგგარეშე ფორმირების დივიზია“, ან კიდევ სხვა რალაც. უნდა გავამართლოთ ნდობა, რომელიც ჩვენდამი გამოიჩინეს. და ამის შემთხვევა უკვე მოგვეცა. აი ბრძანება მე-9 არმიის ჯარისადმი, რომელიც ტელეგრაფით გადმოგვცეს.

ის იყო ბრძანების კითხვა უნდა დაეწყო, მაგრამ საშინელი ხველა აუტყდა და გვერდში ხელი წაივლო. მედვედოვსკიმ ჭიქით წყალი მიაწოდა.

— მოიტა, მე წავიკითხავ, — წყნარად უთხრა მან, თანხმობას არ დაუცადა და ხმამაღლა კითხვა დაიწყო:

„ბრძანება ნომერი სამოცდათოთხმეტი... მოწინააღმდეგე მოჭარბებული ძალებით დაჟინებით და შეუპოვრად უტევს ცარიცინის ჯგუფს და ემუქრება თვით ცარიცინს, რომლის მდგომარეობაც კრიტიკულია. ცარიცინის გადასარჩენად და მე-10 არმიის ჯარებთან შესაერთებლად სამხრეთის ფრონტის მთავარსარდლობამ, მთელი სამხრეთის ფრონტის საერთო შეტევასთან დაკავშირებით, ჩემდამი რწმუნებულ არმიას უბრძანა გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლა, რისთვისაც რიგგარეშე ფორმირების განსაკუთრებულმა (კიკვიძის) დივიზიამ, — აქ მედვედოვსკიმ თითები გაატკაცუნა: — არა, ვერ მოგართვით, დროა ახალი სახელით მოიხსენიოთ! — მარჯვენა ფლანგის ძლიერი ჯგუფით ენერგიულად შეუტიოს ლუკიანოვს, კარდაილსკის, ზუბრილოვს, ჩელიშევს. მირონოვის განსაკუთრებულმა კაზაკთა დივიზიამ, კიკვიძის ნაწილებთან კავშირის დაურღვევლად, ენერგიული შეტევა მოაწყოს სებრიაკოვო-კუმილგის დასაკავებლად“...

მედვედოვსკი დიდხანს კითხულობდა და ბოლოს მტკიცედ ჩაიკითხა ბრძანების დასკვნითი მუხლი:

„თავისი მნიშვნელობით ოპერაციის შესრულება განსაკუთრებულ ხასიათს ატარებს. მე-9 არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭო მეთაურებს, კომისრებსა და არმიის ჯარების ყველა ნაწილს ვალდებულებად აკისრებს უმაღლესი რევოლუციური მოვალეობის გამოჩენის აუცილებლობას“.

მან ქაღალდი მაგიდაზე დასდო.

— სიტყვა ვის უნდა? — იკითხა კიკვიძემ.

— ბომეცი, — წამოდგა მეთაური ჩაიკოვსკი.

მალალი, წარმოსადეგი ჩაიკოვსკი, რომელიც ძველ კადრის მეთაურს მოგაგონებდათ, უჩვეულოდ გაფითრებულიყო. ხუტორ გრაჩევსკისთან ბრძოლაში იგი დაიჭრა, საჭირო შეიქნა ხელის მოჭრა. ეს პირველი თანამდებობიანი ყოფილა, ვინც ოპერაციის შემდეგ ესწრებოდა.

— მძიმე ამბავი უნდა შეგატყობინოთ, ამხანაგებო. დღეს დილით ზუბრილოვო-იაროჟენსკაიას უბანზე მთლიანად იქნა მოსპობილი მოსკოვიდან ახლახან ჩამოსული სასწავლო-საკადრო პოლკი. მხოლოდ ცხენოსანი შიკრიკები და მოალალენი გადარჩნენ.

— რატომ? როგორ მოხდა? რაშია საქმე? — მიაყარეს აქეთ-იქიდან.

— მე გიპასუხებთ, — წამოდგა კიკვიძე. — კაზაკებმა ერთად შემოუტიეს პოლკის პოზიციებს. ნაწილობრივ დანაშაული მიუძღვის მე-15 დივიზიას, რომელმაც სასწავლო-საკადრო პოლკის ზურგი და ფრთა გააშიშვლა. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ პოლკს მალე გამოელია საომარი მასალა...

— ყოველთვის ერთი და იგივე უბედურებაა, — ცხარედ წარმოსთქვა როგლიკოვმა, — მადლობა კნიაგნიცკის...

— პოლკის მეთაური დაიბნა, — განაგრძო კიკვიძემ, — ვერ მოასწრო ალყიდან მებრძოლების გამოყვანა. დახმარებამ დაიგვიანა... დანარჩენზე შეიძლება არ ვილაპარაკოთ... ვიდრე ვაზნები ჰქონდათ, ისროდნენ, შემდეგ კი უკანასკნელი ვაზნა თავიანთ თავზე გახარჯეს...

დაიცადა, ვიდრე ოთახში ნალვლიანი წამოძახილების ბუბუნი არ მიწყნარდა.

— ეს მძიმე გაკვეთილია! — კვლავ მკაცრად ალაპარაკდა იგი, — მაგრამ დაე სარგებლობა მოიტანოს. მე უკვე მივუთითე არმიის შტაბს, რომ თუ დივიზიებს შორის მოქმედების კოორდინაცია არ იქნება, წარმატებას ვერ მივაღწევთ, და ყოველთვის შესაძლებელი იქნება ისეთი ტრაგედიები, როგორიც დღეს მოხდა, — გაჩუმდა, მაგრამ მაგიდაზე როდი დაეშვა, — დაეცა.

მეთაურები შეშფოთებით შესცქეროდნენ.

კიკვიძე იჯდა, თავი ჩაეკიდა, სახე ცარცივით გათეთრებოდა. თვალები დახუჭული ჰქონდა. ნაადრევი ნაოჭებით დაფარულ შუბლზე ოფლის წვეთები უბრწყინავდა.

— გული წაუვიდა, — ამოიხვნეშა ერთერთმა მეთაურმა.

* * *

საერთო შეტევაზე გადასვლის გადაწყვეტილებას ერთი მოულოდნელი შედეგი მოჰყვა: მე-9 არმიის მეთაურმა კნიაგნიცკიმ კიკვიძის დიდიხნის თხოვნა დააკმაყოფილა და მაზარებით დატვირთული სამი საბარგო მანქანა გაუგზავნა.

ამ ცნობამ ყველა ნაწილი მოიარა და აუწერელი სიხარული გამოიწვია. დინჯმა მედვედოვსკიმაც კი წონასწორობა დაჰკარგა და მისმა დაბალმა, ჯმუხა ტანმა ასეულში გაიელვა, — იგი ფაციფუცობდა. დღის დამლევს მოახერხეს მაზარების მარაგის განაწილება. კიკვიძე უკვე ჩვეულებრივად ემზადებოდა პოზიციაზე წასასვლელად, როდესაც აცნობეს, რომ ინტერნაციონალური პოლკი გთხოულობსო.

— კიდევ რამე მოხდა? — მოიღუშა იგი. — უკმაყოფილოა? გადაეცი, რომ ყველას თანაბრად გავუნაწილეთ. სულ ერთია, მეტს არ მივცემ.

— ორჯერ მოვიდნენ, — უპასუხა მასიუკოვმა. — ალბათ, რაღაც მნიშვნელოვანი აქვთ სათქმელი.

მოღუშულმა კიკვიძემ ინტერნაციონალური პოლკისაკენ გასწია.

— მაზარების შესახებ გინდოდათ? — პირდაპირ შეეკითხა.

— სავსებით სწორია, ამხანაგო დივიზიის უფროსო. პოლკებიდან ერთ-ერთ რევოლუცია მივიღეთ: რადგან ხვალ დიდი ბრძოლა მოგველის, ამიტომ სჯობს მაზარები ბრძოლის შემდეგ დავარიგოთ. მაშინ ნაკლებნი ვიქნებით და თავისუფალი მაზარები სხვა რევოლუციურ მებრძოლებს გამოადგებათ.

კიკვიძემ იგრძნო, რომ ყელში რაღაც გაეჩხირა.

— გმადლობთ, მეგობრებო! — უთხრა მან. — მე კი მეგონა...

შებრუნდა და მსუბუქი ნაბიჯით გაემართა ცხენისაკენ.

— მგონი, მათი აზრი სწორი უნდა იყოს, — ფიქრობდა კიკვიძის უკან მიმავალი მასიუკოვი. — ხვალ ბევრი ველზე ეგდება, ჭაობში. მაშასადამე, ასეთი ყოფილა მათი ხვედრი. მაზარა კი ცოდოა...

*

* *

გააფთრებული ბრძოლა იყო. წითელარმიელები მტერს მკერდით უტევდნენ.

კიკვიძე ყოველთვის ბრძოლაში იყო. ქვეითა ნაწილები საიერიშოდ მიჰყავდა, უკან დაბრუნებული ჯავშნიან ავტომობილში ჯდებოდა, ხოლო როცა ჯავშანს ტყვიამფრქვევები იმდენად ახურებდნენ, რომ საჭირო იყო გასაცივებლად სროლის შეწყვეტა, ცხენს მოახტებოდა და ცხენოსნებს მიუძღოდა. შუაგულ ბრძოლაში დაიჭრა: მოქანცული ტყვია მოხვდა თავში. პოლკის მეთაურმა კლიმენკომ დაჭრილ, დაბარბაცებულ დივიზიის უფროსს ხელი სტაცა, ბრძოლიდან გაიყვანა და დივიზიის სანიტარული ნაწილის უფროსს არტემიევს გადასცა.

— ძვალი მთელი აქვს, — სთქვა ექიმმა ჭრილობის გასინჯვის შემდეგ. — საჭიროა სიმშვიდე და ერთ კვირაში ყველაფერი გაივლის.

გონს მოსული კიკვიძე უკანასკნელ სიტყვებზე ფეხზე წამოდგა.

— კარგად შემიხვიეთ თავი, ამხანაგო, — უთხრა მან, — შენ კი, მასიუკოვ, მსუბუქი მანქანა მოიყვანე და ტყვიამფრქვევიც თან წამოიღე. მწყობრს არ დავტოვებ. ყველა რომ ასეთი უბრალო რამისათვის ლაზარეთში დაწვეს, კაზაკები სწრაფად აგვიკლებენ.

თუმცა ექიმმა აუკრძალა და ამხანაგებმაც სთხოვეს, მაგრამ იგი მაინც პოზიციაზე დაბრუნდა.

თითქოს მოწინააღმდეგენი უსიტყვოდ შეთანხმდნენო, შუადღისას ბრძოლა მიყუჩდა. დაღლილი, წყურვილით ქანცმილეული მებრძოლები მიწაზე დაეყარნენ. მზარეულები ამაოდ დაატარებდნენ კარდალებს: თითქმის არავინ არ ისურვა საამო დასვენების შეწყვეტა.

ამ დროს კიკვიძეს მოახსენეს, ტამბოვის სოციალისტური პოლკის მესამე ბატალიონმა თეთრი ოფიცერი შეიპყრო. პოგონებზე ეტყობა, შტაბის ოფიცერი უნდა იყოსო.

სასარგებლო ცნობების მიღების იმედით, დივიზიის უფროსი ბატალიონისაკენ გაემართა.

იქ ერთი სიცილ-ხარხარი იდგა. მებრძოლებს დაღლილობა დაევიწყათ და მჭიდრო რკალივით შემოხვეოდნენ ტყვეს და ანტონს (სწორედ მან ჩამოაგდო ოფიცერი ცხენიდან).

ოფიცერს შავი ნაბადი ესხა, რომლის ქვეშაც ოქროქსოვილი პოგონები უელავდა. შავი თმა ჩამოშლოდა მაღალ შუბლზე და ქუდიანებიან ცხვირზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მე მგავს", — ღიმილით გაივლო კიკვიძემ გულში.

იგი შეჩერდა და ყური მიუგდო ლაპარაკს, რაც მებრძოლებს დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა.

— მაშ რა გქვიან, თქვენო კეთილშობილებავ? — ეკითხებოდა ანტონი.

— რა მქვიან და რაქვიანა, გვარად კიდევ ნაბდიანა, — აუშფოთებლად უპასუხებდა ტყვე და თან თვალებს აბრიალებდა. კიკვიძე ტყვის აქცენტით მაშინვე მიხვდა, რომ მის წინ ქართველი იდგა.

— ჰო-ჰო, — როხროხებდნენ მებრძოლები, — ესეც ჩვენი ანტონივით ლაპარაკობს. ჩამოვარდა კაკალი, დახვდა ქვა.

ანტონი გრძნობდა, რომ მებრძოლები მის პასუხს მოელოდნენ, და გულგრილად ჰკითხა ტყვეს:

— ნუ მიედ-მოედები... სჯობს გვიამბე, ვითომ რაო, რა მოსაზრებით იბრძვით ჩვენს წინააღმდეგ. ყველა სიმართლეს ეძებს, მაგრამ ყველა სიმართლით როდი იქცევა. თქვენი ბატონკაცური სიმართლე კი დიდიხანია ვიცით, რაც არის. კარგად გიცნობთ, რა შვილებიცა ხართ ოფიცრები. ჯარისკაცს კიდეც აქმევთ, კიდეც ასმევთ და ზურგსაც მათრახით უჭრელებთ.

— დახე, რა ზორბად დასცხო! — ახარხარდნენ ირგვლივ. — მე შენ გეტყვი, სიტყვა არ შემოაკლდეს.

— ჰო-და, თქვენო კეთილშობილებავ, გამოდის, რომ ომი გაათავე? — განაგრძო ანტონმა. — კიდევ იომებდი, მაგრამ ომის წელი აღარა გაქვს? აბა ერთი გვიბრძანე, ხომ ბევრი ადგილ-მამული გაქვს? შენი სახლი შორსაა?

— გზადაგზა ხუთი, პირდაპირ თუ წახვალ, ათი, — დაცინვით უპასუხა ოფიცერმა.

— შენ თავს ნუ იგდებ, — მოიღუშა უცებ ერთი მებრძოლი, — კარგად მოიფიქრე, სადა ხარ, თორემ ხელად დაგაწყნარებ.

კიკვიძემ წყნარად ჩაახველა.

— აბა გამიშვით, ერთი მოველაპარაკო ამ არწივს, — მიმართა მან მებრძოლებს და ოფიცერს ანიშნა, გაჰყოლოდა.

ერთი საათის შემდეგ კიკვიძემ ბრძანა მსუბუქი მანქანა მიეყვანათ.

ის რომ გამოვიდა, შოფერი გაშეშდა: დივიზიის უფროსს ოფიცრის ფორმა ეცვა, ზედ ოქროსფერი პოგონები უბრჭყვიალებდა. მხრებზე კოხტად მოეგდო ნაბადი.

— თეთრებისაკენ!

შოფერმა გაოცების გამომეტყველება მოიშორა და მანქანა აამუშავა.

— მოიცა, აჰა, მხრებზე გაიკეთე, — და კიკვიძემ შოფერს პოგონები გაუწოდა.

მანქანა სიბნელეში მიიმალა. ფანრების მკრთალი შუქი ძლივს ანათებდა ხეებს გზის პირად.

— ვინ მოდის? შესდექ!

შოფერმა მანქანა დაამუხრუჭა. მკრთალი შუქის ზოლში ზორბა, გრძელულვაშიანი ურიადნიკის ფიგურა გამოჩნდა.

კიკვიძემ დინჯად, თითქმის ამპარტავნულად გაუწოდა მოწმობა. ურიადნიკი ბატივისცემით სინჯავდა თვით კრასნოვის ხელმოწერას და თვალი შეავლო ნაბდის ქვეშ გამომკრთალ ოქროქსოვილ პოგონებს.

— გაატარეთ მათი მაღალკეთილშობილება, — გასძახა მან სიბნელეში. — შტაბამდე ორი ვერსია. სკოლიდან მეორე სახლი. — შემდეგ [illegible] დაიხარა და წასჩურჩულა: — ხიდზე რომ გაივლი, ნელი სვლით გადასულ ოფიცრები დამპალია.

შტაბში კიკვიძემ მორიგე ოფიცერს მიმართა:

— ვთხოვ შტაბის უფროსს მიმიღოს სასწრაფო საქმეზე. მე როტმისტრი ვარ, თავადი ჭავჭავაძე. დონის ლაშქრის ატამანის დავალება მაქვს.

ოფიცერმა თავაზიანად, დიდკაცურად სთხოვა დამჯდარიყო. კარს მოეფარა და რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა:

— პოლკოვნიკი გელოდებათ.

— ასე მალე? მე კი ვიმედოვნებდი ცოტა დამესვენა: ისე დამანჯღრია მანქანამ, ჩემს ადგილას რომ ფეხმძიმე ქალი ყოფილიყო... — იგი წინდაწინვე გაღიმებული ოფიცრის ყურთან დაიხარა და ფრაზა ოხუნჯობით დაასრულა. მაგრამ მაშინვე სერიოზული სახე მიიღო, ვიწრო ტანისამოსი შეისწორა და შტაბის უფროსის ოთახში შევიდა.

მოხუცი, ბეცი პოლკოვნიკი ფეხზე წამოდგა, რომ შეჰგებებოდა, და თან ხელებს იფშვნეტდა... „მთლად ისეთია, როგორიც დატყვევებულმა თეთრგვარდიელმა ამიწერა“, — კმაყოფილებით გაივლო გულში კიკვიძემ.

— რამდენი ხანია აღარ მინახვიხართ, როტმისტრო, — დანჯღრეული ხმით წარმოსთქვა პოლკოვნიკმა, — უკანასკნელად მისი უდიდებულესობის მთავარ ბანაკში... — მან მოწიწებით გამოისახა პირჯვარი. — მაგრამ თქვენ, თუ არ ვცდები, ძალიან დავაკაცებულხართ. ვეღარც კი გიცნობდით.

დივიზიის უფროსმა აუჩქარებლად ამოიღო ჯიბიდან ნაგანი და დაუმიზნა პოლკოვნიკს:

— მე კიკვიძე ვარ! კრინტი-ხმა არ დასძრათ, თორემ აქვე გაგათავებთ.

პოლკოვნიკმა ინსტიქტურად ხელი აიფარა, რომ მიშვერილი ლულისათვის არ ეცქირნა და თვალებდაჭყეტილმა მაგიდისაკენ დაიწია.

— სად არის ქალალდები? — ცივად შეეკითხა კიკვიძე. — მე მინდა საიდუმლო ბრძანებები, შიფრების გასაღები, ცნობები მეომართა და ცხენთა შემადგენლობაზე.

კიკვიძემ იცის: ახლა მოულოდნელი რამ რომ მოხდეს, ამ ოთახიდან ვერც **ერთი ცოცხალი ვერ გავა.** პოლკოვნიკიც გრძნობდა ამ შეუდრეკელ გადაწყვეტილებას და ძალა ელეოდა. იგი თავათაც კი ეხმარებოდა კიკვიძეს ერთ პორტფელში ჩაეწყო სასწრაფოდ გამორჩეული ქალალდები.

საჭირო დოკუმენტები რომ აიღო, კიკვიძემ პოლკოვნიკს მრავალმნიშვნელოვნად მიმართა:

— ახლა გთხოვთ ცოტა გამოისეირნოთ ჩემთან ერთად ავტომობილით. გარწმუნებთ, არც ახლა და არც შემდეგ არავითარი განსაცდელი არ მოგელით. ერთ სიურპრიზსაც გპირდებით, პოლკოვნიკო, მაგრამ თუ ოდნავ სცადეთ განგაშის ატეხა, ათ წამსაც ვეღარ იცოცხლებთ.

მოწყენილი ადიუტანტი ცდილობდა ყური მიეგდო, რაზე ელაპარაკებოდა გრწყინვალე როტმისტრი პოლკოვნიკს, მაგრამ მაგრა დაკეტილი კარიდან მხოლოდ დინჯი გაურკვეველი ხმები, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ერთი ხმა ისმოდა. პოლკოვნიკი ჩუმად იყო და ადიუტანტს არც უკვირდა ეს: მან იცოდა, რომ მისი უფროსი ყოველთვის სხვის მოსმენას ამჯობინებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეცრად კარი გაიღო. ზღურბლზე ხელიხელგაყრილნი იდგნენ თვალდ ჭავჭავაძე და პოლკოვნიკი.

— მე მალე დავბრუნდები, — წაიბუტბუტა პოლკოვნიკმა და — თან მაზარის საყელო აიწია, — ცოტას გავივლი როტმისტრთან.

სტუმარმა თავისუფალი ხელის ორი თითი ქუდზე მიიდო, მომხიბვლელად გაიღიმა და გასასვლელისაკენ გაემართა, თან თავის თანამგზავრს რაღაცას გატაცებით უამბობდა.

მანქანა რომ თეთრების უკანასკნელ საგუშაგოს გასცდა, კიკვიძემ მეგობრული კილოთი წარმოსთქვა:

— თქვენი ხნის კაცი და ასეთი მოუსვენარი. შფოთიანი საქმე შეუთავსებელია. ჩვენთან კი მოისვენებთ. უნდა გიხაროდეთ კიდეც. ცუდს კი, გიმეორებთ, არაფერს გიზამთ. — შემდეგ რაღაც მოაგონდა და მადიანად გაიცინა. — მე სიურპრიზს დაგპირდით. ინებეთ. თხუთმეტი წუთის შემდეგ თქვენ ნახავთ ნამდვილ თავად ჭავჭავაძეს. საშუალება გექნებათ ძველი დრო გაიხსენოთ...

XI

სამხრეთის ფრონტის სამხედრო-რევოლუციურმა საბჭომ უკვე დიდი ხანია გადასწყვიტა, დაეგზავნა დივიზიებში თავისი წარმომადგენლები. ნაწილებში პოლიტმუშაკები აკლდათ, საჭირო იყო მიტინგების ჩატარება, მებრძოლთა გამხნევება, მათი პრეტენზიების გამორკვევა. ოცდაერთ ნოემბერს მე-16 დივიზიაში მივიდა სრულიად-რუსეთის ცაკის წევრი პერჩინი. მასთან ერთად იყვნენ სამხრეთის ფრონტის პოლიტგანყოფილების წევრები — ტელეჟკინი და ეფრემოვი.

დელეგაცია ელანს დილით ჩავიდა. დივიზიის შტაბი სადგურს რამდენიმე ვერსით იყო დაშორებული და კიკვიძემ ჩამოსულთა წამოსაყვანად სატვირთო მანქანა გაგზავნა. დელეგატებმა მოითათბირეს და გადასწყვიტეს:

— იქნებ პირდაპირ ნაწილში მისვლა სჯობდეს: დღეს სათადარიგოში, ხვალ კი პოზიციებზე.

მედვედოვსკი, რომელიც სტუმრებს დახვდა, დაეთანხმა.

— დაბა ელანიდან შვიდ ვერსზე იმყოფებიან იმიერ-ამურის ცხენოსანი პოლკი, ცხენოსანი ბატარეა და მისივე სატყვიამფრქვევო გუნდი. შეიძლება მათთან წავიდეთ.

პოლკის შტაბი მღვდლის სახლში იყო მოთავსებული. პოლკის მეთაური, რომელსაც წინასწარ აცნობეს მისვლის შესახებ, პარმალზე იდგა და ელოდებოდა.

— წითელარმიელებს სურთ სამხედრო წესით, ესე იგი საბრძოლო მწყობრით შეგხვდნენ. — განაცხადა მან მისალმების შემდეგ.

თოვლი ბარდნიდა. მეთაურს ტყავის სარჩულიანი ჩასაცმელი ეცვა. იდგა და ნერვიულად იბერტყავდა თოვლის ფიფქებს. მედვედოვსკიმ ღიმილი დამალა: მეთაური აშკარად ღელავდა. ბრძოლაში-კი, ცეცხლში, იგი ერთერთი უმამაცესი მეთაური იყო დივიზიაში.

პოლკისაკენ გასწიეს. ჯგუფის მიახლოებისას მებუკეთა გუნდმა „მარსელიეზა“ დააგუგუნა. გაისმა ხმამაღალი ბრძანება.

— სმენა! სალამი!

— შენი გვარდიელები მიჰქარავენ, — აღტაცებით წაჩურჩულა ეფრემოვმა.

წმინდა სისხლის ინგლისურ ფაშატზე მჯდომმა პოლკის მეთაურმა ხმალი ზეაღმართა, ცხენი სტუმრებთან მიაჭენა და მტკიცედ და მკაფიოდ უპასუხა.

— დავიწყოთ მიტინგი, — გამოაცხადა მედვედოვსკიმ. — ამ ... ინ ... ინ ... ინ

*
* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონის ოლქში საბჭოთა ჯარების წინსვლას აადვილებდა, თეთრების ბატონობისაგან განთავისუფლებული მოსახლეობის პარტიზანული ბრძოლა.

კიკვიძის დივიზიის მიახლოვების ამბავი ცხოველ გამოხმაურებას ჰპოვებდა მშრომელ კაზაკობაში. ყველამ იცოდა, რომ ამ დივიზიაში განსაკუთრებით სასტიკად იცავდნენ წესს, — ცდილობდნენ არ ეწყენინებინათ მცხოვრებთათვის, თვალი არ დაეჭირათ სხვის დოვლათზე.

ერთმანეთს გადასცემდნენ კიკვიძის მკაცრ სიტყვებს:

— თუ წითელარმიელმა იქურდა, იგი იქვე უნდა დაიხვრიტოს.

გაიგებდნენ თუ არა, კიკვიძე მახლობლად იბრძვისო, მთელი სოფლები წამოიშლებოდნენ ხოლმე, რომ მას თეთრი კაზაკების განადგურებაში დახმარებოდნენ. აჯანყდა სტანიცა პრეობრაჟენსკაია, აჯანყდნენ სოფლები სემიონოვკა, ტროსტიანკა, მაჩეხა... ამ სტანიცებისა და სოფლების პარტიზანებისაგან შესდგა განსაკუთრებული პოლკი, პრეობრაჟენსკის პოლკი, რომელმაც დივიზიაში ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიჭირა.

სტანიცა კუმილჰენსკაიაში ცხენოსანი რაზმი შესდგა კაზაკ კუროპატკინის მეთაურობით. კიკვიძემ ეს რაზმი თავის დივიზიაში შეიყვანა და მე-3 ცხენოსანი პოლკი უწოდა. ერთ ზარბაზანს, რომელიც რაზმს ჰქონდა, კაზაკთა ბატარეა უწოდეს.

კიკვიძე ფხიზლად ადევნებდა თვალს, რომ თეთრებისაგან გაწმენდილ რაიონებში დაუყოვნებლივ შეექმნათ რევკომები. ერთხელ, როდესაც კაზაკებისათვის ახლად წართმეულ ხუტორზე მიდიოდა, მან დაინახა კედელზე გამოკიდებული ხელით დაწერილი, მაგრამ ნაბეჭდი ასოებით გამოყვანილი განცხადება:

„ხუტორ ზენინის რევკომის ბრძანება.

მსოფლიო ავაზაკების — თეთრგვარდიელების ძალაუფლება ჩვენი გმირული წითელი არმიის შეტევით დაეცა, მათი ბანდები სამარცხვინოდ იხევენ გახრწნის წინ. თეთრგვარდიელებმა გვიჩვენეს, რომ მათ უნდათ კვლავ ჩაითრიონ მონობაში მუშურ-გლეხური მასა.

ჩვენს ხუტორში მოწყობილია დროებითი რევკომი.

გამვლელი ნაწილებისა და ცალკეული პირების ყოველგვარ უწესობაზე რევკომს უნდა ეცნობოს. თვითნებური რეკვიზიცია და კონფისკაცია აკრძალულია. დამნაშავე გასამართლებული იქნება რევტრიბუნალის მიერ“.

— აი ყოჩაღ! — გაიღიმა კიკვიძემ, — ცოტა არეულად გამოსთქვამენ, მაგრამ სამაგიეროდ სწორად მოქმედებენ.

სადაც კი შეეძლო, მიტინგებზე გამოდიოდა, მეთაურებს ჰგზავნიდა. დივიზიის ნაწილებში კომისრები არ იყვნენ.

დივიზიის პოლიტკომისარი ბოროვსკი სიცილით ამბობდა, მხოლოდ ყრუმუნჯთა შორის შემიძლიან გამოსვლა, რადგან ხმა სრულებით ჩამიწყდა და კრებებზე მხოლოდ ჟესტებით ვლაპარაკობო.

სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობაში უდიდესი სამსახური გასწია „წერილმა დონის ღარიბებისადმი“, რომელიც ოქტომბერში გამოაქვეყნა ცარიცინის ფრონტის სამხედრო-რევოლუციურმა საბჭომ. ამ წერილს, რომელსაც ხელს აწერდნენ სტალინი და ვოროშილოვი, გულმოდგინედ კითხულობდნენ ბოლომდე:

„ამხანაგებო!

„ჩვენს მხარეზე გადმოსულთა სიტყვებიდან, შავი გაზეთებიდან და გენერალ-კულაკთა წრის ფურცლებიდან ვგებულობთ თუ რა ... ცრუით გკვებავენ თქვენ თქვენი მეთაურები, თქვენი ხელისუფალნი, თქვენი საუკუნო ბატონები, რომელთა აღსასრული ახლა დგება. ისინი თქვენ გაბრიყვებენ, როგორც გაბრიყვებდნენ საუკუნეების განმავლობაში. მათ იციან, რომ ნამდვილი სიმართლე თქვენ გაიძულებთ ჩამოშორდეთ გენერლებს, რომ ნამდვილი სიმართლე საშიში და მრისხანეა ყველასათვის, ვინც ხელი აღმართა მუშურ-გლეხურ რუსეთზე.

...შურისგების საათი ახლოა, და საშინელი იქნება მუშურ-გლეხური რუსეთის სამართალი ნებიერი ბატონების, თავადაზნაურთა ნაბოლარების წინააღმდეგ, რომლებმაც ხელი აღმართეს შრომის წითელი დროშის წინააღმდეგ.

...მაღლა ასწიეთ თავი, დონის ღარიბებო!“

წერილის უკანასკნელი სიტყვები დაძაბულ სიჩუმეში ზარის რეკასავით გაისმოდა და ხშირად მის ამოკითხვას მოსდევდა მრავალი ასი ადამიანის გულიდან ამოხეთქილი „ინტერნაციონალი“, თუმცა ხუტორელებმა ყოველთვის კარგად როდი იცოდნენ პროლეტარული ჰიმნის სიტყვები.

დეკემბრის დამდეგს დივიზიამ წარმატებას მიაღწია. მან სასტიკ ბრძოლაში დაამარცხა გენერალ სიტნიკოვის რაზმი და ხუტორი ზუბრილოვი დაიპირა. თეთრები იხევდნენ, დაჭრილებს უპატრონოდ სტოვებდნენ. დივიზიამ ხელთ იგდო ხუთი ქვემეხი, ცხრა ტყვიამფრქვევი, მრავალი საბარგული და ბევრი ტყვე.

ამ სისხლისმღვრელი ბრძოლის მეორე დღეს დივიზიის უფროსი, რომელმაც მოკლე შესვენებით ისარგებლა, მზვერავთა რაზმითურთ ფარულ საგუშაგოსაკენ გაემართა. ზამთრის თბილი დღე იდგა. მაგრამ კიკვიძეს თექის ჩექმები ეცვა: ფეხსაცმლის გამოცვლა ვერ მოასწრო. ტყეში რაზმი გაიშალა, მებრძოლნი აქეთ-იქით წავიდნენ ხოხვით. კიკვიძე მარტოკა დარჩა. აუჩქარებლად მიდიოდა ბილიკით, რომელიც ტირიფებსა და რბილ კოლბოხებს შორის მიიკლაკნებოდა.

ირგვლივ ტყე ახმაურებულიყო. ხეებზე მკვირცხლი ხეკაკუნები დაძვრებოდნენ, ბუჩქებზე გულწითელები ქანაობდნენ, როკებზე ჯამბაზებივით დახტოდნენ ნიბლიები და მუხების ჟანგისფერ, დათოვლილ ტოტებს თეთრად ამტვერებდნენ.

კიკვიძე მიდიოდა და ღრმად იყნოსავდა ტყის სურნელებას. იგი ბუნების მომხიბვლელობას შეეპყრო. მან დაივიწყა მუდმივი სიფრთხილე, გაიტაცა ტყის უშფოთველმა მყუდროებამ. და როდესაც მისი მკერდის წინ ხიშტმა გაიელვა, მან ერთბაშად ვერც კი გაიგო, რა მოხდა.

— ხელები ზევით!

კიკვიძემ ფიქრები ჩამოიბერტყა და ირგვლივ მიმოიხედა. თითქმის ყოველი ხის უკან კაზაკი იდგა, — ათი-თორმეტი კაცი იქნებოდა. სამი უმიზნებდა, დანარჩენები სიხარულით იღიმებოდნენ.

— ჩაგვივარდი, ჯეელო, — წარმოსთქვეს უკან, — ჩაგვივარდი. ფრთაწითელო. ეტყობა, ჩასაფრებას არ მოელოდა.

ხელაწეულმა კიკვიძემ საშინელი გაცოფება იგრძნო. ასე უაზროდ, ასე უმსგავსოდ დაიღუპოს!

ხელები ნელა დაუშვა და ბრძანების კილოთი წამოიძახა:

— იარაღი დაჰყარეთ, თუ გინდათ ცოცხალი დარჩეთ! მე კი ალბათ თქვენ ჩავარდით. ერთ-ერთს ნებას ვაძლევ წავიდეს და შეამოწმოს, ირგვლივ ყველაფერი ჩემი საგუშაგოებით არის გარშემორტყმული. ორი წუთის ვადას გაძლევთ.

ჯიბიდან საათი ამოიღო და ყურადღებით დააცქერდა.

კაზაკები გაოცდნენ, ვიღაცამ გადიხარხარა, მაგრამ მაშინვე ჩაჩუმდა. ამ მარტოხელა, უშიშარ ადამიანში იგრძნობდით საკუთარი ძალის რწმენას, რომელიც გიმორჩილებდათ. იგი მათ წინაშე იდგა. ხელში საათი ეჭირა და თითქოს თვით ულმობელი ბედი ითვლიდა მათი სიცოცხლის წამებს.

— შენ ვინ იქნები? — წამოიძახა ერთმა ბოლოს. — ნუ გვაშინებ.

დივიზიის უფროსმა ხელი მტკიცედ ასწია.

— მე კიკვიძე ვარ.

თეთრებმა უკან დაიხიეს. ამ სახელს ისინი ძალიან კარგად იცნობდნენ.

— სულ ნახევარი წუთი-ღა დაგრჩათ, — გულგრილად უთხრა მათ კიკვიძემ და ყველას ცივად მოავლო თვალი. ყოველ მათგანს მოეჩვენა, რომ კიკვიძე სწორედ მას უყურებდა. — ვინც იარაღს დასდებს, მას სიცოცხლის გარანტიას ვაძლევ; შეგიძლიანთ ჩემს სიტყვას ენდოთ. ვინც წინააღმდეგობას გასწევს, აქვე სულს გავაფრთხობინებთ. უკანასკნელად გაძლევთ წინადადებას დაგვნებდეთ!

და, როცა საათი ჯიბეში ჩაიდო, ლითონის წვრილ ძეწკვზე ჩამოკიდებული სასტვენი ტუჩთან მიიტანა.

ამან რატომღაც საბოლოოდ მოდრიკა კაზაკები: ერთიმეორეზე დააწყეს მიწაზე შაშხანები და ხმლები.

„ჩემს წინ მოდიოდნენ და იგინებოდნენ, — იცინოდა შემდეგ კიკვიძე: — მიხვდნენ, რომ მარტოკა ვიყავი. მაგრამ ჩემთან ხუმრობა მართლაც არ გაუვიდოდათ: მე ხომ ასეთ ახლო მანძილზე ტყვიას არ ვაცდენ. ამასობაში მოვედით კიდეც...“

XII

ცხრა დეკემბერს მე-9 არმიის სარდლობამ გამოარკვია, რომ თეთრები ძალებს აგროვებდნენ. კიკვიძის დივიზიას დაევალა ოსიპოვ-კულიკოვ-ფოკინ-ვისოკოდუბროვსკაიას ხაზი ჩაეგდო და იქ გამაგრებულიყო. ვისოკოდუბროვსკაიადან უბანი 23-ე დივიზიას უნდა დაეჭირა.

ამ დირექტივამ დაიგვიანა: თეთრებმა იმ დღესვე განახორციელეს შეტევა, რომელსაც ამზადებდნენ. გაწყდა კავშირი მე-16 და მე-23-ე დივიზიებს შორის. კიკვიძის დივიზიას ირგვლივ მტრები შემოერტყნენ. მთელი მისი რეზერვი ინტერნაციონალურ პოლკის ორი ათასეულისაგან შესდგებოდა და ისიც ძალზე შელახული იყო.

მე-15 დივიზიის შტაბის უფროსმა ტელეგრაფით აცნობა კნიაგნიცკის: „მე-16 დივიზიის მდგომარეობა კატასტროფიულია. იგი გარს შემორტყმულია, მაგრამ აქამდე ყველა იერიში მოიგერია. ჩვენ კარგად გვესმის მისი მდგომარეობა და უაღრესად ენერგიულ ზომებს მივიღებთ, რაც კი შეუძლიან ჭეშმარიტ რევოლუციონერს, რომ მას დახმარების ხელი გაუწოდოთ. იმედი გვაქვს, რომ დახმარება არ დაიგვიანებს“.

თოთხმეტ დეკემბერს კნიაგნიცკიმ კიკვიძისა და პოლიტკომისრის ბოროვ-

სკის ხელმოწერილი მოხსენება მიიღო. მოხსენების ძუნწ სიტყვებში იგრძნობოდა უფროსი მეთაურის უმოქმედობით გამოწვეული განრისხება. მოწინააღმდეგე დიდი ძალებით გვიტევს... დღე-ღამ გრძელდება ბრძოლა. ირგვლივ ყველას მოწყვეტილნი ვართ, საგრძნობ დანაკლისს განვიცდით. უკანასკნელ შესაძლებლობამდე, ვიბრძოლებთ... გამოგზავნეთ ვაზნები და ჭურვები, რაც დიდი ხანია აღარ მოგვეპოვება. მიუხედავად საშინელი ამინდისა, მეომრები დღე და ღამ სანგრებში არიან. დაჭრილები საშინელ მდგომარეობაში იმყოფებიან. მთლად გამოგველია შესახვევი მასალა. დაუყოვნებლივ გამოგზავნეთ მფრინავი სანიტარული რაზმი და თბილეული დაჭრილებისათვის... გზავნეთ ვაზნები, ჭურვები, ვაზნები და ჭურვები“.

მაგრამ დივიზია არაფერს არ ღებულობდა. მებრძოლები უვაზნოდ იყვნენ. დაჭრილებისთვის არა ჰქონდათ შესახვევი მასალა.

კიკვიძეს სხვებზე უკეთ ესმოდა, რომ მძიმე, თითქმის გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა. საჭირო იყო ყოველდღიური, განუწყვეტელი გმირობა, საჭირო იყო ძალ-ღონისა და ნერვების არაადამიანური დაძაბვა.

დივიზიის სანიტარული ნაწილის უფროსმა არტემიევმა თათბირზე გაიხსენა, რომ დივიზია გარშემორტყმულია. კიკვიძემ მეთაურების მოღუშულ სახეებს გადაჰხედა და მშვიდი, თითქმის გულკეთილი ხმით, როგორითაც ბავშვს არწმუნებენ ხოლმე წარმოსთქვა:

— რაც შეეხება ალყის შემორტყმის მუდმივ შიშს, ახლანდელი ომის პირობებში ორგანიზებული ნაწილისათვის საშიშია არა ალყა, არამედ მხოლოდ ეს სიტყვა. მოწინააღმდეგეს საკმაო ძალები არ გააჩნია, მას უმთავრესად ცხენოსანი ჯარი ჰყავს. მას შეუძლიან ალყის შთაბეჭდილება შეჰქმნას, მაგრამ გარსშემორტყმა არ შეუძლიან. ალყისათვის სამჯერ-ოთხჯერ მეტი ძალაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში ალყაშემორტყმულს შეუძლიან ფრონტი გაარღვიოს და თვით შეუქმნას მოწინააღმდეგეს საფრთხე. შემდეგ, ალყის შემომრტყმელს თავათ მოელის შეტევა ჩვენი მეზობლებისაგან. ჩვენ გვინახავს მოწინააღმდეგის ღრმად შემოჭრა ჩვენს ზურგში, მისი თავდასხმა საბარგულებზე, მაგრამ არ გვინახავს ალყა.

იგი ლაპარაკობდა და ირგვლივ სახეები თანდათან ნათდებოდა. ამ ადამიანის გაკვირვება ან შეშფოთება არაფრით არ შეიძლებოდა, შეგეძლოთ მას გაბედულად და დამშვიდებით გაჰყოლოდით.

გაჩაღებულ ბრძოლაში თეთრებმა ახალი დიდი ძალები ჩააბეს. რიცხობრივად ისინი ბევრად მეტნი იყვნენ და შეიარაღებაც უკეთესი ჰქონდათ, ვიდრე კიკვიძის დივიზიას. მართალია, მე-9 არმიის სარდლობამ დახმარების სახით ათასხუთასი ახლად მობილიზებული მეომარი გამოგზავნა, მაგრამ ამ ხალხს შაშხანები არა ჰქონდა, შაშხანებიანი ვაგონი შეცდომით სადღაც სხვაგან გაჰგზავნეს და ვერაფრით ვეღარ მონახეს. დივიზია, რომელსაც განუწყვეტლივ კაზაკთა ახალ-ახალი ნაწილები უტევდნენ, კვლავ ძალზე საშიშ მდგომარეობაში ჩავარდა.

მეზობელი მე-15 დივიზია მუშაობდა თეთრების მიერ აფეთქებული რკინიგზის შეკეთებაზე, რომლითაც მე-16 დივიზია მომარაგებას ღებულობდა. ამ დივიზიის მეთაურმა ასეთი ტელეგრამა გამოგზავნა:

„დივიზიის უფროსის თანაშემწეს მედვედოვსკის.

კისარკასა და ალექსიკოვოს შორის გზის შეკეთებას კიდევ დასჭირდება სამიდან ოთხ დღემდე, რამაც შეიძლება დამღუპველი გავლენა იქონიოს

მე-16 დივიზიის მდგომარეობაზე. ყველა ზომას ვღებულობ იმისათვის, რომ იმათ, ვინც ამ საქმეზე არიან, შეიგნონ ყოველმხრივ გარსშემორტყმული თქვენი დივიზიის კატასტროფიული მდგომარეობა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც მედვედოვსკიმ ამ ტელეგრამის შინაარსი აცნობა კიკვიძეს, მან მწარედ გაიღიმა:

— მაშ ასე... ეგეც კარგია. ეგ არის ყველაფერი?

მედვედოვსკიმ კვლავ თავი გაიქნია.

— არა, ვასილ... პურის მარაგი გვითავდება. ორი-სამი დღის შემდეგ მებრძოლებისათვის საჭმელი არ გვექნება.

რამდენიმე წუთს ორივე სდუმდა.

— ტელეგრამა გაუგზავნე, — ყრუდ უთხრა კიკვიძემ. — ამას გარდა, ცხენით გაჰგზავნე კაცი. კნიაგნიკის აცნობე, რომ დივიზიას პური არა აქვს, რომ მე ვთხოვ დახმარების აღმოჩენას, რათა ჩვენს მიერ დაღვრილმა სისხლმა ამაოდ არ ჩაიაროს. რადაც არ უნდა დაჯდეს, პური, ვაზნები და ჭურვები უნდა გამოგვიგზავნონ. ჩვენს წინააღმდეგ მტრის დიდი ძალები გროვდებიან. გარსშემორტყმული ვართ. პოლკოვნიკ აბრამოვის ჯგუფმა ნოვიცკიდან განდევნა მეხუთმეტე დივიზიის 130-ე პოლკი. ჩვენმა ცხენოსანმა პატრულებმა შენიშნეს მოწინააღმდეგის მოძრაობა ურიპინოდან დარიჟენსკაიისაკენ. საჭიროა არმიის სარდლობამ უაღრესად სერიოზული ზომები მიიღოს.

მედვედოვსკიმ ტუჩები ააცმაცუნა, თავის წიგნაკში რაღაც ჩაინიშნა და გავიდა. კიკვიძე დიდხანს მიაცილებდა მას თვალით, შემდეგ თავი ხელს დააყრდნო და კვლავ რუკას დააცქერდა.

ფიქრების შემოყრა ძნელი იყო. დაღლილობა სტანჯავდა. ჭრილობა გვერდში მოსვენებას არ აძლევდა. თვალწინ ედგნენ სახეები ქანცგაწყვეტილი მებრძოლებისა, რომელთაც დღე-ღამის განმავლობაში რვა იერიში მოიგერიეს! ფანქარი გადააგდო, შუა ოთახში დადგა და ტანვარჯიშობა დაიწყო. ეს ერთერთი ხერხი იყო, რომლის საშუალებითაც სულიერ წონასწორობას იბრუნებდა. მოძრაობდა და თანაც სადღაც გაგონილ მოტივს ამღერებდა. უცბად გაიცინა: გაახსენდა ამ მოტივის წარმოშობა: მოედანი მიძინების ეკლესიის მახლობლად, პეტერბურგში, თექვსმეტ წელს, კარუსელი, ჭრელი ჩითის კაბიანი მოხარხარე გოგონები, უსაზღვრო მხიარულება. მაშინ გაიფიქრა: „რა ბედნიერებაა ამ გოგონებისა და ბიჭებისათვის, რომ ასე შეუძლიანთ სიხარულით გატაცება, შეუძლიანთ საკუთარი სიმწარის, ტანჯული ცხოვრების დავიწყება. იქნებ გამაცოცხლებელი სიმხიარულის ეს საათი რომ არ ყოფილიყო, ისინი ვერ შესძლებდნენ კვლავ გაეწიათ თავიანთი ნაღვლიანი ცხოვრების ჭაპანი.“

და ახლა, როცა ეს მოაგონდა, საშინლად მოუნდა თუნდაც ერთ დღეს გასცლოდა თავის მძიმე, სასტიკ ბრძოლას, მხოლოდ ერთი დღე გაატარო ს მოცინარ გოგონებთან, წავიდეს კინემატოგრაფში, სალამოთი პარკში იხეტიალოს. იქამდე არასოდეს არ უგრძვნია, რომ საქმეს, რომელსაც თავი შესწირა, რომელსაც ალტაცებით ემსახურებოდა და რომელიც უფრო და უფრო მშვენიერი ეჩვენებოდა, შეეძლო ზოგჯერ მოექანცა, რომ ზოგჯერ საჭიროა თუნდაც მოკლე ხნით დასვენება.

კიკვიძემ შუბლზე ხელი გადისვა. აი ომი დამთავრდება, მაშინ შესაძლებელი გახდება დასვენება. მაშინ კი ჰაიდა — ზღვისაკენ, ბათუმისაკენ, მაშინ...

ოთახში ცხენის ფეხის ხმა შემოიჭრა. კართან ვიღაც გადმოხტა და ცხენი

არც კი დაუბამს, ისე ამოირბინა კიბეები. მორიგეს ხელი ჰკრა და ოთახში ბოროვსკი ‘ძებოვარდა. ერთხანს ამაოდ ცდილობდა სულის მოთქმას, ელეზვით ულაპავდა პირით ჰაერს, შემდეგ კი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამოიხვნეშა:

— თეთრი კაზაკების ესკადრონმა უეცარი თავდასხმით მაჩეხასთან ხელთ იგდო ჩვენი ბატარეა და შეუტია საარტილერიო დივიზიონის ნაწილს.

— როდის? — კიკვიძემ ბოროვსკის მხრებში ხელი სტაცა.

— ეს არის ახლა ტელეფონით შეგვატყობინეს.

— რამდენი ვერსია იქამდე?

— ათი.

კიკვიძე ერთ წამს ჩაფიქრდა, შემდეგ მტკიცედ გაიწოდა ხელი მაზარისაკენ.

— უბრძანე დაუყოვნებლივ მოიყვანონ ტყვიამფრქვევიანი მსუბუქი ავტომობილი, თან რაც შეიძლება მეტი ხელყუმბარები წამოიღონ.

ერთი წუთის შემდეგ ისინი მანქანას მიაქროლებდნენ. გზას არც კი დაეძებდნენ. ძლივს ასწრებდნენ შემხვედრ ოთხთვალებისათვის გვერდის ავლას და საყვირის განუწყვეტელი ღრიალით აფრთხობდნენ ცხენებს. კიკვიძე საჭეს მართავდა. დაღლილობა უკვალოდ გაჰქრა. დასვენებასა და მხიარულებაზე ოცნება შორეულ, მიმქრალ რამედ ეჩვენებოდა. იგი მთლად აქ იყო — ფიცხი, გააფთრებული, საბრძოლველად, სასიკვდილოდ გამზადებული, გამარჯვების წყურვილით შეპყრობილი, შინაგანად დამშვიდებული...

კიკვიძემ ჯერ კიდევ შორიდან დაინახა, თუ როგორ დასცინოდა უიარაღო წითელარმიელებს გარშემო თავმოყრილი კაზაკთა ბრბო. სუსხიანი ყინვების მიუხედავად, წითელარმიელთა უმრავლესობა საცვლების ამარა იყო. ზოგისათვის ხელები უკან შეეკრათ. კაზაკები აიძულებდნენ მათ ემღერნათ: „Боже, царя храни“. ეტყობოდა, ბევრი მათგანი უარზე იყო, რადგან კაზაკები წამდაუწუმ მათრახს უშენდნენ ტყვეებს. ცოტა მოშორებით ხუთი აჩეხილი წითელარმიელი ეგდო.

— პირდაპირ მათზე მიდი, — კბილთა ღრჭენით სთქვა დივიზიის უფროსმა.

კაზაკებმა ცემა-ტყეპა შეაჩერეს, — უცქეროდნენ მომავალ მანქანას. ზოგი წელში გაიმართა, რომ უფროსს წასდგომოდა.

ათიოდე ნაბიჯზე მანქანა შედგა. კიკვიძემ ტყვიამფრქვევი დაუმიზნა კაზაკებს, მთელი ტანით აღიმართა და უბრძანა:

— დამნებდით!

კაზაკებმა ნათქვამი ვერ გაიგეს. ხნიერმა როტმისტრმა ხელი ქამარზე ჩამოკიდებულ გრანატას სტაცა, მეორემ ლაზათიანად შეიგინა და ჯიქურ გაემართა მანქანისაკენ. როცა თითქმის ზედ მიადგა და კარგად დააკვირდა, შიშისა თუ განცვიფრებისაგან ანაზდად დაიყვირა:

— კიკვიძე!

მისი ხმა ტყვიამფრქვევის კაკანმა ჩაახშო.

კაზაკების უდარდელი დაცინვა თითქოს ქარმა გაჰფანტაო. ხნიერმა როტმისტრმა გრანატი წყევა-კრულვით ამოიძრო, მაგრამ დაჭრილმა გადასროლა ველარ მოახერხა. დანარჩენები, პანიკით შეპყრობილნი, აქეთ-იქით მიაწყდნენ, მათ ტყვიამფრქვევის კაკანი და განუწყვეტელი სროლა აცილებდა.

კიკვიძე მანქანიდან გადმოვიდა და დაჭრილთა გვამებისაკენ დაიხარა. ერთი ჯერ სულ ახალგაზრდა იყო. ოდნავ შეღინღლული ლოყები ირიბად

გაეჩეხათ. თავის ქალა კონდახით გაეხეთქათ და სისხლით შეწითლებული თოვლი ტვინით მოთხვრილიყო.

— ჩვენც ასე მოგვივიდოდა, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა ერთმა მებრძოლმა და ოდნავ სიჩუმის შემდეგ დააყოლა: — წყეული გველები!

კიკვიძემ ქუდი დაიხურა და შეტრიალდა.

— არ დაივიწყოთ ეს გვამები, — ყრუდ წარმოსთქვა მან, — არ დაივიწყოთ, რა ბედი მოელის იმას, ვინც ტყვედ ჩაუვარდება კაზაკებს. მართალია, თქვენ გიჭირთ, ამხანაგებო... მაგრამ სჯობს დაღლა, სჯობს სიცივე, ჭრილობა, ოღონდ კი კაზაკებს ხელში არ ჩაუვარდეთ. დაგვცინებენ, მასხარად აგვიღებენ, მერე აგვჩეხენ. შემდეგ კი სოფლებსა და სტანიცებს მოედებიან, თქვენს ცოლებს გააუპატიურებენ და დაიტრაბახებენ, როგორ გშოლტავდნენ დაჩოქილთ...

მისი გააფთრება სხვებსაც ედებოდა.

— ამხანაგო დივიზიის უფროსო! ღმერთმანი, აღარ დავუშვებთ იმას, რაც მოხდა... არ დავნებდებით თეთრებს... ამხანაგო კიკვიძე... — ერთმანეთს არ აცლიდნენ, თითქმის ტირილით ამბობდნენ მებრძოლები.

და კიდევ დიდხანს გაისმოდა წითელარმიელთა აღელვებული ხმები მას შემდეგ, რაც დივიზიის უფროსის მანქანა თვალს მიეფარა, ხოლო წამებულთა გვამები გაბანეს და ლაფეტზე დაასვენეს.

XIII

სულ ერთ წელიწადს იბრძოლა კიკვიძემ რევოლუციისათვის, მაგრამ ამ მოკლე ხანშიაც იმდენი მოიმოქმედა, რომ ძნელია მისი გმირობის გადაფასება. არა ყოფილა ისეთი მძიმე მდგომარეობა, რომლიდანაც მას თავი არ დაეღწიოს.

ერთხელ კონტრრევოლუციური აგიტატორების გავლენით ტამბოვის პოლკი აჯანყდა — უნდოდა კრასნოვის მხარეზე გადასულიყო, მაგრამ კიკვიძემ ჯერ კიდევ ვაგონებში მოახერხა 677 კაცის დაპატიმრება. მოთავენი დახვრიტეს, დანარჩენები სხვა ნაწილებში გადაიყვანეს. დანაშაულის სიმძიმე განუმარტეს მათ და როდესაც მებრძოლებმა შეჰფიცეს — მტერს ერთგულად ვეკვეთებითო, კიკვიძემ დაუჯერა მათ და არც შემცდარა: შემდეგში პოლკმა მაღალი საბრძოლო ჯილდო დაიმსახურა.

შემდეგ, კრასნოვის აგენტებმა ამბოხება მოაწყეს მე-15 დივიზიაში შემავალ ლიუბლინის პოლკის ერთ ბატალიონსა და ვარშავის მსროლელთა პოლკის ერთ ბატალიონში, კიკვიძის დივიზიის ნაწილებს, ფრონტის გარღვევის თავიდან ასაცილებლად, მათი პოზიციების სასწრაფოდ დაკავება მოუხდათ. ბატალიონები ბრძოლაში მიმავალ ნაწილებს აჩერებდნენ. დასჭრეს ოთხი კომისარი. და როცა დარწმუნების ყველა საშუალება ამოიწურა, კიკვიძემ გამოაცხადა, არ მოვერიდები მეამბოხეთა სრულ განადგურებასო. და ასე დააბრუნა ბატალიონები წითელი არმიის რიგებში.

კიკვიძე კვლავ დაიჭრა, ამჯერად თავში: ტყვია მაშინ მოხვდა, როცა რკალში იწვა. ერთხელ კიდევ ესროლა მტერს, შემდეგ კი ყველაფერი აირია, — გრძნობა დაჰკარგა.

გონს მოვიდა ლაზარეთში.

— დახე, რა ქარბუქია! — ამბობდა გარეთ ვიღაც, — ყინვამაც ისევ მოუჭირა. მალე მაინც მივაღწიოთ ალექსიკოვოს.

— მხოლოდ ერთი გზა-ღა დაგვრჩენია, ისიც თუ კაზაკებმა ჩაგვიტეს, მაშინ მთლად დავიღუპენით და ეგ არის.

„მაშასადამე, უკან ვიხევთ“. — გაიფიქრა კიკვიძემ. უნდოდა წამომდგარიყო, მაგრამ თავის საშინელმა ტკივილმა აიძულა კვნესით დაშვებულიყო.

— როგორაა უფროსი? გაუძლებს? — კვლავ ალაპარაკდნენ გარეთ: — ყველა მებრძოლი მასზე ფიქრობს.

და კვლავ ყველაფერი აირია...

ორი კვირის შემდეგ კიკვიძე, რომელსაც თავი შეხვეული ჰქონდა, საწოლზე იჯდა და უკარნახებდა:

— მიუხედავად უკანდახევის მძიმე პირობებისა, დივიზია სავსებით ბრძოლისუნარიანია. მის შემადგენლობაში ითვლება ექვსი ქვეითი პოლკი, სამი ცხენოსანი პოლკი და სამი არტდივიზიონი...

ახალგაზრდა ქერა წითელარმიელი, ტუჩებს რომ მოუსვენრად იკვნეტდა, ცალი თითით ბეჭდავდა მანქანაზე. კიკვიძე მოთმინებით უცდიდა, ყოველ სიტყვას სამჯერ იმეორებდა და ამასობაში დიდ ლურჯ ყდაში ჩაწყობილ ქაღალდებს ათვალიერებდა.

„წითელარმიელი შატუნი საქმის საჭიროებისთვის გადაყვანილ იქნა პირველ მსუბუქ ბატარეიაში“, — ფანქრით აღნიშნა მან და შემდეგი ქაღალდი აიღო.

„მოხსენება პოლიტკომისარს მუშურ-გლეხური პოლკის წითელარმიელის თედორე ივანოვისა.

გუშინ უსაშინელესი სამწუხარო სურათი ვნახე...“

შემდეგ ვრცლად იყო აღწერილი, თუ როგორ წაართვეს მებრძოლებმა გლეხ-ქალს ბატი და ქათამი. მის ჩივილს ყური არ ათხოვეს და წავიდნენ.

„მსგავსი კონფლიქტები, — სწერდა წითელარმიელი ივანოვი, — აგრეთვე სხვა თვითნებური მოქმედება ჩვენი ამხანაგების მხრივ, როგორიც არის ქათმების, ბატების თვითნებურად განადგურება, აგრეთვე თვითნებური დატაცება თივისა, პურისა ძნებიდან, რაც საერთო სახალხო საკუთრებაა, როგორც აუცილებელი რამ ადამიანის შემდგომი არსებობისათვის, და არაორგანიზებულად, ტყუილ-უბრალოდ დაკარგული თვითეული მარცვალი თვით ადამიანის სიცოცხლის მოსპობაა. ვთვლი ამას სამხედრო მოქმედებასთან დაკავშირებით არა სასურველად. თუმცა ვამჩნევ მოსახლეობაში ამხ. ამხ. წითელარმიელებისადმი, როგორც რევოლუციის დამცველებისადმი სიყვარულის გრძნობას, მაინც მოქალაქენი იმედს ჰკარგავენ და მტრულად უყურებენ ყველაფერს, რაც ხდება“.

კიკვიძემ ღიმილით გადასდო ქაღალდი.

— აი რა შეგნებული მებრძოლია, ძმაო, მუშურ-გლეხურ პოლკში. ასეთები მეტი უნდა იყვნენ. ჩემთან გამოუძახე თედორე ივანოვს. მასთან ერთად მოვიფიქრებთ, რისი გაკეთებაა საჭირო. აბა, რა ჰქენ? მზად არის?

— არის, — უპასუხა „მემანქანემ“.

კიკვიძემ თმა აუწეწა.

— ეხ, შენ! ბევრსა ცდილობ, მაგრამ ლაზათი ნაკლები გაქვს. კარგი, არაფერია, არაფერი! მალე ისე ააკაკანებ, როგორც ტყვიამფრქვევს. აბა, ახალი გააწყე!..

ოფლში გაწურულმა ყმაწვილმა ახალი ფურცელი ჩასდო.

— ბეჭდე... დივიზიაში ხშირად ლაპარაკობენ პირდაპირი მავთულით, რაც

აუცილებლობით არ არის გამოწვეული. საჭიროა ამის შემცირება, საჭიროა აგრეთვე ლაპარაკის წინასწარ მომზადება მოფიქრებული მოკლე ფრაზების სახით. ვეცადოთ მივაღწიოთ უდიდეს ლაკონიზმს. აპარატთან გამოძახებულ იქნან მხოლოდ ისინი, ვისაც შეუძლიან იქვე ამომწურავი პასუხი გასცეს.

იგი ფანჯარასთან მივიდა.

— აი, მიშა, ცხრამეტი წელიც დადგა. თვრამეტში თეთრები მწარედ გვირტყამდნენ, ახლა კი საფიქრებელია, რომ ჩვენ მათ ნაღველს ამოვაცლით. ასე... — იგი შეთრთოლდა. — მორჩა, ოღონდ ეს სია გადაბეჭდე.

— ამით გათავდება?

— გათავდება, მეგობარო.

სტვენით გავიდა ოთახიდან.

*

* *

1919 წლის იანვარია. მე-16 დივიზიის მეთაურებმა და მებრძოლებმა სამუდამოდ დაიმახსოვრეს ეს დღე. ქარბუქი, ოცგრადუსიანი ყინვა, თეთრების განუწყვეტელი იერიში და კვლავინდებური ნაკლებობა სურსათისა, ჭურვებისა, სახვევისა, სარდლის გულგრილობა.

ერთხელ ჯავშნოსნების ავზებში ბენზინი გამოილია. უკანიდან, ორი ვერსის მანძილიდან, კაზაკები აწვებოდნენ.

— ამხანაგებო, ნუ თუ მანქანებს მტერს ჩავუგდებთ? ნუ თუ ჩემს „ვეფხსაც“ ჩავუგდებთ? — სთქვა კიკვიძემ.

მებრძოლებმა თავები შეარხიეს: რასაკვირველია, არ დავთმობთ!

— ცხენები დაღლილები, დავარდნილი არიან, — განაგრძო კიკვიძემ, და მებრძოლებს გადახედა.

და მებრძოლებმა ყველაფერი გაუგეს: ორ მწკრივად დადგნენ, ჯავშნოსნები ასწიეს და ისე წაიღეს, თან მუხლამდე ღრმა თოვლში ეფლობოდნენ.

და როდესაც იმავე დღეს კნიაგნიცკის ჩვეულებრივად აღრენილი ბრძანება მოვიდა, რომელშიაც უკმაყოფილება იყო გამოთქმული დივიზიის ნაწილების ზოგიერთი მოქმედების გამო, კიკვიძემ უყოყმანოდ გაუგზავნა მრისხანე პასუხი: „დროა იცოდეთ, რომ აქ ადამიანებმა ყველაფერი შესწირეს და მზად არიან სიხარულით შესწირონ თავიანთი სიცოცხლე საბჭოთა ხელისუფლებას და მუშურ რევოლუციას, ამიტომ სირცხვილია მათ უსაყვედუროთ და ძნელია ისინი გაჰქელოთ“.

მეთექვსმეტე დივიზიას სჯეროდა თავისი უფროსისა და უყვარდა იგი. დივიზიის უკანასკნელმა შიკრიკმაც კი იცოდა, რომ თუ მას უსამართლოდ დააბრალებდნენ რამეს დივიზიის უფროსი გამოექომაგებოდა. პოლკები თითქმის უმეთაურებოდ იბრძოდნენ. საველე შტაბის ოპერატიულ განყოფილებაში მოხვედრილი ყუმბარით მძიმედ დაიჭრა ახმედოვი, დაყრუვდა მეთაურის თანაშემწე ოვჩანინი, დაიჭრა პოლიტკომისარი ბოროვსკი. კიკვიძეს იშვიათად ხედავდნენ ისე, რომ რაიმე შეხვეული არა ჰქონოდა. როდესაც ერთხელ დაიჭრა, მასთან ექიმებმა მიირბინეს, მაგრამ მან ისინი თავიდან მოიშორა და მიუთითა წითელარმიელზე, რომელსაც ფეხები წაგლეჯილი ჰქონდა და კვნესოდა. კიკვიძე ამხნევებდა, აიმედებდა მებრძოლებს, თავისი შინაგანი ცეცხლით აღაგზნებდა ხოლმე მათ.

და აი დადგა 11 იანვარი. ეს დიდი გაჭირვების დღე იყო. დილიდანვე

ხუტორ ზუბრილოვთან ბრძოლა გაჩაღდა. თეთრები, რომლებმაც არაყი ბლომად გადაჰკრეს, გაცოფებულნი მოიწევდნენ წინ. მე-16 დივიზიის მებრძოლები მედგრად უხვდებოდნენ. ტყვიამფრქვევები ჩერდებოდა, ბალიანი ტყვიები ხურდებოდა. ფრთებიდან ოთხჯერ შემოუტიეს კაზაკთა ესკადრონებმა, მაგრამ ოთხჯერვე უკუაქციეს.

და იქ, სადაც ყველაზე მეტი გაჭირვება და საფრთხე იყო, მშვიდი, შეუპოვარი, გამარჯვებაში დარწმუნებული კიკვიძე გამოჩნდა.

მზის ჩასვლისას თეთრები უკუიქცნენ. წითელი ნაწილები დაედევნენ მათ. სიწყნარე იყო. იშვიათად თუ გაიზუზუნებდა მოწინააღმდეგის საარიერგარდო ცხენოსანი პატრულების მიერ გამოსროლილი ტყვია.

აღგზნებული, გახარებული კიკვიძე ვაკეზე ცხენით მიდიოდა. პაპიროსი ამოიღო, უნდა მოეკიდებინა. ქარში ასანთი დიდხანს არ ენთებოდა, იმ დროს როდესაც პაპიროსიდან შავი ბოლი გამოვიდა, დივიზიის უფროსს მკერდში ტყვია მოხვდა.

ეს მეთოთხმეტე ჭრილობა იყო. შიკრიკის ხელებზე გადახრილმა დივიზიის უფროსმა მხოლოდ ერთი სიტყვა წარმოსთქვა:

— გათავდა!

იგი ხუტორში მიიყვანეს, საველე შტაბში. ექიმებმა ჭრილობა შეუხვიეს და პირქუშად განზე გადგნენ.

მომაკვდავმა ხელით მოიხმო მწუხარებისაგან გარინდებული მედვედოვსკი.

— ვწუხვარ, რომ ასე ადრე ვკვდები, — გაჭირვებით წარმოსთქვა მან. — კადეტები უნდა მომესპო და მერე მომკვდარიყავ...

ახროტინდა და თავი ჩაჰკიდა...

„ბრძანება № 13, 13 იანვარი, 1919 წელი.

სამწყობრო ნაწილის მიმართ.

§ 1. ამა იანვრის 11-ს ზუბრილოვთან ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა დივიზიის უფროსი ამხ. კიკვიძე“.

ეს ბრძანება ყველა ბატალიონსა და ასეულში წაიკითხეს. მებრძოლები ხამარისებური სიჩუმით ისმენდნენ. არა სჯეროდათ, რომ მგზნებარე უფროსი, რომელიც ყველგან იყო ხოლმე, არასოდეს აღარ გამოჩნდება მოიერიშეთა წინ. მებრძოლნი უნუგეშო სევდამ შეიპყრო. ახლა უფრო მეტის ძალით იგრძნო ყველამ, თუ როგორ უყვარდათ მათ თავიანთი დივიზიის უფროსი, რა ბევრს ნიშნავდა იგი მათთვის.

ყველაზე მეტად ანტონი დარდობდა. სახეგაქვავებული იდგა იგი დივიზიის უფროსის სასთუმალთან და ვერავინ აიძულებდა, რომ ეს საგუშაგო ვისმესთვის დაეთმო. საპატიო ყარაული განუწყვეტლივ იცვლებოდა, ყველა ასეულისა და ესკადრონის მებრძოლნი და მეთაურნი კუბოსთან დგებოდნენ, გარინდებულ სახეს მეხსიერებაში აღბეჭდავდნენ და მიდიოდნენ. მაგრამ ანტონი უძრავად იდგა ქანდაკებასავით. იგი თვალს არ აშორებდა მკვდარ კიკვიძეს. გეგონებოდათ, რომ თითქოს ხანგრძლივი, მარტო ამ ორისათვის გასაგები საუბარი აქვსო მასთან.

დაიწყო სამგლოვიარო მიტინგი.

დაძაბულ სიჩუმეში მედვედოვსკის ხმა გაისმა:

— ამხანაგებო! დროებით ვკისრულობ რა დივიზიის სარდლობას, როგორც მეთაურთა შემადგენლობას. ისე ყველა ამხანაგ მსროლელს მივმართავ მო-

წოდებით მშვიდად და უმტკივნეულოდ გადაიტანონ ლახვარი, რომელიც კონტრრევოლუციამ ჩაგვცა. ჩვენი მწყობრი რიგებიდან, რკინის რიგებიდან მტრის ტყვიამ გამოგვაცალა ჩვენი ძვირფასი უფროსი ამხანაგი კიკვიძე, რომელიც ცამეტ თვეზე მეტია შეუპოვრად და შეუსვენებლად იბრძოდა წითელ ფრონტზე დამონებული ხალხის განთავისუფლების იდეისათვის. კიკვიძე... ეს სახელი ჟრუანტელსა ჰგვრიდა ჰაიდამაკებს 1917 წლის დამლევს და 1918 წლის დამდეგს. ეს სახელი შიშის ზარსა სცემდა ტამბოველ კონტრრევოლუციონერებს 1918 წელს. ეს სახელი რისხვა იყო კრასნოვის ბანდებისათვის სამხრეთის ფრონტზე, იმავე წლის მეორე ნახევარში ფილონოვოელანის რაიონში და პირიქით... ამ სახელს სიყვარულით წარმოსთქვამდა რესპუბლიკის ყველა მშრომელი, რომელიც თვალს ადევნებდა წითელი არმიის გმირულ ბრძოლას. ეს სახელი მრავალი ათას წითელარმიელს ეუბნებოდა: „სადაც კიკვიძეა, იქ დამარცხება არ შეიძლება. კიკვიძე ჩვენთან არის, ჩვენ გავიმარჯვებთ“.

მედვედოვსკი კუბოსთან მივიდა, დივიზიის უფროსის ყვითელ, ცივ შუბლს ხელი დაადო და ხმამაღლა წარმოსთქვა:

— გამარჯვება ან სიკვდილი! აი ჩვენი დივიზიის ლოზუნგი, და ჩვენ მას უყოყმანოდ შევასრულებთ. უფრო მეტად შევმჭიდროვდეთ და შური ვიძიოთ ჩვენი საყვარელი ბელადის ამხანაგ კიკვიძის სიკვდილისათვის.

ხმა ჩაუწყდა და ქვითინისაგან აკანკალებული დაჩუმდა.

მაღლობზე მატუსოვი ავიდა.

— ამხანაგებო! ახლახან მოვიდა ტელეგრამა სამხედრო-რევოლუციური საბჭოსაგან: „თქვენი ბელადი კიკვიძე, რევოლუციის ერთ-ერთი საუკეთესო ჯარისკაცი, მწყობრიდან გამოვიდა. ჩვენს რიგებს გამოაკლდა კრასნოვის კონტრრევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე მტერი. ამიერიდან მეთექვსმეტე დივიზიას ეწოდება კიკვიძის დივიზია. ამიერიდან კიკვიძის დივიზიამ მხოლოდ ერთი ლოზუნგი, ერთი ძახილი უნდა იცოდეს: ულმობელი შურისძიება ბელადის დაღუპვისათვის! სიკვდილი კრასნოველებს! მარადიული ხსოვნა გმირ კიკვიძეს!“

მატუსოვმა ტელეგრამა დაკეცა და ტრიბუნაზე ისევ მედვედოვსკი ავიდა:

— 1-ლი ორდენის ცხენოსანი პოლკის მეთაურის თანამშმწეს ამხანაგ როსტოპკოვს ვუბრძანებ კავალერიის ნახევარი ესკადრონი გაამზადოს ამხანაგ კიკვიძის ცხედრის მოსკოვში გასაცილებლად და დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად.

მედვედოვსკიმ უკანასკნელად გადახედა ღია კუბოს და ერთბაშად ამოაძრო ქარქაშიდან გარდაცვლილი დივიზიის უფროსის ხმალი, რომელსაც ყველა მებრძოლი ასე კარგად იცნობდა.

— ჩვენ კი, დანარჩენები, წავალთ, რომ შური ვიძიოთ, წავალთ, რომ საზიზღარი მტერი მოვსპოთ! კიკვიძის სახელობის დივიზია, — წინ!

კიკვიძის სიკვდილიდან ერთი თვის შემდეგ საბჭოთა ჯარებმა გადამწყვეტი ლახვარი ჩასცეს დონის თეთრ კაზაკობას. ხოლო კიკვიძის სახელობის დივიზია ბრძოლის ველზე მედგრად მიიწევდა და დენიკინელებს, თეთრ პოლონელებს, ვრანგელელებს ანადგურებდა. 1921 წლის თებერვალში ამ დივიზიის რვა პოლკი საპატიო წითელი დროშებით დააჯილდოვეს.

... კვლავ განვლეს წლებმა. სამოქალაქო ომის კვალი წაიშალა. იქ, სადაც ცარიცინი იდგა, სადაც სტალინმა და ვოროშილოვმა ცოცხალი კედელი

ალმართეს, რომელზედაც დაიმსხვრა მტრის გააფთრებული შემოტევა, იქ ახლა გაშლილია ქალაქი სტალინგრადი — ტრაქტორებისა და კომბაინების სამშობლო. სტანიცა პრეობრაჟენსკაიასთან ამჟამად მოწყობილია ხარკოვლეულის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც კიკვიძის სახელს ატარებს. და ალარც პრეობრაჟენსკის რაიონი არსებობს, ისიც მეთექვსმეტე დივიზიის უფროსის სახელს ატარებს.

*

* *

...მოსკოვში ვაგანკოვის სასაფლაოზე ორი საფლავია. ისინი, ვინც აქ მარხია, არასოდეს ერთმანეთს არ შეხვედრიან, მაგრამ შემთხვევით როდი ასაფლავიან ისინი გვერდი-გვერდ: ერთმაც და მეორემაც ნიჭი, ძალ-ღონე და სიცოცხლე ერთ საქმეს, ერთ მშვენიერ მიზანს შესწირა, ერთმაც და მეორემაც საკუთარი სისხლით მორწყო ახალი ცხოვრების ყლორტები.

ერთს ნიკოლოზ ბაუმანს ეძახდნენ, მეორეს — ვასილ კიკვიძეს.

სთარგმნა **ვ. მგალობლიშვილმა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გი-დე-მოპასანი

დედაბერი სოვაქი

უკვე თხუთმეტი წელიწადი იყო, რაც ვირლონში არა ვყოფილვარ. ამ გაზაფხულს მივედი სანადიროდ ჩემს მეგობარ სერვალთან, რომელმაც, როგორც იქნა, შეაკეთებინა თავისი კოშკი, პრუსიელებმა რომ დაუნგრიეს ომის დროს.

საშინლად მიყვარდა ეს მხარე. არის ხოლმე ქვეყნიერობის ესა თუ ის კუთხე, რომელსაც ვნებითი სიმშვენიერე აქვს. ასეთი კუთხე ფიზიკურის სიყვარულით გვიყვარს ხოლმე. ჩვენ, ვისაც მიწა გვხიბლავს, ჰო, ჩვენ შეგვრჩება ნაზი, გულისამაჩუყებელი მოგონება ამა თუ იმ წყაროს, ამა თუ იმ ხის, ამა თუ იმ გუბის, ამა თუ იმ გორაკის შესახებ, რომელიც ხშირად უნახავს ჩვენს თვალს და ჩვენი გული აუჩვილებია რაიმე ბედნიერი შემთხვევის მსგავსად. ზოგჯერაც ჩვენი ფიქრი დაუბრუნდება და თავს დასტრიალებს ტყის ან ხეხილის ხეს, ყვავილებით გადაპენტილს, რომლებიც მარტო ერთხელ მოგვხვედრია თვალში, ერთს მხიარულ დღეს, და გულში ისევე ჩაგვრჩენია, როგორც ჩაგვრჩენია სახე ქალისა, რომელიც გაზაფხულის დილას ქუჩაში შეგვხვედრია, ღიაფერი და გამჭვირვალე კაბიანი, და რომელმაც სულსა და ხორცში ჩაგვიტოვა დაუცხრომელი ნდომა, შეგრძნობა ნეტარებისა, რომელსაც თითქო ვიღაც წამდაუწუმ მოგვაგონებს ხოლმეო.

ვირლონში მე მიყვარდა მთელი მინდორ-ველი, ნორჩი ხეებით დაფარული. იგივე დასერილი იყო პატარ-პატარა ნაკადულებით, რომლებიც ნიადაგზე მიცქრიალებდნენ ჩვენის სხეულის ვენების მსგავსად და მიწას სისხლს აწოდებდნენ. შიგ ვიჭერდით კიბოებს, გველთევზებს და კალმახებს! ოი, ღვთაებრივო ნეტარებავ! ზოგან ბანაობაც შეიძლებოდა და ხშირად ამ პატარა მდინარეთა ნაპირებზე ამოსულ მაღალ ბალახში ღალღასაც შეხვდებოდა კაცი.

ჩემი ორი ძაღლი ჩემს წინ მიხტოდა და ნადირს ეძებდა და მე კიდევ, მათ რომ ვუყურებდი, თხასებრ მსუბუქად მეჩვენებოდა ჩემი თავი. გლეხი სერვალი, სამყურათი დათესილ მინდორში მიდიოდა, ასი მეტრის მანძილზე ჩემს მარჯვნივ. შემოუვარე ბუჩქებს, რომელიც სოდრის ტყის საზღვარს შეადგენს, და ამ დროს დავინახე ერთი დანგრეული ქოხი.

ერთბაშად მომაგონდა ეს ქოხი ისეთივე, როგორიც ის მინახავს უკანასკნელად, 1869 წელს, სუფთა ვაზებით დაბლანდული, ქოხის წინ ქათმები დადიოდნენ. იმაზე დამალონებელი არაფერია, როგორც ყურება კერაგაციებული სახლისა, რომლის ჩონჩხიც ზეზე დგას, მინგრეულ-მონგრეული, გასაცოდავებული.

გამახსენდა, რომ ერთმა დედაკაცმა სწორეთ ამ სახლში დამალევინა ერთი ჭიქა ღვინო მეტად დაღლილს, და სერვალმაც მაშინ მიამბო ამ სახლის პატ-

რონების ამბავი. სახლის უფროსი, ძველი ბრაკონერი, ჟანდარმებს შერკცდომიათ. შვილი, რომელიც ოდესღაც მინახავს, მაღალი ვაჟკაცი იყო, ხმელ-ხმელი, ცნობილი იყო აგრეთვე როგორც შეუბრალებელი გამწყვეტი ადამიანისა. გვარად სოვაჟები ერქვათ.

მხოლოდ არ ვიცი, გვარია ეს თუ მეტსახელი.

დავუძახე სერვალს. წამოვიდა თავის მწევრის ნაბიჯის მსგავს ნაბიჯით.

— რა იქნენ ამ ქოხის პატრონები-მეთქი? — ვკითხე სერვალს.

და, აჰა, იმანაც მიამბო მათი თავგადასავალი.

ომი რომ გამოცხადდა, სოვაჟების ვაჟი, რომელიც იმ დროს ოცდაცამეტის წლისა იყო, ჯარში წავიდა, დედა-კი მარტო დასტოვა სახლში. მოხუცი დედაბერი მაინცდამაინც არ ეცოდებოდათ, რადგან იცოდნენ, რომ ფული ჰქონდა.

ამგვარად, დედაკაცი მარტოდ-მარტოდ დარჩა ამ განმარტოებით მდგარ სახლში, ტყის ნაპირას. იმასაც არ ეშინოდა, რადგან იმავე ჯიშისა იყო, როგორისაც მისი ქმარი და შვილი იყვნენ, პირქუში, მაღალი და გამხდარი. იშვიათად თუ გაიცინებდა და არც სხვებს შეეძლოთ მასთან თამამად დაეჭირათ თავი. ისიცაა, რომ სოფლის დედაკაცები სრულებით არ იცინიან. სიცილი მამაკაცების საქმეა.

დედაკაცების ცხოვრება მწუხარე და გაუხარელია, ამიტომ მათი გული ჩამოხურული და შეზღუდულია. გლეხი სამიკიტნოში ითვისებს ცოტა მყვირალა მხარეებს, მაგრამ მისი მეუღლის სახის გამომეტყველება მარად სერიოზული და მოღუშული რჩება. მათი პირისახის კუნთებმა არ იციან, რა არის სიცილის გამომწვევი მოძრაობა.

დედა სოვაჟმა განაგრძო თავისი ჩვეულებრივი ცხოვრება თავისს ქოხში. ეს ქოხი მალე თოვლით დაიფარა. კვირაში ერთხელ სოფელში ჩავიდოდა პურისა და ხორცის სასყიდლად, მერე ისევ თავისს ქოხს დაუბრუნდებოდა. რადგან მგლები გამრავლდნენ, გარედ რომ გამოდიოდა, მხარზე თოფსაც გადაიკიდებდა ხოლმე, შვილის თოფს, დაჟანგულს და ხელის ხახუნისაგან კონდახგაცვეთილს. და უცნაური საყურებელი იყო მაღალი დედაკაცი სოვაჟისა, ცოტათი წელში მოხრილი, თოვლზე ნელის ნაბიჯით მიმავალი, თოფის ლულა მაღლა ჰქონდა აშვერილი, შავ თავსახვევს ზემოთ, რომელშიაც დაფარული იყო მისი თეთრი თმა, გარეშესთვის თავისდღეში რომ არ უჩვენებია.

ერთ დღეს პრუსიელები შემოვიდნენ. მცხოვრებლებს ჯარისკაცები ჩაუყენეს, ქონებისა და მოხერხების მიხედვით. დედაბერს, როგორც შეძლებულს, ოთხი ჯარისკაცი ჩაუყენეს.

ოთხივე ზორბა ბიჭები იყვნენ, ქერა კანიანები, ქერა წვერიანები, ლურჯთვალება. მართალია, დიდი წვალება და დაღლილობა გამოუვლიათ, მაგრამ სიმსუქნე მაინც შერჩენიათ, და ამასთან გულკეთილები იყვნენ, თუმცა დაპყრობილ ქვეყანაში მოსულიყვნენ. ამ ხნიერ დედაკაცთან მამაკაცები მარტო ესენი იყვნენ და ცდილობდნენ ყველაფერში ეამებინათ, საქმე ძალიან ცოტა გაეკეთებინებინათ და ხარჯიც ნაკლებ გაეწევინებინათ. დილაობით ჭის გარშემო დადგებოდნენ, პერანგის სახელოებს გადიწევდნენ და ხელპირს დაიბანდნენ, ხოლო როცა თოვლი არ იყო, ღისით ჩრდილოეთის შვილების თეთრ და ვარდისფერ კანიან ტანს მდინარეში იბანდნენ. დედა სოვაჟი ამასობაში მიდიოდ-მოდიოდა და წვენს უხარშავდა მათ. მერე სამზარეულოს გამოჰგვიდნენ,

მოწმენდნენ ფანჯრების შუშებს, შეშას დასჭრიდნენ, კართოფილს გაფცქვნიდნენ, სარეცხს დარეცხავდენ, თუ გასაკეთებელი იყო რამე სახლში, გასაკეთებელს არ გაუშვებდნენ, სწორედ ისე, როგორც ოთხი ღვიძლი შვილი სულმდა თავისს დედას.

მაგრამ დედაბერი განუწყვეტლივ თავის საკუთარ შვილზე ფიქრობდა, თავის მაღალ შვილზე, რომელსაც კეხიანი ცხვირი ჰქონდა, შავი თვალები, სქელი ულვაშები, შავი ბეწვის პარკებივით რომ ედო ტუჩზე. მის ოჯახში დაბინავებულ ჯარისკაცებს ყოველ დღე სათითაოდ ჰკითხავდა:

— ხომ არ იცით, საითკენ წავიდა ფრანგების ოცდამესამე რაზმი? ჩემი შვილი იმ რაზმშია.

ისინიც დამტვრეული ფრანგულით უპასუხებდნენ:

— არაფერი ვიცით, სრულებით არაფერი გაგვიგია.

ისინიც გრძნობდნენ მის ტანჯვა-მწუხარებას, რადგან იქით, შორს, იმათაცა ჰყავდათ დედები, და ამიტომ ეფერებოდნენ, ცდილობდნენ ყოველგვარად ეამებინათ მისთვის. დედაბერსაც უყვარდა ოთხივე პრუსიელი, თავისი მტრები, იმიტომ რომ გლეხებმა არ იციან, რა არის პატრიოტული სიძულილი: ეს გრძნობა უფრო შეძლებულ კლასს აქვს ხოლმე. მდაბიონი, ე. ი. ისინი, ვინც ყველაზე მეტს იხდიან იმიტომ, რომ ღარიბები არიან და ყოველი ახალი ტვირთი წელში სწყვეტავს, ისინი, ვისაც ათასობითა ჰყუჟავენ, ვინც ზარბაზნის ყუმბარების საფლეთ ხორცს წარმოადგენს, იმიტომ რომ უმრავლესობას ისინი შეადგენენ, ისინი, ვინც ძალზე იტანჯებიან ომის საშინელებისაგან, რადგან ისინი არიან უფრო სუსტნი და წინააღმდეგობისათვის უფრო უძლურნი, — ჰო, ამათ არ ესმით ეს მეომრული აღტყინება, ეს ალმგზნები პატივმოყვარეობა და ეს ვითომდა პოლიტიკური კომბინაციები, რომელნიც ექვსი თვის განმავლობაში უკიდურესობამდე ასუსტებენ, ორს ერს, როგორც გამარჯვებულს, ისე დამარცხებულს.

ლოფელში დედა სოვაჟთან დაბინავებულ გერმანელების შესახებ ასე ამბობდენ ხოლმე:

— აბა, კარგი ბინა ამ ოთხმა იშოვნა, აი!

ერთ დილას, როცა დედაბერი მარტო იყო შინ, შორს მინდორზე დაინახა, რომ ერთი კაცი მისკენ მიდიოდა. მალე იცნო კიდეც — წერილების დამტარებელი იყო. ორად დაკეცილი ქაღალდი მისცა ხელში დედაბერს და წავიდა. დედაბერმა ამოიღო ბუდიდან სათვალე, რომელსაც კერვის დროს ხმარობდა, და შეუდგა კითხვას:

„ქალბატონო სოვაჟ! ამ წერილით მეტად სამწუხარო ამბავი უნდა შეგატყობინოთ. თქვენი ვაჟი ბიქტორი გუშინ მოკვდა, — ყუმბარა მოხვდა და, რა თქმა უნდა, ორად გაიტანა.

მე სულ ახლოს ვიდექი. ჯარში ჩვენ ერთმანეთის მხარდამხარ ვიყავით და თქვენზე მელაპარაკებოდა და მთხოვა, თუ ვინიცობაა უბედურობა რამ მომივიდა, დედაჩემს შეატყობინეო.

იმისი საათი ჯიბეში მაქვს და ომი რომ გათავდება, მოგიტანთ და ჩაგაბარებთ.

მეგობრულ სალამს გიძღვნით.

სეზერ რივო,

ჯარისკაცი მე-2 კლასის, ოცდამესამე რაზმისა“.

წერილი სამი კვირის წინად იყო დაწერილი.

დედა სოვაჟს არ უტირნია. აღარ იძვროდა, იმდენად აშფოთდა, იმდენად გაოგნდა, რომ ჯერ კიდევ არა გრძნობდა სავსებით მწუხარებას, გულ-მოკლეობას. ღა ამბობდა: „ჩემი ბიჭტორი მოუკლავთ“. ნელ-ნელა თვალებზე ცრემლები მოადგა და სიმწარემ მოიცვა მთელი მისი გული. სხვადასხვა აზრი ებადებოდა, ერთი მეორეს მოსდევდა, საშინელი, გულის მომწყვლელი. ამას იქით ვეღარ დაუკოცნის თვალებს თავისს ბიჭს. თავის დედისერთას, თავის დღეში! ჟანდარმებმა ქმარი მოუკლეს, პრუსიელებმა — შვილი... ყუმბარამ ორად გადაუჭრა შვილი. მოეჩვენა, ვითომ ხედავდა, როგორც მოხდა ყველაფერი: ჯერ თავი მოშორდა ტანს, თვალები ღია დარჩა, პირში ჩარჩა თავისი სქელი ულვაშის წვერი საკვნეტად, როგორც ის შვრებოდა ხოლმე, როცა ძალიან მოუვიდოდა გული.

იმის ტანს რაღა უყვეს ნეტავი?

კიდევ არ ვინაღვლიდი, ჩემს ბიჭს რომ ჩამაბარებდნენ, ისე, როგორც ჩამაბარეს ჩემი ქმარი, შუბლი ტყვიით რომ ჰქონდა გახვრეტილი.

ამ დროს მოესმა ლაპარაკი: პრუსიელები სოფლიდან ბრუნდებოდნენ. წერილი საჩქაროდ ჯიბეში დამალა, ისიც მოასწრო, რომ ცრემლები მოეწმინდა და ჩვეულებრივი დამშვიდებული სახით დაუხვდა.

იცინოდნენ, მხიარულად იყვნენ, რადგან თან მოეყვანათ ერთი მსუქანი ბაჭია, ალბათ, მოიპარავდნენ სადმე, და დედაბერს ხელებით ანიშნეს, საუცხოვო რამ გვექნება საჭმელადაო.

დედაბერი მაშინადვე დაფაცურდა, რომ საუზმე დაემზადებინა. მაგრამ როცა ბაჭია უნდა დაეკლა, ვერ შესძლო. ხამი კი არ იყო ბაჭიების დაკვლისა! ერთმა ჯარისკაცმა მუშტი დაარტყა ყურებს უკან და სული გააფრთხობინა.

რაკი დაჰკლეს, დედაბერმა წითელი სხეული ბაჭიასი ტყავს მოაშორა, მაგრამ სისხლმა, რომელშიაც ხელს ურევდა, რომელიც ხელებს უსვრიდა, თბილმა სისხლმა, რომელიც ცივდებოდა და დედდებოდა, თავით ფეხებამდე ააკანკალა: თვალწინ წარმოუდგა თავისი ვაჟი, ორად გაჭრილი და მთლად სისხლში მოსვრილი, როგორც ეს ჯერ ისევ მოთახთახე ცხოველი.

სუფრას პრუსიელებთან ერთად მოუჯდა, მაგრამ კრიჭა შეეკრა, პირში ვერაფერი ვერ ჩაიდო, ერთი ლუკმაც-კი. ჯარისკაცებმა ხელად გადაყლაპეს ბაჭია, დედაბრის დარდიც არ ჰქონიათ. ეს კი შეჰყურებდა მათ, ხმის ამოუღებლივ. ერთი რამ აზრი დაებადა, ეს აზრი იზრდებოდა მის გულში, მაგრამ სახე იმდენად დამშვიდებული ჰქონდა, რომ ჯარისკაცებს არაფერი შეუმჩნევიათ.

ერთბაშად ჰკითხა დედაბერმა:

— აგერ ერთი თვე იქნება, რაც ერთადა ვართ და თქვენი გვარები კი არ ვიცი. აგრე უნდა?

დიდის გაჭირვებით მიხვდნენ პრუსიელები, რაც უნდოდა დედაბერს და თავიანთი სახელი და გვარი უთხრეს. მაგრამ ამას არ დასჯერდა: იმდენი ჰქნა რომ ქაღალდზე დააწერინა. დააწერინა აგრეთვე თავიანთი მშობლების მისამართები: მერე სათვალე გაიკეთა თავის დიდ ცხვირზე, დახედა უცნობ ნაწერს, შემდეგ ქაღალდი დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო იმ წერილთან ერთად, რომლითაც შვილის სიკვდილს ატყობინებდნენ.

საუზმეს რომ მორჩნენ, დედაბერმა ჯარისკაცებს უთხრა:

— ახლა უნდა თქვენთვის საქმე რამ გავაკეთო.

ესა სთქვა და თივას დაუწყო აზიდვა ჩარდახზე, საცა იმათ ეძინათ.

კაცებს გაუკვირდათ ქალის ქცევა: მაგრამ მან აუხსნა — უფრო თბილად იქნებითო. მაშინ იმათაც უშველეს: აზიდეს თივის კონები და ექალურად ფვით ჩალის სახურავამდე აავსეს. ამგვარად ერთი დიდი ოთახი გააკეთეს, რომელსაც ოთხივ მხარეს თბილი და კარგი სუნიანი თივის კედლები ჰქონდა, სადაც მშვენივრად დაეძინებოდათ.

საღამოს, ვახშმად, ერთმა მათგანმა წუხილი დაიწყო, როცა დაინახა, რომ დედა სოვაჟი ახლაც არ ეკარებოდა საჭმელს. დედაბერმა უთხრა — კრუნჩხვა მქონდა და საჭმელი არ მინდაო. მერე კარგი ცეცხლი დაანთო ბუხარში — კარგათ გავთბეო, ხოლო ოთხი გერმანელი თავიანთ დასაწოლ ადგილას ავიდნენ კიბით, რომელსაც ჩვეულებრივ ყოველ საღამოს ხმარობდნენ ხოლმე მაღლა ასასვლელად.

როგორც კი ასაწევ-დასაწევი კარი დახურეს ზევიდან, დედაბერმა კიბე გამოაცალა. მერე ჩუმად გარეთა კარი გააღო და წავიდა თივის ძირისაკენ, იქიდან კიდევ წამოიღო თივის კონები და სამზარეულო თავამდე აავსო. შიშველი ფეხებით დადიოდა თოვლში, მერე ძალიან ჩუმად, რომ არავის გაეგონა რა, დრო-და-დრო ყურს დაუგდებდა დაძინებულ ჯარისკაცების საშინელ და ნირშეცვლილ ხვრინვას.

როცა სთქვა — ჰო, ყველაფერი მზად არისო, ბუხარში თივის ერთი კონა შეაგდო და რომ მოეკიდა, გამოიღო და მოკიდებული კონა სხვა კონებზე გადაჰფანტა, გამოვიდა გარედ და ყურება დაუწყო.

რამდენსამე წამში საშინელი ალი მოედო ქოხს შიგნიდან, მერე ის საზარელ კოკონად გადაიქცა, უშველებელ გაღვივებულ ფურნედ, მისი სინათლე ვიწრო ფანჯრიდან გარედ გამოჰკრთოდა და თოვლზე თვალის მომჭრელ ზოლად გაერთხმებოდა.

სახლის სახურავიდან ღრიალი მოისმა, ამას მიჰყვა ადამიანთა ყვირილი, თავზარდაცემულთა და შესაბრალისთა ხვეწნა შველისა. და რადგან ასაწევ-დასაწევი კარი შიგნით ჩავარდა და გზა გახსნა, ცეცხლის კორიანტელი ჩარდახში ავარდა, გაატანა ჩალის სახურავს და ავიდა ცისკენ უშველებელი ჩირაღდნის ალის მსგავსად: მთელი ქოხი ალში გაეხვია.

შიგნიდან მოისმოდა მხოლოდ ცეცხლის ტკაცა-ტკუცი, კედლების ჭრაჭრუჭი, ძელების ჩამოცვენის ხრაგუნი. ერთბაშად სახურავი ჩამოწვა, და სახლის ცეცხლმოდებულმა ჩონჩხმა კვამლის ღრუბელს შორის ჰაერში აუშვა ნაპერწკლების სვეტი, საცეცხლურის მსგავსად.

თეთრი მინდორი, ცეცხლით განათებული, ბრჭყვიალებდა როგორც ვერცხლის ზეწარი, წითელ ფერგადაკრული.

შორს ეკლესიის ზარს დაუწყეს რეკვა.

დედაბერი სოვაჟი ზეზე იდგა, თავისი განადგურებული ქოხის წინ, ხელში თოფი ეჭირა, შვილის თოფი, რადგან ეშინოდა, რომელიმე მათგანი ხელიდან არ წამივიდესო.

რო დაინახა, ყველაფერი მორჩაო, თოფი ცეცხლში ჩააგდო. გაისმა თოფის გავარდნის ხმა.

მოცვივდნენ სოფლელნი, პრუსიელნი.

დაინახეს, რომ დედაბერი ერთ კუნძზე იჯდა, დამშვიდებული და კმაყოფილი.

ერთმა გერმანელმა ოფიცერმა, რომელიც საფრანგეთის ღვიძლი შვილივით ლაპარაკობდა ფრანგულს, ჰკითხა:

— თქვენი ჯარისკაცები სად არიან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი გაფიჩხებული მკლავი გაიშვირა ცეცხლის წითელ გროვისაკენ, რომელიც ქრობაზე იყო მიმდგარი, და მაგარი ხმით უპასუხა:

— შიგ არიან!

ყველანი გარს შემოეხვივნენ. პრუსიელმა ჰკითხა:

— როგორ გაჩნდა ცეცხლი, ხომ არ იცი?

— მე გავაჩინე, — უთხრა დედაბერმა.

არავინ უჯერებდა. ყველას ეგონა, რომ საერთო უბედურებამ, მტრის შემოსევამ ჭკუაზე შეშალაო. დედაბერს ყველა გარს ეხვევოდა და ყურს უგდებდა. და, აჰა, ამანაც თავიდან ბოლომდე ყოველივე დაწვრილებით უამბო, წერილის მიღების წამიდან ჯარისკაცების უკანასკნელ წამოყვირებამდე, — ჯარისკაცებისა, რომლებიც მის სახლთან ერთად იწვოდნენ. ერთი კნინი არ დავიწყებია იმისა, რაც განიცადა და არც იმისა, რაც ჩაიდინა.

როცა გაათავა, ჯიბიდან ორი ქაღალდი ამოიღო, და რომ უკეთესად გაერჩია ჩაქრობაზე მიმდგარ ცეცხლის უკანასკნელ სინათლეზე, სათვალე ერთხელ კიდევ მოიკოსა ცხვირზე, ერთი ქაღალდი გაიშვირა და სთქვა: „ამ წერილში ბიქტორის სიკვდილის ამბავია“. მერე მეორე ქაღალდი გაიშვირა და თავის დაქნევით დამსწრეთ ცეცხლწანაკიდები ადგილი უჩვენა და დაუმატა: „ეს კი მათი გვარებია, მათს მშობლებთან მისაწერად“. დამშვიდებული სახით თეთრი ქაღალდი გადასცა ოფიცერს, რომელსაც მის მხრებზე ეკიდა ხელები, და დასძინა:

— შეატყობინეთ, როგორ მოხდა. მათს მშობლებს ეტყვით, რომ ეს მე ჩავიდინე. ვიქტუარ სიმონ ლა სოვაჟიმ. არ დაგავიწყდეთ.

ოფიცერმა გერმანულად უბრძანა თავისს ჯარისკაცებს. დედაბერს ხელი დაავლეს და მისი სახლის ჯერ ისევ ცხელ კედლებს მიახალეს. მერე თორმეტი კაცი უცბად დამწკრივდა მის პირდაპირ, ოცი მეტრის მანძილზე. დედაბერი არც-კი განძრეულა. მიხვდა ყველაფერს, — ელოდებოდა.

გაისმა ბრძანება. ამას იმ წამსვე მოჰყვა თოფების დაცლა. ერთმა თოფმა შეიგვიანა და მარტო დაიცალა, სხვებს შემდეგ.

დედაკაცი არ დაცემულა. ჩაიკეცა, თითქო ცელით ფეხები დააჭრესო.

პრუსიელი ოფიცერი მიუახლოვდა და გაშინჯა. თითქმის ორად იყო გადაჭრილი და შეკრუნჩხული ხელით თავის სისხლში ამოვლებული წერილი ეჭირა.

ჩემმა მეგობარმა სერვალმა დაუმატა:

— ჩვენ დასაცხრომად და დასასჯელად იყო, რომ გერმანელებმა დაანგრიეს ამ სოფლის კოშკი, ჩემი კუთვნილი.

ჩემი ფიქრი კი თავს დასტრიალებდა დედებს იმ უწყინარ ბიჭებისას, ამ სახლში რომ გამოიწვნენ, და აგრეთვე იმ მეორე დედისას, კედელს მიყუდებული რომ დახვრიტეს.

და სახსოვრად ავიღე ერთი პატარა ქვა, ცეცხლისაგან გარუჯული.

მთარგმნელი **თედო სახოკია.**

ფაშიზმი კულტურის წინააღმდეგ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

ფაშიზმი მსოფლიო კულტურის მტერია

I

პირსისხლიანი ფაშიზმი მსოფლიო ბატონობისათვის იბრძვის არა მარტო ტანკებით, ყუმბარმშენებითა და ბომბებით, არამედ მძაფრი პროპაგანდითაც. ამ საქმეში ჩაბმული ჰყავს მას არა ერთი და ორი მეცნიერი, მწერალი და მოსყიდული პრესსის მჯღაბნელთა მთელი არმია.

ამ საკმაოდ ბინძურ საქმეს აკეთებენ ზოგნი შიშისა, ზოგნიც ანგარების კარნახით.

ისიც ცხადია, ფაშიზმის ბნედიანი იდეოლოგები არც ისე ხშირად იყენებენ არისტოტელის ლოგიკას, რადგან ერთერთმა მათმა ლიდერმა თავის დროზე განაცხადა: როცა სიტყვა კულტურა მესმის, ჩემი ბრაუნინგის ჩახმახს მივადებო თითს.

რევოლვერი თავისთავად კარგი იარაღია, მაგრამ ნორმალურ ადამიანისათვის იგი არაა არგუმენტი, გარდა ამისა, შესაძლოა უფრო გრძელი აღმოაჩნდეს მოპირდაპირეს.

მსოფლიო ისტორიაში თითქმის ყოველი აგრესორი ცდილა თავისი მტაცებლური პოლიტიკა „მაღალი იდეალების" საფარველით შეენიღბა. როცა მე-XI, XII, XIII ს. ევროპელი ჯვაროსნები მცირე აზიასა და პალესტინას იპყრობდნენ, მათ ქრისტიანობა მოიმიზეზეს და ქრისტეს საფლავის განთავისუფლება დაისახეს შეფარვულ მიზნად.

ძველი ბერძნების დიდმპყრობელურ აგრესიას თავისი იდეოლოგიური საფანელი გააჩნდა. ეს იყო მთელი ევროპისა და აზიისათვის ბერძნულ-ჰელლინური კულტურის თავზე მოხვევა ძალით.

ძველი ბერძენი ყველა არაბერძენს „ბარბაროსს" უწოდებდა. უახლოეს საუკუნეებში არა ერთსა და ორ დიდ სახელმწიფოს ევროპისას გაუმართლებია თავისი მტაცებლური, კოლონიური პოლიტიკა „ცივილიზაციის", „ქრისტიანობის" და „კულტურის" სახელით.

გენერალი ბონაპარტეც თავის ლაშქრობებს ესპანეთსა, იტალიასა და ეგვიპტეში რევოლუციის სახელით აწარმოებდა. გერმანული ფაშიზმის გაუგონარი აგრესია ემყარება ა. წ. რასსიულ თეორიას.

ნურავის ეგონება თითქოს იდეოლოგიური ბალავერი ამ აგრესიული მოძღვრებისა ჰიტლერსა და მის დამქაშებს დაეფუძნებინოს.

ათეული წლით ადრე პანგერმანიზმს თეორეტიულად აფუძნებდნენ ბურ-

ქუაზიული ისტორიკოსები, ანტროპოლოგები, ლინგვისტები, მწერლები და ჟურნალისტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასსიული თეორიის მამამთავრებად ითვლებიან უმთავრესად ორი გერმანელნი: საკმაოდ დაბნეული, დილეტანტი ფრანგი მწერალი და ისტორიკოსი გრაფ გობინო და ინგლისელობის რენეგატი ჰუსტონ სტეევარტ ჩემბერლენ, რომელმაც ზურგი შეაქცია თავის ეროვნებას პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში და გაგერმანელდა.

გრაფ გობინოს მთავარი შრომა: „Inegalité des races humaine" „უთანასწორობა კაცობრიული რასსებისა", სავსებით უსაფუძვლო ჩმახვაა კეთილშობილი და არა კეთილშობილი რასსების გამო.

თავდაპირველად უნდა ითქვას თავათ სიტყვა „რასსა" არა მეცნიერული, უსაგნიერი ცნებაა, იგივე რასაც რომაელები Regressus in infinitium-ს, — უსაზღვროებაში უკუქცევას უწოდებდნენ.

ცნობილია, შესატყვისი რასსა მიეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ ცხოველთა სამეფოს, რამდენადაც ბიოლოგიურ მეცნიერებათა დაკვირვების ობიექტი შესაძლოა გახდეს ამ შემთხვევაში მხოლოდ პირუტყვთა და მცენარეთა სამეფო. ამ სფეროების სუბიექტების მიმართ უწარმოებიათ შეჯვარების ცდები დარვინს, ჰექსლის და მენდელს.

ჯერ არც ერთ ჭკუათა მყოფელს არ უცდია სელექციის კანონების გამოყენება ადამიანის მიმართ, მით უმეტეს მთელი ნაციის ან ნაციათა რომელიმე კომპლექსის მიმართ.[1]) ან ვის შეუძლია გამოარკვიოს რამდენად წმინდა სისხლიანი იყო ძველი ბერძენი, რომაელი, გერმანელი, სლავიანელი, ან ქართველი? ან ის, თუ რა და რა ტომობრივ შეჯვარებისაგან წარმოშობილა ჩინელი ან ჰინდუ?

სადაა ამ წმინდა სისხლიანობის დასაშვები, ან არდასაშვები მიჯნა?

გრაფ გობინოზე უფრო შორს წავიდა თავისი ყოვლად უსაფუძვლო, ტენდენციური ჰიპოტეზებით ჰუსტონ სტეევარტ ჩემბერლენ. მან ცალიერ სიტყვად გამოაცხადა კაცობრიობა. ეს ცნება ისევე უსაგნიერიაო, როგორც „ცხენობრიობა".

მრავალტომიან შრომებში ჰუსტონ ჩემბერლენმა ანალიზი გაუკეთა თავისი ჭკუით მთელ კაცობრიობის მიღწევებს მრავალი ათასი წლის მანძილზე, და უდიდესნი მათ შორის მიაწერა გერმანებს, ანუ არიელებს, ინდოგერმანებს.

ჩემბერლენზე ადრე არა ერთსა და ორ ჭკუანაღძობ ბურჟუაზიულ ისტორიკოსსა და ლინგვისტს უვარჯიშებია კალამი „ინდოარიულ", ან „ინდოგერმანულ" ერების საკითხის გამო.

ზოგიერთი ისტორიკოსის ჰიპოტეზით არიელები ანუ ინდოგერმანელები წამოსული არიან ჰინდუსტანიდან, სადაც ნაცხოვრებან თითქოს პირველყოფილი არიელები („ურარიერ") ჰინდუსების, ირანელების, ბერძნების, გერმანელების წინაპრები;

კავკასიაში ამ არიელთა ნაშიერად სთვლიდნენ ოსებს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ოსურად „ირონ" ეწოდებათ, ხოლო ევროპის ყველაზე დასავლეთით ბინადარ ხალხს — ირლანდელებს — „ერინ".

რომელი ერი ითვლება არა არიელად?

ფაშისტი თეორეტიკოსები არიელ ხალხების კომპლექსს ისე ადიდებენ და ამცირებენ, როგორც ეს თავათ მოეპრიანებათ.

---

[1]) თუ ამჟამად ასეთ ცდებსაც აკეთებენ. ეს უკვე პსიხოზს მიეწერება.

თავდაპირველად ყვითელი იაპონური რასსა „უნიჭო, დაბალ მოდგმად“ გამოაცხადეს, როცა ღერძის ბერლინ-რომის გაგრძელება დასჭირდა — იაპონელებს უბოძეს მხოლოდ კულტურტრეგერობა ე. ი. იაპონიის — რომელ კულტურის მატარებელია და არა აქტიური შემომქმედიო.

ჩემბერლენის კონცეპციით არიულ რასად ითვლებიან: რომაელები, ძველი ბერძენნი, ინდოელნი, ირანელნი, გერმანელნი და სხვა. ე. ი. ერების ისეთი კომპლექსი, რომელთაც ეთნიურად, ენობრივად, ტერიტორიულად არაფერი აკავშირებს.

„წმინდასისხლიან“ და ერთადერთ ნიჭიერ არიულ რასსას ჩემბერლენმა დაუპირდაპირა ვითომდაც „დაბალი, უნიჭო“ ჩინელები, არაბები, ებრაელნი, იაპონელნი, რუსნი და, ჰოი საკვირველებავ, თვით მუსოლინის სახლის კაცები იტალიელნი.

რას ემყარება ბურჟუაზული ენათმეცნიერება და ანტროპოლოგია, როცა ეგზომ შორეულ ერების ერთსისხლიანობას ამტკიცებს?

მხოლოდ და მხოლოდ იმ რამდენიმე სიტყვას, რომელნიც მიაგვანან ურთიერთს ამ ერების მეტყველებაში, ე. ი. ენებში. სხვა საბუთი მათ არ გააჩნიათ, რადგან ძველი ბერძნების, გერმანელების, რომაელების და სხვა ძველ არიელთა ჩონჩხები და თავისქალები ჯერ ვერ უპოვნიათ ფაშიზმის იდეოლოგებს.

აბსურდია თვით ენობრივი ნათესაობიდან ეთნიური ერთიანობის დამტკიცება. ეს იგივეა, დღე რომ ღამით ახსნას კაცმა. კაცობრიობის მრავალ საუკუნიანი ისტორია იმის მოწმეა, რომ ომებისა და ვაჭრობის მეოხებით ხშირად ურთიერთისაგან განსხვავებული ენები ღებულობდნენ იდიომურ ზეგავლენას.

მაგრამ განა ეს ერთსისხლიანობის მომასწავებელია?

რუსულში უამრავი თურქული სიტყვები დარჩა საუკუნეთა მანძილზე. არაბულმა ენამ ზეგავლენა მოახდინა არა მარტო ქართულსა და რუსულზე, არაბული სიტყვები მრავლად მოიპოვებიან როგორც ესპანურსა და იტალიურში, ისე თვით ინგლისურშიაც.

თავისი უხამსი თეორიის მეოხებით მრავალი ბოდიშისა და „ბედნიერი გამონაკლისების“ გამოძებნა დასჭირდა მართლმორწმუნე ჩემბერლენს. მან „უნიჭო არაარიელად“ გამოაცხადა ებრაელი ერი, რომელმაც კაცობრიობას მისცა არა მარტო ებრაული დიდი ეპოსის ავტორები, არამედ ისეთი საპატიო სახელები, როგორიც არიან ბარუხ სპინოზა, ჰაინრიხ ჰაინე, მენდელსონი, მაიერ ბეერ, გეორგ ბრანდესი, ანატოლ ფრანს, ბერნარდ კელლერმან, მარსელ პრუსტ და მთელი პლეადა მეცნიერებისა, მწერლებისა და კომპოზიტორებისა, როგორც ევროპაში ისე ამერიკაში.

ჩემბერლენმა თავის ჭკუაში „დაამტკიცა“, რომ მთელი ძველებრაული პროზა პლაგიატია, ებრაელებს არც პოეზია ჰქონიათ, არც ხუროთმოძღვრება, არც ფილოსოფია და არც მხატვრობა.

მაშ რა უყოს ქრისტიანმა ჩემბერლენმა ქრისტეს?

ოლად მოუარა საკითხს ამ შემთხვევაში. ჯერ „მეცნიერულად“ დაასაბუთა ქრისტე ქერა იყოო. ბოლოს ისიც გამოარკვია, რომ ქრისტე რომელიღაც რომაელი ჯარისკაცის ბუში ყოფილაო. სხვა უხერხულობანიც წარმოიშვა ჩემბერლენის თეორიებიდან. არიელობის ფარგალს გადაღმა დარჩა

საკმაოდ ბრწყინვალე სახელები ჯიორდანო ბრუნო, დანტე, პეტრარკა, ჯიოტო, მიქელ ანჯელო, რაფაელი, დავინჩი და სხვა მრავალნი.

ამ საქმესაც იოლად მოუარა: იტალია ორ ნაწილად დაჰყო: სამხრეთ იტალიაში რომის დაქცევის შემდეგ დარჩაო აფრიკული სისხლის თხლე, მონების ნაბიჭვარები, რომელთაც შეითვისეს „იტალიანა რუსტიკა" ე. ი. გლეხური იტალიური, ამ ნარევ რასისაგან წარმოიშვაო იტალიელი უბრალო ხალხი, მხოლოდ ლომბარდიაში ჩამოსახლებულ გერმანელ აზნაურების სისხლიდან წარმოსდგენნო იტალიის დიდი პოეტები, ფილოსოფოსები და მხატვრები.

ამგვარად ჩემბერლენის თეორიით „აღრეულ რომის" კედლებთან თავდება ლომბარდულ-გერმანული წმინდა სისხლის რასსა. ხოლო ევროპის დასავლეთით ეინტკუნიდან იწყებაო არაარიელების, „კაზაკების და კაცაბების დაბალი მოდგმები".

ამ თეორიიდან გამოსული ჩემბერლენი არიელ გერმანების მიღწევად აცხადებს ყველაფერს, რაც კაცობრიობას კარგი და თვალსაჩინო შეუქმნია ორი ათასი წლის მანძილზე ევროპაში.

თურმე ნუ იტყვით, მხოლოდ და მხოლოდ გერმანების ღვაწლი ყოფილა ამერიკის აღმოჩენა, ქალალდისა და დენთის შემოღება, წიგნის ბეჭდვა, თოფისწამლის გამოყენება, ფიზიკის, ქიმიის, სამხედრო მეცნიერებების, ასტრონომიის და მწერლობის ყველა მიღწევა.

აქამდის მეცნიერებამ იცოდა, რომ იტალიის რენესანსი მარტოოდენ იტალიური გენიის ნაშიერთა ღვაწლი როდი იყო, არამედ, როგორც იტალიურ, ისე ევროპულ რენესანსს ხელი შეუწყო ბიზანტიის ფილოსოფიამ მე-X-XI საუკუნისამ, ამავე საუკუნის სომხეთისა და საქართველოს მხატვრობისა და ხუროთმოძღვრების წიაღიდან წარმოშობილმა იდეებმა და ფორმებმა, არაბების დიდმა ღვაწლმა, განსაკუთრებით არისტოტელესისა და პლატონის არაბულად თარგმნამ და სხვ.

„ისტორიკოსი" ჩემბერლენი ურცხვად აცხადებს: იტალიური რენესანსი არავითარი ხელახლადშობა არა ყოფილა, არაარიელ ხალხებს აქ ხელი არ აქვთ, რენესანსი ანუ აღორძინება მოჰყვაო გერმანების შემოსევას იტალიაში მე-X, XI საუკუნეების მანძილზე.

ასე უტიფრად ჯერ არავის შეუფურთხებია ისტორიის მუზისათვის, რომელსაც კლიოს უწოდებდნენ ძველი ბერძნები.

ცხადია, თავათ ცნება „რასსა" ფაშისტი ენათმეცნიერებისა და ისტორიკოსების მიერ მოჩმახულია.

ჩვენ ვიცით რა არის ერი.

ამხანაგი სტალინი კლასიკურ განმარტებას იძლევა ამ შემთხვევაშიც: „ნაცია არის ისტორიულად შედუღებული, მტკიცე ერთიანობა ენისა, ტერიტორიისა, ეკონომიური ცხოვრებისა და ფსიქოლოგიური განწყობილებისა, რომელიც სახიერდება კულტურის ერთიანობაში".

ამ დებულებას ვერ დაარღვევენ ფაშიზმის თეორეტიკოსები, თუნდაც ცამდის რომ აჰყონ ხელი. რასსები არსებობენ ცხოველთა და მცენარეთა სამყაროში, ხოლო ხალხებს ანსხვავებს და აერთებს ცნება ნაციისა, ეროვნებისა.

სისხლის მომენტი ნაციონალობაში სავსებით ეფემერულია და უმნიშვნელო. აქ უმთავრესია ის პირობები ენობრივი, ტერიტორიული და ეკონომიური ხასიათისა, რომელნიც ადუღაბებენ ნაციონალობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოსდაბოლოს თვით სუბიექტის ნებაყოფლობაზეა დამოკიდებული, თუ რომელ ნაციას, რომელ ნაციონალურ კულტურას მიეკუთვნებს იგი თავის თავს.

ჯერ არც ბიოლოგიას, არც ანტროპოლოგიას არავითარი შესატყვისები არ გამოუგონიათ არა მარტო გადასული ერების, რომაელთა, მიდიელთა და ძველ ბერძენთა სისხლის, არამედ ცოცხალ ნაციების „რასსიული“ შემადგენლობის გამოსარკვევად.

ფაშიზმის იდეოლოგები კელტებს არაარიელებად სთვლიან. ვინ დაამტკიცებს, რომ დანტეს, რაფაელს, შექსპირს ან გოეტეს კელტური სისხლი არ ედგათ ძარღვებში? საკმარისია დასავლეთ ევროპის უახლესი ისტორია ვიმოწმოთ. მთელი დღევანდელი პრუსია, გერმანული რეაქციისა და ფაშისტური ბნელეთის ციტადელი, სლავებით დასახლებული პროვინციაა. ამჟამადაც ცხოვრობენ სლავიანელი ვენედები ელბის ნაპირებზე. სლავური სისხლი აქვს პრუსიელ იუნკრებს: ფონ-ბიულოვებს, ფონ-ვილამოვიცებს, ფონ-ბრაუხიჩებს, ფონ-იაგოვებს და სხვათა.

II

თავისთავათ ბალღური ყოყოჩობაა კაცობრიობის კულტურის მიღწევათა რომელიმე მოდგმისათვის მიწერა. ცნობილია: ყველაზე უკეთ თანამედროვე ევროპელებსა აქვთ დამუშავებული თავიანთი ისტორია. მიუხედავად ამისა თვით დასავლეთის ცოცხალ ერების წინაისტორია ბნელშია დანთქმული. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მრავალგვარ უსაფუძვლო თეორიას, ურთიერთის კარდინალურად მოწინააღმდეგეს, ჯერ არაა დადგენილი ევროპის ცალკეული ერები აზიიდან მოედვნენ ევროპას, თუ პირუკუ?

განგის და ჰიმალაის სანახები იყვნენ დასავლეთური კაცობრიობის პირველსამშობლო თუ პირიქით, სკანდინავიის სუსხიანი ფიორდები?

ამ საკითხების გამო ზღვისოდენა მელანი აქვთ დაღვრილი გერმანისტებსა და რომანისტებს, მაგრამ ყოველ წელს ახალი თეორია მოაქვს, სხვა არაფერი.

უკანასკნელ წლებში რამდენიმე ისტორიკოსის ჰიპოტეზით ირანელები და ჰინდონი სკანდინავიიდან არიანო სამხრეთ აღმოსავლეთით წასულნი. ასე თუ ისე ცნობილია მხოლოდ ჰუნგრელთა ტომის მოსვლა ევროპაში, იმ ტერიტორიაზე, სადაც ისინი დღეს ბინადრობენ.

დანამდვილებით არც ფრანგებმა, არც იტალიელებმა, არც გერმანელებმა იციან, თუ რა რიგად წარმოშობილან ეს ხალხები?

გერმანულმა ენათმეცნიერებამ დანამდვილებით არ იცის თუ რად შეარქვა თავის თავს გერმანელობამ „ტოიჩენ“ ან „დოიჩენ“, ან იტალიელებმა რად უწოდეს მათ „ტედესკი“ ან ფრანგებმა „ალემანი“? ან რუსებს რად დაერქვა „რუსს“?

ენებისა და ერების წარმოშვების საწყისი ბნელითაა მოცული და ყოველი ერი ბოლოს და ბოლოს ლეგენდას იშველიებს თავისი ვინაობის პირველწყაროს გამოსაძებნად.

უნაყოფო ფანტაზიის სათავეებს სწვდება უამრავი თეორიები ბერძნულ-მიკენური ეთნიურობის, ჰინდურ-ირანულ ტომების წარმოშვების ამბავი. ასევე ბნელითაა მოცული ქართველთა, სომეხთა, ოსთა და თურქთა პრეისტორია.

არც ევროპული, არც კაცობრიული კულტურა, საერთოდ, მარტოოდენ

„არიელებს“ არ მიეკუთვნება. თუნდაც ებრაელობა ავიღოთ ფაშისტების მიერ ყბად აღებული. ცნობილია, თუ როგორ დავალებულია „არიელ“ დანტე, გოეტე და ბაირონი ებრაული ეპიკის მიმართ. დანტეს ჯოჯოხეთის ჩასვლას საფუძვლად უძევს ლეგენდარული ნაზარეველის ქვესკნელს ჩასვლა, ხოლო ფაუსტისა და მეფისტოს ანალოგია იობის წიგნშია მოცემული. ებრაული ფოლკლორის მიერ შთაგონებულია მილტონის დაკარგული სამოთხე.

არაარიელმა — ჩინელებმა შეჰქმნეს განსაცვიფრებელი მხატვრობა, ხუროთმოძღვრება, ფაიფურის ხელოვნება, საკვლევითი უბადლო და მრავალი საუკუნის ტრადიციების მქონე ფილოსოფია. ამაოდ ცდილობენ ფაშისტი მეცნიერები, თუნდაც ქაღალდის გამოგონების პირველიდეა „არიელ“ ხალხებს მიაწერონ.

ზედმეტია იმის მოგონება, თუ რა განუსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპული, ქრისტიანული კულტურის დაცვისათვის იმ დიდსა და უსწორო ბრძოლებს, რომელნიც თავს გადახდა საქართველოს, სომხეთს, რუსეთს, პოლონეთს და უკრაინას მე-X — XI, XIV საუკუნეების მანძილზე.

ჩვენ არ ვფიქრობთ რუსთაველს, ლევ ტოლსტოის, მიცკევიჩს ან შევჩენკოს ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს მსოფლიო კულტურისათვის, ვიდრე თანამედროვე ფაშიზმის ბარბარულ პოეზიას.

თვით პირველი დაწერილობა არაარიულმა აღმოსავლეთმა მისცა კაცობრიობას, ციფრები სემიტური მოდგმის არაბებმა შემოიღეს. თვით გუტენბერგის გენიალურ გამოგონებას საფუძვლად უდევს ჩინური დამღების, ტვიფარების ხელოვნება. თანამედროვე ზღვაოსნობის მაგნეტური ნემსები ჩინელის მიერ გახლავთ გამოგონილი. ევროპული თანამედროვე ფოსტის პროტოტიპი ჯვაროსნულ ომებზე ადრე ცნობილი იყო აღმოსავლეთში, მტრედების ფოსტის სახით.

თანამედროვე მილიტარული ტექნიკის საფუძველი — დენთიც ჩინელის მიერაა გამოგონილი. თვით პრუსიული ჯარის ელემენტები აღმოსავლეთიდანაა ნასესხები: დეზები, ხმლები და სხვა. თურქული დროშის მიბაძვითაა გაკეთებული პრუსიული ულანების ალამი, ევროპული ადმირალი არაბული ამირიდანაა გამოსული, ხოლო არსენალი არაბულ „დაარ სინაა“-დან.

თვით „არიელი“ ბერძნების დაწერილობის ელემენტები ჩინურის მიმართ ყოფილა დავალებული. (იხ. ლიდცბარსკი. „სემიტური დაწერილობის წარმოშობისათვის“). ჰინდოთა ფონეტიური ნიშნები ფინიკიურ-ქანაანურ ასონიშნებიდანაა ნასესხები. (იხ. ბულერ. „ჰინდური პალეოგრაფია“). არაბების მიერ ნულის ნიშნისა და არაბული ციფრების გამოგონებამ დიდად დააწინაურა ალგებრა და გეომეტრია. განუსაზღვრელად დიდი როლი შეასრულეს არაბებმა ასტრონომიურ მეცნიერებაშიაც.

დასავლეთ ევროპაში მე-XIII საუკუნემდე ყორანს გააფრენდნენ ხოლმე მეზღვაურები და ისე არკვევდნენ ჩრდილოს მხარეს. უკვე დადგენილია: ჩინელებს მე-VIII საუკუნემდე ჰქონიათ კომპასი შემოღებული.

ასაფეთქებელ მასალებს ხომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც საომარ, ისე სამოქალაქო ტექნიკაში. ასეთი მასალები ცნობია არაბებს, აგრეთვე ნავთი (სხვათა შორის, არაბების ნავთოსან ჯარებს „ნავთატუნ“, გადაუწვავთ ტფილისი 238 წ. ჰიჯრით, ე. ი. 852 წელს. იხ. გოიე „ქელქ ობსერვასიონ, სდურ ლე ფო და სხ“.).

არაბებსვე სცოდნიათ სალპეტრის, ნახშირის და გოგირდის ნაერთისაგან

ასაფეთქებელ მასალების შექმნის საიდუმლო. პირველი კალამი ჩინელებ გაუკეთებია ლელისაგან, ხოლო მხატვრის ფუნჯი ვირთხის ბეწვისაგან.

ქალალდი ქრისტემდე ასი წლის წინად გამოუგონია ჩინეთის იმპერატორის მეჭურჭლეთუხუცესს — ტსაი ლუნს (ხის ქერქისა და სელისაგან). მე-VI საუკუნეში ქრ. შ. ჩინური სუი-დინასტიის დამფუძნებელმა ხეზე ამოაჭრევინა ასოები და ასე დააბეჭდვინა თურმე თავისი დიდი ბიბლიოთეკის ტომები. (შეადარე, ფორერ „ლე ემპრიმოერ დე ტისუს“).

ევროპელებს, განსაკუთრებით გერმანელებს თავი მოაქვთ ხუროთმოძღვრებით. გერმანელები იჩემებენ გოტიკას. გოტიკის სათავეები არაბულ მეჩეთების ხელოვნებაშია საძებარი. გოტიკის ელემენტები მოცემულია ოირვანისა და ქაირის უძველეს მიზგითებში.

შუაზიის ხუროთმოძღვრებამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ევროპულ როკოკოს სტილზე. ნურას ვიტყვით ფაიფურის და სხვა მცირეყალიბიან ხელოვნებათა გამო.

თვით ევროპული ამპირის სტილი ეგვიპტურ პლასტიურ ხელოვნებათა ზეგავლენითაა წარმოშობილი. თანამედროვე საფრანგეთის, ინგლისის და გერმანიის დიდი მხატვრები შორეულ აღმოსავლეთის ოსტატებისაგან სწავლობდნენ ნიადაგ.

ლიტერატურულ ჟანრებს რომ გადავხედოთ, დრამას ჩინელები იცნობდნენ ყველაზე ადრე, მთელი პროზა დასავლეთისა ებრაულ ბიბლიიდან გამომდინარეობს. ევროპული ნოველისტიკის მამამთავარი ბოკაჩიო „ათას ერთი ღამის“ ავტორის, (თუ ავტორების) ეპიგონია. „ტრისტანისა და იზოლდას“ ევროპული ვერსიები არაბულ „ქითაბ ალ აგანის“ ანალოგიითაა შექმნილი. პარციფალის რომანიც არაბი პოეტის მიერაა შთაგონებული.

თვით ბოლორითმოვანი ლექსის პირველსახე არაბულიდანაა გადასული დასავლეთ ევროპის პოეზიაში.

ევროპის ფოლკლორი უზომოდ დავალებულია ებრაული, არაბული და სხვა სემიტური ხალხების შემოქმედების მიმართ.

მ ს ო ფ ლ ი ო ბ ა ტ ო ნ ო ბ ა ა მ ა თ უ ი მ ე რ ი ს ა ა ს ე თ უ ი ს ე ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ყ ო ფ ი ლ ა მ ხ ო ლ ო დ ი მ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი, რ ო ც ა ი გ ი თ ა ვ ი ს ი კ ულ ტ ურ ი თ თ ა ვ ის თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ნ ა ც ი ებ ს ა ღ ე მ ა ტ ებ ო დ ა ხ ო ლ მ ე.

ძველბერძნებმა და რომაელებმა შესძლეს განსაზღვრულ საუკუნეებში მსოფლიო ჰეგემონიის მიღწევა, რადგან ისინი მართლაც მაღლა იდგნენ ევროპისა და აზიის ერებზე როგორც კულტურით, ისე ცივილიზაციით.

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებს აზიასა და ევროპაში თან მოჰყვა ბერძნული ენისა, ლიტერატურისა და ფილოსოფიის დანერგვა მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში.

ძველი რომის კულტურა ნიაღვარივით უკან მიჰყვა პომპეისა და ცეზარის ლეგიონების მარშს და ამან გაახანგრძლივა მსოფლიო ბატონობა რომისა.

მარტოოდენ ხმალსა და მათრახზე დამყარებული მსოფლიო ჰეგემონია ეფემერული და ხანმოკლე ყოფილა მუდამ.

ასე. მაგალითად. თურქმანების, სელჯუკიანთა და მონღოლთა ტომების ექსპანსიები მე-XI, XII, XIII საუკუნეების მანძილზე. ამ მომთაბარე ტო-

მებმა დაიპყრეს ირანი, მცირე აზია, ერაყი, პალესტინა, ეგვიპტე და ბინდუსტანის ნაწილიც. დაიმონეს, დაარბიეს, გაძარცვეს უკრაინა, რუსეთი, საქართველო, სომხეთი, ბიზანტია, მრავალი ეროვნული კულტურა გადაქარეს, ფარაონის მჭლე ძროხებსავით მათაც შესჭამეს მსუქნები, ბოლოს მჭლენი დარჩნენ მაინც. მთელი აღმოსავლეთის კულტურა დაამხვეს. უნაყოფოდ გადაეგნენ თავათაც ბოლოს.

თუნდაც ერთი წუთითაც რომ დაუშვათ კულტურული უპირატესობა პოლიტიკური ბატონობის საწინდარი იყოს თითქოს, საქმე მაინც ისე არაა თუნდაც ევროპაში, როგორც ეს პანგერმანისტებს და ფაშისტებს ეჩვენებათ ხოლმე.

ჩვენც ვაფასებთ ნიჭიერსა და გამრჯელ გერმანელ ხალხს, მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, თვით დასავლეთის დიდი ერების წრეში მას ჯერაც არ მოუპოვებია ისეთი უპირატესობანი, როგორიც ძველ ბერძნებს გააჩნდათ თავიანთი თანამედროვე მიდიელების, ინდუსების და მაშინდელ ევროპის ხმელზე ბინადარ, ნახევრად ველურ ტომების მიმართ.

გერმანული ფილოსოფია უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე ინგლისური და ფრანგული ფილოსოფიებიდან სესხულობდა მმართველ იდეებსა და ინსპირაციებს. კანტის კრიტიციზმის პირველსათავეები დავიდ ჰიუმისა და ლოკის ფილოსოფიაშია მოცემული.

ბარუხ სპინოზა იყო დიდი შთამგონებელი გერმანული აზროვნებისა ძე-XVIII — XIX საუკუნეების მანძილზე. რუსსო, სპინოზა და ბერგსონი დღემდის ახდენდნენ უდიდეს ზეგავლენას როგორც გერმანულ მწერლობასა, ისე ფილოსოფიაზე.

ლიტერატურის ყოველ ჟანრში მე-XIII საუკუნიდან დღემდის, ფრანგები, ესპანელები, იტალიელები და ინგლისელები იძლეოდნენ მმართველ იდეებს. როგორც დრამატურგიაში, ისე პროზასა და ლირიკაში.

გოეტე და შილლერი, თავიანთი დიდი და ორიგინალური იდეების მიუხედავად, როგორც დრამატურგები, შექსპირისაგან სწავლობდნენ, ხოლო რაც შეეხება ლირიკას, დარბაისელი გოეტე, რომელიც თავისთავად მსოფლიო პოეზიის უბრწყინვალესი მწვერვალთაგანია, თავათ აღვიარებს ლორდ ბაირონს როგორც უდიდეს შთამგონებელს.

ფრანგული რეალისტური რომანი ტონს აძლევდა გერმანულ პროზას იმ დღიდან, რაც ევროპაში აღორძინდა დიდი სტილის რომანისტიკა.

ლირიკაში ფრანგი რომანტიკოსები ჰიუგო და შატობრიანი შთააგონებდნენ გერმანელ რომანტიკოსებს. ფრანგმა სიმბოლისტებმა და მათმა ზეგავლენამ გამოიწვია გერმანული სიმბოლიზმი.

თითქმის იგივე ითქმის გერმანულ ფერწერის, ხუროთმოძღვრების და სკულპტურის მიმართ. მხოლოდ მუსიკაში გამოიჩინეს გერმანელებმა ჭეშმარიტად დიდი ორიგინალობა.

კაცობრიობის კულტურა მრავალკიდოვანი ალმასივით ბრწყინავს როგორც სხივთშემკრები კალეიდესკოპი მრავალფეროვანი ათინათისა, რადგან მას ერთი ან რამდენიმე ერი როდი ჰქმნიდა, არამედ ერების, ხალხების მთელი კომპლექსი. ამიტომაც ნურავინ მიიჩემებს მსოფლიო კულტურის მიღწევებს, რათა მსოფლიო ჰეგემონიის მათრახი აიღოს ხელში.

III

თუ რასსიულ თეორიას ჰყავს ისეთი წინაპრები, როგორიც იყვნენ გრაფ ვობინო და ლორდ ჩემბერლენ, მათი პოლიტიკური „ბატონკაცთა კლასსის“ თეორიას ზურგს უმაგრებს ფრიდრიხ ნიცშე, რომელიც უკვე სავსებით გაგიჟებული იყო, როცა თავისი ბატონობისადმი ნებისყოფას ჰქადაგებდა. ჰეგელსაც მიუძღვის აქ მცირეოდენი ბრალი, რამდენადაც ჰეგელი კაცობრიობას ჰყოფდა ორ კატეგორიად, ერთნი იმ ერთგანნი, რომელთა წიაღში აბსოლუტურმა სულმა მიაღწია თავის სრულყოფას, ხოლო მეორენი მონები ამ ბატონკაცებისა.

ევროპის ცივილიზაციის ისტორია იმის მოწმეა, რომ ფაშისტების რასსიული თეორია ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებას მოასწავებს. ევროპის ხალხებს აურაცხელი სისხლი დაუჯდათ უნიფიცირებული სახელმწიფოების დამხობა.

ესენი იყვნენ რომის მეორე იმპერია გერმანული ნაციისა, შემდეგ იმპერია კარლოს დიდისა, ოტომანთა დიდი იმპერია, იმპერია ნაპოლეონისა, ჰაბსბურგებისა, ჰოჰენცოლლერების და რომანოვების აბსოლუტური მონარქიები.

ეს უზარმაზარი მახინები იყვნენ დიდი საპყრობილენი ერებისა და კლასებისა — უნიფიცირებული ყაზარმა, რომელშიაც ყოველი არა გაბატონებული ერის ნაციონალური სული და კულტურა გაუპიროვნებული იყო.

უკანასკნელი საუკუნოების მანძილზე გამუდმებული ბრძოლით თავი გაითავისუფლეს ბალკანეთის ერებმა, ბერძნებმა, ბულგარელებმა, სამხრეთ სლავებმა, ჩეხია და სლოვაკია გადაურჩა ჰაბსბურგების მეურვეობას, დამოუკიდებელი არსებობის უფლება მოიპოვეს ბელგიელებმა და ჰოლანდიელებმა.

როცა ჩვენ ევროპულ კულტურას ვახსენებთ, აქ მხედველობაში გვაქვს არა მარტო მრავალრიცხოვანი ერების კულტურა, არამედ როგორც ხსენებული ერების, ისე პოლონეთის, დანიის და სკანდინავიის ხალხთა კულტურანი.

გერმანულმა ფაშიზმმა ამ ერებს საკუთარი, ნაციონალური სახელმწიფოები დაუფუშა, ნაცვლად ამისა მისცა საერთო კონცლაგერი და საპყრობილე.

მიცკევიჩის და შოპენის სამშობლოს სახელი აღკვეთეს გეოგრაფიულ რუკიდან და „აღმოსავლეთის საგუბერნატორო“ დაარქვეს მას.

განუზომელ სატანჯველში ჩაადგეს მაღალ ნიჭიერი ებრაელი ხალხი, ჩეხო-სლოვაკია, რომელსაც ბრწყინვალე და სახელოვანი წარსული ჰქონდა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ ასეთი ვაკხანალია ხანმოკლეა, თორემ ეს რომ ასე არ იყოს, კაცობრიობის მომავალი ფრიად ბნელი საღებავებით გამოჩნდებოდა.

მაშინ ევროპა გარდაიქცევა ერთ მთლიან, მიხაკისფერ ყაზარმად, დაიხშობა და განადგურდება ნაციონალური ლიტერატურანი, ხელოვნებანი საფრანგეთისა, ბელგიისა, დანიისა, სამხრეთ სლავებისა, პოლონელებისა და ჩეხებისა. ეს იქნება უდიდესი რეგრესი და დეგენერაცია მსოფლიო კულტურისა.

სხვა რიგ აზროვნებდნენ იმავე გერმანიის მართლაც დიდკაცები. გოეტეს სძაგდა პრუსსიული უხეშობა. არც გაერთიანებული გერმანიის აპოლოგეტი იყო იგი.

თუ საფრანგეთს პარიზი ჰქონდა ერთადერთი და შეუცვლელი ცენტრი, გერმანიას ასეთი არასოდეს ჰქონია. ბერლინი ჩვენ დღეებამდის მხოლოდ ადმინისტრატიული ცენტრი იყო, რადგან გერმანულ ტომებს ძირეულ პრუსიელობა ყველაზე ჩამორჩენილია.

გერმანიის დიდი კულტურის ცენტრები მუდამ სამხრეთში იყო: აახენი, მიუნხენი, ნაურნბერგი. უდიდესი ოსტატები გერმანული სიტყვისა, მუსიკისა და აზროვნებისა სამხრეთის პროვინციებიდან იყვნენ გამოსულნი: ასე მაგალითად გოეტე, ჰაინე, შილლერი, ნოვალისი, ვაგნერი.

თვით ვაიმარელი ბრძენი გოეტე არ ფარავდა რომ მისი პოეზიისა და აზროვნების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღოდა საფრანგეთისა და იტალიის ხელოვნებათა და ფილოსოფიის ზეგავლენას.

გერმანიაში დღემდის ლიტერატურის და მხატვრობის ცენტრია მიუნხენი, მუსიკისა — დრეზდენი, წიგნის კულტურისა — ლაიპციგი.

უდიდესი ძეგლებიც ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობისა საფრანგეთის მომიჯნე პროვინციებმა მისცეს ქვეყანას.

გოეტე და თვით ნიცშეც კარგადა გრძნობდნენ ცენტრალიზირებული, გაერთიანებული გერმანია სამხედრო ექსპანსიებს შეალევდა თავის ენერგიას. ასევე უარყოფითად შესცქეროდა პრუსიული გერბის ორთავიან არწივს პოეტი ჰაინრიხ ჰაინე.

ამ პრუსსიული უხეშობის განსახიერება იყო სული ფრიდრიხ დიდისა და ბისმარკისა. სწორედ ამ სულმა შეაძაგა გერმანიის გამრჯელი ხალხი მეზობელ ერებს. არა მარტო მათ, ბისმარკის ფელდფებელებმა ისე შეაძაგეს გერმანელობა ელზასელებს, ტომითა და ენით გერმანელებმა ბოლოს უარი სთქვეს საკუთარ ეროვნებაზე.

გოეტესებრ კოსმოპოლიტიკურ იდეებს ჰქადაგებდა ჰერდერიც, რომელსაც ეკუთვნის შესანიშნავი შრომა „ადამიანის მოდგმათა ერთგვარობისათვის".

ასეთსავე კოსმოპოლიტურ და მაღალ ჰუმანიურ იდეებს ჰქადაგებდნენ ახალ გერმანიაში დიდი რომანისტები, ძმები ჰაინრიხ და თომას მანნ, რომელნიც ფაშისტებმა გააძევეს გერმანიიდან, მოიმიზეზეს: ესაო და ბებია ჰყავდათო ებრაელი.

ასეთივე ბედი ეწვია აინშტაინს, ჩვენი საუკუნის ახალ ნიუტონს და ყველა დიდ მწერალსა და მოაზროვნეს, რომელთაც ფაშისტურ ბარბაროსს ჰუმანიური იდეების ქადაგება არჩიეს.

განა მარტო ევროპულ ერებს, საბჭოთა კავშირის ერებსა და მათ კულტურებს უდიდესი განსაცდელი მოელით რასსიული თეორიის ავტორებისაგან.

მართალია, ფაშისტებმა შესთავაზეს უკრაინას და საქართველოს მეორე ხარისხოვან ვასალურ სახელმწიფოებს მოგიწყობთო, მაგრამ ამ გაცოფებულ აგრესორებს ავიწყდებათ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ერების ისეთ დიდ კონფედერაციაში, სადაც ყოველ ჩვენთაგანს უფლება აქვს თავისთავი ჩასთვალოს თანაბართა შორის პირველად. და ამის გარანტია მოცემულია სტალინურ კონსტიტუციაში.

სავსებით უცხოა რასსიული თეორია და მისი პრაქტიკა ქართველი ერისათვისაც. ვინც საქართველოს ისტორიას დაჰკვირვებია, მისთვის ნათელია

რომ თვით დავითისა და თამარის დიდი სახელმწიფო ნიკოპსიიდან დარიალამდის გადაფენილი, იბრძოდა და ქმნიდა არა მარტო სისხლით ქართველობის, არამედ იმ არაქართული მოდგმის ხალხების თანადგომითაც, რომელნიც ქართული ენის და ქართული კულტურის თანაზიარად სთვლიდნენ თავიანთ თავს.

უჭკვიანესი ქართველი პოლიტიკოსები და მეფეები მუდამ იმის ცდაში იყვნენ, კავკასიის არაქართული მოსახლეობაც დაეინტერესებიათ ქართული სახელმწიფოს დაცვის საქმითა.

დავით აღმაშენებელი დახმარებას უწევდა სომხებს, მან სომეხი მწიგნობრების თხოვნით გაანთავისუფლა ანისი სელჯუკთა მონობისაგან. პაპა მისი ბაგრატ IV-ეც სომხებთან პოლიტიკურ სოლიდარობის წყალობით ვაუკაცურად ებრძოდა და ამარცხებდა სელჯუკებს.

ბაგრატ მესამის დროს სომეხ-ქართველთა შეერთებულმა ჯარმა მრავალგზის შემუსრა განჯის ამირა ფალდონი.

დავით აღმაშენებელი მამობრივ მზრუნველობას უწევდა კავკასიელ მუსლიმებსაც, შირვანელებთან კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდა, ოვსნი, ჩერქეზნი და კავკასიის სხვა მთიელნი ისე მიიყვავილა, ამ მეგობრობის მეოხებით მან შესძლო დიდგორთან 1020 წელს დაემარცხებინა სელჯუკთა, ირანელთა და არაბთა კოალიციის დიდი არმია, რომელიც არაბ ისტორიკოსების მოწმობით 300.000 აღემატებოდა.

სომხებს ეხმარებოდა თამარიც. სომეხი სპასალარები მისნი და დესპანები ერთგულად იბრძოდნენ და იღვწოდნენ საქართველოს მთლიანობის დასაცავად.

სომეხთა თანამდგომი იყო ერეკლე მეორეც. მასვე მტკიცე მეგობრობა ჰქონდა შირვანისა და განჯის სახანოების და ყაზახ ბორჩალოს მუსულმანებთან. (ყაზახ ბორჩალოს თათრებს შორის შაირებიცაა გამოთქმული ჩვენი პატარა კახის მამაცობის გამო).

ასევე ძველია და მტკიცე ჩვენი კავშირი და მეგობრობა რუსის ხალხთან, რომელიც არა ერთხელ წამოგვშველებია როცა ირანისა და ოტომანთა იმპერიის აგრესორები წეწდნენ საქართველოს. დაუვიწყარი ღვაწლი დაგვდო რუსის ხალხმა 1800 — 12 წლებში, როცა დაღესტნის ყაჩაღი ხანები ქართველ ხალხს აწიოკებდნენ.

ეს ყოველივე უკარნახებს ქართველ ხალხს მედგრად ვიბრძოლოთ ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ, რომელთაც ისეთი გაუგონარი სისხლის წვიმები დააყენეს მთელს ევროპაში, იდილიად მოეჩვენება მომავლის ისტორიკოსებს ფაშისტების მხეცობის, იმ სადისტური წამების პირისპირ, რომელსაც ისინი ჩადიან არაარიელ ბავშვების, ქალების, მოხუცების მიმართ, მურმან ყრუს, თემურ ლენგის და ჩინგისხანის მიერ ჩადენილი საშინელებანი.

მთელი კაცობრიობის პროგრესსი, ეროვნებათა განთავისუფლების დიდი საქმე მოითხოვს ჩვენგან უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ ფაშისტი კანიბალების წინააღმდეგ, რათა ადამიანთა მოდგმა გადარჩეს ამ გაუგონარი ტირანიის მონობას და მათი ბნელი იდეოლოგიის ყოვლად სამარცხვინო პრაქტიკას.

*
* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის ერების გზა ერთად ერთი გზაა ეროვნებათა ფედერაციისა, გზა ჭეშმარიტი კაცობრიული პროგრესისა. ეს გზა გაკვალულია ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის მიერ.

საბჭოთა კავშირის რუკაზე თავისი ადგილი აქვს არა მარტო დიდი წარსულისა და დიდი კულტურის ერებს, არამედ ისეთებსაც, რომელთაც ისტორიის უკულმართობის მეოხებით დღემდი არ ჰქონდა საკუთარი სახელმწიფო, არც ლიტერატურა გააჩნდათ საკუთარი და არც ალფაბეტი.

დღეს ამ ერებს საკუთარი სახელმწიფო დაუმკვიდრეს, საკუთარი ალფაბეტი შეაქმნევინეს, იმავე ლენინ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის მეოხებით ამ ერებმა შესძლეს ნაციონალური მწერლობის, მხატვრობის, თეატრის და მუსიკის დაფუძნება და აღორძინება.

რომელი გზაა უფრო პროგრესიული და ადამიანური, ჩვენი გზა თუ გზა ფაშისტებისა, რომელთაც მიცკევიჩისა, კოპერნიკის და შოპენის სამშობლოს „აღმოსავლეთის საგუბერნატორო“ დაარქვეს?

ჩვენი გზაა—გზა სიმართლისა, მიტომაც ჩვენს მხარეზეა მთელი პროგრესიული კაცობრიობა, ამიტომ გავიმარჯვებთ კიდევაც ჩვენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზ. ედილი

საინგილო

ხალხის ყოფა-ცხოვრება *)

ქურმუხის დღესასწაული — მისი მნიშვნელობა ინგილოთა ცხოვრებაში.—ცრუმორწმუნებანი.—ჩაცმა-დახურვა მამაკაცთა. — ქალების ყოველდღიური ტანისამოსი.—იმარათი ანუ სადღესასწაულო მორთულება.—ნიშნობა.—ქორწილი.—პატარძალი ოჯახში. — მშობიარობის საშინელი პირობები. — მკვდრის დასაფლავების წესები.

ყველაზედ დიდ გართობად და დღესასწაულად საინგილოში ქურმუხობა ითვლება. ე. ი. ქურმუხის წმინდა გიორგის დღესასწაული, ეს ერთადერთი დღესასწაული ღა არის მთელს საინგილოში დარჩენილი უძველეს დროიდან. ინგილოსა სწამს, სჯერა, რომ ქურმუხის წმინდა გიორგი არის მისი მფარველი, მწყალობელი და მამაპაპათა სალოცავი. ქურმუხისათვის ინგილო მთელი წლის განმავლობაში ემზადება, ყოჩს ან მსხვილფეხა საქონელს საგანგებოდ ამ დღისთვის ასუქებს და საუკეთესო ღვინოს ცალკე ქოცოში ინახავს და ძველი დაგლეჯილი ტანისამოსით მის კარზედ არ გამოჩნდება. ყველა ცდილობს დღესასწაულზედ თავი გამოიჩინოს, ყველას კარგად გამოწყობილი და მხიარული ეჩვენოს. დიდი და პატარა, ქალი და კაცი ცდილობს ერთმანეთს არ ჩამორჩენ და ქვეყანას თავი ლამაზი, კოხტა და კმაყოფილი აჩვენოს.

თვით ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია მშვენიერ, მიმზიდველ ადგილს მდებარეობს. მთის მაღალ ფერდობს გარემოცულს მშვენიერის ტყით ამშვენებს ეს ეკლესია. აქიდან ხელისგულივით მოსჩანს საინგილო და ყოფილი შუქის (ნუხის) მაზრის თითქმის ნახევარი. შორს კიდევ ალაზანი და შირაქი თავისის თვალუწვდენი ველ-მინდვრებით. დღესასწაული 10 ნოემბერს იცის, გრილა, მთის სიო ხეობიდან მოჰქრის, გაცრეცილ ხეებს გაყვითლებული ფოთლები სცვივათ, მდინარიდან გამოყვანილი არხები და ნაკადები საყვარლად ლიკლიკებენ.

ქურმუხზედ სალოცავად ყველანი დაიარებოდნენ, როგორც ქრისტიანი, ისე მუსულმანი ინგილოები, თათრებიც, სომხებიც შუქიდგან და ზაქათლიდან. ქურმუხის წმ. გიორგი საერთო სიწმინდედ ითვლებოდა და ყველა საინგილოში მცხოვრები ეროვნების წარმომადგენელი თავის მოვალეობად სთვლიდა

*) გაგრძელება. იხ. № 8.

იქ მისულიყო და იმ დიდი ლოდისთვის, რომელიც ეკლესიის გვერდით არის აღმართული, თაყვანი ეცა.

ხალხი წინადღითვე მიდის და იკრიბება ქურმუხის ეკლესიაში. ორგვლივ, ტეიმი ურემს მისდევს, ცხენოსანი ცხენოსანს და ეტლი ეტლს შუქიდანა და ზაქათალიდანა. მისულნი ძირს სწორე ადგილზედ თავსდებიან და ღამეს ათევენ. წმ. გიორგის ეკლესიასთან ასვლა და იქ ღამის თევა შეუძლებელია, რადგან დიდი აღმართი არის ასასვლელი და არც საურმე გზა არის, შარაგზიდან მასთან მხოლოდ ვიწრო, საცალფეხო გზა შესდევს. მეტად მშვენიერი სანახავია ეს ღამის მთეველთა ბანაკი, ყველგან ცეცხლია გაჩაღებული, ჩარდახიან ურმების ირგვლივ, ხორაგით სავსე სუფრას იქვე მთელი ოჯახი შემოსხდომია და მხიარულ შექცევასა და სჯა-ბაასში დროს ატარებენ. აქა-იქ მეფანდურე კვნესია, ზედ თათრულ ლექსებს ამღერებს, იგონებს იმ წყეულსა და პირქუშ დღეებს, როცა ასეთ დროს გატარებას მოკლებულნი იყვნენ ინგილონი. ამ ღამეს მხიარულად და სიამოვნებით ატარებენ. აქ ხვდებიან თავიანთ შორეულ ნათესავებს, მეგობრებს, დიდის ხნის უნახავ ძველს ნაცნობებს და მათთან ერთად დროს ატარებენ.

მეორე დღეს, ინათებს თუ არა, პირჯვარს გადაიწერენ და ეკლესიისაკენ გაეშურებიან. თან მიჰყავთ თავიანთი ზვერაკაც, მღვდელი იმას აკურთხებდა, სანთლით ბალანს შეუტრუსავდა, შემდეგ პატრონს მიჰყავდა და ჰკლავდა. წირვის შემდეგ იწყებოდა ნამდვილი დღესასწაული.

ამ დღესასწაულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინგილოსათვის. ხალხი აქ არაჩვეულებრივ განცხრომას და თავისუფლებას გრძნობს, დიად ბუნებასთან ერთად ისიც ლაღობს, სიამოვნებით ივსება. ამ დღეს ივიწყებს ყოველივე განვლილ ჭირვარამს, ცხოვრების სიდუხჭირეს და ისე აქვს გული და გონება გახარებული, თითქოს მასზედ უდარდელი და ბედნიერი ქვეყანაზედ არავინ იყოს. ეს იშვიათი ბედნიერი დღეა მის ცხოვრებაში და ისიც მხიარულობს, ლაღობს და თავდავიწყებას ეძლევა. ქურმუხის ირგვლივ ყველგან გაშლილი სუფრაა, ყველგან დაუსრულებელი მხიარულება, ზურნა გრიალებს, დუდუკი კვნესის. მათ ირგვლივ ახალგაზრდობას წრე შემოუვლია და გაუთავებლივ შიპრობენ (ცეკვავენ).

აი გამოვიდა კოხტად ხელგაშლილი ახალგაზრდა პატარძალი, ხავერდის ლაბადაში გამოწყობილი. ჟღრიალა იმარათით შემკული, ფეხებს ასრიალებს, თითქოს დედამიწას არც კი აკარებს, ხელებს მოხდენილად კვანწავს, ციბრუტივით ტრიალებს, მაგრამ მას შიპრობას აღარ ათავებინებენ; უცებ გვერდიდან შურდულივით გამოხტება ახალგაზრდა გასათხოვარი ქალიშვილი, მოტცხვად შლის ხელებს, თვალებს ლულავს და შიპრობას ეცილება პირველს. ხალხში მხიარული სიცილი გაისმის, ტაშის გრიალი მიდამოს აყრუებს.

დღესასწაულზედ ჭიდაობა, ცხენით ჯირითი და სხვა რამ გართობა არ იციან. წყნარად შეიყრება ხალხი დროს გასატარებლად და წყნარადვე დაიშლება ხოლმე.

ერთგვარ გართობას, დროს გატარებას წარმოადგენდა ქრისტიან ინგილოებში აღდგომაც. ამ დღესასწაულს აქ თავისებური, ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა.

მთელი ოჯახი ადრიანად, თითქმის მამლის ყივილობას იღვიძებდა და პირს იხსნილებდა ღორის ხორცით. ინგილოებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდის ღორი სახლში არავისა ჰყავდა, თათრების მორიდების გამო, რომელთაც

ოჯული უკრძალავდა ღორის ხორცის ჭამას. ამიტომ ინგილოები სხვაფრივ იკმაყოფილებდნენ ამ მოთხოვნილებას. აღდგომის წინადღეებში მიდიოდნენ სურაქში (სანადიროდ), მოედებოდნენ მთაღრეს, უმთავრესად ეკ ეკრ ეკ ეკ ჭალებს, ჰხოცავდნენ გარეულ ღორებს, ერთმანეთში ინაწილებდნენ და ამით იხსნილებდნენ. ეს ჩვეულება ე. ი. ღორის ხორცით გახსნილება, მტკიცედ იყო დაცული ბოლო დრომდე. მოხარშულს ღორის ხორცს პირველად ცოტას გაღეჭავდნენ, გამოაფურთხებდნენ და იტყოდნენ: — „ლეკო დაგჩეხ". ამ სიტყვებსავე იმეორებდნენ ლეკის დანახვაზედ აღდგომის პირველ დღეს.

შემდეგ მთელი ოჯახი სადღესასწაულო ტანისამოსში გამოწყობილი, სანოვაგით სავსე ხონჩით მიდიოდა საგვარეულო საყდარში. ამ დღისთვის ყოველი ოჯახი ჰკლავდა ცხვარს, ბატკანს, ან კიდევ საგანგებოდ გასუქებულს ფრინველს და ასეთის ძღვენით მიდიოდა საყდარში. ინგილური საყდარი ხეების ჯგუფს ანუ ჭალას წარმოადგენს, სადაც ერთს დროს მართლა პატარა საგვარეულო საყდარი ყოფილა, ეხლა კი ან სულ არაფერია ამ საყდრისა, ან მცირეოდენი კედლები და საძირკველიღაა დარჩენილი. ამ ნასაყდარის კედლებზედ ანთებდნენ სანთელს, საკმეველს აკმევდნენ და ლოცვა-ვედრებას შესწირავდნენ ღმერთსა. ამის შემდეგ დასხდებოდნენ და მიტანილს სანოვაგეს შეექცეოდნენ ერთად,—მთელი გვარეულობა. აქვე მიჰქონდათ ხოლმე წითლად შეღებილი კვერცხები. აღდგომის მილოცვა „ქრისტე აღდგომით" და „ჭეშმარიტით" აქ არ იცოდნენ, ამის მაგიერ ეტყოდნენ ერთმანეთს: — „მოგილოცავ გახსნილებას, ქურმუხის წმ. გიორგიმ და მარიამ დედამ მრავალ ამ გახსნილებას დაგასწროთ ბახლებით (ბავშვებით) დორთიანათ".

ცრუმორწმუნეობა. ცრუმორწმუნეობას საინგილოში ჯერ კიდევ აქვს ადგილი, მკითხავები კარგა ხანია თუმცა აღარ არსებობენ და ახალთაობამ არც კი იცის რა არის მკითხავი და რას აკეთებს ის, მაგრამ ხსოვნა კი მკითხავ დედაკაცებისა, ჯერაც კიდევ შენახულია საინგილოში. სოფ. კაკში ყოფილა სახელგანთქმული მკითხავი ხანუმა სარდარაშვილი, რომელსაც დიდი სახელი ჰქონია გავარდნილი მთელ საინგილოში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საჭირო შემთხვევაში ინგილოები ეხლა თათრის მოლებსაც მიჰმართავენ ხოლმე, ისიც ქალების დაჟინებით იმ მოთხოვნით, იმ დროს თუ ოჯახის რომელიმე წევრი განსაკუთრებით ბავშვი გახდა ავათ. მოლა დუვას (ლოცვას) ქალალდის ნახევზედ დაუწერს, პატრონი ნაჭერში ახვევს დაწერილებს და ყელზედ ჩამოჰკიდებს ავადმყოფს. ოჯახის პატრონს მოლა არწმუნებს, რომ ისეთი ლოცვა დაუწერე, რომ ბავშვი აუცილებლივ მორჩებაო. მოლა თავის გასამრჯელოდ რამდენიმე აბაზს აიღებს და გზას გაუდგება.

ავადმყოფის მკურნალად მიჩენილი იყო ძველადვე (საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე) დიდი ასწლოვანი ხეები. საინგილოში ზოგიერთ ადგილას დღესაც ნახავთ ტლუთ გაშვებულს პატარა ჭალებს, რომელნიც ბებერის ხეებისაგან შესდგებიან და რომელთაც ხელს ვერავინ ახლებს, თუ თითონ არ გახმენ და არ ჩამოიმტვრენ. ეს ხეები წმინდანებად მიაჩნიათ და ჰგონიათ რომ მათ შეუძლიან სხვა და სხვა ავადმყოფობის მორჩენა. ყველა გამვლელი თავის მოვალეობადა სთვლიდა, რომ რამე რკინეული, ლურსმანი იქნებოდა თუ ცხენის ნალი ჩამოეკიდნა ხისთვის, აგრეთვე ჩითის ნახევი და ბამბის ძაფი შემოეხვია ხისთვის. ხშირად ისეთ შემთხვევებში, როცა საქონელს შარდი შეეკვრებოდა ან მუცელი გაებერებოდა, პატრონი ექიმს არ მიმართავდა, არამედ წაიყვანდა

ამ ხეებთან, რამდენჯერმე ირგვლივ შემოატარებდა, მარილს დაუყრიდა ხის ძირას და აალოკებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ოჯახს ყვავილი ან წითელა შეუდგებოდა, მაშინ ხონჩაზედ დაუყრიდენ ლავაშებს, წითლად შეღებილს კვერცხებს, ერთ ჯამ თაფლს და კორთეს ზევით დადგამდნენ. ამას იმ მოსაზრებით სჩადიან, რომ ყვავილისა და წითელას დედა ხონჩაში დაიბუდებს და ავადმყოფს არაფერს ავნებს. ამასთანავე, სადაც ავადმყოფია, სიწყნარე უნდა იყვეს, ხმამაღლა ლაპარაკი არ შეიძლება, აგრეთვე ავადმყოფის ოთახში რამის მოხარშვა და განსაკუთრებით ხორცის, არ შეიძლება, რადგან ყვავილს ეს არ ესიამოვნება და ავადმყოფობა უფრო ძნელდება. ავადმყოფს რგებს ნელად ჩონგურის დაკვრა, ზედ წყნარადვე დამღერება. თუ ავადმყოფობა კარგად გაივლის და არავის დააზიანებს, მაშინ ზემოხსენებულ ხონჩას სანოვაგით ქუჩაში გასდგამენ და გამომვლელ-გამვლელს შესთავაზებენ.

ხალხში გავრცელებული იყო აგრეთვე ჯადო, ანუ მოჯადოება. მაგალითად ვინმე ახალგაზრდა თხოულობს რომელიმე ქალიშვილს, მაგრამ ქალიშვილი თავგამოდებულია და არასგზით არ მიყვება მთხოვნელს. მაშინ ქალის თმას მოპარვით წაიღებენ მოლასთან და შეალოცვინებენ. ქალი მაშინ სიამოვნებით გაჰყვება ვაჟს. ან კიდევ ჯვრის წერის დროს ნაბდიდამ ბეწვს გამოგლეჯავენ მეფეს, მოლას შეალოცვინებენ და ჯვარდაწერილებს შვილი არ გაუჩნდებათო.

ჩაცმა-დახურვა მამაკაცისა ბევრ არაფრით განირჩევა ქართლელ ან კახელ გლეხთა ჩაცმულობისაგან, იგივე ჩოხა, ახალუხი, ქალამანი. ეს კია, რომ კაცებს ზამთარია თუ ზაფხული რამდენიმე ახალუხი აცვიათ ერთმანეთზედ, რომელთა საკინძები მუდამ გახსნილი აქვთ ცივა თუ ცხელა. ახალუხზე აცვიათ ჩოხა ან „ჩერქეზკა“, რომელიც ადგილობრივ დამზადებულ შალისაგან იკერება. ჩოხისათვის იხმარება უბრალო, უხეში, სქელი შალი, რომელსაც ყოველი ოჯახი თითონ ამზადებს, ხოლო „ჩერქეზულისათვის“ წმინდა, ნაზი, საუცხოვო შალი, რომელიც მუხარის ხეობაში და დაღესტნის მთის სოფლებში მზადდება. ჩოხა ჩვეულებრივი, მუდმივი სამოსელია ინგილოსი, ის ისეთივე მოყვანილობისა და ფორმისაა, როგორსაც ქართლ-კახეთში ვხედავთ. სადღესასწაულო ტანისამოსად კი „ჩერქეზული“ ითვლება, რომელიც ჩვეულებრივ კოხტა და ლამაზია. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი მასრები. მასრებს ყოველთვის მოვარაყებული ვერცხლის თავები აქვთ და ზედ გამობმულ მრგვალ ყურში ვერცხლისავე წვრილი ძეწკვი. სიგრძე ამ ძეწკვებისა 3-4 გოჯს არ აღემატება, ერთად იკინძება მათი ბოლოები და მასრებიდგან ცოტა დაშორებით ვერცხლისავე ვარსკვლავით ანუ ქინძისთავით არის დაბმული-დამაგრებული ზევით „ჩერქეზკაზედ“. ასეთნაირად დამაგრება სილამაზესაც აძლევს და სიმაგრესაც მასრებს. ბუდიდან ამოვარდნილი მასრი არასდროს არ დაიკარგება, რადგან იგი ვერცხლის ვარსკვლავს მაგრად უჭირავს. წელზე შემორტყმული აქვთ წვრილი ქამარი, არა იშვიათად ვერცხლით შელამაზებული და ზედ ჰკიდიათ ხანჯალი. ხანჯალი განუყრელი მეგობარია ინგილოსი, უმისოდ არც ერთი ინგილო არ გაივლის, ახალგაზრდაა ის თუ ბებერი. უნდა კი ითქვას, რომ აქ ხშირად უშნო და უხერხულ დიდ ხანჯლებს ატარებენ. უყურებთ ამ ხანჯლებს და გიკვირთ თუ როგორ არშიობენ ამოდენა ხანჯლებს და როგორ არ უშლით მუშაობის დროს. თავზედ ახურავთ ცხვრის დიდი ფაფახი ყველას, დიდსა თუ პატარას. ზაფხულის დიდ სიცხეებშიც კი არ იშორებს ინგილო ამ ფაფახს და ისეა მას შეჩვეული, რომ ხშირად ღამითაც კი იმითი იძინებს. ამის გამო თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამ ჩახურებულია, უსუფთაოდ არის და სიქაჩლე არა იშვიათი სტუმარია აქაურობისა.

მთიან ადგილებში ზამთარში ხალხი იცვამს კარგად გამოსულ და მთელილის ტყავისაგან შეკერილ ქურქებს. ამ ტყავებში ეწყობიან ხშირად ქალებიც. უფრო შეძლებულები იცვამენ ზამთარში ბურუმა ქურქებს, ეს ცხვრის საუკეთესო ტყავისაგან შეკერილი წამოსასხმელი გრძელი ქურქია, რომელიც თითქმის ძირამდის ჩამოსთრევს ადამიანს. ამ ბურუმა ქურქს აქეთ-იქიდან ვიწრო და გრძელი სახელოები აქვს გამობმული შნოს გულისათვის, რადგან სივიწროვის გამო შიგ ხელის გაყრა შეუძლებელია. ამ ბურუმა ქურქებს განსაკუთრებით ლეკები იცვამენ მთის ცივ ადგილებში, ინგილოებში კი მას ვერა ნახავთ.

ზოგან ხელმოკლე ხალხი კმაყოფილდება ერთგვარი იაფი ტანისამოსით, რომელსაც ჩოფუზს ეძახიან. ჩოფუზი გაუთელავი თეთრი ნაბდისაგან ანუ ქეჩისაგან არის შეკერილი, მოკლე სახელოები აქვს და სიგრძით მუხლებს არ გასცილდება. ჩოფუზი მეტის-მეტად მოუხეშავი, ხმელი ტანისამოსია, მატყლის ნარჩენისაგან გაკეთებული და ძნელი საარშიო. ის ტანს ახრავს ადამიანს და კაცი მართლა ძალზე ღარიბი უნდა იყვეს, რომ ეს უხეში ტანისამოსი ჩაიცვას.

ყაბალახის ხმარება საინგილოში სრულიად არ იციან. ფეხსაცმელად გარდა ქალამნისა, რომელიც ისევეა ამოსხმული, როგორც ქართლ-კახეთშია მიღებული, ჩუსტების ხმარებაც შემოვიდა ამ ბოლო დროს. წინდები ხშირად ფერადი ძაფებით აცვიათ, სურათოვანი.

ინგილო ქალთა ჩაცმა-დახურვა დიდათ განსხვავდება არა თუ საქართველოს სხვა ადგილებთან შედარებით, არამედ საინგილოში მცხოვრებ სხვა ერებისაგანაც. აქაურ ქალის დანახვაზედ უპირველეს ყოვლისა თქვენს ყურადღებას იპყრობს ძალზედ განიერი ფართო შარვალი, რომლის მსგავსიც ძველად წვრილ ვაჭრებს ეცვათ ხოლმე თბილისში. ეს შარვლები ჩვეულებრივი ჩითისაგან იკერება და არასასიამოვნო შესახედავია. ტოტები ამ განიერის შარვლისა ჩატანებული აქვთ გრძელ ყელებიან წინდებში, რომელნიც ხშირად სხვა და სხვა ფერის ძაფებით არის ხოლმე დასურათებული. ასეთს შარვლებში არის გამოწყობილი დიდი და პატარა კაკის რაიონში, ალიაბათისაში კი ვერაფერს ამგვარს ვერა ნახავთ. აქ, პირიქით, ქალებს ძალზედ ვიწრო შარვლები აცვიათ და არც წინდებში აქვთ ტოტები ჩატანებული. აქ შარვლებს ქალები აბრეშუმისას ან კანაუსისას იკერავენ, რომლის ტოტებსაც ძირს ბრტყელი ყვითელი ბუზმენტი აკერია.

ჩვეულებრივი ქართული კაბის ჩაცმა საინგილოში მიღებული არ არის, მის მაგივრობას სწევს ლაბადა. ლაბადა იგივე ახალუხია, ისეთივე, როგორიც კაცებს აცვიათ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უფრო გრძელია, უკან ბევრი ნაოჭები აქვს და მოკლე, 3-4 გოჯის სიგრძე სახელოები. სახელოების მაგივრობას სწევს პერანგი, რომელიც მთლიანად ჰფარავს მკლავებს. გარდა ამისა, ლაბადას არა აქვს საყელო, წინიდან გული მთლად ღიაა, მარტო პერანგის ამარაა და მხოლოდ წელთან იკვრის ორივ ტოტი ლაბადისა დოგმებით ან ბაწრით. ლაბადა ჩვეულებრივ ჩითისა იკერება ხოლმე. წინ ჩამოფარებული აქვთ მაიზარა, ანუ გულის საფარი. მაიზარა მთლიანად ჰფარავს გულ-მკერდს და ჩაგრძელებულია მუხლებამდის, ისე რომ ლაბადაზე უფრო გრძელია. მაიზარაზედ გულთან ჰკიდიათ ხელზე გასაღებები სახლისა, სკივრისა და ხელში სახ-

მარი ჯიბის დანა. ქალების გიშრის თმები ორ უმთავრეს ნაწნავად ანუ როგორც ინგილოები იტყვიან წიწილებად იყოფება, ქვემოთ თითო მათგანი ოროლად ნაწილდება. თავზედ მოხვეული აქვთ თხელი რამ, რომელიც დოლბანდს მიაგავს და, რომელსაც აქ ჩიქილს ეძახიან. ინგილო ქალები ფეხთ იცმენ ქოშებს, უფრო ხშირად კი ჩუსტებს, მაგრამ რამდენადაც ალაზანს უახლოვდებით, აქ ქალები ხშირად ფეხშიშვლები დაიარებიან ზაფხულში მაინც, რაც უფრო იმითი აიხსნება, რომ წინდებში და ჩუსტებში ფეხები უცხელდებათ და უოფლიანდებათ. ეს არის მუდმივი შინაური ტანისამოსი ინგილო ქალისა, მაგრამ დღეობაში და წვეულებაში სულ სხვანაირად ირთვება და ათასნაირად იმოსება, რომელსაც საერთო სახელს იმარათს ეძახიან. იმარათი ვერცხლის მორთულობაა და გულ-მკერდისა და თავის დასამშვენებლად ხმარობენ. აი ეს მორთულებაც: ვ ი ს ტ ო რ ი, რამდენიმე რიგ წვრილ ძეწკვისაგან შემდგარი თავის სამკაულია, რომელსაც, წინ შუბლთან რამდენიმე პირად ჩამოკიდებული აქვს ვერცხლის ჟინჟღილები და ორშაურიანები.

ი ლ გ ა გ ი, წარმოადგენს გულზედ ჩამოსაკიდებელ ერთმანეთზედ გადაბმულ ვერცხლის ფულებს, რომელთა რიცხვიც ზოგჯერ სამოცამდის ადის. ილგაგისათვის ხმარობენ ვერცხლის აბაზიანებს, რომელთა შორისაც არა იშვიათად შეხვდებით ძველ ქართულ აბაზიანებს, რომელსაც აქ ჩუთის ეძახდნენ ძველად. ილგაგი ფართო და განიერი კეთდება, ისე, რომ მთელ გულმკერდს ფარავს სიგრძე-სიგანეზედ.

სადღესასწაულო მ ა ი ზ ა რ ი აბრეშუმის ან ხავერდისა იკრება, აქეთ-იქით გვერდებზედ ჩამწკრივებული აქვს პატარა ვერცხლის სურები, რომელთაც ინგილოები ღილებს ეძახიან. ბაიზარასვე მთელ ქვედა პირზე რამდენიმე რიგად ჩამწკრივებული აქვს პატარა ვერცხლის ჟინჟღილები შნოსა და სილამაზისათვის.

სადღესასწაულო პერანგს აქვს წინ ყოშები, რომელიც ხელების ზედაპირსა ჰფარავს და ირგვლივ შემოვლებული აქვს პატარა ვერცხლის ჟინჟღილები. იმარათისავე კუთვნილებას შეადგენს ვერცხლის ბრტყელი ქამარი, რომელზედაც დამაგრებულია რამდენიმე რიგათ ვერცხლის აბაზიანები. ეს ქამარი მეტად მძიმეა და ერთის შეხედულობით მოგაგონებთ თბილისის წვრილ ვაჭრების ქამრებს, ძველად რომ ატარებდნენ.

ასეთს ტანისამოსში გამოწყობილ ქალის მოძრაობაზედ ნელი ჟღარუნი გაისმის. ამასთანავე ეს ტანისამოსი მეტად მძიმეა, თანდათან გამოდის ხმარებიდან და ბოლო დროს იგი იშვიათად გვხვდება საინგილოში. ასეთია საზოგადოდ ინგილო ქალის სადღესასწაულო მორთულება-სამკაული. მაგრამ საინგილოში ყველგან მეტნაკლებობით ასეთს ტანისამოსს კი არ ატარებენ. ალიაბათის ნაწილში, ამ ტანისამოსს ზევიდან იცვამენ კიდევ სხვასაც, რომელსაც ქათიბს ანუ ქულაჯას ეძახიან. ზედაპირი ქათიბისა აბრეშუმისა ან ხავერდისაა და ირგვლივ კალთებზედ, სახელოებზედ და საყელოზედ შემოვლებული აქვთ გოჯნახევრის სიგანე ბატკნის ან ტურამელის მოთელილი ტყავი. ალიაბათისავე ნაწილში, მხოლოდ ზოგიერთ სოფლებში ხმარობენ ეგრედწოდებულ ლექლარს. ლექლარი იგივე ახალოხია, რომლის გრძელი სახელოები უკანა აქვთ გადაგდებული და კალთებიც ირიბათ უკანა აქვთ შეკეცილი. გარდა ამისა ვისტორის მაგივრად ზოგიერთს სოფლებში ხმარობენ შუბლ-საკრავს, რომელიც ერთის შეხედვით ჩიხტს მოგაგონებთ, მაგრამ ეს იგივე აბრეშუმის გრძელი თავშალია რამდენიმე პირათ შეკეცილი. სოფ. კაკში კიდევ სრულიად არ იციან

ბრტყელი ქამრების ხმარება. საყურეებს აქაური ქალები სრულიად არ ხმაროობენ. სამაჯურებიც იშვიათად იციან. ბეჭდებს კიდევ უფრო ქალები ატარებენ, ისიც ერთ-ორ წელიწადს გათხოვების შემდეგ. კაცები კი ბეჭდს მარტო ბეჭრის წერის დროს იკეთებენ. ყველა ესენი, სამაჯურიც და ბეჭდებიც ვერცხლისანი არიან. საზოგადოთ ოქროს რამე სამკაულს აქაურს ხალხში ვერ ხახავთ.

ნიშნობა და ქორწილი. ინგილოთა ჩვეულებებში ყველაზედ უფრო მეტი ეროვნული ელფერი და თავისუფლება ქორწილსა და ნიშნობას შერჩენია. იგი სავსებით მოგვაგონებს ძველებურ ქართულ მამაპაპურს ქორწილს, რომელიც თავის პირვანდელის სახით საინგილოში შენახულა. თუმცა დღეს ბევრნი სავსებით ისე აღარ დღესასწაულობენ ქორწილს, როგორც ძველად და ძრავალ წვრილმანს აღარ მისდევენ, მაგრამ ჩვენ მაინც ვეცდებით სრული სურათი წარმოუდგინოთ მკითხველს ინგილოურის ქორწილისა.

უპირველეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ საინგილოში, ისევე, როგორც ძველს საქართველოში, ბევრგან დღესაც აკვანშივე ნიშნავენ ბავშვს. — „ჯან, შენი გადაი (ბიჭი) კაის (კარგიო), ჩონ ქალ მიაცემელი ვართ“, ეტყვის ერთი დედა მეორეს.—„ჩონ გადა კაის, თქვენ ქალ სათხოვნელი ვარ“, მიუგებს მეორე და ამ დღიდან დაბეებულად ითვლებიან, მაგრამ უფრო ხშირად 8 — 10 წლის ბავშვებს ნიშნავენ. დანიშვნამდის ირჩევენ მაჭანკლებს, რომელიც ქალიშვილის მახლობელ ნათესავთაგანი უნდა იყვეს, სიძე ან დედის ძმა — მაჭანკალი მიდის ქალიშვილის მშობლებთან და თუ საქმე მოაგვარა და დაითანხმა, მაშინ ვაჟის სახლიდან გაგზავნიან წინასწარ ნიშანს, ან საწინდარს. ეს საწინდარი შესდგება ერთის აბრეშუმის ქალალაისაგან, რომელშიაც გახვეულია ერთი მანეთის ვერცხლის ფული, კამფეტი და ქიშმიში.

ქალის მშობლებს საწინდარს რომ მიუტანს, მაჭანკალი თან დაეკითხება, როდის მოგიტანოთ ნიშანიო. დანიშნულს დღეს ბიჭის სახლში მიიწვევენ ყველა ნათესავებსა და მეზობლებს. დილიდანვე მთელი ოჯახი სამზადისშია; აცხობენ პურს, ნაზუქებს, ამზადებენ საკლავს, ღებავენ წითლად კვერცხებს, თავს უყრიან ნიშნათ წასაღებ ძღვენს.

მთელი დღე მხიარულება-შექცევაში არიან. სუფრაზედ მაჭანკალს საპატიო ადგილი უჭირავს. და ნიშნად პატივისცემისა მოხარშულს დედალს მიართმევენ. ამ შექცევის დროს ფულს აგროვებენ პატარძლისათვის, პირველად მამათილი ანუ ბიჭის — სასიძოს მამა უნდა ჩამოვიდეს. ამ დროს მაჭანკალი დაუყვირებს: „მამამთილი უგზავნის პატარძალს ამდენსა და ამდენსო“, რაზედაც ყველანი ერთხმად უპასუხებენ „ააშენოსო“, ყველანი რიგ-რიგობით ჩადიან სასძლოსათვის ფულს. ზოგი ფულის მაგიერ სხვა რამ საჩუქარს უგზავნის, სამაიზარებს, მძივებს, სამაჯურს, სარკეს, სავარცხელს და სხვა ნივთეულობას. ბოლოს ფულსაც სთვლიან და ყველა ამას მაჭანკალს აბარებენ. ასეთს შექცევასა და დროს გატარებაში არიან საღამომდის. ამ დროისთვის უკვე დამზადებულია ნიშანი და ძღვენი სასძლოს ოჯახში წასაღებათ, ესენია ქალალაია, რომელშიაც შეხვეულია 2-3 მანეთამდის ვერცხლის ფული, ვერცხლის ან ოქროს ბეჭედი, ორი კილო კამფეტი, ქიშმიში, თხილი, წაბლი, სავარცხელი, პატარა სარკე. თან ატანენ აგრეთვე 40 ნაზუქს, 30 წითლად შეღებილს კვერცხს, ერთს ცხვარსა და რამდენიმე ჩაფ ღვინოს.

ყველა ამაებს ხურჯინში ალაგებენ, შემდეგ ბინდისას ურმით ან ცხენით მიაქვს მაჭანკალს სასძლოსთან, მაჭანკალს თან აყოლებენ ქალის მახლობელ ნათესავს,—ბიძაშვილს ან დეიდაშვილს. როცა სახლიდან ურემი დაინძრევა, მა-

შინ გაისვრიან თოფს, შემდეგ ისევ გასტენენ, მივლენ თუ არა სასძლოანთსა, იქაც ერთხელ გაისვრიან და ამით შეატყობინებენ თავიანთ მისვლას. თოფის ხმაზედ გამოეგებებიან სახლის პატრონნი, რომელთაც მოსულნი მისალმებისთანავე ეტყვიან: — „ღმერთმა ბახტიანი (ბედნიერი) გაგხადოთ“.

მიტანილს ნიშანსა და ძღვენს სახლში შეიტანენ, დაჰკლავენ მიყვანილ ცხვარს და ვახშმის თადარიგს შეუდგებიან. ამ დროსთვის ქალიანთაც მიწვეული ჰყავთ მახლობელი ნათესავები და მეზობლები ვახშმათ. როცა ყველანი ვახშმათ დასხდებიან, ქალის მახლობელი ნათესავები, ან დედ-მამა ამოალაგებენ ხურჯინს და ჩამოურიგებენ სუფრაზედ ნაზუქებს და სხვა მოტანილს სანოვაგეს. შუა ვახშამში რომ შევლენ, ამოიღებენ ქალაღაიას, რომელშიც შეხვეულია სასძლოსთვის გამოგზავნილი საჩუქრები და თან ასახელებენ ვის რა გამოუგზავნია, ან რამდენი ფული გამოუტანებია.

ამ მხიარულებას თვით სასძლო არ ესწრება, ის სხვაგან სადმეა მიმალული და ძალიან ხშირად თვით საქმროც კი არ დაუნახავს შორიდანაც კი.

ამ ნიშნობის შემდეგ არ გაივლის 2-3 კვირა, რომ სასძლოს ოჯახიდან უგზავნიან მამამთილიანთ ქალისაგან მოქსოვილ წინდებს დედამთილ-მამამთილისათვის და მახლობელ ნათესავებისათვის არა ნაკლებ 15 — 20 წყვილისა. თვითონ სასიძოს კი ეგზავნება ფულების ქისა, მოქსოვილი აბრეშუმისაგან ან ფერად ნაჭრებისაგან შეკერილი.

ნიშნობიდან დაწყებული, ვიდრე ჯვარს დაიწერდნენ, წელიწადში სამჯერ, ახალწელიწადს, აღდგომას და მარიამობას დანიშნულ ქალს ეგზავნება მამამთილისაგან მცირე რამ ძღვენი და საჩუქრები. სამაგიეროთ ქალიშვილი უგზავნის ფერად ძაფებით მოქსოვილ ჭრელ წინდებს. დანიშნულ ქალიშვილს, გარდა ამისა, ყოველ შემოდგომაზედ ეგზავნება რვა კილო მატყლი და ერთი კილო ყაჭი.

ქორწილი საინგილოში, როგორც საზოგადოთ მიღებულია გლეხკაცობაში, შემოდგომობით იციან, როცა გლეხკაცი უფრო ღონიერია წლის მოსავლით და უფრო მეტი თავისუფალი დროცა აქვს. საინგილოში ერთ გადაწყვეტილ დროს იციან ქორწილების გადახდა. ეს დრო ნოემბერია, ჭურმუხის დღესასწაულის შემდეგი დღეები. ერთი თვის წინათ ქურმუხობამდის ვაჟის მშობლები აგზავნიან ამორჩეულს მაჭანკალს სასძლოს მშობლებისას საბოლოოდ მოსალაპარაკებლად და საქმის გასათავებლად. ჩვეულებრივ ქალის მშობლები ნაზობენ, უარზედ არიან, ჯერ არ მოგათხოვებთ ქალსაო, ჟეიზი — მზითები არ გაუკეთებიათ და სხვადასხვა. მაგრამ უფრო იმიტომ ნაზობენ და თავს იდებენ, რომ რაც შეიძლება მეტი გამორჩნენ სასიძოს. მაჭანკალი ხშირად ორჯერ-სამჯელ ტყუილად დაიარება, მაგრამ გაჯიუტებული მშობლები ბოლოს მაინც თანხმდებიან და გაიმართება ხანგრძლივი მოლაპარაკება დანარჩენ პირობებზედ. მთავარი ადგილი ამ მოლაპარაკებაში სამამისო ფულს უჭირავს, რომელსაც აქ თათრულ სახელს ათალულს ეძახიან. საქმე იმაშია, რომ საინგილოში დღემდე პირვანდელი ხალხის ჩვეულებაა დარჩენილი, რომელსაც მხოლოდ კულტურის დაბალ ფენებზედ მყოფ ხალხში აქვს დღემდე ადგილი. აქ ყოველი სასიძო მოვალეა ქალის მშობლების სასარგებლოდ გადაიხადოს ფული და რამდენადაც ქალი ლამაზია და კარგის შეძლებული ოჯახიდან, მით უფრო მეტია ეს გადასახადი. იგი ძველად 200 მანეთიდამ 1000 მანეთამდის ადიოდა. ეს მშობლების სასარგებლოდ გადასახდელი ფული საინგილოში მცხოვრებ ყველა ერში არის დარჩენილი და არც ერთი მშობელი ძველად ისე არ გაათხოვებდა ქალი-

შვილს, რომ ფული არ აეღო. რასაკვირველია ამ ჩვეულებას ის რკინის კანონი უდევს საფუძვლად, რომ საინგილოში დიდი სიმცირეა ქალებისა და იძულებულნი ხდებიან ხოლმე ხშირად, სხვა ადგილებიდგანაც კი მოიყვანონ ქალი. მაგრამ სხვათა ადგილებიდან მოყვანილნი ისეთი კარგი მეოჯახეები და მშრომელები არ არიან, როგორც ინგილო ქალები, ამიტომ ინგილო ყოველთვის არჩევს თავისიანს, გაცილებით უფრო ძვირიც რომ დაუჯდეს.

ამ სამამისო ფულის გარდა, რომელიც მძიმე უღლათ აწევს ხალხს, სასიძო მოვალეა მზითევს გარდა, სამკაულიც უყიდოს საცოლეს. ჟეიზი (მზითები) შესდგება არა ნაკლებ 6—15 ცალ ჯეჯიმისაგან, რამდენიმე ხელ ქვეშსაგებისაგან, აფთავისაგან (სპილენძის თუნგია) და სხვა ავეჯეულობისაგან. ქალს მთელი ტანსაცმელი უნდა მიართვან, ორი მაიზარა, ერთი აბრეშუმის და ერთი ხავერდისა; ახალუხი ყანაუზისა, ყოშებიანი, ზედ მოვლებული ვერცხლის ორშაურიანებით და ვერცხლისავე ღილებით, ლაბადა ხავერდისა; სამი ჯუნა თავზედ მოსახვევად: ორი ქალალა, ერთი პირზედ ჩამოსაფარებელი და ერთი თავზედ შემოსახვევი; ლეჩაქი; ვერცხლის ქამარი; ილგა; ბეჭედი; სალტე (სამაჯური) და სამი ბეჭედი.

გარდა ამისა, სასიძო მოვალეა გაუგზავნოს თავის ქალის მშობლებს ქორწილის გადასახდელად 15 ბაკანი ხორბალი და 15 ჩაფი ღვინო. ერთის ან ორი კვირის წინეთ ქორწინებამდის ქალის მშობლებს აბარებენ სამამისო ფულს და მიაქვთ შესაკერათ ფარჩეულობა პატარძლის ტანისამოსისათვის.

გათავდება თუ არა ქურმუხობა (ნოემბრის 10 მოდის), ყველანი ქორწილისთვის მზადებას შეუდგებიან. ქორწილამდის სამის დღის წინათ შეუდგებიან პურის ცხობას და აკრავენ უმთავრესად ლავაშს. ლავაშის დამკვრელებს აძლევენ საჩუქრად წითელ თავშესაკრავს, რომელიც პურის ცხობის გათავებამდე უნდა ეკრათ. იმავე დღეს გზავნიან ვაჟიანთ ოჯახისაგან შეპირებულ რაოდენობას ხორბლისას, ღვინისას, ბრინჯისას და საკლავ საქონელს.

ქორწილის წინა საღამოს გზავნიან სამ კაცს მემზანაგეებს საპატარძლოს სახლიდან, რომელთაგანაც ერთი მაჭანკალია, ორიც მახლობელი ნათესავთაგანი ქალისა, ბიძაშვილი ან სიძე. ესენი მიდიან ვაჟიანთსა, სადაც იმ დროისთვის შეკრებილნი არიან სასიძოს ზოგიერთი ნათესავები და მთელი ღამის განმავლობაში მხიარულად დროს ატარებენ, ვახშმობენ, ჩონგურს უკრავენ, სხვადასხვა ძველს ამბებს იგონებენ და ამრიგად თეთრად ათენებენ. ეს არის დასაწყისი ქორწილისა.

მეორე დღეს ვაჟიანთსა მიდის ყველა ნაცნობ-ნათესავები სასიძოსი და ჰენგები ანუ მაყარი ქალები. საინგილოში მაყრის როლს კაცების მაგივრად ქალები ასრულებენ, რომელთაც ძველებურ სახელს ჰენგებს ეძახიან. დილიდანვე ეზოში გრძლად გაშლილია ხორაგეულით სავსე სუფრა და ყოველი მიმსვლელ-წამსვლელი და სტუმრები ჭამა-სმაში არიან. როცა ნათესავები და ჰენგები თავს მოიყრიან, მაშინ მეზურნეები ნეფის გამოსასვლელს დაუკრავენ და სანეფო გამოჰყავთ სახლიდან ნაბად წამოსხმული, მას აქეთ-იქიდან მისდევენ ახალგაზრდა ამხანაგები. ვაჟს გამოსვლისთანავე ეგებებიან დედა და მახლობელი ქალები, გარდა კაცებისა. დედა შემოახვევს სანეფოს კისერზედ წითელი ფერის მოსახვევს, დანარჩენი ქალები კიდევ თეთრ მოსახვევებს.

ასე მოკაზმულ ნეფეს მიიყვანენ და დასვამენ შუა სუფრაზედ. ნეფე გარინდული ზის, ხმას არ იღებს და ნაბადი ისე აქვს მობუდნულ-წამოფარებული, რომ პირისახე თითქმის არ უჩანს. ამ დროს ნეფეს მიართმევენ ძღვენს; ხონჩით

ნაზუქს, თაფლს, ერბოს, თხილს, ჩურჩხელებს, ღვინოს, სხვა და სხვა ტკბილეულობას და წინ დაუდგამენ. მიართმევენ აგრეთვე შაშხსაც, რომელიც ტინზედ დამაგრებული სამფეხა შამფურია, ზედ აგებულის ვაშლებით და თავზედ ამ სამფეხას დიდი მსხალი ჰკიდია და გადაფარებული აქვს შემოსაკრავი.

როცა ყველა ამაებს გაათავებენ და კარგად შენაყრდებიან, მაშინ ჰენგები წასასვლელად გაემგზავრებიან. ჰენგები ვაჟიანთ ნათესავი ახალგაზრდა ქალები არიან და ყველას ცალკცალკე ცხენები ჰყავთ მზათ პატარძალთან წასასვლელად. თვითეულ ჰენგას თან მისდევს ფეხით ყმაწვილი კაცი, რომელთაც გამოტანებულებს ეძახიან. გამოტანებულები შეიარაღებულნი არიან თოფებით და დამბაჩებით. ჰენგების რიცხვი 20 — 50 არის ხოლმე, რომელთაგანაც ერთს ბაშ-ჰენგას, (უფროსს, მეთაურს) ეძახიან ე. ი. უფროს მაყარს. ბაშ-ჰენგას ცხენს სავსე დიდი ხურჯინი ჰკიდია, რომლის ერთს თვალში ჩალაგებულია პატარძლის ერთი ხელი ტანისამოსი და ქოშები, რომელიც უსათუოდ ვაჟის სახლიდან უნდა წაიღონ. ხურჯინის იმავე თვალში მოთავსებულია ქალის იმარათი, ანუ ვერცხლის სამკაული, მეორე თვალი კი ხორაგეულით არის სავსე, 6-7 ნაზუქით, დიდი სატვინეთი (მოხარშული ნახევარი ბარკალი), უმი სამწვადე ხორცით და ერთი კუჭულა ღვინით.

როცა ყველანი მზათ იქნებიან, მეზურნეები დაუკრავენ, ჰენგები საჩქაროდ ცხენებზედ შესხდებიან, ხოლო ნეფე უკანვე სახლში იმალება. ამ დროს თოფს გაისვრიან, ყველანი ეზოდან გაიკრიფებიან და საპატარძლოსკენ გაემართებიან. წინ მიდიან მეზურნეები, მერე მეამზანაგეები და გამოტანებულები. მეამზანაგეებს მხარზედ აქვთ გადებული ხის დიდი შამფურები ზედ აგებული სამწვადე ხორცით, სატვინეთი და ქათმებით, უკან მისდევენ ცხენებით რიგზე ჩამწკრივებული ჰენგები, რომელთაც წინ მიუძღვით ბაშ-ჰენგა.

დინჯად, აუჩქარებლად მიდის მაყრიონი საპატარძლოსას. აი მიუახლოვდნენ კიდეც, მაგრამ დარვაზა (ჭიშკარი) მაგრათ დაკეტილი დახვდებათ, ხმაურობა არსით ისმის და მხოლოდ მაღალ ლატანზედ გაკეთებული დიდი ხახვის თავი ატყობინებს მისულთ, რომ ვიდრე თოფს არ მიარტყამთ ხახვს და ძირს არ ჩამოაგდებთ, სახლში არავინ შეგიშვებთო. გამოტანებულების მოვალეობაა ხახვის ჩამოგდება. თოფით შეიარაღებული ჰენგების მხლებელი ახალგაზრდები დაიწყებენ სროლას, თოფი თოფზედ გავარდება, ლუკმა-ლუკმად ქცეული ხახვი ჰაერში იფანტება, დარვაზის კარებიც უმალვე იღება.

ყველანი სიცილით და ჟივილ-ხივილით შედიან ეზოში, ცხენიანი ჰენგები ჩამომწკრივდებიან, ზურნა საცეკვაოს დაუკრავს. სახლის უფროსი ქალი ცეკვით გამოეგებება ჰენგებს, მას მიჰყვებიან სხვა ქალებიც. ჰენგები ამაყად გადმოსცქერიან ზევიდან მოცეკვავე ქალებს და ცხენიდან ფეხს არ იცვლიან. დიასახლისის გამოთამაშება ნიშნავს ჰენგების მიპატიჟებას და მიწვევას.

როცა მოცეკვავე ქალები შიპრობას გაათავებენ, მაშინ დიასახლისი ხელის გაშლით მიიწვევს და ეტყვის:

— „ჩამობრძანდით, ჩამობრძანდით, ჰენგებო“,—ამ სიტყვების გაგონებისთანავე ჰენგები თვალის დახამხამებაზე ცხენებიდან ჩამოხტებიან და გამოტანებულებს მიანდობენ ცხენებზედ ზრუნვას.

ყველა ჰენგებს მათთვის საგანგებოდ გაშლილს ჯეჯიმზე მიიწვევენ ეზოში, თავში დაჯდება ბაშ-ჰენგა, მას შემდეგ რიგ-რიგათ ჩამოსხდებიან დანარჩენი ჰენგები. მათში არ ერევიან სტუმრათ მისული სხვა ქალები. შემდეგ ჰენგებს ხელებს აბანინებენ, სუფრას უშლიან. იმართება უხვი სტუმრობა, მასპინძლები

არაფერს იშურებენ, ლავაშებითა და ხორაგეულობით სავსეა სუფრა: თაფლი, ერბო, კარაქი, ყველი, წვნიანი საჭმელი, სატვინე ხორცი და შემწვარი უხვად მოდის სუფრაზედ. დაბოლოს მოაქვთ ხილი და ყველას თითო [illegible] საკმარის სამწვადე ხორცს აძლევენ.

ბიბლიოთეკა

ასეთსავე შექცევაში არიან მეორე მხარეს გამოტანებულები და სხვა სტუმრები.

ჰენგების მისვლის დროს საპატარძლო თავის ტოლამხანაგებით ცალკე ოთახშია ჩაკეტილი და გარეთ არ გამოდის. ამ დროსთვის საპატარძლოს ყველა მახლობელი ნათესავი მიირთმევს ფლავს, რომელიც გამოსამშვიდობებელ გამასპინძლებას ნიშნავს. ამავე დროს საპატარძლოსთან არის დადე და უცდის ტანისამოსის მოტანას. ბაშ-ჰენგი ხურჯინით მიიტანს საჯვარისწერო ტანისამოსს და გადასცემს თუ არა დადეს, მაშინვე შეუდგებიან ქალის მორთვას. ქალის მორთვა-მოკაზმვაში დადეს ეხმარებიან ქალიშვილები და მორთავენ თუ არა საპატარძლოს, დადე მაშინათვე მოითხოვს თავის გასამრჯელოს. უფროსი გამოტანებულთაგანი მოვალეა გადაიხადოს 1—5 მანეთამდის დადის სასარგებლოთ. როცა საპატარძლო უკვე მზად არის, მორთულ-მოკაზმულია და დადემ უკვე თავისი გასამრჯელო მიიღო, მეზურნეები პატარძლის გამოსაყვანს დაუკრავენ. ოთახის კარები ნელად გაიღება და უფრო ნელათვე გამოიყვანენ საპატარძლოს. კოხტად მორთულ-მოკაზმული და მთლად ვერცხლის იმარათში გამოწყობილ საპატარძლოს წინიდან სახეზედ ჩამოფარებული აქვს გრძლად აბრეშუმის ქალაღი, ისე რომ პირისახე არ უჩანს. ნელად მუმიასავით მოიზლაზნება საპატარძლო, რომელსაც აქეთ-იქიდამ მხარს უჭერენ ამხანაგი ქალები. გამოსცდება თუ არა სახლის კარებს საპატარძლო, მაშინვე თოფს გაისვრიან და ყველა იქ მყოფ სტუმრების ყურადღება პატარძლისაკენ მიიქცევა.

ჰენგები ფიცხლავ ფეხზედ წამოხტებიან. პატარძალს ცეკვით წინ მიუძღვებიან ახალგაზრდა ქალიშვილები. პატარძალს მიიყვანენ და განსაკუთრებით მისთვის მომზადებულს ბალიშზედ დააყენებენ ჰენგების შუაში. ფეხზედ მდგომი ჰენგები რიგრიგათ მიესალმებიან პატარძალს, გადაჰკოცნიან და მერე თავთავიანთს ადგილზედ ჯდებიან. მათ შემდეგ ახლა სტუმრათ მოსული ახალგაზრდა ქალიშვილები ამ რიგათვე მიესალმებიან, ამასთანავე ყოველი მათგანი საჩუქრად მიართმევს ბაღდათს ან დიდ წითელ ხელსახოცს. ამ საჩუქრებს კისერზედ გადაჰკიდებენ და წინ ჩამოუთამაშებენ.

როცა ყველანი ცეკვა-თამაშით გულს იჯერებენ, ზურნის ხმა სწყდება, ყველანი ხელახლა სუფრას მოუსხდებიან და ჭამა-სმას განაგრძობენ. პატარძალიც დაჯდება, მაგრამ სახეზედ ისევა აქვს ჩამოფარებული და არამც თუ არაფერს არა სჭამს, არამედ მუმიასავით გაუნძრევლად არის, თითქოს გაქვავებულა და ცოცხალი არსება არ იყოს, ამ დროს ურემზედ უდებენ პატარძალს მზითევს, ჯეჯიმებს, ქვეშსაგებს, სკივრს, კიდობანს, აფთაფას, ტაშტს და სხვა ავეჯეულობას. ზედ მზითევზედ სვამენ ორ პატარა ბიჭს მეკურტნედ წოდებულს, პატარძლის მახლობელ ნათესავების შვილებს. როცა ურემი დაიძვრის, ზურნისა და თოფის სროლით გაუთავაზებენ გზას.

ურმის გაცილების შემდეგ, ნელის ნაბიჯით უკანვე სახლში შეჰყავთ პატარძალი, დააყენებენ კორთესთან და ემშვიდობებიან დედა, დები და მახლობელი ნათესავი ქალები, გარდა კაცებისა. კაცებთან გამომშვიდობება მიღებული არ არის.

როცა პატარძალი სახლში მშობლებსა და ნათესავ ქალებს ემშვიდობება, ამ

დროს ეზოში მორთულ-მოკაზმული ცხენი უცდის. პატარძლის შესაჯდომათ მომზადებული ცხენი უსათუოდ ულაყი უნდა იყვეს, მორთული მარაზით (აბრეშუმის ფერადი ძაფებით და ასეთსავე ფერადის პატარა ბულბულებით აკუნძლულ თოკს წარმოადგენს), რომელიც რამდენიმე პირათ აქვს შემოვლებული ცხენს და კოხტა, სურათებიან ჯეჯიმის მაგვარი სალტები არტყია მუცელზედ, რომელსაც ყოლანს ეძახიან. ცხენი აბარია ერთს გამოტანებულ-თაგანს, რომელსაც ჯელვარდს ეძახიან.

ბოლოს ნელის ნაბიჯით გამოვა პატარძალი, უკან მისდევენ შინაურები, დიდი და პატარა, უკანასკნელად ემშვიდობებიან და გზას ულოცავენ. ჰენგები და გამოტანებულები აქეთ-იქიდან მისცვინდებიან და შველიან ცხენზედ შეჯდომას, ზოგი უზანგს უჭერს, ზოგი სკამს მიუდგამს, რომ ადვილად შეჯდეს და სხვა. ჰენგებიც ერთის თვალის დახამხამებაზედ მოახტებიან ცხენებს, ამ დროს ზურნა დაუკრავს — „დედა ქალი წაიყვანესო, მამაშვილი გაახურეესო“, თოფს გაისვრიან და ყველანი გზას გაუდგებიან. წინ მიდიან ჰენგები, ყველაზედ უკან პირზედ ჩამოფარებული მისდევს პატარძალი, რომლის ცხენის აღვირიც უჭირავს ჯელვარდს და წინ მიუძღვის. ზოგიერთ სოფელში ჩვეულებათა აქვთ პატარძალს ცხენზედ უკან შემოუსვან პატარა ბიჭი, რომელიც პატარძლის ამხანაგ-მეგობრათ ითვლება და რომელსაც საბაშის ეძახიან. პატარძლის სახლიდან ჰენგებს ემატებათ დედე, რომელიც ცხენითვე მისდევთ.

მთელი ეს პროცესია წინათ ეკლესიაში მიდიოდა, თუ რასაკვირველია საქორწინონი ქრისტიანები იყვნენ. აქ ეკლესიაში გამზადებული უცდიდა ნეფე თავის ამხანაგებით და ნათესავ-ნაცნობებით. ნეფის მისვლა ეკლესიაში ჩუმათ, მიპარვით ხდებოდა. ნაბადით მობუდნული ნეფე შეუმჩნევლად გამოვიდოდა სახლიდან და ვენახ-ვენახ ან შორის გზით მიიპარებოდა, ისე რომ არავის დაენახა მისი მისვლა ეკლესიაში. დანარჩენი ხალხნი ჯვარის წერის მაყურებელნი სხვა და სხვა გზით მიდიოდენ ეკლესიაში.

გათავდება თუ არა ჯვრისწერა, რომელიმე ახალგაზრდა ბიჭი ქუდის გლეჯით სასწრაფოდ გამოვარდება ეკლესიიდან და ნეფიანთკენ დაუსვენებლივ გაექანება რათა მშობლებს ახაროს ჯვრის წერის ამბავი. ამ ბიჭს მუშტულულჩის ეძახიან და შევა თუ არა ნეფის მშობლებთან, მაშინათვე ნეფის მამასაც და დედასაც ყურს აუწევს და ვიდრე არაფერს აჩუქებენ, არ მოეშვება.

მახარობლის კვალს ჯვრის წერის გათავებისთანავე გაჰყვება ნეფე, რომელიც საჩქაროდ გამოვა რა ეკლესიიდან ნაბადით მობუდნული, ჩუმათვე მარტოკა მიიპარება სახლში ვენახვენახ და მივა თუ არა, სახლის კედელზედ მიყუდებულ გრძელი კიბით ადის სახლის აყარზედ (ბანზედ) და იქ უცდის საპატარძლოს.

პატარძალი და ეკლესიაში მყოფნი ზურნის კვრითა და მხიარულებით გაემგზავრებიან ნეფიანთკენ. მაგრამ პატარძალს ეხლა ცხენზედ აღარა სვამენ, არამედ წინდაწინ დამზადებულ ეტლში ან ურემში და აქეთ-იქიდან უსხდებიან ტოლამხანაგები. ნეფიანთ დარვაზა აქაც დაკეტილი დახვდებათ, გრძელი ლატანი, რომელსაც თავზედ გაკეთებული აქვს ანთებული მაშხალა დარვაზაზეა მიმაგრებული. კაცები თოფს უშენენ მაშხალას, ამ დროს დარვაზაც იღება და ყველანი სიცილ-ხარხარით შედიან სახლში.

ნეფე აყარზედ (ბანზედ) არის გაჩერებული, დედოფალს კიბის ირგვლივ სამჯერ შემოატრიალებენ, ამ დროს ნეფე ზევიდან ჯამით სავსე თხილს გადმოაყრის დედოფალს: ბავშვები ყივილ-ხივილით თხილსა ჰკრეფენ და ნეფეც ჩამო-

დის აყარიდან. სახლის უფროსი კაცი პატარძალს მიუძღვება სახლის უმთავრეს კარებისაკენ, სადაც დახვდება დედამთილი ან მისი მოადგილე სახლით-განათებულ ხონჩით, რომელზედაც აწყვია თაფლი, ცომი, ყაჭი. კარებში გდია გუთნის ან აჩაბის პირი და სდგას ჯამი ღვინით სავსე. პატარძალი ფეხს რომ შესდგამს კარებში, დედამთილი თაფლს მოაცხებს პირზედ და ეტყვის: — ჰამანგ ტკბილ დაბერდი; ყაჭსაც თავზედ შემოავლებს და ეტყვის: — ჰამანგ თეთრ დაბერდი; ცომსაც მისცემს მარჯვენა ხელში, რომელსაც პატარძალი აკრავს კარებს გარედან ხუთივე თითით, ეს იმას ნიშნავს, რომ დღეის უკან პატარძალი უნდა შეუდგეს ოჯახის ზრუნვას, პურსაც გამოაცხობს და სხვა რამ ყველაფერ ოჯახისათვის საჭირო სასმელ-საჭმელსაც დაამზადებს. ღვინით სავსე ჯამიდან ზოგს დაღვრის, ზოგს კი გუთნის პირზედ მიასხამს. შემდეგ პატარძალს სახლში შეიყვანენ და გამომცხვარი პურით სავსე ვარცხლში ხელს ჩააყოფინებენ, იმის ნიშნათ, რომ დღეიდან უნდა იცოდეს ოჯახში სად რა არის. ბოლოს მიიყვანენ კორთესთან, რომელიც ფარდით იყოფა დანარჩენ ოთახისაგან და წინდაწინ დამზადებულ ადგილას დასვამენ. გვერდით მუხლებთან დადე და რამდენიმე ამხანაგი ქალი, დანარჩენი სტუმრები ფარდის იქით თავსდებიან. იწყება ჩვეულებრივი გართობა-მხიარულება, ცეკვა-შიპრობა, ბოლოს ყველანი შედიან სახლში, გაშლილ სუფრას მოუსხდებიან და სმა-ჭამას შეუდგებიან. შუალამისას თითქმის ყველა სტუმრები დაიშლებიან, დარჩებიან მარტო გამოტანებულები და ზოგიერთი მახლობელთაგანი, რომელნიც დაღლილნი არიან და აქეთ-იქით მიწვებ-მოწვებიან. სახლის უფროსებს კი აიძულებენ ფლავის გაკეთებას და როცა ფლავი მზათ იქნება, გამოაღვიძებენ ხალხს და შეეჭცევიან.

ქორწილის მეორე დღეს დიდ ქორწილის დღეს ეძახიან. ამ დღისათვის დაპატიჟებული ჰყავთ ყველა ნაცნობ-ნათესავები მთელი ოჯახობით დიდიან პატარიანათ. ეზოში ორ პირათ იშლება გრძელი სუფრა, კაცები ცალკე სხდებიან, ქალები — ცალკე. ხალხი დილიდანვე იწყებს მისვლას, ზურნას განგაში გაუდის, ყველანი ძღვნითა და საჩუქრებით მოდიან. თაფხებზედ დაწყობილი აქვთ ვაშლი, თხილი, ალვა, კახაჩი (ცხვრის ხორცის ვიჩინა), მოხარშული ქათამი და სხვა. თან მიაყოლებენ იაფ ფასიან ბალდადს ან ხელსახოცს. ბალდადს ან ხელსახოცს კისერზედ გადაჰკიდებდნენ ნეფეს და უსურვებენ ბედნიერს ცხოვრებას და ნიშნათ პატივისცემისა წინ რამდენჯერმე ჩამოუთამაშებენ. გამოტანებულები საჩუქრებს ცალკე ალაგებენ და ყურს უგდებენ, რომ არაფერი დაიკარგოს. მეორე სუფრაზედ სადაც ქალები სხედან, შუაში ჩამჯდარა ქალაღაიჩამოფარებული პატარძალი, რომელსაც აქეთ-იქით უდგანან დადე ან ახლად გათხოვილი ქალები. პატარძალსაც მიართმევენ საჩუქრებს ცალკე და თან ჩამოუთამაშებენ. ამ მილოცვების დროს ნეფეცა და პატარძალიც ფეხზედ დგანან.

მილოცვების გათავების შემდეგ ყველანი სუფრაზედ სხდებიან. სუფრაზედ ლავაშები, შოთები, ყველი, კარაქი, ხილეული და ღვინო-არაყი უხვად აწყვია. დასხდება თუ არა ხალხი სუფრაზედ, მაშინვე სახლის უფროსნი სუყველას ჩამოუვლიან, აილებენ შოთს, შუა გაჰგლეჯავენ და იტყვიან—ღმერთო თუ ქურმუხის საყდარო! ბახტიანი (ბედნიერი) გახადე ჯორდაწერილნი... როცა ხალხი შენაყრდება, მაშინ ჩამოურიგებენ უმ სამწვადე ხორცს, რომელნიც თითონვე სტუმრებმა უნდა დასჭრან წვრილ-წვრილად, ააგონ ხის შამფურზედ, მოაყარონ მარილი, ხახვი და მოსამსახურეებს მისცენ შესაწვავად. ამავე დროს ეზოს

ერთ კუთხეში გაჩაღებულია სამწვადე ცეცხლი, მოსამსახურენი შეაშენებენ მწვადს და მიართმევენ სტუმრებს ცხელ-ცხელ წვადებს. ვისაც მწვადი არ ეყოფა, იმას შეუძლიან კიდევ ახალი სამწვადე მოითხოვოს. მწვადის ჭამდეგ მიართმევენ მშრალათ მოხარშულ ხორცს ანუ სატვინეს და ზედ მიაყოლებენ წვნიანს. ამ დროს, როცა ყველანი შექცევაში არიან, გამოტანებულები თავიანთ თავზედ ზრუნვას არ იკლებენ. ნეფის მშობლებს ძალით თუ ნებაყოფლობით ართმევენ საჩუქრებს. პირველად დაიჭერენ ერთ-ერთს ან დედას ან მამას, მიაბამენ თოკით ხეზედ და ფეხებში წკეპლით ცემას დაუწყებენ. ხეზედ მიბმული ტყუილად ცდილობს თავის განთავისუფლებას, მაგრამ გამოტანებულები ულმობელნი არიან და ვიდრე საჩუქრად ან ხარკად არ მიიღებენ ბატკანს, ინდოურს, ან უკიდურეს შემთხვევაში ქათამს, მანამ არ გაანთავისუფლებენ ხეზედ მიბმულს.

ხალხში ჟივილ-ხივილია და დაუსრულებელი სიცილ-ხარხარი. ხეზედ მიბმული ჭირვეულობს, მაგრამ მეტი გზა არა აქვს, ჰგზავნის ვინმეს სახლში ხარკის მოსაშორებლად. აი მიუტანეს კიდევაც ხარკი, გამოტანებულები ერთხმად შესძახებენ: „ააშენოს“ და ანთავისუფლებენ დაბმულს. გამოტანებულები იქვე სწყვეტენ კისერს მოყვანილ ქათამს ან ინდოურს და მოსახარშავად აძლევენ. გამოტანებულები ახლა სხვა მახლობელ ნათესავებს სტაცებენ ხელს და ხალხში ხელახლა ჟივილ-ხივილი და სიცილ-ხარხარია. ასე ჩამოუვლიან ხოლმე გამოტანებულები ყველა ნათესავებს და ხეზე მიბმით იძულებულს ხდიან ხარკი გადიხადოს. ამგვარად კარგა ბლომა საჩუქრებს შეაგროვებენ ხოლმე. საჩუქრებს ნაწილს იქვე სჭამენ, ნაწილს კი იყოფენ და სახლებში მიაქვთ.

გაათავებენ გამოტანებულნი ხარკის აკრეფას და ახლა ნეფის ვალია გაუმასპინძლდეს მათ და დანარჩენს სტუმრებს ახლად მოხდილის, განსაკუთრებით ამ დღისთვის შენახულის საუკეთესო ღვინით. ნეფე ადგება სუფრიდან და გაემართება ქვევრის მოსახდელად. თან მისდევენ გამოტანებულები და მეზურნეები. ქვევრს რომ მიუახლოვდებიან, ნეფეს მისცემენ ბარს, მაგრამ დაჰკრავს თუ არა ერთ ბარის პირს, მაშინვე სხვები გამოართმევენ და მოჰხდიან მიწას. მეზურნე გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ქვევრის მოხდას და გამოჩნდება თუ არა სარქველი, მაშინვე ზედ შეხტება და ვიდრე ნეფის მშობლები ან მახლობელი ნათესავები ერთ მანეთს არ აჩუქებენ, ფეხს არ მოიცვლის. ღვინოს გრძელი კიტრიშით (ორშიმოთი) ამოიღებენ ხელდახელ და ყველას ახლა ამ ღვინით გაუმასპინძლდებიან.

მხიარულება, ჭამა-სმა, შიპრობა საღამომდის გრძელდება და ვიდრე არ ჩამობნელდება, ხალხი არ დაიშლება. გამოტანებულები იყოფენ, თუ რამე დარჩათ საჩუქრებიდან, მაჭანკალს ნეფიანი თითო მანეთს აძლევენ, დადეს ორ მანეთს და ხურჯინს ხორაგეულით სავსეს. დადე ცხენზედ ჯდება, მის კვალს მისდევენ დანარჩენებიც და როცა ყველანი ჭიშკრიდან გავლენ, თოფს დასცლიან იმის ნიშნათ, რომ ქორწილი გათავდაო.

დაქორწინების შემდეგ გადის ორი-სამი თვე და არც სიძე და არც ქალი თავის მშობლებს არ ინახულებს, თუ სიმამრიანთ არ მიიპატიჟეს. თავის ნებით წასვლა სიმამრიანთსა წესი არ არის, არ შეიძლება. ამიტომ სიმამრი ამ ხნის განმავლობაში ერთ დღეს შეარჩევს, მოიპატიჟებს სიძეს ცოლით, დაუძახებს თავის მეზობლებს და ნათესავებს და კარგს სადილს ან ვახშამს გამართავს. სიძეს თან მიაქვს სიმამრთან ხილეულობა და ტკბილეულობა. ამის შემდეგ სიძეს თავისუფლად შეუძლიან მივიდეს სიმამრიანთსა, როცა კი მოესურვება.

პატარძალი ოჯახში. ქალს გათხოვების პირველ დღიდანვე მწარე მონობის უღელი დაედგმება. ახალგაზრდა მორცხვი პატარძალი იძულებულია მუდამ საღამოს ოჯახის ყოველ წევრს ფეხები დაბანოს წყლით. ჩამოუვლის პატარძალი ტაშტითა და აფთაფით დიდსა და პატარას, ჩააყოფინებს წყლით სავსე ტაშტში ფეხებს, სუფთად დაჰბანს და შესწმენდს. ასე ჰბანს ფეხებს პატარძალი ოჯახის ყველა წევრს მთელი წლის განმავლობაში ყოველ საღამოს, შემდეგ კი მოვალეა დაჰბანოს მარტო მამამთილსა და დედამთილს.

გარდა ამისა მთელი ოჯახის, სახლის საქმეები მას აწევს კისერზე, მოვალეა ხმა ამოუღებლივ გააკეთოს ყველაფერი. ბრინჯი აქვს მაგალითად მოსახარში, პატარძალმა უნდა მიუტანოს და აჩვენოს დედამთილს რაოდენობა ბრინჯის.— პაწა ააკელ, ან თამამო, ეტყვის დედამთილი და ნათქვამის თანახმად უნდა მოიქცეს პატარძალი, ხმა ამოუღებლივ და სიტყვა შეუბრუნებლივ. იმას არამც თუ სიტყვის შებრუნება — უბრალო დალაპარაკებაც კი არ შეუძლიან დედამთილ-მამამთილთან და ოჯახის იმ წევრებთან, რომელნიც მის ქმარზედ უფროსნი არიან. აუტანელია ამ შემთხვევაში ქალის მდგომარეობა, ყველანი ელაპარაკებიან, ასაქმებენ, დარიგებას აძლევენ, ის კი თავჩაქინდრული სდგას გაჩუმებული, გარინდული და ხმას არ იღებს. ადათით რძალს ნება არა აქვს გამოელაპარაკოს თავისზედ უფროსს ვისმეს ოჯახში და თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს გამოლაპარაკებას, მაშინ შუაკაცობას სწევს მცირეწლოვანი ბავშვი, იმას უზიარებს თავის გულის ნადებს და ის გადასცემს უფროსებს მის წადილსა და პასუხს. პატარძალს არა თუ გამოლაპარაკება არ შეუძლიან უფროსებთან, არამედ სალამზედ პასუხის გაცემაც კი. რამდენიც გინდა სალამი მისცენ, ქალი პასუხს მხოლოდ იმითი აძლევს, რომ თუ მჯდომარეა ფეხზედ წამოუდგება და თუ მდგომარე, მაშინ თავს დაუკრავს.

ასე გაჩუმებულ-გარინდული დაიარება რძალი და არავის შინაურს ხმას არა სცემს მთელის წლის განმავლობაში. ერთის წლის შემდეგ კი ოჯახის ყველა წევრებს გამოელაპარაკება, გარდა დედამთილ-მამამთილისა, რომელთაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ გამოელაპარაკება.

აღსანიშნავია ამასთანავე ის გარემოება, რომ საინგილოში მცხოვრებ სხვა ერებში არ შენახულა და არ არსებობს ეს ჩვეულება. ძნელი ასახსნელია რისგანაა დამოკიდებული და რა აქვს საფუძვლად ამ ჩვეულებას. ზოგმა მითხრა, რადგან დედამთილსა და სხვა ოჯახის წევრებს არ ელაპარაკება, ამიტომ მათში ჩხუბი და უსიამოვნება არასოდეს არა ხდება და ამიტომ მტკიცედ ვიცავთ ამ წესსაო. ზოგი კი ამ ჩვეულებას პატივისცემით ხსნის უფროსებისადმი, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ რძალი ხმა ამოუღებლივ ასრულებს უფროსების ყოველივე ბრძანება-განკარგულებას.

ამავე პატივისცემის გამო არასოდეს არ დაჯდება პატარძალი ოჯახის სხვა წევრებთან პურის საჭმელად. როცა ყველანი გაათავებენ პურის ჭამას, მაშინ წაიღებს პატარძალი თავის კერძს „ფარდის“ იქით, რომელიც ოთახის რომელიმე კუთხეში არის და იქ ჩუმად შეექცევა საჭმელს. მასთანვე სადილობენ პატარა ბავშვები, თუ ასეთები არიან სახლში, რათა მარტო სადილობა არ მოსწყინდეს პატარძალს.

დედაკაცი მუდამ გართულია საოჯახო საქმეებში და იშვიათად ნახავთ გარეთ გამოსულს, კარმიდამოს გაცილებულს. მინდორში და კალოზედ მომუშავე დედაკაცს ვერსად ნახავთ კაკის რაიონში. მხოლოდ ერთადერთი ყანის (პურის) მარგლაა, როცა დედაკაცი გადის მინდორში ბავშვებიანათ და ყანას სარე-

ველა ბალახებისაგან ასუფთავებს. გარდა ამ მარგვლისა, სხვა რამე სამუშაოსთვის არ გავა დედაკაცი მინდორში. ალიაბათის ნაწილში დედაკაცს უფრო მეტი თავისუფლება აქვს და ყველგანა ნახავთ მას მომუშავეს და ოსაქმეს. მინდვრიდან ძნის მოტანა, კალოს გალეწვა და ხშირად ტყიდან შეშის მოტანაც კი დედაკაცის საქმეა. აქ დედაკაცი გვერდში უდგას მამაკაცს და მასთან ერთად იღწვის და შრომობს.

მაგრამ ყველაზედ ბედშავი დედაკაცი ორსულობა-მშობიარობის დროს არის. მშობიარე დედაკაცი ინგილოების შეხედულებით უწმინდურათ ითვლება, მას მოსალოგინებლად სახლში არ უშვებენ, შუა ზამთარიც რომ იყვეს და გარეთ ქარბუქი და ყინვა მძვინვარებდეს, მაინც მელოგინე დედაკაცს სახლში არ შეუშვებენ და ბოსელში ან ქოხში უნდა მოილოგინოს, სადაც ხშირად ისეთი სიცივეა, რომ თვით კარგათ მყოფ ადამიანსაც კი გაუჭირდება იქ ყოფნა. ამასთანავე ასეთს გომურში მოთავსებული მშობიარე დედაკაცი ღვთის ამარად არის მიტოვებული. სასმელ-საჭმელსაც კი ხეირიანად არავინ მიუტანს, კარებს ოდნავ გამოაღებენ, შეუდგამენ საჭმელს და ისევ გამოიხურავენ. თუ ზამთარია და ძალზედ ცივა, მაშინ პატარა ბავშვს მიუგზავნიან და ის უნთებს ცეცხლს. სამაგიეროთ მელოგინის გარშემო, ლოგინის ირგვლივ დიდს თოკს შემოავლებენ ხოლმე და თავით დაუდებენ წალდსა და საჩეჩელს. ყველა ამაებს იმისათვის შვრებიან რომ ავმა სულებმა და ალებმა არაფერი ავნონ მშობიარესო.

თუ დედაკაცი ძნელად შობავს, ან ავად გახდება, მაშინ იმ ქოხს, სადაც მელოგინეა თოფს ესვრიან, რათა ავი სული მოაშორონ მშობიარეს. გარდა ამისა მძიმე მშობიარეს გაახვევენ ხოლმე ნაბადში და აქეთ-იქით გორაობას დაუწყებინებენ, რომ ჩქარა ეყოლოს შვილი, ან კიდევ საბელს ჩამოჰკიდებენ, რომლის ერთი ბოლო მშობიარეს უჭირავს, ხოლო მეორე სხვას და ამ რიგათ ასწევ-დასწევენ თოკს, რომელსაც მშობიარე ასდევს-ჩასდევს. ზოგნი კიდევ მისცემენ ხოლმე ბოთლს ან ალთაფას და აბერვინებენ შიგ რაც ძალი და ღონე აქვს.

თუ ამ საშუალებებმა არ გასჭრეს, მაშინ რომელიმე ქალიშვილი მშობიარეს პერანგის ყაყელოდან შიგნით ჩაუგდებს კვერცხს, რომელიც მაშინათვე იატაკზედ დაეცემა და იმტვრევა. ქალიშვილი გატეხილ კვერცხს სამჯერ მიაძახებს: — „ემ კორცხ გულივით მალ გეყოლოს“.

საზოგადოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ მელოგინის მოვლა საინგილოში არ იციან. ღვთის ამარად მიგდებულს მელოგინეს ბავშვის საცვლებსაც კი არავინ გაურეცხავს და მელოგინე იძულებულია მეორე-მესამე დღეს წამოდგეს და თითონ გარეცხოს. რასაკვირველია მოუვლელობისა და უპატრონობის გამო მეტადრე ცივს ზამთარში ძალიან ბევრი ცივდება, ავადაც ხდება და წუთისოფელს ესალმება. მშობიარობის დროს მოუვლელობასა და გაცივების გამო გარდაცვლილ დედაკაცთა რიცხვი 20% და ზოგჯერ მეტსაც აღემატება.

მაგრამ ეყოლა თუ არა მელოგინეს ბავშვი, მეორე დღიდანვე ნათესავები და ნაცნობები დაიწყებენ მისვლას და მშვიდობიანათ გადარჩენის მილოცვას. მივლენ, კარებს ცოტას გამოაღებენ, მიულოცავენ, შეუდგამენ მირთმეულ საჭმელს და წავლენ. პირველ სამს დღეში მომსვლელთ მიაქვთ მელოგინისათვის ფათა და ფასალი (რუსული ბლინების მინაგვარი საჭმელი არის). შემდეგ დღეებში მნახველებს მიაქვთ ფლავი, მოხარშული ქათამი ან ცხვრის ხორცი. ზოგან კიდევ ღვინოსა და ნაზუქსაც მიუტანენ ხოლმე.

ქმარი მელოგინე დედაკაცთან არამც თუ არ მივა სანახავად, არამედ რაც

გინდა მომაკვდავი იყვეს და იტანჯებოდეს, ახლოს არ გაეკარება. ვიდრე ორმოცი დღე არ შესრულდება დღიდან მშობიარობისა, ახლოს არ გაეკარება და ცოლს ხვას არ გასცემს. საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ ქმარი ცოლს არ დაეხმარება და ერთხელაც ხელში ბავშვს არ აიყვანს და არ მიუალერსებს, ბავშვი ტირილითაც რომ კვდებოდეს. რაღაც სირცხვილად და სათაკილოდ ითვლება შვილის ალერსი კაცისათვის და ვიდრე ხუთის წლის არ შესრულდება, მამა ახლოს არ ეკარება.

ცოლქმარის ურთიერთობის დარღვევა საინგილოში იშვიათი არ არის. ნაადრევი ქორწინება, როცა ქალიშვილი ჯეროვნად ჰასაკში არ შესულა და ხეირიანი წარმოდგენაც კი არ აქვს ცოლქმარზედ, ხელს უწყობს ასეთ შემთხვევებს. გონს მოვა თუ არა ქალი, გაითვალისწინებს, რომ სრულიად შეუფერებელს კაცს მიათხოვეს მშობლებმა, ზიზღით იხედება თავის ოჯახზედ, ქმარზედ, რომელმაც ფულზედ იყიდა იგი და გატაცებით მირბის თავისავე მეზობელ ახალგაზრდა კაცთან.

და ბოლოს უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა მუსულმან ინგილოებში კანონით შეუძლიანთ იყოლიონ რამდენიმე ცოლი, მაგრამ მრავალცოლიანობა ძალიან იშვიათ მოვლენას წარმოადგენს მათში.

მკვდრის დასაფლავება. მკვდრის დასაფლავებაზედ საინგილოში ბევრი ისეთი ჩვეულებანი და ადგილები იციან, რომელთაც დანარჩენ საქართველოში ვერა ვხედავთ, ამიტომ ვეცდებით ყოველივე წვრილმანი დასაფლავების ირგვლივ გავაცნოთ მკითხველს.

უპირველეს ყოვლისა უნდა ავღნიშნოთ, რომ თუ ადამიანი, მძიმე ავადმყოფია ან სულმობრძავი, თავიდან არავინ შორდება, — და თუ იგი მოხუცია, შვილები ფარვანასავით თავს ევლებიან და სცდილობენ ყოველივე უკანასკნელი სიტყვა და დარიგება მშობლისა გაიგონ და დაიხსომონ.

თუ ავადმყოფი სულით მობრძავი შეიქმნა, მაშინ სახლიდან, რაც კი წყლით ან ღვინით სავსე ჭურჭელი აქვთ, გარეთ უნდა გაიტანონ, ამას იმიტომ შვრებიან, რომ სულთამხუთავი კაცსა ჰკლავსო, სისხლი გამოდისო და ეს სისხლი ჭურჭელში რომ ჩავიდეს, ცუდიაო.

ამასვე სჩადიან მახლობელი მეზობლები, თუ გაიგეს, რომ ავადმყოფი სულთმობრძავი შეიქმნა. გარდა ამისა თუ სახლში დაკეტილი რამე აქვთ — კიდობანი ან სკივრი, ყველაფერი უნდა გაალონ, რომ შიგ ადამიანის სული არ დარჩეს.

მოკვდება თუ არა ადამიანი, მაშინვე თვალებს დაუხუჭავენ, ხელებს გულზედ დაუკრეფენ და ფეხებს უსწორებენ. თავთით კიდევ ერთ კუჭულა (პატარა დოქი) ღვინოს და ერთ ჯამ ხორბალს დაუდგამენ. ხორბლისაგან შემდეგში სულის პურში კორკოტს აკეთებენ და ხალხს აჭმევენ, ღვინოს კიდევ ვინც სულის ამოსვლისას დაესწრო, ისინი დალევენ დამარხვის დღეს და შენდობას შეუთვლიან განსვენებულს.

მკვდრის დამარხვა საინგილოში იმავე დღეს იციან და ზოგჯერ ისევ თბილ მიცვალებულს მიაბარებენ ხოლმე დედამიწას. ამას იმიტომ შვრებიან, რომ ინგილოების შეხედულებით საჭიროა სული და გვამი ადამიანის ერთსა და იმავე დროს წარსდგენ უფლის წინაშეო და თუ გვამმა დაიგვიანა, ძალიან ცუდია. ეს ჩვეულება მტკიცეთ ყოფილა დაცული ძველად, მაგრამ ქრისტიან ინგილოებში უკვე გამოვიდა ჩვეულებიდან.

თუ მიცვალებული მეორე დღემდე დარჩა სახლში დაუმარხავი, მაშინ ღამით

ალარკეს დაადგამენ პირზედ მიცვალებულს და ზედ საცერს პირქვე გადაფარებენ, ირგვლივ კიდევ საბელს შემოავლებენ. ამას იმიტომ შვრებიან, რომ კატამ ან ქათამმა არ გადაუაროს მიცვალებულსო. თუ ვინცობაა ქათამმა გადაუარა მაშინვე ჰკლავენ, თორემ სხვა ვინმეც მოჰკვდება ოჯახშიო. თუ კატამ გადაუარა, ან დაფხანა მიცვალებული, კატას ან მოჰკლავენ, ან წაიყვანენ და შვიდ სოფელს იქით გაუშვებენ. ვიდრე მკვდარს კუბოში ჩააწვენენ, მახლობელნი მიცვალებულს, ქალები ქალს და კაცები კაცს კარგათ გაჰბანენ. მკვდარს იმიტომ ჰბანენ, რომ საჭიროა მიცვალებული სუფთა წარსდგეს უფლის წინაშეო. მიცვალებულს ჯერ საპნით და თბილის წყლით გაჰბანენ, ბოლოს კი ცივს წყალს გადაავლებენ, რომ სხეული გამაგრდეს. წყლის გასათბობათ ერთის ხელით ზედადგარს დასდგამენ, ხოლო მეორე ხელით ცარიელს ქვაბს შესდგამენ და მერე ისე ჩაასხამენ გასათბობად წყალს. მიცვალებულის გასაბანათ სახლში ერთ კუთხეში ორმოს ამოთხრიან (ინგილოებს სახლში მიწის იატაკი აქვთ) ზედ ფიცრებს დაალაგებენ, გადააფარებენ ჯეჯიმს და ზედ მიცვალებულს დააწვენენ გასაბანათ. როცა ბანვას გაათავებენ, კოტიშს, რომლითაც მიცვალებულებსა ჰბანენ, დაამტვრევენ და იმ ამოთხრილს ორმოში ჩაატანენ ნაბან წყალთან ერთად. ზოგს სოფელში კიდევ კოტიშს წყლის პირად ჩასდებენ: გამვლელ-გამოვლელი წყალს დალევს კოტიშით და მადლიაო.

გაბანილს და გასუფთავებულს რაც კი სუფთა ტანისამოსი აქვს სულ ზედ ჩააცმევენ, სამს, ოთხს და ხშირად მეტ ხელსაც, თუ კი ჩაეცმევა ტანზედ. ძველსა და ჭუჭყიანს ტანისამოსს კი კუბოს ძირს დაუგებენ და ისე დასდებენ ზედ ცხედარს. სახლში სტოვებენ ერთ ხელ ტანისამოსს სატირლად. ამ გვარად გაბანილსა და ჩაცმულ მიცვალებულს ოთახის შუაგულში ჯეჯიმს გაუშლიან და ზედ დაასვენებენ. მიცვალებულს ერთ ხელში ფულს მისცემენ დაწყებული აბაზიდან მანეთამდის და მეტსაც შეძლებისდაგვარად. საიქიოს იქნება დაჭირდეს ფულის მიცემა, ან მოვალე გამოუჩნდეს ვინმეო და გადაუხადოს ვალიო. მეორე ხელში კი სანთელს აძლევენ, ანთებენ და როცა სანთელი მოიწვის სუდარათი გააქრობენ და ისე დამწვარს ჩაატანენ კუბოში. სანთელი ნიშანია იმისი, რომ მიცვალებული ქრისტიანია და საიქიოს ყველამ იცნოს და მუსულმანებში არ აირიოსო. ძველს დროში საინგილოში სანთლის მაგივრად ყურებსა და ცხვირში მიცვალებულს საკმელს უკეთებდნენ. შემდეგ მიცვალებულს პირისახეზედ მუშამბარს დაადებენ. მუშამბარა გასანთლული ტილოა და შემდეგნაირად ამზადებენ: სანთელს ადნობენ, შიგ ტილოს ამოავლებენ და მერე პირისახეზედ გადააკრავენ. ინგილოთა შეხედულებით ამ გვარად ადამიანის სახე უფრო დიდხანს შეინახება. არ დაჰკარგავს თავის ელფერს და მადლიაო, ძველად კიდევ ქალებს მთელ იმარათს (ვერცხლის მორთულობას) ჩაატანდნენ ხოლმე საფლავში, მაგრამ ახლა ეს ჩვეულება სრულიად გადავარდა.

მიცვალებულს, ჩვეულებრივ, თეთრს სუდარაში ახვევენ, გახვევის დროს სუდარას ორ თითის სიგანეს ჩახვევენ ხოლმე და კერიაზედ ჩამოჰკიდებენ. ორმოცის დღის შემდეგ ამ ნახევს ჩამოჰგლეჯენ, დასწვავენ ან მდინარე წყალში ჩააგდებენ.

გაიგებენ თუ არა სოფელში ნათესავები და ნაცნობები გარდაცვალების ამბავს, მაშინვე დაგროვდებიან და მოვლენ მისატირებლად. წყობწყობათ მიდიან ქალები და კაცები, შედიან პირდაპირ იმ ოთახში, სადაც მიცვალებული ასვენია და მოთქმით ტირილს დაიწყებენ. ერთი რომელიმე უფროსი ოჯახში მოსთქვამს, ჩამოსთვლის ყოველსავე ღირსებას და სიკეთეს მიცვალებულისას,

სხვები კი ქვითინებენ, ბანს აძლევენ და ხანდისხან გულში მუშტს იკრავენ. ამ დღეს კაცებიც სტირიან, სხვა დროს კი სასაფლაოზე და სოფლისპირში. მტირალს კაცს ვერ დაინახავთ. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ თუ მიცვალებულს პაპა ან დიდედა ცოცხალი ჰყავს, მაშინ მამა ვერ იტირებს შვილს, რაც გინდა ძალიან ეტირებოდეს, რადგან ძალიან სირცხვილად ითვლება ასეთი კაცის ტირილი.

ყოველი ტირილის შემდეგ ჩამოატარებენ წყლით სავსე ჯამს, რომელშიც ყველანი სათითაოდ ჩაჰყოფენ თითებს და თვალებს მოიწმენდნენ. შემდეგ ამ წყალს დაასხამენ სადაც მკვდრის ნაბანი ჩაასხეს.

კუბოთი საინგილოში მარტო ქრისტიანებს მარხვენ, მუსულმანებში კი საკაცესა ხმარობენ, რომელსაც კიბის მსგავსად აკეთებენ. მიცვალებულს სუდარას კარგად გადაუჭერენ, გაჰკერავენ, დასდებენ საკაცეზედ და ზედ აბრეშუმის ხვეულებით მიაბამენ. ამგვარი აბრეშუმის ხვეულები ყველგან მოიძებნება საინგილოში, რადგან მეაბრეშუმეობა საინგილოში ძალიან არის გავრცელებული და ყველას შინა აქვს აბრეშუმი. მკვდარს ზევიდან აფარებენ წასახურავს ოთხ მეტრ ჩითს.

როცა დანიშნულს დროს (ძველად მღვდლები ქრისტიანებში და მოლები მუსულმანებში) ანდერძის აგებას დაიწყებენ, მაშინვე ერთი პურის მცხობელ-თაგანი შევა იმ ოთახში, სადაც მიცვალებულია, თან შეიტანს საცერსაც და სამს პურს, დაადებს საცერს მიცვალებულს გულზედ, ზედ გადასტეხს სამ-სამ ნატეხად თითო პურს და უკანვე გაიტანს. ამ პურს, როცა სუფრაზედ დასხდება ხალხი, ყველას ჩამოურიგებენ.

აგერ კუბოც ასწიეს. ამ დროს კარები იხურება, კუბოს სამჯერ მიარაკუნებენ კარებს და გააღებენ. ეზოში ხელახლა იწყება ტირილი, უფროსი ოჯახისა კიდევ მოსთქვამს და ჩამოსთვლის მიცვალებულის ღირსებას დიდის ხმით. ქალები აქ საბოლოოდ ემშვიდობებიან მიცვალებულს, რადგან სასაფლაომდე გაყოლა ქალებისა მიღებული არ არის და დარვაზის კარებიდანვე უკანა ბრუნდებიან ხოლმე.

მკვდარს რომ ცოტას გააცილებენ კარმიდამოს, მაშინ ერთი ახალგაზრდა ვინმე აიღებს ქვას, შეიტანს სახლში და იმ ადგილას დადებს, სადაც მკვდარი ესვენა, მერე ისევ ჩქარა წამოავლებს ხელს, გაიტანს გარეთ, პირუკუღმა დადგება, ზურგს უკან გადააგდებს ქვას და ხმამაღლა იტყვის:

— „წაა, ჩონ ამაშინს უკან დაგოხსენ". სახლში შებრუნებული ქალები ხელებს დაიბანენ და პურის საჭმელად მოემზადებიან. ქალებს ხელებს აბანინებს ვინმე კაცთაგანი, რომელსაც დიდი სპილენძის თუნგი უჭირავს და თანაბრად განუწყვეტლივ უსხამს წყალს ყველას. ამასთანავე უნდა შევნიშნოთ; თუ ეზოში ისეთი ხე დგას, რომ არ ისხამს, მაშინ ამ ხის ძირში აბანინებენ ქალებს ხელებს. ხელის დაბანვის შემდეგ ქალები სუფრას შემოუსხდებიან და ჭამა-სმას შეუდგებიან. ამ დროს ქალებს ჩამოურიგებენ ორ-სამ აგება ფერად (წითელს, ყვითელს, მწვანეს) აბრეშუმის ძაფს. ეს ძაფები ოჯახშივე არის დამზადებული ქალებისაგან და გარდაცვალებულის სახსოვრად და სამადლოდ ურიგებენ ქალებს ამ ძაფებს.

ვიდრე ქალები ჭამა-სმაში არიან, ამ დროს მიცვალებულს უკვე დაასაფლავებენ კაცები. ისეთი თადარიგი აქვთ დაჭერილი სასაფლაოზედ, რომ ერთი გვარისანი, ანუ როგორც აქ ეძახიან თოხუმოსანნი ერთ წყებათ საფლავდებიან. სამარე ერთი მეტრის სიღრმე ითხრება, მაგრამ როცა ნახევრად მზად არის

სასაფლაო, მაშინ განათხარის შუა გულში სიგრძეზედ კიდევ გათხრიან ერ ზომისას, რომ კუბო თავისუფლად ჩაეტიოს. ამას იმიტომ სჩადიან, რომ აქ კუბოს სახურავს არ უკეთებენ, ამიტომ ზევიდან გარდიგარდმო ბრტყელ კლდის ქვებს მიალაგებენ და შემდეგ ისე მიაყრიან მიწას. მუსულმანი ინგილოები, რომელნიც მკვდარს საკაცითა მარხავენ, სუდარას საფლავში ჯეჯიმს უგებენ, თავთით კიდევ სასთულს და ზედ გულაღმა აწვენენ მიცვალებულს. სამარეს თავში და ბოლოში ბრტყელს ქვებს (ჩვეულებრივ კლდისას) ვერტიკალურად ჩაუდგამენ, შენდობას მიაძახებენ და შინ ბრუნდებიან.

ვიდრე კაცები დაბრუნდებიან სახლში, სუფრა უკვე მზად არის. ქალებს გაუთავებიათ ჭამა-სმა და სახლებში წასულ-წამოსულან, დაბრუნებულნი დამზადებულს სუფრას მოუსხდებიან, ღვინოს ცოტას პურზედ თავს წამოუქცევენ, შენდობას ეტყვიან, ფლავს და ხორაგეულობას შესჭამენ და დაიშლებიან.

თუ მიცვალებულის ოჯახში ვისთვისმე დანიშნული ჰყავთ სადმე ქალიშვილი, მაშინ დანიშნული უგზავნის მიცვალებულისათვის ერთ წყვილ წინდას.

პირველ სამ დღეს ყოველ დილით ოჯახის ერთერთი წევრი მიდის გარდაცვალებულის საფლავზედ, ასწორებს მას და წყალს ასხამს. თუ ქვრივი ქალი ან კაცი შეუღლდა ხელახლივ, მაშინაც გარდაცვალებულის საფლავს წყალი უნდა დაასხან.

ცისკრის ტირილი. დამარხვის მეორე დღეს შინაურები და მეზობლები დილით, ვიდრე მზე ამოვიდოდეს, ხელახლივ იტირებენ მიცვალებულს. წყლით სავსე ჯამს სანთელს მიაკრავენ და იქ დასდგამენ, სადაც მკვდარს სული ამოუვიდა. შემდეგ საკმეველს ჩაჰყრიან ნაკვერჩხლით სავსე ქაფქირში და გამოიტირებენ ხელახლივ მკვდარს. გარდა ამისა, ვიდრე ორმოცი გავიდოდეს (ორმოცი აქ ხუთი კვირა ითვლება) ყოველდღე ასე უნთებენ სანთელს და უკმევენ საკმელს. ამასთანავე ყოველივე კერძს მიუტანენ ჯამითა და დაუდგამენ.

გარდაცვალების მესამე დღეს ტაბლობა იციან, რომელსაც განსაკუთრებით მარტო ქალები ესწრებიან. ამ დღისთვის ამზადებენ ყოველივე საჭმელს, გარდ ხორცეულისა, რადგან ინგილოების შეხედულებით ხორცეული ამ დღეს არ ერგება მიცვალებულს — სამგლოვიაროთ მიდიან განსაკუთრებით დედაკაცები და მიაქვთ შესაწირად ფლავი, ღვინო, ხილი და სხვა. როცა ყველანი შეიკრიბებიან, ჩამოიღებენ მიცვალებულის ტანისამოსს, გაშლიან იმ ადგილას, სადაც მიცვალებულს სული ამოუვიდა და ტირილს დაიწყებენ. ტირილის შემდეგ ტანისამოსს ჰკეცავენ და ინახავენ, ხოლო მის ადგილას აწყობენ ხორაგეულობას: პურს ვარცლით, ფლავს ქვაბით, კვერცხებს, ხილს, ღვინოს. აქვე ალაგებენ მოსულთაგან მოტანილს ხორაგეულობას. ოჯახის უფროს ქალს ნაკვერჩხლით სავსე ქაფქირს და საკმეველს მისცემენ. უფროსი ქალი საკმეველს აიღებს, ჩადებს ორ კბილს ქაფქირში და იტყვის:

— ღმერთმან, ჯანაათში (სამოთხეში) შეიყვანოს. შემდეგ დანარჩენი ქალებიც რიგ-რიგით მივლენ, ისინიც ჩაჰყრიან საკმეველს, იმავე სიტყვებს გაიმეორებენ. როცა საკმელი წვას დაიწყებს, მაშინ სამჯერ შემოუვლის კმევით ხორაგეულობას ორი დედაკაცი. კმევა იწყება აღმოსავლეთის მხრის ქვემო კუთხიდან, მარცხნიდან მარჯვნივ. შემდეგ მეორე დედაკაცს გადასცემს და ისიც კმევით ჩამოუვლის და მერე სხვას გადასცემს. კმევის გათავების შემდეგ საკმელს არ აჭრობენ, არამედ იქა სდებენ, სადაც მიცვალებული ესვენა და ვიდრე მთლად არ დაიწვება საკმელი, საჭმელს ხელს ვერავინ ახლებს. საკმეველის გაჭრობისთანავე სუფრას შლიან და სტუმრის თავზედ სამს პურს ჩა-

მოჰყრიან. სტუმრებმა კარგად უნდა სჭამონ და სვან და რასაც ვერ შესჭამენ უნდა ჩაიწყონ თან მოტანილს ხურჯინში და სახლში წაიღონ. [illegible] თან უნდა წაიღონ სახლის პატრონის ღვინით სავსე კუჭულები. ასეთივე ტაბლობა იმართება გარდაცვალების ყოველ სწორზედ ვიდრე ორმოცი შესრულდება.

ყველაზედ უფრო საყურადღებო ამ ტაბლობაში ქაფქირით კმევა-კურთხევაა სუფრისა. ლაპარაკი არ უნდა, რომ ეს ჩვეულება იმ დროს შემოსულა, როცა საინგილოში მოსულმა მოლებმა ძალდატანებით მღვდლები გააძევეს და ხალხს გარეგნულად ქრისტიანობაზედ ხელი ააღებინეს. სწორედ ამ დროში უნდა შემოსულიყო ქალებისაგან სუფრის კურთხევა და ქაფქირი იმავე საცეცხლურსა ნიშნავს, რომლითაც მღვდელი უკმევს ხოლმე მიცვალებულს.

ს ულ პ ურ ი. სულის პური ანუ სულის ახსნა მიცვალებულისა ერთ განსაზღვრულს დროს არ იციან, მაგრამ უფრო — მეორმოცე დღეს იხდიან ხოლმე. ამ დღისთვის წინდაწინ მიიწვევენ ყველა ნათესავებსა და ნაცნობებს მთელი ჯალაბობით. დიდი მზადება და ხარჯი იციან, აცხობენ პურს, ლავაშს, ჰკლავენ საკლავს. საკლავი სამი უნდა დაჰკლან, სამივე ცხვარი, ან არა და ორი და ერთი დეკეული. ღარიბები კიდევ ერთ ცხვარსა და ორ ქათამსა ჰკლავენ. ცხვარს დაკვლის წინ მარილს შეაჭმევენ, ქათმებს კიდევ ქოჩორს შეუტრუსავენ.

ამ დღემდის ვინც მგლოვიარეთ არიან, თმას და წვერს არ იკრეჭენ. გარდა თმა-წვერის დაყენებისა, სხვაფრივ აქ მიცვალებულის გლოვა არ იციან. ქალები იმის მაგიერ, რომ შავს ტანისამოსში გამოეწყონ, პირიქით, რაც რამ ახალი და ჭრელ-ჭრელი ტანისამოსი აქვთ, იმას ჩაიცმენ და ისე დადიან.

ამ დღისთვის დაბარებული ჰყავთ დალაქი და ყველა მგლოვიარეს თმასა და წვერსა ჰპარსავს და ჰკრეჭავს. დალაქს გასამრჯელოდ აძლევენ ერთ მანეთს, ერთ ხელსახოცსა ან ჩითის სუფრას, ლავაშსა და საინით ფლავს.

ვიდრე კაცები თმა-წვერის პარსვა-კრეჭაში არიან, ქალები, შინაურები და ნათესავები მიდიან მიცვალებულის საფლავზედ და თან მიაქვთ სასმელ-საჭმელი და ტანისამოსი მიცვალებულისა. თან მისდევთ ერთი ან ორი კაცი, რომელთაც მიაქვთ სასმელ-საჭმელი. მისვლისთანავე მიცვალებულის ტანისამოსს შლიან საფლავზე, დაალაგებენ საჭმელ-სასმელს, ანთებენ სანთელს და უკმევენ, შემდეგ ტირილს დაიწყებენ, დიდხანსა სტირიან და მოსთქვამენ გარდაცვალებულის ავ-კარგსა, როცა ტირილით გულს იჯერებენ, დასხდებიან და ჭამა-სმას შეუდგებიან. რაც რამე დარჩებათ შეუჭმელი, იმას სახლში აღარ წაიღებენ და ქვრივ-ოხრებს უწყალობებენ. ტანისამოსს კი დაჭეცავენ და იმას აჩუქებენ, ვინც მიცვალებული გაჰბანა. ქალების დაბრუნებისას უკვე ყველაფერი მზად არის და სუფრა გაშლილია. აქაც ჩაუყრიან მიცვალებულს სანთელ-საკმელს და მერე დასხდებიან სუფრაზედ. სტუმრებს იმ დღეს წვნიანს, ფლავსა და ხილეულებს მიართმევენ, ქალებს, გარდა ამისა, კორკოტითაც უმასპინძლდებიან. წასვლისას ყველას თან მიაქვს ერთი-ორი ლავაში და კუჭულა ღვინო.

ხალხი რომ დაიშლება და წავა-წამოვა, მაშინ მიცვალებულისათვის საგანგებოდ გამოცხობილ პატარა პურს ლობეზე დასდებენ და იტყვიან: — შენ წილ მიგიღია, წაა შენ წილ რამ აქ აღარაა. ამ პურს ლობეზედ შესდებენ და თუ მათხოვარი გამოივლის, იმას უწყალობებენ.

სულპური სამჯერ იციან, ერთი ჩვეულებრივ მეორმოცე დღეს, მეორე წლის თავზედ და მესამე ორის წლის თავზედ, გარდა ამისა, ვინც მდიდარია და შეძლებული, ყოველ წლივ იწვევს ხოლმე ნათესავებსა და იხდის სულპურს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაატა გუგუშვილი — „კაპიტალიზმის განვითარება საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში“.

სახელგამი. თბილისი. 1941 წ., გვ. 472.

სულ ორიოდე თვეა, რაც გამოვიდა პროფ. პაატა გუგუშვილის ეს ფრიად საყურადღებო ნაშრომი,—საყურადღებო როგორც გამოკვლევის თემისა და საგნის მნიშვნელობის მხრივ, ისე შესრულებისა და შინაარსის მხრივ. ნაშრომი უდავოდ მოწმობს იმას, რომ ავტორს დიდი მუშაობა ჩაუტარებია აღებული საკითხის გამოსარკვევად და, რაც მთავარია, ეს მუშაობა ფრიად ნაყოფიერი გამომდგარა, რასაც დიდის სიამოვნებით აქვე, დასაწყისშივე, აღვნიშნავ, ხოლო ქვემოთ უფრო დასაბუთებით მოვიხსენიებ.

ეს სიამოვნება და ამ ნაშრომის შესარგისობა გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა მკითხველისათვის, ავტორი რომ მეტის ყურადღებით მოპყრობოდა მის მიერ მოსათხრობს თუ მონათხრობს და თავიდან აეცილებინა ის მეტნაკლები მნიშვნელობის დეფექტები, რომლებიც მის წიგნში საკმაოდ მოიპოება და რომლებისათვის გვერდის ავლა მას—ვფიქრობ, რომ მოენდომებინა —არ გაუძნელდებოდა. მე აქ აღვნიშნავ გაკვრით ამ დეფექტებს, უფრო იმ მიზნით, რომ მათზე მითითება იქნებ გამოადგეს ავტორს წიგნის შემდგომი გამოცემისათვის, რომელიც, მაქვს რა მხედველობაში ამ ნაშრომის მდიდარი შინაარსი, ვიმედოვნებ და დარწმუნებულიც ვარ, მალე მოჰყვება პირველს.

1. უწინარეს ყოვლისა მოსახსენებელია დეფექტები, ან ყოველ შემთხვევაში არასაკმარისი გამართულობა, ენისა და სტილის მხრივ. წიგნში ვხვდებით ამგვარ სიტყვებსა და გამოთქმებს: მუშები „საცოდავს ხელფასს ღებულობდნენ... 50—60 კაპიკამდე თავიანთივე საკვებით“ (გვ. 357). „ქვეითი და ცხენოსანი ჯარი დაუნდობლად სცემდნენ [მუშებს] შოლტებით“ (გვ. 318); „იარმარკტები“ (გვ. 13); „მეკობრე“ (გვ. 53. მთებში გასული ყაჩაღის აღსანიშნავად); „სესხს იხმარდა... გარყვნილებითი და ფუფუნებითი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში“ (გვ. 21); „კერძომფლობელობითი მეურნეობათა მიერ“ (გვ. 101); „ურთიერთული პასუხისმგებლობა“ (გვ. 406); „შეიქმნა საგლეხო საქმეთა საგანგიოები (присутствия)“ (გვ. 36); „მუშაობა მთელი სინათლიანი დღის განმავლობაში გრძელდებოდა“ (გვ. 257); „ფაბრიკანტი აღწევდა მუშის მიკაბალებას“ (გვ. 381, 201, 154); „როგორც გინდ მოკლედ არ ეხებოდეს იგი მოცემულ საგანს“ (გვ. 144); „მემამულის გაყვინიზებული გულის მოგება“ (გვ. 95); „წინ უსწრებს ჩვენში“ (გვ. 78); „პატრიარქალური ურთიერთობა, რომლის ბურვილებში ოსტატი ეწევა შეგირდების და ქარგლების ექსპლოატაციას“ (გვ. 169); სარაჯი (სირაჯის ნაცვლად, გვ. 178), ფანელი (ფლანელის ნაცვლად), მიტკალი (ნარმის, бязь-ის ნაცვლად); „ხელოსანს მასალა მიჰქონდა ვალში, კრედიტში“, (ალბათ, ამის შესატყვისად: „брал в долг, в кредит“); „ბურჟუაზიულმა თაოსნობამ დადრიკა და გასტეხა ამქრული ხელოსნობის შეუვალობა და შეზღუდულობანი“ (გვ. 180); „მოვლინებულ იქნა | ბარონ ბიბერშტეინი, რათა მოეხილვა [მეაბრეშუმეობის] ადგილები“ (გვ. 212); „მეტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპოლია ყოველმხრივ ხელს უშლის, რათა აქვე, საქართველოში, არ წარმოიშვას ხელოვნურად ფაბრიკული გადამუშავება, ე. ი. არ განვითარდეს საფეიქრო მრეწველობა" (გვ. 212); „აწარმოებდნენ ლაფათქებს" (გვ. 198, 194); „ტორზები, საგვერგვეროენ" (გვ. 228); „ჩხრიალა ფული" (გვ. 222); „აბორიგენები" (გვ. 3); „კომუტაცია ქმნილი" (გვ. 184); „დაბალხანის ბნელ სარდაფებში მიწაში ამოკეთებული იყო გრძელი გეჯები" (გვ. 236); „კიდევ უფრო აქტიური ხდება ნაოსნობის მოწყობის საკითხი" (გვ. 70).

ანდა ასეთი სტილი: „ეს უკანასკნელი ტენდენცია უშუალო კავშირშია, ერთის მხრივ, რუსეთის ცარიზმის მიერ წარმოებულ დაპყრობათა შედეგად ამიერკავკასიაში გაბატონებული ქართველური სამეფოებისა, კერძოდ ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკვიდაციასა და შემდეგ თვითმპყრობელობის ეკონომიურ პოლიტიკასთან, ე. ი. შეფარვებისა და, მაშასადამე, შეწყალების ვითარებაში მომხდარ ცვლილებებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ამავე დროიდან შემოჭრილ ახალ ეკონომიურ ცხოვრებაში სომხური კაპიტალის როლისა და ამიერკავკასიის ცალცალკე ერებად ჩამოყალიბების პროცესთან" (გვ. 54 და სხვ.).

2. ტერმინების მხრივაც არ არის წიგნში ყოველთვის დაცული ერთგვაროვნობა და სისწორე. მაგალითად, ავტორი ხმარობს სიტყვას „მურკვნა", როგორც თესლის გამოცლის სინონიმს (გვ. 116, 167). „საბაჟო საფასურს", როგორც **таможенная пошлина**-ს შესატყვისს (გვ. 104). **налоги и сбори**-ს სათარგმნელად—„ბეგარა-გამოსაღებნი" (გვ. 105). **акцизное обложение**-სთვის—„საქციო ბეგარას". **предприятие**-სთვის ხან „წამომწყებლობა", ხან „წამოწყებას", ხან „მესარეწეობას", **веретено**-სთვის—„ტიბეერს" (მაშინ, როდესაც შემოღებული და დამტკიცებულიცაა: „თითისტარი" და სხვ.).

3. არის წიგნში ადგილები, სადაც ავტორს „განვითარების" მეტის-მეტად განვითარებული, შეუფერებელი, ჰიპერბოლური აღწერა აქვს მოცემული. მაგალითად: ავტორი მოგვითხრობს, რომ ყმობისგან „განთავისუფლებულმა" გლეხმა, რომელიც უმიწოდ და უტყეოდ გაუშვეს, „დაჰკარგა რა ტყით სარგებლობის უფლება, მითვე დაჰკარგა [ჩვენებური ხის] გუთნის დროზე განახლების და შეკეთების საშუალებაც" (გვ. 95); ან: „ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეებში წარმოიშვნენ ადგილობრივი, სარაიონო, საგუბერნიო და ასევე სამხარეო მნიშვნელობის ბაზრები, სადაც თავს იყრიდა მთელი ქვეყნის საქონელი" (გვ. 402); ან კიდევ: „მეაბრეშუმეობა, მეღვინეობა-მევენახეობა, მეთამბაქოობა, ჩაი, მებამბეობა, მათი სამრეწველო გადამუშავების ზრდით, თანდათან წარმოიქმნენ მეურნეული თაოსნობის ისეთ დარგებად, სადაც შეიჭრა და შესაფერი გასაქანიც მიეცა კაპიტალისტურ მესარეწეობას" (გვ. 103); ანდა: „ამქრის ხელოსანთა ერთი ნაწილი ჩაითრია კაპიტალისტურმა მესარეწეობამ, ესენი შეიქმნენ კაპიტალისტ-მეიჯარეებად, ვაჭრებად, მრეწველებად. მეორე ნაწილი—დიდი უმრავლესობა—განაგრძობს „ძველ ტრადიციულ ხელობას". ამათ საბოლოოდ იმორჩილებს სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალი. ხელოსანთა ეს უკანასკნელი კატეგორია ადრე თუ გვიან ღატაკდება და იქცევა დაქირავებულ მუშად ანდა განაგრძობს «დამოუკიდებელ ხელოსნად ყოფნას», რომელსაც სულ უფრო ავიწროებს და საცოდავს ხდის მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობის პროდუქცია" (გვ. 181). ე. ი. ჩვენში კაპიტალიზმს უფრო ძლევამოსილად უვლია, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. ასეთ აზრს მიიღებს მკითხველი, რადგან ავტორმა არ იცის ზოგჯერ ზომის დაცვა გამოთქმებში.

4. აქ, ამგვარ შემთხვევაში, მაშასადამე, ავტორის ესა თუ ის გადაჭარბებულად გამოთქმული დებულება არ დასტურდება ცხოვრების სინამდვილით. მეორეს მხრივ, წიგნში ვხვდებით ისეთ ადგილებსაც, სადაც ავტორის დებულება არ მტკიცდება, არ დასტურდება ავტორის მიერვე მოცემული მასალით. მაგალითად, 265-ე გვერდზე ავტორი გვამცნობს დებულების სახით, რომ მარგანეცის მოპოების საქმეში „900-იანი წლების მიწურულიდან უკვე აშკარად ირკვევა მსხვილი სარეწავების საბოლოო გამარჯვება როგორც წვრილი, ისე საშუალო ზომის სარეწავებზედაც" (გვ. 265). მაგრამ იმავე გვერდზე მოთავსებულ ცხრილს

რომ ვუკვირდებით, ვერ ვხედავთ, რომ ეს დებულება მართლდებოდეს. იქ სჩანს მსხვილი წარმოების გამარჯვება წვრილზე, მაგრამ არა სჩანს მისი გამარჯვება „საშუალო“ ზომის სარეწავებზედაც“. ის ცხრილი გვეუბნება, რომ პროდუქციის ოდენობით 1897 წელს პირველი ადგილი ეჭირა საშუალო წარმოებას, ხოლო მეორე ადგილი მსხვილ წარმოებას. ასევე 1915 წელს პირველი ადგილი ეჭირა საშუალოს და მეორე—მსხვილ წარმოებას. ამ უკანასკნელის ხვედრითი წონა იზრდებოდა, მაგრამ იგი მაინც ნაკლები იყო საშუალო წარმოების ხვედრითს წონაზე.

ანდა შემდეგი: ავტორი, იძლევა რა (გვ. 295) ცხრილს ბაქოს ნავთობის შავი მუშების ხელფასის შესახებ, ამბობს, რომ „წერა-კითხვის ცოდნას და სარეწავებში ხანდაზმულობას დიდი გავლენა ჰქონდა მუშის ხელფასზე“. მაგრამ ცხრილი სანახევროდ ადასტურებს ამ დებულებას, ხოლო წერა-კითხვის ცოდნის „დიდი“ კი არა, პატარა გავლენაც არა სჩანს იქ. სჩანს მხოლოდ „ხანდაზმულობის გავლენა“ და ის, რომ „ხანდაზმულ მუშებს“ შორის, რომელნიც შედარებით უფრო დიდ ხელფასს იღებდნენ, წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი (პროცენტულად) უფრო მცირე იყო. ეს მოვლენა გასაგებიცაა, და ავტორი მას ადვილად ახსნიდა, რომ ჩაჰკვირვებოდა.

ან კიდევ 37-ე გვერდზე ავტორი იძლევა (ბათუმისათვის) სანავთობო ბიდონებისა და ყუთების მწარმოებელი სარეწავების რიცხვის თანდათანი შემცირების მაჩვენებელ ციფრებს (1897—1915 წწ. 8, 5, 4, 2, 4, 4, 2) და დაასკვნის: „სარეწავთა რაოდენობის თანდათანი შემცირება მაჩვენებელია იმისა, თუ რაოდენ სწრაფად მიმდინარეობდა ამ წარმოების კონცენტრაცია“. ამას ამბობს აქ, მაგრამ 340-ე გვერდზე მოგვითხრობს, რომ 1905 წლიდან წარმოება შეაჩერეს მსხვილმა მწარმოებლებმა, ასე რომ „1910 წლის მიწურულს ბათუმში 4, შედარებით მცირე, ბიდონის და ხის ყუთის ქარხანა მუშაობდა ... ასე დაკნინდა და დაეცა მსოფლიო ომის დასაწყისისათვის ქ. ბათუმში თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების წარმოება“ (გვ. 343).

5. ცხადია, ასეთ შეუსაბამობას გადმოცემაში ავტორი ადვილად აიცილებდა თავიდან, მეტი ყურადღება რომ ერგუნებინა თავისი ხელნაწერის გაშალაშინებისათვის. მაშინ, ალბათ, ადგილი არ ექნებოდა იმ არა ერთსა და ორ უსწორობას, რომელსაც ვხედავთ მის წიგნში. მაგალითად: გლეხების განთავისუფლების შემდეგაც „სოფლის მეურნეობის ყველა დარგებში გაბატონებული იყო საბეგარო შრომა“ (გვ. 76); 41 გვერდზე სწერია: „1001 კაცზე მეტი“, უნდა იყოს: „1000 სულზე მეტი მამრობითი სქესისა“ (ასეა წყაროში); ხშირად შეფარდებითი ციფრები და ჯამებში მოცემული რიცხვები არაა სწორი, არც იქვე აღნიშნული პროცენტები (გვ. 54, 55, 56, 57, 86, 292, 312 და სხვ.). არა სჩანს ცხრილების მასალის მიმართ ავტორის მხრივ საკირო კრიტიკის გაწევა და მისი „განწმენდა“. ამიტომ სათანადო ცხრილი ვერა ხატავს სისწორით იმ მოვლენას, რის გამოსახატადაც იგი მოცემულია ავტორის მიერ. მაგალითად, ცხრილში 417-418-ე გვერდზე შესულია არა მარტო ქარხნულ-ფაბრიკული წარმოება, არამედ ხელოსნურიც. მართალია, გამოყოფა ხშირად ძნელია, მაგრამ მაშინაც, როცა იგი შესაძლებელი იყო, ავტორის მიერ არ არის შესრულებული;—ანდა: ცხრილებში მარგანეცის შესახებ მოპოება ნაჩვენებია ზოგჯერ ფუთობით, ზოგჯერ ტონობით (გვ. 258, 262, 431 და სხვ.). ასევე ნავთობის მოპოებასა და გატანას ავტორი გადმოგვცემს ხან ფუთობით, ხან ტონობით, ხან ბარელობით, ამასთან ბარელის შესახებ უხსნის მკითხველს, თუ რამდენ ფუთსა და გირვანქას უდრის იგი, ხოლო გალონის შესახებ ასეთი ახსნაც კი არ არის მოცემული (შეად. გვ. 281, 282, 284, 321, 322, 324). ეს გარემოება, რასაკვირველია, ძალიან აძნელებს იმ ცნობების გამოყენებას შედარებისათვის.

6. ამასთან ერთად წიგნში არის ისეთი ადგილებიც, სადაც ავტორი მის მიერ გამოთქმული დებულებისა და აზრის დასამტკიცებლად ისეთ საბუთს იშველიებს, რომელსაც სუსტი დამაჯერებლობა აქვს მკითხველისათვის.

მაგალითად, ავტორი „მსოფლიო კრიზისის“ გავლენით ხსნის ჭიათურის მარგანეცის ხვედრითი წონის დაცემას XX საუკუნის პირველი წლებიდან საერთოდ მსოფლიო მოპოებასა და მსოფლიო ექსპორტში (გვ. 268-269). მაგრამ მკითხველისათვის მაინც, გაუგებელი რჩება, თუ რატომ იმოქმედა „მსოფლიო კრიზისმა“ უფრო მეტად ჭიათურის და ნაკლებად სხვა ქვეყნების მარგანეცზე.

ან შემდეგი მაგალითი. მე-400 გვერდზე ავტორი სწერს: „თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის ამოცანა იყო დაებრკოლებია აქ [ჩვენში] მრეწველობის განვითარება, რათა ეს ქვეყანა დარჩენილიყო მეტროპოლიისათვის ნედლეულის მიმწოდებელ ქვეყანად. ამ მიზნით ცარიზმი, სხვათა შორის, მიმართავდა მაღალ სარკინისგზო ტარიფს (საექსპორტო მარგანეცის, ქვანახშირის, ნავთობის პროდუქტების, ღვინის და სხვ. მიმართ) და მძიმე საექციზო ბეგარას (თამბაქოს, ჩაის და სხვ. ფაბრიკაციისა და სპირტეულის გამოხდის მიმართ). მაშინ როდესაც სწარმოებდა წაქეზება (ჯილდოები, პრემიები, სუბსიდიები, უპირატესობანი) მეტროპოლიის სამრეწველო საქონლის ამიერკავკასიის ბაზრებზე რეალიზაციისათვის“.

უდავოა, რომ ასეთი „ამოცანა“ ჰქონდა თვითმპყრობელობის პოლიტიკას. მხოლოდ ავტორის მიერ მითითებული გარემოება არაა ისეთი ხასიათისა, რომ იგი აუცილებელ ან საკმაო დასაბუთებად ჩაითვალოს. გარდა იმისა, რომ ავტორს სრულებით არა აქვს—არც აქ, არც სხვაგან—ამიერ-კავკასიაში განსაკუთრებული, რუსეთისაგან განსხვავებული, „მძიმე სააქციოზო დაბეგვრის“ არსებობა რაიმე კონკრეტული ფაქტით დადასტურებული, ისიც, რაც მას აღნიშნული აქვს, თავის-თავად კიდევ ვერ გამოდგება დებულების დასასაბუთებლად, მაგ., მარგანეცის მაღალი სარკინისგზო ტარიფი რომ იმ მიზნით იყო თვითმპყრობელობის მიერ დაწესებული, რათა „ეს ქვეყანა დარჩენილიყო მეტროპოლიისათვის ნედლეულის მიმწოდებელ ქვეყანად“. განა ტარიფი რომ მცირე ყოფილიყო, „ეს ქვეყანა“ არ იქნებოდა „მეტროპოლიისათვის ნედლეულის მიმწოდებელ ქვეყანად დარჩენილი“?

პირიქით, „მეტროპოლიის“ იმ ქარხნების ინტერესი, რომელნიც ჭიათურის მარგანეცის გადამუშავებას ეწეოდნენ, იმას მოითხოვდა, რომ სარკინიგზო ტარიფი შემცირებული ყოფილიყო, ვინაიდან ამ „მაღალი ტარიფის“ გადამხდელი იყო, ერთის მხრით, მარგანეცის მრეწველი (მოგების, სარფის შემცირების გზით), მეორეს მხრივ—მარგანეცის მომხმარებელი ქარხნები როგორც უცხოეთში, ისე „მეტროპოლიაშიც“, და თვითმპყრობელობის მთავრობა სწორედ ამ არგუმენტს ეყრდნობოდა: ტარიფის შემცირებით უცხოეთი ისარგებლებსო, ვინაიდან მარგანეცის უუდიდესი ნაწილი უცხოეთის ბაზარს მიჰქონდა და მარგანეცის მრეწველთა „საბჭოს“ ყოველთვის ამ არგუმენტის წინააღმდეგ სჭირდებოდა ბრძოლა, როდესაც იგი ტარიფის დაკლების საკითხს დააყენებდა ხოლმე მთავრობის წინაშე, თორემ მარტო „მეტროპოლიის“ ქარხნების ინტერესი რომ ყოფილიყო აქ დასაკმაყოფილებელი, ტარიფის დაკლება ერთი ხელის მოსმით იქნებოდა შესრულებული.

7. ზოგჯერ სულ არ იძლევა ავტორი საბუთს ან განმარტებას—არც სუსტს, არც ძალუმს—მის მიერ გამოთქმული დებულების დასამტკიცებლად. მაგალითად, 127-ე გვერდზე სწერს: „რუსეთის ბაზრის დაკარგვის მომლოდინე საფრანგეთის დაინტერესებული ფირმების ზეგავლენით ამიერკავკასიაში დადგენილი [იყო] მაღალი სარკინიგზო ტარიფი ღვინის ტრანსპორტზე“, მაგრამ ამ ცნობას იგი არავითარ დამამტკიცებელ საბუთს არ ურთავს; ან შემდეგი: „თავისი ბუნებრივი თვისებებისა და მდებარეობის საფუძველზე ჭიათურის მარგანეცს [შეეძლო მსოფლიო ბაზარზე] დაეჭირა გაბატონებული მდგომარეობა“ (გვ. 259); „მეთამბაქოობის განვითარების მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი იყო ცარიზმის შესაბამი კანონმდებლობა, რომელიც მეთამბაქოობის მიმდევარ სოფლის მუშას (მეიჯარეს) თამბაქოს ფაბრიკატის ან შემსყიდველის კაბალურ დამოკიდებულებაში აყენებდა“ (გვ. 104); „თვითმპყრობელობის სააქციზო პოლიტიკა ხელს უწყობდა სარეწავის ხელოვნურ კონ-

ცენტრაციას“ (გვ. 137); „ვაჭარი შემსყიდველი სრულებით არ იყო დაინტერესებული მიწოდებული ნედლი მასალის [თამბაქოს] ხარისხით“ (გვ. 106 და სხვ.). ავტორის მონათხრობს მეტი დამაჯერებელი ძალა ექნებოდა, რომ ასეთ შემთხვევებში ეს სათანადო განმარტება და არგუმენტი ჰქონდეს აღნიშნული.

8. სიტყვის ნამეტანი „მომჭირნეობა“ აქ ვერ გამართლდება ადგილის ეკონომიის საბუთებით, ვინაიდან, ჯერ ერთი, შეიძლებოდა ახსნა-განმარტება მოკლედ ყოფილიყო მოცემული, და მეორე, ეს მომხდარიყო ზოგი რამის შემოკლების ხარჯზე: წიგნში არის ადგილები, სადაც გრძელი თხრობა შეიძლებოდა უვნებლად შემოკლებულიყო (მაგალითად, დაწვრილებითი მოთხრობა იმის შესახებ, თუ რამდენი მილიმეტრის სიგრძე, განი და სისქე ჰქონდა იმ ფიცრებს, რომლებიდანაც სანავთობო ტარის ყუთებს აკეთებდნენ ბათუმში, როგორ ხერხავდნენ ამ ფიცრებს და სხ.).

ამგვარი შემოკლების ხარჯზე შესაძლებელი გახდებოდა იმ ხარვეზების შევსებაც, რომლებიც ავტორს—ალბათ, იმავე უადგილობის გამო—აქვს თავის წიგნში, მაგალითად, ნაკლოვანი ცნობები ცალკეულ წარმოებათა შესახებ (ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნების წლიური პროდუქციის ცნობები მოცემულია 1889 წლიდან მხოლოდ 1903 წლამდე, ბაქოს ნავთობის ექსპორტის ცნობები 1890 წლიდან მხოლოდ 1904 წლამდე, ბაქოსავე ნავთობის შეფარდება მსოფლიო მოპოებასთან მხოლოდ 1901 წლიდან 1914 წლამდე, თბილისის რკინისგზის მთავარსახელოსნოთა მუშების რიცხვი 1889 წლიდან მხოლოდ 1907 წლამდე და სხვ.), ანდა კუდმოკვეცილად მოცემული ისტორიული ცნობები ცალკეულ სარეწავთა და ფაბრიკა-ქარხანათა შესახებ.

9. ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ტექსტში ავტორს ნაკლებ აქვს წყაროებზე მითითებული და, კერძოდ, არა აქვს აღნიშნული, თუ რა წესით ხელმძღვანელობდა იგი სხვადასხვა წყაროების ცნობათა საფუძველზე ამათუიმ ცხრილის შედგენისას.

ვფიქრობ, წიგნი საგრძნობლად მოიგებს, თუ ავტორი ზემოაღნიშნულის მსგავს დეფექტებს ააცილებს მას შემდეგისათვის.

10. მ ა გ რ ა მ ეს დ ე ფ ე ქ ტ ე ბ ი მ ა ი ნ ც წ ვ რ ი ლ მ ა ნ ე ბ ი ა ი მ დ ი დ ღ ი რ ს ე ბ ა ს თ ა ნ შ ე დ ა რ ე ბ ი თ, რ ო მ ე ლ ს ა ც ე ს ნ ა შ რ ო მ ი უ ე ჭ ვ ე ლ ა დ შ ე ი ც ა ვ ს.

ნაშრომი წარმოადგენს სქელტანიან წიგნს. შეიცავს, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, 472 გვერდს და შესდგება თორმეტი თავისაგან, რომელთაგან უკანასკნელში დასკვნითი მოსაზრებები და ნაწილობრივ დამატებებია მოქცეული. დანარჩენი თავები შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს. პირველ ნაწილში შესაძლებელია მოვაქციოთ თავები I—IV, VI—VIII, სადაც ავტორის მონათხრობი შეეხება ცარიზმის ხელისუფლების შემოსვლას და მის პირველ ნაბიჯებს ჩვენში, ბატონყმობის გაუქმებას, აგრარულ ურთიერთობას, მოსახლეობის ზრდას, მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებას, ამქრულ ხელოსნობასა და შინამრეწველობას. ეს ნაწილი თავისი შინაარსით წარმოადგენს იმ სოციალ-ეკონომიური პირობების გადმოცემას, რომელთა საფუძველზედაც იწყო საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში კაპიტალიზმმა ფეხის მოკიდება და განვითარება.

წიგნის მეორე ნაწილს შეადგენს (ისევე შინაარსეულად თუ განვსჯით) საკუთრივ კაპიტალიზმის განხილვა, ე. ი. ცდა მისი ისტორიის და ზომა-მოცულობის გარკვევისა სამეურნეო დარგების მიხედვით. სათანადო თავებია წიგნში V და IX—XI, სადაც განხილულია „სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება“ (მეთამბაქოობა, ჩაის კულტურა, მებამბეობა, მეაბრეშუმეობა, მეღვინეობა, სპირტ-არყის წარმოება), „მანუფაქტურული წარმოება“ (საფეიქროები, მინის წარმოება, კასრისა და ტყავის წარმოება), „სამთო-საქარხნო მრეწველობა“ (მეტალურგია, ქვანახშირი, მარგანეცი, ნავთობი) და „ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობა“ (შრომის საშუალებათა წარმოება, ნავთობის ტარის წარმოება, აბრეშუმსახვევი, საძახავი და სართავი ფაბრიკები, ბამბეულის საფეიქრო მრეწველობა, თამბაქოს ფაბრიკები, ტყავისა და სხვა სარეწავები).

პროფ. პ. გუგუშვილის წიგნი არ იძლევა კაპიტალიზმის თანმიმდევრულ გენეზისს საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში და ამაზე თვით ავტორსაც აქვს მითითებული წინასიტყვაობაში, სადაც ამბობს, რომ ეს წიგნი „უფრო ნარკვევების კრებულს წარმოადგენს, ვინემ კაპიტალიზმის სისტემატურ ისტორიასო“. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან სისტემატური ხასიათის გამოკვლევის შესასრულებლად საჭიროა წინასწარ სათანადო მასალის სისტემატიზაცია და ცალკეული დარგებისა და საკითხების მონოგრაფიული კვლევა-ძიება, რაც დღემდის ჩვენში ნაკლებად არის გაკეთებული.

მაგრამ ისიც, რაც ავტორს მოცემული აქვს, დიდ მიღწევასა და დიდ შენაძენს წარმოადგენს ჩვენი სამეცნიერო ეკონომიური ლიტერატურისათვის. ეს უნდა ითქვას პირველ რიგში და უპირატესად მდიდარი ფაქტიური შინაარსის შესახებ, რასაც წიგნი შეიცავს და, რაც დამყარებულია დიდძალი ლიტერატურისა და წყაროების კრიტიკულ შესწავლაზე ავტორის მიერ.

ეს წყაროები, საერთოდ, ორგვარია: ა) დაბეჭდილი და ბ) დაუბეჭდავი. დაბეჭდილი წარმოადგენს წიგნებს, ბროშურებს და უამრავ საყურნალო და საგაზეთო სტატიას, რომლებიც მთელი საუკუნის მანძილზე იბეჭდებოდა სპეციალურ თუ ზოგად ჟურნალებში და ღღიურ თუ კვირეულ გაზეთებში რუსულსა და ქართულ ენაზე. განსაკუთრებით გაკვირვებას იწვევს დიდი მუყაითობა და მუშაობა, რომელიც ავტორს გაუწევია წარსულ პერიოდიკაში მოთავსებული მასალის გასაცნობად. და მერე: გაცნობაცაა და გაცნობაც. გაუცვნია არა გადაფურცლ-გადმოფურცვლის სახით, თვალის გადავლებით, არამედ გულდასმით და ამონაწერების შესრულების გზით. საგაზეთო კორესპონდენციებიც კი არ დაუტოვებია ყურადღების გარეშე და იქიდანაც აუღია ამონაწერები, როდესაც შინაარსი ამათუიმ აზრით საინტერესოდ უცვნია საკითხისათვის.

ვამბობ რა ამას, სრულიად არა მაქვს აზრად გადავაჭარბო ან გავაზვიადო: რასაკვირველია, შეუძლებელია ავტორს წაეკითხა და გაეცნო ყველაფერი, რაც იმ პერიოდიკაში არის დაბეჭდილი, მაგრამ მისი ნაშრომი მოწმობს, რომ მას აქ დიდძალი მასალა გაუცვნია და გამოუყენებია.

კიდევ უფრო საყურადღებოა მისი მუშაობა დაუბეჭდავი მასალის განხილვისა და შესწავლის მხრივ. მას ხანგრძლივად უმუშავნია სხვადასხვა არქივში, გაუცვნია და შეუსწავლია ამ არქივების მასალა. შედეგი ამისა არის ის, რომ მის წიგნში ჩვენ ვკითხულობთ და ვიგებთ მრავალ ისეთ ცნობასა და ფაქტს, რომელიც პირველად ქვეყნდება და დღემდე არქივებში იყო ჩამარხული.

რასაკვირველია, წიგნში ყველა ნაწილი თანაბარის სისრულით არაა დამუშავებული და გაშუქებული,—ზოგი უფრო სრულია, ზოგიც შეკვეცილი და ნაკლოვანია, მაგრამ ეს იმ მასალის არათანაბრობაზეა დამოკიდებული, რომელიც ხელთ ჰქონდა ავტორს. უფრო სრულია იმ დარგების შესახები ცნობები, რომლებისთვისაც იმ თავითვე დაწვრილებითი საწარმოო აღრიცხვა არსებობდა (მაგ., ნავთი, მარგანეცი). მაგრამ ინტერესის მხრივ, შეიძლება ითქვას, წიგნის თითქმის ყველა ნაწილი საყურადღებო და საინტერესოა და უფრო ნაკლები გულისყურით დამუშავებული ნაწილები იქნებ უფრო საინტერესოც, ვიდრე ტკეთ დამუშავებულები, ვინაიდან იქ არქივებიდან ამოღებული არა ერთი და ორი ახალი ცნობა და ფაქტია მოცემული: მაგალითად, ცნობები გზების გაყვანის, ნაოსნობის, საფოსტო ხაზების, აგრარული ურთიერთობის, სავაჭრო მიწათმოქმედების, მინის წარმოების, საფეიქროებისა და სხვათა შესახებ.

მე მომსწრე და ნაწილობრივ დამსწრე ვარ—მისი სტუდენტობის დროიდანვე—ავტორის მუშაობისა და არ გამემტყუვნება, თუ განმეორებით გამოვთქვამ სიხარულს, რომ მან ესეოდენ ნაყოფიერ შედეგს მიაღწია თავის მუშაობაში.

პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი
ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი.
1941. V. 28.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფიული ცნობარი — „იაკობ გოგებაშვილი“
თბილისი, დაწყ. და საშ. სკოლის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემლობა, 1940 წ.

დიდი ქართველი პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის მთელი მემკვიდრეობის შესწავლისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მის მიერ შექმნილ ლიტერატურულ-პედაგოგიურ ნაწარმოებთა სრული ბიბლიოგრაფიის შედგენას.

ასეთი ბიბლიოგრაფია დახმარებას გაუწევს ცალკეულ საკითხებზე მომუშავე მკვლევართ და დაინტერესებულ პირთ არსებულ ლიტერატურაზე სათანადო უტყუარი ცნობების მოწოდებით. ამ მხრივ აღსანიშნავია დაწყ. და საშ. სკოლის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ნაყოფიერი მუშაობა საერთოდ იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში.

ასეთი მუშაობის ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფიის შედგენა და გამოცემა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე სარეცენზიო „ბიბლიოგრაფიული ცნობარი“ ვერ არის ყოველმხრივ დამაკმაყოფილებლად შედგენილი. ეს თვით სარეცენზიო წიგნის წინასიტყვაობაშიც არის აღიარებული, რომ „ბიბლიოგრაფიაში ადგილი აქვს ერთგვარ სიჭრელეს, ყველა აღწერილობაში არ არის აღწერილობის ის ელემენტები, რომლებიც თანამედროვე ბიბლიოგრაფიული წესების მიხედვით უნდა ყოფილიყო“.

ვფიქრობთ რომ დაწყ. და საშ. სკოლის სახ. სამეცნ.-საკვლევო ინსტიტუტი არ დაკმაყოფილდება თავისი პირველი ნაბიჯით—ბიბლიოგრაფიის ამ გამოცემით; მომავალში, ალბათ, შეეცდება მის შევსებას და გადამუშავებას და ამრიგად ყოველმხრივ სრული და მეცნიერულად გამართული ბიბლიოგრაფიის გამოცემას. ამიტომ აღვნიშნავთ წიგნის ზოგიერთ ნაკლს.

ბიბლიოგრაფიის ცნობარში მასალა დალაგებულია ანბანის მიხედვით, რაც თითქოს, როგორც წიგნის წინასიტყვაობიდან ჩანს, აიხსნება იმით, რომ „მკვლევარს უფრო ხშირად ესაჭიროება ი. გოგებაშვილის ამა თუ იმ სახელმძღვანელოს ყველა გამოცემა“ და ამ შემთხვევაში მკითხველისათვის ანბანური განწყობა ყველაზე უფრო სასარგებლოა. ბევრად უკეთესი და სასარგებლო იქნებოდა, რომ წიგნში მასალა არა ანბანური, არამედ ქრონოლოგიური წესით ყოფილიყო განწყობილი. მკვლევარს ეს შესაძლებლობას მისცემდა უფრო ნათლად წარმოედგინა იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების თანდათანი განვითარების საფეხურები. ამავე დროს ბიბლიოგრაფიის შედგენის ძირითადი პრინციპი მასალის ქრონოლოგიურად განწყობის შესახებ არ იქნებოდა დარღვეული.

ბიბლიოგრაფია ოთხი განყოფილებისაგან შესდგება: 1. ი. გოგებაშვილის შრომები ქართულ ენაზე; 2. ი. გოგებაშვილის შრომები რუსულ ენაზე; 3. სტატიები და წიგნები ი. გოგებაშვილის შესახებ; 4. ი. გოგებაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავზე გამოსული ლიტერატურა.

უკანასკნელ განყოფილებაში მასალა შემდეგნაირად არის დაჯგუფებული: 1) გოგებაშვილის წიგნები, გამოცემული 1940 წ.; 2) ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილი წიგნები და სხვა გამოცემანი; 3) სტატიები და მასალები, დაბეჭდილი 1940 წლის ჟურნალებსა და გაზეთებში ი. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავის გამო. ამავე განყოფილებაში ცალკეა გამოყოფილი: 1) ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ლექსები; 2) ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილი სხდომები და საღამოები მისი დაბადების 100 წლისთავის გამო; 3) მასალები

ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებიდან და შენიშვნები მისი ნაწერების გამოცემის შესახებ. მთელი ეს მასალა უმართებულოდ არის გაერთიანებული.

ბიბლიოგრაფიის პირველი და მეორე განყოფილება, ი. გოგებაშვილის დაბეჭდილი ნაშრომები ქართულ და რუსულ ენებზე, წიგნის სხვა განყოფილებებთან შედარებით სისრულით არის მოცემული, გარდა ზოგიერთ სახელმძღვანელოს იმ გამოცემისა, რომელიც არ მოიპოვება, რის გამოც შეუძლებელი გახდა მათი აღწერილობის ბიბლიოგრაფიაში მოცემა.

წიგნის მე-3 განყოფილებაში „სტატიები და წიგნები ი. გოგებაშვილის შესახებ" დაკვირვებული თვალი ერთი გადახედვითაც შეამჩნევს, რომ ბიბლიოგრაფიის შემდგენელთ ყურადღებიდან გამოუტოვებიათ მნიშვნელოვანი მასალა: ირ. ევდოშვილის ლექსი „სამშობლოვ ჩემო (ვუძღვნი ქართველ ყრმათა გულის გამფურჩქნელის და დედა-ენის თავგამოდებულ დარაჯის ი. გოგებაშვილის საფლავს)" (იხ. ირ. ევდოშვილის ლექსთა კრებული, ნ. კურდღელაშვილის რედაქციით. გვ. 258—59; აგრეთვე—ირ. ევდოშვილის ლექსები და პოემები. ტ. II, შ. რადიანის რედაქციით. გვ. 169—170); ირ. ევდოშვილის მოთხრობა „ნაძვო ლამაზო (ვუძღვნი ი. ს. გოგებაშვილს)" იხ. იგივე გამოცემა, გვ. 312—319); ილ. მაისურაძე—„იაკობ გოგებაშვილი" (იხ. გაზ. „სტალინელი", № 56, 1939 წ., ქ. გორი).

წიგნის ამავე განყოფილების 52-ე გვერდზე დასახელებულია დიმიტრი ყიფიანის გამოუქვეყნებელი რეცენზია, ი. გოგებაშვილის „დედა-ენის" შესახებ. ბიბლიოგრაფიის ავტორებს მხედველობიდან გამორჩენიათ, რომ იგი გამოქვეყნებული იყო ჟურნალ „მნათობში" — № 10, 1940 წ. შეცდომით არის აგრეთვე მითითებული საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყ-ბის ი. გოგებაშვილის ფონდის № 3316-ზე, ნაცვლად № 53311 ა-სი.

ბიბლიოგრაფიის მე-4 განყ-ში „ი. გოგებაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავზე გამოსული ლიტერატურა", 57-ე გვერდზე დასახელებულია: „იაკობ გოგებაშვილი. საიუბილეო კრებული" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა. მასში მოთავსებული სხვადასხვა ავტორის ყველა სტატია ცალ-ცალკე ანბანის მიხედვით უნდა ყოფილიყო დასახელებული.

ამ განყოფილებაში ბევრი მასალაა გამოტოვებული. ასეთია: „იაკობ გოგებაშვილი" (1840—1940) სარედაქციო წერილი (იხ. ჟურ. მნათობი", № 10, 1940 წ., გვ. 85—90).

ალ. სულავა: „ბიბლიოგრაფია. ი. გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობები" (იხ. ჟურ. „მნათობი", № 10, 1940 წ., გვ. 159—160).

შიო მღვიმელი: „იაკობ გოგებაშვილი" (მოგონება) (იხ. „ლიტერატურის მატიანე", წიგნი 1—2, 1940 წ., გვ. 276—285);

ვანო ავალიშვილი: „იაკობ გოგებაშვილი" (იხ. იგივე „ლიტერატურის მატიანე", გვ. 286—292);

ჟურ. „ოქტომბრელის" 1940 წლის მე-10 ნომერში მოთავსებული მასალა: გიორგი კაპახიძე—„იაკობ გოგებაშვილი"—ლექსი; იოსებ ნონეშვილი—„დაუვიწყარი მასწავლებელი"; ილია სიხარულიძე — „დედა-ენა" (მოგონება, ლექსი); ს. ხუციშვილი — „იავნანამ რა ჰქნა".

ჟურ. „პიონერის" 1940 წლის მე-10 ნომერში მოთავსებული მასალა: ბ. მანთიძე „ქართველი ხალხის დიდი პედაგოგი"; სანდრო ეღენტი—„საყვარელი წიგნი" (ლექსი); ილია სიხარულიძე—„დედა-ენა"; შაქრო სამადაშვილი—„მოხუცის ხე" (ლექსი, მიძღვნილი იაკობ გოგებაშვილისადმი); ან. თევზაძე—„ბუნების-კარი"; ი. გოგებაშვილი—„დედა და შვილები" (ლექსი); იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო პლაკატი (იხ. გაზეთ „საბჭოთა მასწავლებლის" რედაქციის მიერ გამოცემული. ოქტომბერი 1940 წ.).

ამავე განყოფილების 52-ე გვერდზე დასახელებულია ჟურ. „კომუნისტური აღზრდისათვის" № 10, 1940 წლისა, რომელიც მთლიანად მიძღვნილია ი. გოგებაშვილისადმი. მასში მოთავსებული სტატიები ყველა არ არის დასახელებული. გამოტოვებულია შემდეგი სტატიები: „დიდი ეროვნული მოღვაწე და პედაგოგი" (მოწინავე); Д. Мгеладзе—„Я. С. Гогебашвили, как автор руководства по русскому языку для грузинских начальных школ"; ი. სიხარულიძე—„ი. გოგებაშვილი, როგორც საბავშვო მწერალი და საბავშვო მწერლობის თეორეტიკოსი"; ლადო ბზვანელი — „ჩემი მოგონებანი ი. გოგებაშვილზე";

ი. მჭედლიშვილი—„მოგონებანი იაკობ გოგებაშვილზე“ და სხვა.

ბიბლიოგრაფიაში ხშირად არ არის დაცული ერთი საერთო პრინციპი: არ არის ნაჩვენები დასახელებულ დაბეჭდილ ნაწარმოებთა საჭირო ცნობები (დაბეჭდვის წელი, გამოცემის ადგილი, გვერდი და სხვ.) აღვნიშნავთ ზოგიერთს: „ი. გოგებაშვილი. რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები“. გარდა გვ. 27-ისა, მთელს წიგნში, სადაც კი დასახელებულია, ნაჩვენები არ არის გამოცემის ადგილი, წელი, ფასი და ტომი (იხ. გვ. 8 და სხ.); ასევეა წიგნი „იაკობს გოგებაშვილის სახსოვრად“ (იხ. გვ. 43, 44, 46 და სხვ.).

ხშირად დასახელებული ჟურნალ-გაზეთების გამოცემის ადგილი არ არის აღნიშნული (მაგ., ჟურ. „განათლება“, გვ. 7; გაზ. „სახალხო ფურცელი“, გვ. 7; გაზ. „დროება“, გვ. 7; გაზ. „ივერია“, გვ. 8; გაზ. „სახ. გაზ.“, გვ. 8 და სხვ.).

წიგნის მე-4 განყ-ში „ი. გოგებაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავზე გამოსული ლიტერატურა“, დასახელებულ არც ერთ ჟურნალ-გაზეთს წელი არა აქვს აღნიშნული. ამავე დროს, გარდა რაიონული გაზეთებისა, ჟურნალ-გაზეთების გამოცემის ადგილიც არ არის ნაჩვენები და ხშირ შემთხვევაში გვერდებიც კი (იხ. გვ. 58, 59, 63 და სხ.).

წიგნში არის კორექტურული შეცდომებიც, რომელნიც ზოგ შემთხვევაში აზრს მთლიანად ამახინჯებენ (იხ. 66-ე გვერდი: ნანობაშვილის მაგიერ ნონებაშვილი; მე-8 გვერდი: 1892-ის მაგიერ 1992 წელი და სხვ.).

კარგი იქნებოდა, რომ ბიბლიოგრაფიას ცალკე განყოფილებად დართოდა ი. გოგებაშვილის მემკვიდრეობიდან საქ. სახ. მუზეუმსა და სხვა სამეცნიერო ორგანიზაციებში დაცული არქივის ფონდებში არსებული მასალის ძირითადი აღწერილობა. ამით ი. გოგებაშვილის მემკვიდრეობით ყველა დაინტერესებულ მკვლევარს მისი გამოყენების უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებოდა.

საჭირო იყო აუცილებლად წიგნს დართოდა აგრეთვე საკუთარი სახელების საძიებელი. მიუხედავად ყველა ზემოთ აღნიშნულ ნაკლისა, დაწყ. და საშ. სკოლის სახელმწიფო სამეცნ.-საკვლევო ინსტიტუტის მიერ გამოცემული ბიბლიოგრაფიული ცნობარი მეტად საჭირბოროტო წიგნია. იგი დახმარებას გაუწევს ყველა მკვლევარს, ვინც კი იმუშავებს ი. გოგებაშვილის ლიტერატურულ-პედაგოგიური მემკვიდრეობის ათვისებისა და შესწავლისათვის.

შალვა გოზალიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. გლიასერი — „წიგნზე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მუშაობის შესახებ“.

ქართული გამოცემა

ეურნალ „ბოლშევიკის“ რედაქციამ ქართულად გამოსცა ამხ. გ. გლიასერის შრომა „წიგნზე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მუშაობის შესახებ“. ამხ. გლიასერს ამოცანად დაუსახავს — გაგვაცნოს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების, დიადი მოაზროვნეების მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის მეცნიერული მუშაობის მეთოდები, რადგან „უწინარეს ყოვლისა მათგან უნდა ვისწავლოთ ჩვენ ყველამ, როგორ დავეუფლოთ ცოდნას, რით, რა მეთოდებით ვიხელმძღვანელოთ ამ ამოცანის გადაწყვეტის დროს“, რადგან „მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ნაწარმოებთა ყურადღებით კითხვა, მათი ცხოვრებისა და მუშაობის გაცნობა საშუალებას გვაძლევს განსაკუთრებით მრავალი უძვირფასესი მითითება, რჩევა და მაგალითი მივიღოთ იმისა, თუ როგორ უნდა დავეუფლოთ თეორიას და გამოვიყენოთ ის, როგორც სახელმძღვანელო მოქმედებისათვის ჩვენს მთელ თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობაში“. (სარეც. შრომა, გვ. 3).

ამხ. გლიასერის ბროშურა გვიშლის სურათს იმ უდიდესი შრომისუნარიანობისას, რომელიც ახასიათებდათ მარქსს, ენგელსს, ლენინს და ახასიათებს სტალინს. ამხ. გლიასერის ბროშურიდან ნათლად სჩანს, რომ თეორიის დაუფლება მეტად სერიოზული ამოცანაა და იგი მხოლოდ მას შეუძლია, ვინც გამოიმუშავებს სისტემატურ უნარს შრომისას. თეორიის დაუფლება მართალია, შესაძენი საქმეა, მაგრამ ყოველ საბჭოთა მოქალაქეს უნდა ახსოვდეს მარქსის შესანიშნავი სიტყვები: „მეცნიერებასთან მისასვლელად არ არსებობს ფართო სამხედრო გზა და მხოლოდ იმას აქვს შანსი მიაღწიოს მის ბრწყინვალე მწვერვალებს, ვისაც არ აშინებს დაღლა, რომელსაც მის კლდოვან ბილიკებზე ასვლა მოითხოვს“. ე. ი. ვისაც აქვს განსაკუთრებული, სისტემატიური, დაუღალავი, მოწესრიგებული შრომის უნარი, რომლის ნიმუშებსაც ჰაბუკობიდან ლენინი და სტალინი იძლევიან.

მარქსის მოწინააღმდეგენიც კი იძულებული იყვნენ ეღიარებინათ, რომ მას დიდი, ღრმა ცოდნა ჰქონდა, არა მარტო პოლიტიკურ-ეკონომიური, არამედ ისტორიისა და ფილოსოფიის, ყველა ქვეყნის ლიტერატურის და მეცნიერების სხვა სპეციალური დარგებისა, მის შრომისუნარიანობაზე ლაფარგი სწერდა. „თუმცა იგი ძალიან გვიან წვებოდა დასაძინებლად, მაგრამ დილის 8 და 9 საათს შუა ყოველთვის ფეხზე იყო, დალევდა შავ ყავას, გადაიკითხავდა გაზეთებს და მიდიოდა თავის სამუშაო ოთახში, სადაც ღამის 2 ან 3 საათამდე მუშაობდა. მუშაობას სწყვეტდა მხოლოდ სადილობისას და საღამოს ჰემსტედ ჰისისკენ გასასეირნებლად, თუ ამინდი შესაფერი იყო. დღისით ერთ ან ორ საათს იძინებდა თავის სავარძელზე. ახალგაზრდობისას მარქსს ჩვეულებად ჰქონდა—მთელი ღამეები გაეთენებინა მუშაობაში. შრომა მარქსისათვის ტრფობა იყო; იგი ისე იტაცებდა მას, რომ ხშირად ჭამაც ავიწყდებოდა. სადილობის დროს ხშირად რამდენჯერმე უხდებოდათ მისი დაძახება, სანამ ბოლოს სასადილო ოთახში ჩამოვიდოდა. შესჭამდა თუ არა უკანასკნელ ლუკმას, კვლავ თავის ოთახს მიაშურებდა.“ (მარქსი — რჩეული ნაწერები, გვ. 73).

ვ. ლიბკნეხტი, რომელიც ახლო იცნობდა მარქსს, გადმოგვცემს, რომ მარქსი მუშაობდა გატაცებით, „მუშაობდა განუწყვეტლივ, მუშაობდა მუდამ, როცა კი შესაძლებლობა ჰქონდა. სეირნობის დროსაც კი თან ატარებდა უბის წიგნაკს და ყოველ წუთს შეჰქონდა შიგ შენიშვნები“. მარქსი მუშაობდა წარმოუდგენელი კეთილსინდისიერებით. ფ. ენგელსს აღნიშნული აქვს, რომ მარქსი მუშაობდა „ისეთი კეთილსინდისიერებით, რომელსაც ტოლი არ გააჩნია, ისეთი კეთილსინდისიერებით, რომელიც მას ნებას არ აძლევდა თავისი დასკვნები სისტემატიური სახით გამოექვეყნებინა მანამდე, სანამ თვითონ არ იყო კმაყოფილი მათი ფორმითა და შინაარსით, სანამ ის საბოლოოდ არ დარწმუნდებოდა, რომ არ დარჩენია წაუკითხავი არც

ერთი წიგნი, არ დარჩენია აუწონ-დაუწონელი არც ერთი შეპასუხება, რომ ყოველი საკითხი მას სავსებით ამოწურული აქვს" (გვ. 18. სარეც. წიგნი).

პოლ ლაფარგს თავის მოგონებებში მარქსზე აღნიშნული აქვს, რომ მარქსს ეკონომიდეს არ მიუცია თავისთვის ნება ელაპარაკნა ისეთ საგანზე, რომელიც მან ფრთხილად შესწავლილი არ ჰქონდა. იგი არაფერს გამოაქვეყნებდა, სანამ ზედმიწევნითი გადამუშავებით საბოლოო ფორმას არ მიაღწევდა. მისთვის აუტანელი იყო წამდგარიყო საზოგადოების წინაშე ისეთი აზრით, რომელიც არ იყო ბოლომდის დამუშავებული. ... რათა „კაპიტალში" დაეწერა ოციოდე გვერდი ინგლისის შრომის კანონმდებლობაზე, იგი იძულებული გახდა შეესწავლა მთელი ბიბლიოთეკა „ლურჯი წიგნებისა", რომელნიც შეიცავდნენ ინგლისისა და შოტლანდიის საგამომძიებლო კომისიებისა და საფაბრიკო ინსპექტორების მოხსენებებს. მან ეს წიგნები თავიდან ბოლომდე წაიკითხა, რასაც მოწმობს ამ წიგნების არეებზე ფანქრით აღნიშნული მრავალი ნიშანი". (გვ. 20). მარქსის შესახებ ენგელსსაც ეს არა ერთხელ აღუნიშნავს. ენგელსი მოითხოვდა, რომ პარტიის თეორეტიკული მუშაკიც მარქსისებურად კეთილსინდისიერი ყოფილიყო მუშაობაში. აკრიტიკებდა რა კაუცკის, მიუთითებდა, რომ კაუცკის ძირითადი ნაკლი არის მისი „მიდრეკილება ნაჩქარევი დასკვნებისაკენ". ენგელსი აღნიშნავდა, რომ კაუცკის არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმაზე, თუ რას ნიშნავს ნამდვილი მეცნიერული მუშაობა. აი როგორ ახასიათებს ავტორი სარეცენზიო შრომისა მარქსის მეცნიერული მუშაობის ჩვევებს: „19 წლის მარქსისაგან ჩვენ ბევრის სწავლა შეგვიძლიან, შეგვიძლიან ვისწავლოთ მისი უზარმაზარი შრომისუნარიანობა და ცოდნის წყურვილი, მისი სხვადასხვა მხრივი მეცნიერული ინტერესები, მისი მისწრაფება მიღებული ცოდნის კრიტიკული დამუშავებისაკენ, საკუთარი ნაშრომებისადმი თვითკრიტიკული დამოკიდებულების უნარი, მარქსი უბრალოდ როდი კითხულობს, იგი წაკითხულს ღრმად უფიქრდება, ყველაფერი, რაც წაუკითხავს, გარკვეულ სისტემაში მოჰყავს, მაგრამ ის არა თუ უფიქრდება, არამედ ქაღალდზედაც სწერს თავის აზრებს, როგორც ამას შემდეგში ლენინიც სჩადიოდა. როცა წიგნებიდან მისთვის საინტერესო საგანზე განსაზღვრულ წარმოდგენას მიიღებდა, მარქსი შემდეგ მთელ ნაშრომს, მონოგრაფიას სწერდა იმისათვის, რომ განეხილა ის, რასაც მათი შესწავლის შედეგად მიაღწია. იგი იმიტომ იქცევა ასე, რომ უფრო უკეთ, უფრო ღრმად შეიჭრას შესასწავლ საგანში,—ეს მისი მეცნიერული მეცადინეობის ერთერთი მეთოდია, შემდეგ იგი გულდასმით ანალიზს უკეთებს მის მიერ დაწერილს და აღნიშნავს იმას, რაც მას ჯერ კიდევ აკლია საგნის საუკეთესოდ შეთვისებისათვის" (სარეც. შრ. გვ. 8).

მარქსის მეცნიერული მუშაობის ჩვევის დამახასიათებელია ისიც, რომ როდესაც რომელიმე საკითხს სწავლობს, იგი კითხულობს და სწავლობს ამ საკითხის შესახებ მთელ მეცნიერულ ლიტერატურას. მისი მეცნიერული მუშაობის ჩვევის დამახასიათებელია შესასწავლი საკითხების პირველ წყაროებში შესწავლა, როდესაც ის რომელიმე ავტორის შრომას სწავლობს, პირველ რიგში მას ორიგინალში ეცნობა, ამიტომ მარქსი მეცნიერულ მუშაობაში უცხო ენების ცოდნას უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა და როდესაც მისმა მეცნიერული მუშაობის ინტერესმა მოითხოვა რუსული ენის ცოდნა, იგი ძნელ საქმეს უდიდესი ენტუზიაზმით შეუდგა. ის უკვე 50 წელს გადაცილებული იყო, მაგრამ დაჟინებული, შეუდრეკელი შრომის წყალობით ჩქარა შესანიშნავ შედეგს მიაღწია. ენების ცოდნა მას ჰორიზონტს უფართოებდა და საშუალებას აძლევდა მეცნიერული ლიტერატურის ფართო და სრული გამოყენებით ჰქონოდა საგანზე ღრმა წარმოდგენა, შეესწავლა საკითხი ყოველ მხრივ.

მიუხედავად იმისა, რომ მარქსი არაჩვეულებრივი მეხსიერების კაცი იყო, მეცნიერულ მუშაობაში ის ნაკლებად ენდობოდა მეხსიერებას და კონსპექტის გამოყენება მისი მეცნიერული მუშაობის ერთერთი აუცილებელი მომენტი იყო ახალგაზრდობიდანვე. კონსპექტირებას მარქსი იყენებდა ყოველთვის, როდესაც წაკითხული მასალის ღრმად ათვისება და საკუთარი აზრების ჩაწერა იყო საჭირო.

ამხ. გლიასერის შრომის ერთი ნაკლთაგანი ის არის, რომ იგი ძალიან მოკლედ ჩერდება ენგელსის მეცნიერული მუშაობის მეთოდებზე. ავტორს აღნიშნული აქვს, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ მარქსი და ენგელსი კოლექტიურ შრომას თეორიის დაუფლებისა და ჩამოყალიბების საქმეში, თუ რა ნაყოფიერი იყო თავისი შედეგებით ის ურთიერთდახმარება და რჩევა რომელსაც ისინი განუწყვეტლივ აძლევდნენ ერთმანეთს, როგორც მეცნიერული მუშაობის პროცესში, ისე ყოველდღიურად რევოლუციური, პრაქტიკული მოღვა-

წეობის დროს. სამწუხაროდ, ის მდიდარი საინტერესო მასალა, რომელიც მარქსისა და ენგელსის მეცნიერული თანამშრომლობის შესახებ არსებობს, ავტორს ნაკლებად აქვს გამოყენებული.

ბროშურის მეორე თავი ეხება მარქსისა და ენგელსის დიად მემკვიდრეობას. პროლეტარიატის დიად ბელადებს ლენინს და სტალინს. ავტორი ცდილობს გადმოგვცეს მათი მეცნიერული მუშაობის ჩვევები. წიგნში ნაჩვენებია, რომ ლენინი და სტალინი მარქსისა და ენგელსის საქმის დიადი გამგრძელებელნი არიან და რომ ორივენი ახალ ისტორიულ პირობებში ისახავენ ისეთივე ამოცანას, როგორსაც მარქსი და ენგელსი ისახავდნენ. ისინი სწავლობენ პირველ რიგში მარქსის და ენგელსის თეორიას, ლენინი და სტალინი აგრძელებენ რა მარქსისა და ენგელსის საქმეს, იბრძვიან მარქსიზმის დამახინჯების წინააღმდეგ, სწმენდენ მარქსიზმს იმ დამახინჯებისა და ფალსიფიკაციისაგან, რომელიც მოახდინა საერთაშორისო ოპორტუნიზმმა, ანვითარებენ მარქსიზმს ახალ ისტორიულ ვითარებაში, მათ უხდებათ ახალი პირობების შესაბამისად პროლეტარიატის რევოლუციონური ტაქტიკისა და სტრატეგიის გამომუშავება.

თვით მეცნიერულ მუშაობაში როგორც ლენინი, ისე სტალინი წარმოადგენენ სამაგალითო, უჩვეულო შრომის გმირებს. ლენინი და სტალინი, მსგავსად მარქსისა და ენგელსისა არა მხოლოდ დიადი გენიოსები არიან, არამედ შრომის დიდი მოყვარულნიც.

„საკუთარი თავისადმი დიდი მოთხოვნილება, დაჟინებულობა მიზნის მიღწევაში, შეუპოვრობა შრომაში, გულმოდგინება ცოდნის დასაუფლებლად მუშაობაში,—ყველა ეს ისეთი ნიშნებია, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმის გენიალური კლასიკოსების მუშაობის მეთოდების განუყოფელ ნაწილს შეადგენენ“ (გვ. 65—66).

სიზუსტე და სიბეჯითე, მკაცრი ორგანიზებულება და გეგმიანობა მუშაობაში, სიყრმიდანვე დამახასიათებელია, როგორც ავტორი აღნიშნავს, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებისათვის, ლენინისა და სტალინისათვის.

წიგნის სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს (და ეს აღნიშნა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ორგანომ „ბოლშევიკმა“) ის, რომ იგი სათანადოდ ვერ გვაცნობს ამხანაგ სტალინის წიგნზე მუშაობის მეთოდებს, მის მეცნიერულ მუშაობის მეთოდებს.

მიუხედავად ცალკეული დეფექტებისა, ამხ. გლიასერის ბროშურა დიდ დახმარებას გაუწევს ყველას, ვინც ცდილობს აამაღლოს თავისი პოლიტიკურ-თეორიული დონე, დაეუფლოს მარქსიზმ-ლენინიზმს. ბროშურის თარგმანი არ არის ცუდად შესრულებული.

გ. ფეგრელიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანო გერსამია — „მაკო საფარავ-აბაშიძისა“.

საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის გამოცემა

ჩვენ თეატრის მდიდარი წარსული და ქართული სცენის უდიდესი ოსტატების მუშაობა ჯერ კიდევ არ არის მეცნიერულად შესწავლილი.

ამ გარემოებისათვის, როგორც სჩანს, ყურადღება მიუქცევია საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმს და განუზრახავს სათეატრო კულტურის ისტორიაში არსებული ამ ხარვეზის შევსება ცალკეულ მოღვაწეებზე მონოგრაფიებისა და პორტრეტების გამოცემით. ეს განზრახვა მისასალმებელია და მისი პირველი ცდები, მიუხედავად ზოგიერთი სისუსტისა, გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

სარეცენზიო წიგნი „მაკო საფარავ-აბაშიძისა“ პატარა, მოხდენილი პორტრეტია ჩვენი სცენის ამ უდიდესი დამამშვენებლისა. მაკო საფარავ-აბაშიძისამ მთელი ეპოქა შექმნა ქართულ თეატრში. მან თავისი ნიჭიერი თამაშით ხელი შეუწყო ქართული თეატრის აყვავებასა და აღორძინებას. მისი ამაგი და ღვაწლი ქართული თეატრის წინაშე იმდენად დიდია, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა ვერ მოიხდის თავის ვალს ამ პატარა წიგნაკით.

მაშინდელი გადაგვარებული და რუსიფიკაციის გზაზე დამდგარი საზოგადოება, განსაკუთრებით მისი მაღალი ფენები და ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა გაურბოდა ყოველგვარ ქართულ საქმეს და, სხვათა შორის, თეატრსაც. მაკოსა და მისი თანამებრძოლების ამაგი დიდია. ყველასაგან დევნილი და ათვალწუნებული ქართული ენა მხოლოდ ქართულ სცენაზე გაისმოდა. ისტორიის განსაზღვრულ ეტაპზე ის იყო ეროვნული თვითშეგნების უდიდესი ტრიბუნა.

სარეცენზიო წიგნაკი მცირე ზომისაა და პორტრეტულ ნაწარმოებს უახლოვდება. მისი შესავალი ნაწილი მოხდენილად არის დაწერილი. ამ შესავალ ნაწილში ეპილოგის სახით მოთხრობილია მაკოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის სამ პერიოდზე, დახატულია სამი სურათი მთლიანად მისი 80 წლის ცხოვრების ანუ საუკუნის ოთხმეოთხედის მანძილზე. ასეთ შესავალს სჭიროდა უფრო გამართული გაგრძელება. ცხადია, საამისოდ მდიდარი და უხვი მასალა ავტორს მოეპოვებოდა. ავტორი ფართოდ იყენებს თვით საფარავ-აბაშიძის მოგონებას და თითქმის ამ მასალის ტყვე ხდება. ავტორს უხვად აქვს გამოყენებული აგრეთვე იმ დროინდელი ჟურნალ-გაზეთების ზოგჯერ არაფრის მთქმელი რეცენზიები, რომლებსაც დღევანდელი დღისათვის მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვთ, რომ მკითხველს აცნობენ, თუ რა როლს ასახიერებდა მაშინ მსახიობი ქალი. საჭირო იყო მსახიობის მიერ განსახიერებული როლების უფრო ღრმა და ლიტერატურული ანალიზი.

მიუხედავად აღნიშნული ზოგიერთი ნაკლისა, ამ წიგნაკის გამოცემა გამართლებულია იმით, რომ მასში ცოტად თუ ბევრად მაინც თავმოყრილია დიდი მსახიობის შესახებ არსებული საინტერესო ბიოგრაფიული მასალა.

ფაროსანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

		გვ.
კონსტანტინე გამსახურდია—დავით აღმაშენებელი (რომანი. გაგრძელება)	. . .	3
გიორგი კაჭახიძე—სამამულო ომში დაღუპულ გმირებისადმი (ლექსი)	. . . .	38
სოლომონ თავაძე — უკანასკნელი და გადამწყვეტი (რომანი)	. . . . .	40
კალე ბობოხიძე—მამულიშვილნი (ლექსი)	. . . . .	66
თეიმურაზ ჯანგულაშვილი—სამშობლოსათვის (ლექსი)	. . . . .	67
კლიმენტი გოგიავა—ღრუბლებში (მოთხრობა. დასასრული)	. . . . .	68
კ. ოსიპოვი — დივიზიის უფროსი კიკვიძე (დასასრული. თარგმანი **ვ. მგალობლიშვილისა**)	. . . . .	89
გი-დე-მოპასანი—დედაბერი სოვაჟი (თარგმანი **თ. სახოკიასი**)	. . . . .	109

ფაშიზმი კულტურის წინააღმდეგ

კონსტანტინე გამსახურდია—ფაშიზმი თუ მსოფლიო კულტურა?	. . . . .	115

ეთნოგრაფია

ზ. ედილი—საინგილო (გაგრძელება)	. . . . .	127

ბიბლიოგრაფია

პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი — პაატა გუგუშვილი—„კაპიტალიზმის განვითარება საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში“	. . . . .	148
შალვა გოზალიშვილი—ბიბლიოგრაფიული ცნობარი—„იაკობ გოგებაშვილი“	. .	154
გ. მეგრელიშვილი—გ. გლიასერი—„წიგნზე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მუშაობის შესახებ“	. . . . .	157
ფაროსანი—ვანო გერსამია—„მაკო საფაროვ-აბაშიძისა“	. . . . .	160

ф.25/385.
КЕШХОВЕЛИ 5
ГОС ПУБЛИЧН Б-КА
МНАТ
ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 4 მან.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ